

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი



ერმოსი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

აგეტორთა სტილი დაცულია

თბილისი

2012



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

**ურთიერთობათა და კოორდინაციის
დარეგულირებისათვის**

პუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი

**III სტუდენტური რეგიონთაშორისი
რესპუბლიკური კონფერენცია**

მასალები

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

პროფესორი ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: ირაკლი ყანდაშვილი, ნანი მაჭარაშვილი, ირინა მირიჯანაშვილი,
ანდრო გოგოლაძე, ანასტასია ზაქარიაძე, ინგა სანიკიძე, ნათელა მოსიაშვილი,
გოჩა კუჭუხიძე, თამარ შარაბიძე, მაია ჯალიაშვილი, ნინო ჭალაგანიძე,
ხათუნა კაჭარავა, თეა მუავანაძე, სოფიკო ძელაძე (დოქტორანტი) – (ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორები: ელგუჯა ქავთარაძე, ნანა კუცია, მამული ბერია, მაკა დოლიძე, თამარ
შინჯიაშვილი – (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორი: თამარ გოგოლაძე (სსიპ გორის უნივერსიტეტი)

პროფესორი: ფრუდე ჰერმუნდსგორდი (ოსლოს უნივერსიტეტი)

სარჩევი

სამართალოდონობა, პოლიტოლოგია.....	7
მაია ბაზალი.....	7
საერთაშორისო ურთიერთობების როლი კონფლიქტების დარეგულირებაში.....	7
ნინო ყაჩავაშვილი, მირანდა ყაჩავაშვილი.....	12
ლიბიის კონფლიქტის ეკონომიკური შედეგები.....	12
ქრისტინე მარგველაშვილი.....	14
კონფლიქტი სუდანში, 2011 წლის რეფერენდუმის გავლენა სამხრეთ სუდანის ლეგიტიმიზაციის პროცესზე.....	14
ბექა ბალაშვილი.....	18
საერთაშორისო ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კრიტიკა.....	18
რუსუდან ელიზბარაშვილი.....	24
კონფლიქტების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი კავკასიაში..	24
ქრისტინე ბებია.....	30
ქართველი ძლიერი სუსტი სქესის წარმომადგენლები.....	30
ლაშა თაკალანძე.....	35
საქართველოს კრიზისი – მსოფლიო პოლიტიკის თემა..	35
სოციალური მაცნეორებანი: პოლიტოლოგია, ურნალისტიკა, ფინანსობრივი	
ეკონომიკი	
ნინო ცაგურია, ეკა ცერცნაძე.....	39
მედიის როლი განვითარებად ქვეყნებში.....	39
ლალი ცერცვაძე..	43
განსაკუთრებული საჭიროების ბავშვების მიმართ გამოყენებული ტერმინოლოგია.43	43
მარიამ აბულაძე..	47
აგრესია მოზარდებში..	47
მანანა კუცია..	50
გენმოდიფიცირებული პროდუქტები..	50
ჰუმანიტარული მაცნეორებანი: ისტორია, კულტუროლოგია, ფილოსოფია	
ლანა გაბრიაძე, ქეთევან გონგაძე.....	55
ზემო სვანეთის საფასადო მოხატულობები.....	55
მარიამ გოჩელიშვილი..	61
ისტორიული ცნობები მთის (ლექნარის) წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ.....	61
ლექსო დორეული..	66
პოსტმოდერნისტული ხელოვნების ფილოსოფია.....	66
მარიამ გაზაშვილი..	73
მაია და მისი ტრადიციები.....	73
ლელა კურტანიძე..	78
დეპუმანიზაციის ტრაგედია ერნსტ ვაისის მოთხოვნაში „ფრანტა ცლინი“	78
ჰუმანიტარული მაცნეორებანი: ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება	
სოფიკო ხელაშვილი.....	83
საქართველოში გავრცელებული ენები.....	83
მარიამ დადუნაშვილი.....	87

სახარების სამი შატბერდული ხელნაწერი: ადიშის, პარხალისა და	
ჯრუჭის ოთხთავები	87
სოფიკო ძნელაძე..	89
ლაშა იმედაშვილის რომანების პოსტმოდერნისტული გააზრებისათვის.....	98
შორენა შავრეშიანი.....	94
თემისა და პიროვნების კონფლიქტის ყაზბეგისეული გაგება და თანამედროვე	
ქართული კრიტიკა.....	94
ეკა იორამაშვილი..	99
გალაკტიონი და თანამედროვეობა.....	99
მეგი გუმბერიძე, ანა დოლიძე..	103
ოთარ ჩხეიძის სტილი.....	103
თამარ მოდებაძე..	106
სიკვდილი გალაკტიონის პოეზიაში..	106
გვანცა ფოფხაძე..	112
ქალაქის მხატვრულ-სიმბოლური გააზრება XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.....	112
სკანდინავისტიკა	
შვედეთის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა..	118
ბექა სუხიტაშვილი..	122
სკანდინავია – მარტოსულობის ხელოვნება.....	122
ჟანა სირბილაძე..	128
ნორვეგიის სამეფოს ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა.....	128
ნინო დემურია..	131
სიგრიდ უნდსეტი, ვიგა ლიოტისა და ვიგდისის ამბავი.....	131
მაკა დოლიძე..	136
სკანდინავიური ქვეყნების ხალხები და მათი ფოლკლორი.....	136
ნინო რჩეულიშვილი, ღიმიტრი პაპუნაშვილი..	143
ნორვეგიის ბუნება..	143
მარიამ ბაქანიძე..	146
სკანდინავიური ლიტერატურა.....	146
ანა ფაშალიშვილი.....	155
ადამიანის უფლებები სკანდინავიურ ქვეყნებში.....	155
ელინა ჯიორევა, თაკო თოდუა..	161
ნორვეგიის ბუნებრივი რესურსები და მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.....	161
ნინო მაზმიშვილი, მარიამ მალლაკელიძე..	166
ნორვეგიის კულტურა.....	166

მაია ბაზალი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

საერთაშორისო ურთიერთობების როლი კონფლიქტების დარეგულირებაში

ხელმძღვანელი პროფესორი: ელგუჯა ქავთარაძე

21-ე საუკუნე კაცობრიბისთვის სასტიკი კონფლიქტების ფონზე დაიწყო. განვლილი საუკუნის კატაკლიზმები ჯერ კიდევ თავს იჩენს, იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ახალი წესრიგი თითქმის მშვიდობისა და თანხმობის სახით უნდა წარმათულიყო. ტოტალიტარული რეჟიმის რღვევამ გამოიწვია ეთნიკური დაპირისპირებები, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ტრავმირებული საზოგადოება. ფიქრი მშვიდობიანი მსოფლიოს შესახებ ჯერ კიდევ ჩანასახშია, რომელიც მიზანდასახულ განვითარებას მოითხოვს. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: ნატო, ეუთო, გაერო და ევროკავში ეს ორგანიზაციები ხელს უწყობენ სისხლიანი კონფლიქტების შეჩერებას, როგორც ეს მოხდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, კოსოვოში, მაკედონიაში და სხვა. გაერომ 61 სამშვიდობო მისიდან დაასრულა 45 ოპერაცია. გაერო აქტიურად ჩაება კოსოვოს კონფლიქტის დასარეგულირებლად, მან უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. მანამდე არც ერთი მისია არ ითვალისწინებდა გაეროს ხელმძღვანელობით სხვა მრავალმხრივი ორგანიზაციების მონაწილეობას სრულფასოვანი პარტნიორობის სახით. სამშვიდობო მისია კოსოვოში დაწესდა 1999 წლის 10 ივნისს. იმავე წელს გაეროს დავალებით ნატოს ავიაციის მიერ სერბიის ქალაქები დაიბომბა, რის შემდეგ სერბეთის არმია იძულებული იქნა ოლქის ტერიტორია დაეტოვებინა. კოსოვოში გაეროს რეზოლუციის თანახმად შემოიგეს საერთაშორისო მმართველობა. შემდეგ უკვე 2008 წლის 17 თებერვალს აშშ.-მ, ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ და მსოფლიოში სულ 69 ქვეყანამ ცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობის ცნობით დღის წესრიგში დადგა დაპირისპირება საერთაშორისო სამართლის ორი ნორმისა: ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევისა. ასევე ეს შემთხვევა გახდა საფრთხე სხვა ქვეყნებში ამის პრეცედენტისა და სხვა გაყიდული კონფლიქტების განახლებისა, მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოელებს ჰქონდა საბაბი დამოუკიდებლობისა, რადგან სერბმა ლიდერებმა მათ წინააღმდეგ პირდაპირი ეთნიკური წმენდის კამპანიაც წამოიწყეს, რასაც 10000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და მიღიონზე მეტი საცხოვრებელი ადგილიდან აიყარა. ამ კონფლიქტში დიპლომატიურმა შეუპოვარმა მცდელობებმა შედეგი ვერგამოილო, რის გამო საერთაშორისო თანამეგობრობა დანატოც კოსოვოსმშიჩაება, ხოლო სერბილიდერები კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო გასამართლდნენ. გაეროს ჩართვამ ამ მისიაში მოახერხა ამ კონფლიქტის დარეგულირება, გაერო თვითონ გახდა კოსოვოს მმართველი და სწორედ ამიტომ იქნა მიღწეული მიზანი. გარდა ამისა ეუთომაც გააფართოვა თავისი მისია და შესაძლებლობა. საქართველოში კიკოსოვოსთან შედარებით რადიკალურად განსხვავდება გაეროს ფუნქცია. ჩვენ მოკლებული ვართ ასეთ ყურადღებას. „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის კონფლიქტები არც გაეროსთვის, არც ეუთოსთვის, ნატოსთვის და ევროკავშირისთვის არ გახლდათ უმთავრესი პრიორიტეტი. ეუთოს მისია დაარსდა საქართველოში 1992 წელს. რომელში მონაწილესახელმწიფოებსარაერთხელგამოუთ-

ქვამს თავისი ღრმა შეშფოთება აფხაზეთში განხორციელებულ „ეთნიკურწმენდასა“ და უდანაშაულო მოქალაქეების დაღუპვის გამო. (ეუთოს 1994 წლის 6 დეკემბრის ბუდა-პეშტის შეხვედრის რეზოლუცია; 1996 წლის 3 დეკემბრის ლისაბონისა და 1999 წლის 17-18 ნოემბრის სტამბულის შეხვედრის დეკლარაცია.) 1993 წლის 1-ელ დეკემბერს გაეროსეგიდით შედგა უენევაში პირველი დიალოგი. 1994 წლის 11-13 იანვარს კვლავ აფხაზთა მოლაპარაკების მეორე რაუნდი. გაეროს უშიშროების საბჭომ 937-ე რეზოლუციაში მოიწონა რუსეთია როლი სამშვიდობო ძალებში, რომელიც ჩაატარა აფხაზეთში. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ (ახალი ზელანდია, პაკისტანი, ჩეხეთი) მაშინვე აღნიშნა შეშფოთება, რომ კონფლიქტის ახლოს მყოფ ქვეყანას არ უნდა მიენიჭოს მშვიდობის მყოფელის ფუნქცია, რადგან მას აქვს პოლიტიკური ინტერესი კონფლიქტის ზონაში. ამის შემდეგ 1994 წლიდან მოყოლებული თითქმის ყოველ წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკება გაეროს ეგიდით, მაგრამ ყველა უშედეგოდ მთავრდებოდა. მრავალწლიანმა და მრავალმრიცხვანმა სამშვიდობო მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი მაინც ვერ მოიტანა. უმეტესწილად დეკლარირების ფარგლებს ვერ გასცდა. სამშვიდობო ღონისძიებები აქ თავიდანვე განწირული იყო, რადგან უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი რუსეთია, რომელსაც გადამწყვეთი სიტყვა ეთქმოდა, მას გააჩნია ვეტოს უფლება, რასაც თავის საკეთილდღეოდ გამოიყენებდა, რადგან თვითონ იყო კონფლიქტებში მონაწილე მხარე. დასავლეთმა კარგად იცოდა, რომ რუსეთი ადვილად არ შეეგუებოდა „ცივი ომის“ შედეგად ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას და შეეცდებოდა ის გადაესინჯა. მას დღესაც სურს ევროპის კონტინენტზე კვლავ შეექმნას გავლენის სფეროები, რაც რუსეთს ე.წ. „პრივილეგირებული ინტერესების ზონის“ დაკანონების საშუალებას მისცემს. რუსეთს ისევ სურს იყოს ჰეგემონი პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე, რაც გულისხმობს, რომ მან უნდა გაზარდოს სამხრეთ კავკასიაში თავისი კონტროლი, რათა მოახერხოს გაკონტროლება ევროპა-აზიის სატრანსპორტო ენერგეტიკული დერეფნის. ამავდროულად ხელი შეუშალოს ამერიკის სურვილს აქ დაიმკვიდროს ფეხი, რადგან ის რუსეთის გაკონტროლებას შეძლებს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები მაინც არ აქტიურობდნენ და არ ცდილობდნენ ჩართულობის გაზრდას. ისეთი დარაზმული რომ ყოფილიყვნენ, როგორც იყვნენ ბალკანეთში, აგვისტოს ომის თავიდან აცილება მოხერხდებოდა. რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ნაწილების ოკუპაციამ საფრთხე შეუქმნა არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპასაც. რუსეთის აგრესიამ მნიშვნელოვნად გააუარესა უსაფრთხოების გარემო მთლიანად შავი ზღვის ფართო რეგიონში. ამავე დროს რუსეთმა დაარღვია პარიზის ქარტია, რომელიც 20 წლის წინ, რკინის ფარდის მოხსნის შემდეგ და დასავლეთსა რუსეთს შორის დაიდო, რომელმაც შემდგომ ეუთოს ეგიდით არაერთი სხვა შეთანხმება მოჰყვა. აქ იყო პირობა, რომ საზღვრები იარაღის ძალით აღარ შეიცვლებოდა, ყველა დიდს თუ პატარა ქვეყანას ჰქონდა უფლება თავად აერჩია ალიანსი, სადაც განევრიანდებოდა, უარი ეთქვა აზროვნებაზე, რაც ე.წ. გავლენათა სფეროების არსებობას გულისხმობს. დასავლეთი კი მუდმივ უთმობდა რუსეთს და ნებას აძლევდა მისთვის არასასურველი ნებისმიერი ინიციატივა დაებლოკა. ბალკანური კონფლიქტების მოგვარებაში საერთაშორისო თანამეგობრობამ აშშ.-ის და ევროპის მეთაურობით, ძალისხმევა არ დაიშურა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად, აქ სრული მასშტაბით განხორციელდა გაეროს მიერ სანქცირებული მცდელობები მშვიდობის დაცვის, რეკონსტრუქციების კუთხით, რასაც სათავეში სწო-

რედ აშშ., ევროკავშირი და ნატო ჩაუდგნენ, ხოლო რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მსგავსი ტიპის მისია ვერ ჩამოყალიბდა, მათი ყურადღების უმნიშვნელო ნაწილი დაეთმო, არავითარი რეალური ძალა და გავლენა ამ რეგიონსი არ გააჩნდათ, მხოლოდ მოლაპარაკებით და მონიტორინგით შემოიფარგლენ. რაც შეეხება სამშვიდობო სტრუქტურებს, ისინიც არ იყვნენ ნეიტრალურნი, რადგან მოექცნენ რუსეთის გავლენის ქვეშ, რომელიც თვითონ იყო კონფლიქტის მხარე. მათ კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერის დროს საქართველოს გაყინული კონფლიქტებზე არც კი დაფირდნენ. მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს და მზადაც არ აღმოჩნდნენ გაეთვალისწინათ სათავისოდ როგორ გამოიყენებდა მოსკოვი ამ ვითარებას. ისინი მხოლოდ ამტკიცებდნენ, რომ კოსოვო არავითარ შემთხვევაში არ იქნება პრეცედენტი ნებისმიერი სხვა გაყინული პრობლემისთვის. დასავლეთმა გეგმა არ შეიმუშავა საქართველოსთან მიმართებაში, რომ ეს პრეცედენტი აქაც არ განმეორებულიყო. თუ დასავლეთმა მოახერხა მოსკოვის ინტერესების უგულებელყოფა კოსოვოს საკითხში, კრემლი ყველას დაანახებდა, რომ თავადაც შეეძლო სხვისი ინტერესების უგულებელყოფა სამხრეთ კავკასიაში. კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ რუსეთის ლიდერებმა ქართველ კოლეგებს განუცხადეს კოსოვოს გამო დასავლური პოლიტიკის საფასურის გადახდა მოგიწვეთო. საქართველოში პრეცედენტის თავიდან ასაცილებლად დასავლეთს შეეძლო უმაღლეს დონეზე გაეფრთხილებინა რუსეთი, რომ კოსოვოს პასუხი საქართველოში სრულიად მიუღებელი იქნებოდა და სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა. ასევე გაეროს, ევროკავშირის და ეუთოს მისიები უნდა გაეფართოვათ რათა მიმდინარე მოვლენები მეტად გაეკონტროლათ. კოსოვოში ნატოს ჯარების შესვლა და შემდეგ მისი დამოუკიდებლობის აღიარება ამერიკის სიძლიერის დემონსტრაცია და გავლენის სფეროების დაფიქსირებად ჩათვალა რუსეთმა, ამიტომ თვითონ საპასუხო დარტყმისთვის მოემზადა და მიზანში საქართველო ამოიღო. თან ამით რუსეთს შეეძლო რეგიონში გავლენა გაეძლიერებინა და ამერიკისთვის გზა მოეჭრა. ეს მართლა შეასრულა პუტინმა 2008 წლის 8 აგვისტოს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან 6 თვეში. რუსეთმა საქართველოში შეჭრის დროს თავისი მოქმედება გაამართლა და „სამშვიდობო ოპერაციად“ ჩათვალა, რომელსაც სურდა სამხრეთ ოსეთის გენოციდის შეჩერება „თბილისის რეჟიმის“ მიერ. რუსეთი ეცადა აელორძინა რიტორიკული კავშირი კოსოვოს საქმესთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და კოსოვოს შედარება წარმოუდგენელია. რუსეთმა ეს ფაქტი გამოიყენა მაშინ, როდესაც მსოფლიო ყურადღება მოდუნებული იყო. იმ წლის გაზაფხულ-ზაფხულში საქართველო არ ახსოვდა ამერიკას რომელნიც საპრეზიდენტო არჩევნებით იყვნენ დაკავებულნი. ივლისში საქართველოს პრეზიდენტმა დასავლეთს ჰქითხა, თუ კონკრეტულად რისი გაკეთება სურდა მათ ომის აშკარა საფრთხის აღსაკვეთად: დიპლომატიური ზემოქმედება მოხდებოდა მოსკოვზე ამ ესკალაციის შესანარჩუნებლად, თუ ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ნეიტრალურ დამკვირვებლებს გამოაგზავნიდნენ რეგიონში? მაგრამ პასუხი ვერ მიიღო ხოლო როდესაც ომი დაიწყო, დასავლეთის დიპლომატიამ გვიან გამოიღვიძა და მხოლოდ ის მოახერხა რომ საქართველო ოკუპაციისგან გადაარჩინა და ასევე დამხობის ზღვარზე ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება შეინარჩუნეს. რაც შეეხება კონფლიქტის გამძაფრებას ის დასავლეთს არ ანყობდა, რადგან ის შეიძლება ცივი ომის დაწყებას ან შესაძლო სამხედრო დაპირისპირების მიზეზი ყოფილიყო. მაგრამ თბილის მაინც გაუმართლა ევროკავშირს ძლიერი ლიდერი რომ ჰყავდა (მიუხედავად იმის თუ სარკოზის ქმედებას ზოგი განსხვავებულ ინ-

ტერპრეტაციას აძლევს) და ამავე დროს ,თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის, ესტონეთის, ლიტვის და უკრაინის პრეზიდენტები და ლატვიის პრემიერ-მინისტრი. ყველა მათგანს ქართველების მიმართ თანადგომის გამოხატვა სურდა. სარკოზმა ჩამოიტანა 6 პუნქტი-ანი შეთანხმება, რომლის გასამტკიცებლად საფრანგეთის პრეზიდენტი 8 სექტემბერს კვლავ ჩავიდა რუსეთში და ამ კონტრაქტში დამატებითი პუნქტები შეიტანეს, სადაც დადგინდა, რომ 25 ოქტომბრისთვის რუსეთის ყველა ჯარისკაცი უნდა დაბრუნებული-ყო 7 აგვისტომდე მყოფ ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპა 5 დღის განმავლო-ბაში შესაბამის დასკვნებს გამოიტანდა, მაგრამ ამ შესაბამის დასკვნებში რა იგულის-ხმებოდა გაუგებარია, რადგან რუსეთის ჯარი ისევ უცვლელადაა და ევროპამაც არანა-ირი სანქცია არ დაუწესა. მოსკოვის აგრესის აღსაკვეთად დასავლეთმა არაფერი გაა-კეთა და მხოლოდ „ძალის ზედმეტი გამოყენებისთვის“ უბრალოდ გააკრიტიკა, როდე-საც რუსეთმა არა მარტო ძალა გამოიყენა ზედმეტად, არამედ მან დაარღვია ასევე ეუ-თოს წევრი სუვერენული ქვეყნის საზღვრები. დღეს გაეროს მისია შეჩერებულია საქარ-თველოში, ხოლო ევროკავშირმა 200 დამკვირვებელი გამოგზავნა, რომელიც წითელი ხაზია მოსკოვსა და თბილისს შორის. ისტორიას და გაეროს საქმეებს თუ გადავხედავთ, თუ როგორ ფუნქციონირებდნენ ბოსნია-ჰერცოგოვინაში, როდესაც 1995 წლის 21 დე-კემბრიდან დააწესეს სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალები და სამოქალაქო საკითხებში გაეროს ქვეგანყოფილება. მისია მჭიდროდ თანამშრომლობდა ნატოს ხელ-მძღვანელობით მოქმედ უსაფრთხოების მრავალეროვან ძალებთან, რომელიც 2002 წელს დასრულდა, მათ შინაგან უსაფრთხოებასთან ერთად, მიაღწიეს წარმატებებს კონ-ტრაბადასთან ერთად, მიაღწიეს წარმატებებს კონტრაბანდასთან ბრძოლაში, წარკოტი-კებითა და ადამიანთა ვაჭრობის სფეროში. ასევე გაერო აქტიურად მუშაობდა და წარმა-ტებას მიაღწია ტიმორში, რუანდაში, სიერა-ლეონეში, კონგოში და ლიბერიაში, როდე-საც უშიშროების საბჭომ დააწესა გაეროს მეთვალყურეთა მისია, მოახერხეს ეროვნული ერთიანობის პოლიტიკის განხორციელება. მისია მთავარი ამოცანა მიღწეულ იქნა. რო-გორც დავინახეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვს ძალა კონფლიქტების დასარე-გულირებლად და დღესაც არის შესაძლებლობა მოახერხონ მათ თავისი აქტიური და სწრაფი მოქმედებით საქართველოს კონფლიქტების დარეგულირება. ამიტომ საჭიროა ევროპამ ან ამერიკამ (გაერო ამას ვერ შეძლებს რუსეთის მასში მუდმივწევრობის გამო)

1. განაცხადოს, რომ მათ პოლიტიკურ ინტერესებში შედის კონფლიქტების დარეგული-რება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაცია.
2. განავითაროს იდეა იმის შესახებ, რომ 2008 წელს ომის დაწყებამდე ყველა მხარემ განახორციელა მოქმედე-ბა, რომელმაც საბოლოოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყება გამოიწია და ამით უარი თქვას მხარეთა მიერ წამოყენებულ ვერსიებზე.
3. ხელი შეუწყოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების.
4. მინიმუმამდე მიიყვანოს ურთიერთობები პრინციპულ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც საერთაშორისო ფორუმებზე ისმის, ვინაიდან ის ხელს უშლის კონფლიქტების დარეგულირებას.
5. შეიმუშაოს თანამიმდევრული პოლიტიკა თავდაც-ვითი იარაღის მოწოდების საკითხში.
6. აფხაზეთთან და ე.წ სამხრეთ ოსეთთან მომავა-ლი ურთიერთობების ყველა ელემენტი ჩართოს კონფლიქტების დარეგულირების სტრა-ტეგიაში. ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი ნაბიჯები: აფხაზეთსა და სამ-ხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან გადაადგილების სრული თავისუფლება და პირიქით. არ-სებული ძალის თანდათან შემცირება, რუსეთი აიძულონ 2008 წლის შეთანხმებაზე ხელ-

მოწერის შესრულება, დევნილების დაბრუნებაზე მოლაპარაკებათა აქტივიზაცია, ამის რეალიზების მიზნით სამხედრო დანაშაულების გამოძიება.

1. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეძლონ თავისი ბერკეტების საშუალებით დაიდოს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულება, სადაც რუსეთი ვალდებული იქნება საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენლობის შესახებ. 2. საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მთავრობებს შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ჰუმანიტარული პრობლემის გადაჭრისა და ადამიანის უსაფრთხოების დაცვაზე იქნება ორიენტირებული. რუსეთსა და საქართველოს საგარეო საკითხებში ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრესის მიღწემაში.

ასევე მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირებაშგ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ევროკავშირმა, რადგან რუსეთისთვის ეს ორგანიზაცია უფრო ანგარიშგასაწევია, რადგან ევროკავშირი რუსეთისთვს სოლიდური სავაჭრო პარტნიორია. ყველაზე მეტ პროდუქციას რუსეთი ყიდის ევროკავშირის ქვეყნებში და ასევე იძენს ანალოგიურად მათგან. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ხელშეკრულების თანახმად მან ხელი უნდა შეუწყოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ინტერნეტ-რესურსები:

www.ambebi.ge

www.ambebi.ge

www.natoinfo.ge

www.ghn.ge

www.mfa. Gov.ge saqarTvelos sagareo politikis strategia 2009-2012

www.georgiandaily.com

ნინო ყაჩლავაშვილი, მირანდა ყაჩლავაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ლიბიის კონფლიქტის ეკონომიკური შედეგები

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ლიპარტელიანი

ნებისმიერი სახის კონფლიქტი, როგორი მასშტაბისაც არ უნდა იყოს, ნეგატიურად მოქმედებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ყველა სფეროზე. მისი შედეგები შეიძლება კატასტროფულიც კი აღმოჩნდეს, არა მარტო იმ ქვეყნების ეკონომიკისათვის, სადაც ეს კონფლიქტი არსებობს, არამედ მთელი მსოფლიოსათვისაც. ისტორიულად, კონფლიქტი ყოველთვის საზოგადოების განვითარების თანმდევი მოვლენა იყო. გამონაკლისს არც თანამედროვე ეპოქა წარმოადგენს. 2011 წელი განსაკუთრებით დატვირთულია ამგვარი მოვლენებით. აღსანიშნავია არაბული ქვეყნები: ეგვიპტე, კოტ-დივუარი, ტუნისი, ალჟირი, სირია, იემენი. ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი აღმოჩნდა ლიბიის კონფლიქტი.

ლიბიის საპროტესტო აქციები მიმდინარე წლის 15 თებერვალს დაიწყო. პროტესტანტები გამოვიდნენ მუამარ კადაფის მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც 1969 წლიდან დგას ხელისუფლების სათავეში. ისინი ასევე მოითხოვდნენ პრემიერ-მინისტრ ბალდადი მაჰმუდის დაუყოვნებლივ გადადგომას. ხელისუფლება მეურად დაუპირისპირდა აქციის მონაწილეებს. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა ქალაქ ბენლაზში, პარალელურად კი დედაქალაქში კადაფის ასობით მხარდამჭერი შეიკრიბა. მას შემდეგ, რაც ამბოხებულებმა დაიკავეს ქალაქი ალბაილა, მათზე საპარო შეტევა განხორციელდა. დაიღუპა ასობით ადამიანი.

ეს მსხვერპლი გაცილებით ნაკლებია იმ ეკონომიკურ ზარალთან შედარებით, რაც მსოფლიოს ლიბიაში განვითარებულმა მოვლენებმა მოუტანა. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ლიბიის სამხედრო კონფლიქტი ევროპისათვის ძალზე ცუდ დროს დაიწყო და თუ ხანგრძლივ ფაზაში გადავიდა, ევროპისათვის ძალიან ძვირი ომი იქნება, გააუარესებს ევროპის ეკონომიკურ მაჩვენებლებს და გამოიწვევს მომდევნო რეცესიას. გარდა ამისა, შეანელებს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

ლიბიის (და სხვა) კონფლიქტებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ნავთობ-ბიზნესს. მსოფლიო ბაზრებზე მისი ფასი 124–125 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ლიბია ნავთობის წარმოების მხრივ მე-8 ადგილზეა ოპერის ნევრ ქვეყნებს შორის. ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტზეა დამოკიდებული ევროპის განვითარებულ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი. ლიბიიდან ნავთობის ექსპორტმა კონფლიქტის მიმდინარეობისას დაიკლო. მისი მოპოვება 1.6 მილიონი ბარელიდან დღე-ღამეში 390 ათას ბარელამდე დაეცა. ეს მნიშვნელოვანი შემცირებაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნა დღე-ღამეში 85 მილიონ ბარელს შეადგენს. საერთაშორისო ექსპერტები გაჭიანურებული კონფლიქტის ფონზე ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ნავთობის ფასის კიდევ უფრო გაიზრდება და 1 ბარელის ღირებულება 127–130 დოლარი იქნება.

იმისათვის, რომ მოხდეს უმძიმესი ეკონომიკური შედეგების თავიდან აცილება, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი ლიბიის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. ისინი პარალელურად ცდილობენ ალტერნატიული გზების ძიებას, რათა მოხდეს ნავთობის ფასის კატასტროფული ზრდის შეჩერება. საუბარია, რომ საუდის არაბეთი დააბა-

ლანსებს ნავთობის მსოფლიო მიწოდებას და „შავი ოქროს“ მოპოვებას გაზრდის 15 მილიონ ბარელამდე დღეში. გარდა ამისა, აშშ გახსნის თავისი ნავთობის მარავებს.

ამასთანავე ოპოზიციურმა გარდამავალმა ეროვნულმა საბჭომ კატართან მიაღწია შეთანხმებას ნედლი ნავთობის მიწოდების თაობაზე. პირალელურად, ლიბიის ოპოზიციონერები ცდილობენ გაეროს დაყოლიებას, სადამსჯელო ღონისძიებები არ შეეხოს მეამბოხეთა მიერ წარმოებულ ნავთობის ექსპორტს. ოპოზიციის მებრძოლები ცდილობდნენ პოზიციების დაბრუნებას ნავთობტერმინალის მქონე საპორტო ქალაქ ბრეგაში. გარდამავალი ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი ალი სულეიმან აუჯალიმ განაცხადა, რომ: „მოვიდა დრო ლიბიელ ხალხს მივცეთ შანსი, რომ თავად მართონ საკუთარი თავი. მინდა ზუსტად იცოდეთ, რომ კადაფის წინააღმდეგ ამბოხებულები ჩვეულებრივი ლიბიელები არიან – მასწავლებლები, სტუდენტები, პროფესორები. ისინი რეჟიმის პირობებში ტანჯვით დაიქანცნენ“.

გატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით, მსოფლიო ექსპერტები ნავთობის ბაზრის სხვადასხვა პროგნოზს აკეთებენ. სააგენტო Brent-ი ნავთობის უახლოეს პერსპექტიულ ფასად 115 დოლარს ასახელებს, ხოლო UBS კი ამავე მაჩვენებელზე 103.7 დოლარს ვარაუდობს.

გაეროს საერთაშორისო სასურსათო პროგრამების მონაცემებით, იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია არ დარეგულირდა, ლიბიას მასობრივი შიმშილობა ემუქრება. მათი განცხადებით, ლიბიის კონფლიქტის შედეგად ქვეყანაში საწვავისა და სურსათის დეფიციტია. ამასთან, საკვანძო პორტები, რომელთა მეშვეობითაც ლიბიაში პროდუქტები შედიოდა სამხედრო მოქმედებების შედეგად მწყობრიდანაა გამოსული. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ლიბიაში ამ მხრივ ვითარება მომდევნო 2 თვეს მანძილზე კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს.

უახლესი ინფორმაციის თანახმად, ლიბიაში ნატოს საპარო თავდასხმების ფონზე აჯანყებულები თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას ახერხებენ. სამოქალაქო ომი ლიბიაში უკვე მეოთხე თვეა მიმდინარეობს, თუმცა ის უკვე ჩიხში შევიდა. ვერც აჯანყებულები და ვერც სახელისუფლებო ძალები ვერ ახერხებენ უპირატესობის მოპოვებას და შეტევაზე გადასვლას. შექმნილი სიტუაციდან გამომდინარე, ნატო მისიის გაგრძელებას კიდევ 90 დღით აპირებს, რადგან კადაფიმ უკან დახევაზე უარი განაცხადა.

ჩვენი აზრით, მიუხედავად მსოფლიოს თავდაუზოგავი მცდელობისა, ლიბიის კონფლიქტის ეკონომიკური შედეგები კიდევ დიდხანს დაამჩნევს თავის კვალს მსოფლიო ეკონომიკას და არაერთი გადამჭრელი მოქმედების განხორციელება გახდება საჭირო, მსოფლიო ეკონომიკის სრული რეაბილიტაციისათვის.

ინტერნეტ-რესურსები:

- www.tabula.ge
- www.banksandfinances.ge
- www.google.ru

ქრიტინჯ მარგველაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

კონფლიქტი სუდანი, 2011 წლის რეზერვუამის გავლენა სამხრეთ
სუდანის ლეგიტიმიზაციის პროცესზე

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე

როდესაც მსოფლიოს წამყვან საინფორმაციო საშუალებებში სუდანი აფრიკის ეს უდიდესი ქვეყანა ფიგურირებს იქვე გაისმის სიტყვები: დარფურის კონფლიქტი, გენოციდი და დაპირისპირება დარფურში მცოვრებ დინკას ტომსა და ჩრდილოურ ჯანჯავედის დაჯგუფებს შორის. თუმცა ამ უდიდეს ქვეყანაში მრავალი თვითმყოფადი კულტურის მქონე ხალხი ცხოვრობს და თანაარსებობს მეტნაკლებად წარმატებით. აფრიკის კონტინენტზე ყველაზე ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ კონფლიქტზე სამხრეთ და ჩრდილოეთ სუდანს შორის კი არავინ საუბრობს. არადა ეს კონფლიქტი წარმოადგენს სუდანელი ხალხის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. 1956 წლიდან მოყოლებული 2005 წლამდე მათ სამოქალაქო ომის ყოველდღიურობაში უწევდათ არსებობა. თუმცა სამშიდობო ხელშეკრულებამაც კი ვერ მოუტანა მშვიდობა სამხრეთ სუდანის მაცხოვრებელებს. განსაკუთრებით ჩრდილოეთი-სამხრეთი საზღვრის პირა რეგიონებს, რომელშიც სამხრეთ სუდანის და ზოგადად სუდანის ნავთობ მარაგების უდიდესი ნაწილია თავმოყრილი. ასეთმა ყოფამ ქვეყნის განვითრებას შეუშალა ხელი, თუმცა მიუხედავად არამდგრადი ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისა სამხრეთ სუდანელებმა სეცესია ამჯობინეს ცენტრალურ მთავრობასთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრებას. მიზეზები მრავალფერვანია, იქნება ეს კულტურული, ეთნიკური და რელიგიური განსხვავება თუ მრავალწლიანი ისტორიული მეხსიერება დისკირიმინაციისა და ძალადობისა. მთავარი მოტივატორი ასეთი ქმედებისა რესურსებით მდიდარი მიწებზე თვითკონტროლის მოპოვებაა რათა შემდგომში არ მოუხდეთ შემოსავლების ხართოუმთან გაზიარება. სამხრეთ-ჩრდილოეთის კონფლიქტის საფუძველი სწორედ რესურსებისათვის გადანაწილებისათვის ბრძოლაში უნდა ვეძებოთ. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი უჭირავს ამერიკულ დახმარებას, როგორც ფინანსური ისევე მორალური სახით საერთაშორისო საზოგადოების დონეზე.

2005 წელს ხელი მოეწერა ყოვლისმომცველ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრა მართველობის წესი ორ მხარეს შორის, რესურების გადანაწილება და რაც მთავარია რეფერენდუმი-როგორც საშუალება სამხრეთ სუდანელ ხალხს თავადა აერჩია მომავალი. მაგრამ 2005 წლის შემდეგ დამყარებულ მშვიდობას შეიძლება ეწოდოს „მოწყვლადი მშვიდობა“. სახეზეა გადადებული აბეის რეფერენდუმი, რომელიც სამხრეთ სუდანის რეფერენდუმთან ერთად უნდა ჩატარებულიყო და დაპირისპირება ცენტრალური მთავრობის მიერ მხარდაჭერილ ძალებსა და სუდანის ხალხთა განმათავისუფლებები მოძრაობის წევრებს შორის. მილიტარიზებული ქვეყანა კი კიდევ უფრო ღრმად ეფლობა კრიზისში. საბოლოოდ ვასკვნი რომ დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა უდიდესი გავლენა მოახდინა სამხრეთ სუდანი ლეგიტიმაციის პროცესზე. რეფერენდუმის შემდეგ მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ აღიარებდნენ მისი დამოუკიდებლობას. ესენია: კანადა, გერმანია, ჩინეთი, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა, რუსეთი, ესპანეთი, ამერიკა და თვით სუდანიც კი.

სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი როგორც გარდამტეხი მოვლენა ქვეყნის ისტორიაში

2011 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შედეგია ნაივაშას პროცესისა, რომლის შედეგადაც 2005 წელს ქალაქ ნაივაშაში მიღებულ იქნა ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმება. როგორც განერილი იყო ხელშეკრულებაში შემდგომში ჩამოყალიბდა სამხრეთ სუდანის რეფერენდუმის კომისია ხართუმსა და ჯუბაში სათავო ოფისებით, რომელსაც დაევალა რეფერენდუმის მომზადება და ხმების დათვლა. ხმის მიცემისათვის რეგისტრაცია დაიწყო 15 დეკემბერს 2010 წელს და დასრულდა 8 იანვარს 2011 წელს. უშუალოდ რეფერენდუმი მიმდინარეობდა 9 იანვრიდან 15 იანვრამდე. პარალელურად მეორე რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო აბეიში ჩრდილოეთ-სამხრეთის საზღვართან, იქ უნდა გადაწყვეტილიყო გახდებოდა თუ არა ეს რეგიონი სამხრეთ სუდანი ნაწილი თუმცა მხარეთა შეუთანხმებლობის გამო ეს რეფერენდუმი არ ჩატარდა.

რაც შეეხება სამხრეთ სუდანის სეპარაციის საკითხს. სულ 3 851 994 მოქალაქემ მისაც ხმა. აქედან 98,83 % მიემხრო გამოყოფას და 1,17% ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას. საარჩევნო უბნები განლაგებული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით და საზღვრებს გარეთაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, კანადა ეგვიპტე, ეთიოპია, კენია, უგანდა, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.შ. სამხრეთ სუდანში მდებარე საარჩევნო უბნების უმეტესობაში დაფიქსირდა 100 % იანი მონაცემები ჩრდილოეთისა-გან გამოყოფის სასარგებლოდ, მაშინ როდესაც ჩრდილოეთში ხმები 57,6% და 42,4% გაიყო მცირედი უპირატესობით სეცესიის სასარგებლოდ. (Southern Sudan Referendum 2011).

რეფერენდუმში მონაცილეობა არ მიუღიათ ჩრდილოთში მცხოვრებ სუდანელებს. რეფერენდუმის შედეგები ნიშნავს დასასრულს ისეთი სისტემის მშენებლობისა, რომელ-საც სამხრეთი და ჩრდილოეთი უნდა გაერთიანებინა და რომელიც ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულებით იყო გარანტირებული. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ რეფერენდუმის შედეგი მიანიშნებს ამ ხელშეკრულების არაეფექტურობასა და იმპლემენტაციის ხარისხის დაბალ დონეზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სუდანში მდგომარეობა გაუარესდა 2011 წლის იანვრის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდეგ და მის წინარე პერიოდში ამტკიცებს Human Rights Watch-ის უახლესი მსოფლიო ანგარიში. კონფლიქტის მონაწილე მხარეება მცირე პროგრესი განიცადეს რეფერენდუმის ირგვლივ განსახილველ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად ხმის მიმცემის უფლება აბეის რეფერენდუმთან დაკავშირებით, რეფერენდუმის შემდგომ გადასაწყვეტ საკითხთან მიმართებაშიც რომელიც ეხება მოქალაქეობის უფლებას, ნავთობისა და სხვა რესურსების გაყოფას და ვალების გადანაწილებას. ხმების გაყალბებამ და მოსახლეობის დაშინებამ სამხრეთ სუდანში არჩევნების დროს გამოიწვია ფრუსტრაცია და მრისხანება ამავე მოსახლეობაში. არჩევნების შედეგებისაგან გამოწვეულმა განწყობებმა განაპირობა შეტაკებები სუდანი განმათავისუფლებელ არმიასა და სხვა დაჯგუფებს შორის. ჯონგლეის რეგიონში დაფიქსირდა მკვლეობები, ძალადობა და გაუპატიურება ადგილობრივი მოქალაქეებისა. ამ დანაშაულში ბრალი ედებათ ში ის ნევრებს როდესაც ისინი ცდილობდნენ შეეპყროთ განდგომილი სარდალი, რომელმაც კრაზი განიცადა არჩევნებში. (Human Rights Watch 2011) ანუ დაპირისპირება მიმდინარეობდა არამხოლოდ სუდანის ცენტრალურ მთავრობასა და სამ-

ხრეთ სუდანის ძალებს შორის არამედ შიდა ჯგუფური კონფლიქტებსაც ჰქონდა ადგილი, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა არასტაბილური სიტუაცია სუდანში.

სამხრეთ სუდანის ლეგიტიმაცია.

სამხრეთ სუდანის ლეგიტიმიაციისაკენ სვლა რევოლუციური და მილიტარისტული მახსიათებლებით გამოიჩინა. დეკოლონიზაციის პროცესის დასასრულის შემდეგ ჩრდილოეთ და სამხრეთ ძალები იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდედ რესურსების, ტერიტორიის და სახელმწიფოებრიობისათვის. ჩრდილოეთს სურდა რომ ნავთობით მდიდარი სამხრეთ ნაწილი ქვეყნის შემადეგნლობაში დარჩენილიყო, თუმცა ამას აფერხებდა ეთნიკური და რელიგიური განსხვავებები ჩრდილოელ და სამხრეთელ მოსახლეობას შორის. ჩრდილოეთში ძირითადად არაბი მუსულმანები სახლობენ, სამხრეთში კი ქრისტიანი და ანიმისტი აფრიკული ტომების წარმომადგენელები. ხშირია ტრაიბალიზმი და ეკონომიკური სიდუხჭირისაგან გამოწვეული ძალადობა. ამიტომაც სამხრეთ სუდანის სახელმწიფოს ლეგიტიმაცია თვით სამხეთ სუდანის მოსახლეობაშიც კი შეფერხებით მიმდინარეობდა. ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულებით განსაზღვრული 2010 წლის არჩევნები უამრავი დარღვევებით ჩატარდა. ხოლო ამ არჩევნებში გამარჯვებული სამხრეთ სუდანის განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენელების ლეგიტიმაცია 2011 წლის რეფერენდუმით მოხდა. ისინი 9 ივლისის შემდეგ სათავეში ჩაუდგებიან აფრიკის ახალ სახელმწიფოს-სამხრეთ სუდანს. საფრანგეთის ტოლს ტერიტორიითა და მსოფლიოში ყველაზე არამშვიდობიან წერტილს.

გლობალური მშვიდობის ინდექსის შეკალაზე 10 ყველაზე არამშვიდობიანი სახელმწიფოს ჩამონათვალში ხვდება და ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ „საპატიო“ ბოლოდან მესამე ადგილი უჭირავს. მასზე არამშვიდობიანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ერაყი და სომალია. (Global Peace Index 2011). ეს მაჩვენებელი ნათლად მიგვითითებს ძალადობის ხარისხზე სახელმწიფოში სადაც კოლონიალური რეჟიმის დასრულებიდან არ ყოფილა ერთი წელიწადიც კი ძალადობისა და სისხისლვრის გარეშე. გამუდმებული სამოქალაქო ომი, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებები და შემდეგ ისევ განახლებული ომი ეს სუდანი ისტორიაა. 2005 წელი კი ერთგვარი წყალგამყოფი ხაზი უნდა ყოფილიყო ომსა და მშვიდობას შორის, თუმცა როგორც 2005–2011 წლების ანალიზი გვიჩვენებს ძალადობა ისევ ყოველდღიური მოვლენაა სუდანში და მშვიდობა მიუღწეველი მიზანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული დახმარება დიდ როლს თამაშობს სამხრეთ სუდანი ლეგიტიმაციის პროცესში. 2005 წლის შემდეგ USAID-ის მეშვეობით სუდანმა ჯამში 10 მილიარდი დოლარი მიიღო. ხოლო კონკრეტულად სამხრეთ სუდანს კი 6 მილიარდი დოლარი ერგო. ამერიკა სუდანის ყველაზე დიდი დონორია, ხოლო ამერიკისათვის სუდანი შე ის პროგრამის ფარგლებში ყველაზე დიდი რეციპიენტი ფინანსური დახმარებისა. 1950 წლის შემდეგ ამერიკულმა პოლიტიკამ სამხრეთ სუდანთან მიმართებაში ოთხი ფაზა გაიარა:

1. მინიმალური ყურადღება პირველი სამოქალაქო ომის დროს (1956-72)
2. პირველი პიკი როდესაც სუდნმა მხარი დაუჭირა კემპ დევიდის შეთანხმებებს. ასევე განპირობებული გვალვის მიერ გამოწვეული შიმშილით 1984-85 წლებში.
3. 1989 წლის გადატრიალების შემდეგ შემცირდა მხარდაჭერა, თუმცა დარჩა გაეროს ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში
4. ძირითადი გარდატეხა 2001 წლის შემდეგ როდესაც მოლაპარაკებები დაიწყო ყოვლიმომცველ სამშვიდობო ხელშეკრულების თაობაზე.

ამერიკა დღემდე რჩება ყველაზე დიდ დონორად სამხრეთ სუდანისათვის 450 მილიონი დოლარიანი დახმარებით ყოველწლიურად. ასევე ძირითადი დონორი ქვეყნების სიაში შე-

დის ევოპული კომისია (181 მილიონი დოლარი), დიდი ბრიტანეთი (120 მილიონი დოლარი), ჰოლანდია (83 მილიონი დოლარი), ნორვეგია (73 მილიონი) და კანადა (30 მილიონი). ასეთი მაჩვენებლები ნათლად ასახავს ამერიკის შეერთაებული შტატები დაინტერესებას სუდანი მიმართ, რომელსაც სავარაუდოდ საფუძველი გააჩნია. ნავთობი და ბუფერული ზონა მაპ-მადიანურ ტერორიზმთან ბრძოლაში ერთერთი იმ მრავალ მიზეზთაგანია, რაც იწვევს ობამას ადმინისტრაციის აქტიურ მხარდაჭერას სამხრეთ სუდანის სახლემნიფოებრიობისადმი. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის ლეგიტიმაციას საერთაშორისო დონეზე. პირველი ვინც სამხრეთ სუდანის სახელმწიფოს მხარდაჭერა გამოუცხადა რეფერენდუმის შემდეგ ამერიკა იყო. თუმცა საკითხავია რამდენად შეუწყობს ხელს სამშვიდობო პროცესს სამხრეთ სუდანში ამერიკული ინტერესების განხორციელება?. თავისთავად ეკონომიკური სტაბილურობა მშვიდობის გარანტი ვერ იქნება მაგრამ იგი პოზიტიურ როლს თამაშობს და ხელს უწყობს მოსახლეობას განვითარდეს. თუმცა ტრაიბალიზმი და კულტურული ჰეტე-რეგენერაცია რაც შიდა დაპირისპირებებს იწვევს ფინანსური საშუალებებით ვერ აღმოიფხვრება. ამერიკა ფაქტობრივად მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკას აწარმოებს სუდანთან მიმართებაში, მოუწოდებს რა ორივე მხარეს დაიცვან ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულების პირობები ამით ისი თავიდან აიცილებენ ემბარგოსა და სანქციებს ამერიკის მხრიდან, ასევე „კარგად მოქცევის“ შემთხვევაში შტატები მათ ამოიღებს ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნების სიიდან.

როგორც კვლევამ აჩვენა, რეფერენდუმმა დააჩქარა სამხრეთ სუდანის საერთაშორისო აღიარება და საბოლოოდ 9 ივლისს, როდესაც იგი უკვე ოფიციალურად ჩამოყალიბდება სახელმწიფოდ ერთდროულად რამოდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორი მოახდენს მის აღიარებას. მშვიდობა კი გარანტირებული არა და სამხრეთ სუდანი ისევ საფრთხის ქვეშ დარჩება ჩრდილოეთის მთავრობის პროვოკაციების მომლოდინე, რომელსაც ნავთობით მდიდარი ტერიტორიების საბოლოოდ ხელში ჩაგდება სურს.

გამოყენებული წყაროები

1. Human Rights Watch 2011. *World Report 2011-Sudan*. Internet available at 13 May <http://www.hrw.org/en/world-report-2011/sudan>
2. Southern Sudan Referendum 2011. Official Website of results.
1. <http://southernsudan2011.com/> available on 13 May.
2. Atta el-Battahani 2006. **A complex web: politics and conflict in Sudan** . *Peace by Peace: address in sudan's conflicts*. Issue editors Mark Simmons and Peter Dixon 2006. 4. Conciliation Resources.2 აპრილი 2011.<http://www.c-r.org/our-work/accord/sudan/contents.php>
4. Global Peace index 2011. Sudan. Vision of Humanity. <http://www.visionofhumanity.org>
5. Traditional Authorities and Local Government in Southern Sudan. Markus. V. Hoehne. Max Planck Institute for Social Anthropology, Halle/Saale, Germany **November 2008**
6. Legitimacy, Identity and Conflict: The Struggle for Political Authority in Southern Sudan, 2005-2010 Sarah Lykes Washburne Doctor of Philosophy in Arab and Islamic Studies University of Exeter 2010.
7. Smart Development in Africa. Field report from southern Sudan. Oxfam America. 2005
3. Atta el-Battahani 2006. **A complex web: politics and conflict in Sudan** . *Peace by Peace: address in sudan's conflicts*. Issue editors Mark Simmons and Peter Dixon .2006. Conciliation Resources.2 April 2011 Internet.<http://www.c-r.org/our-work/accord/sudan/contents.php>
8. UNDP in Southern Sudan. The Official web page of UNDP. Available 2011 2 April. http://www.sd.undp.org/UNDP_south_sudan.htm
9. Emeric Rogier, 2005. **No More Hills Ahead? The Sudan's Tortuous Ascent to Heights of Peace**.The Hague, Netherlands Institute of International Relations,Clingendael

ბეჭა ბაღაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

საერთაშორისო ურთიერთობები თავისთავად გულისხმობს ერ-სახელმწიფოებს და მათ ურთიერთობას ერთმანეთთან. მისი მთავარი თეორია მოიცავს ორ საწინააღმდეგო,

მაგრამ უმთავრეს პრინციპს: რომ უნდა მოხდეს ნაციების თვითგამორკვევა და აგრეთვე უნდა შენარჩუნდეს და არ დაირღვეს ქვეყნების მთლიანობა. თავისთავში წინააღმდეგობის მქონე საგანი ცოტა არ იყოს საეჭვოს ხდის მის არსებობას და რეალიზებას, მაგრამ აქ საუბარი გვექნება არა საგნის არსებობაზე, არამედ მისი პრინციპების შეუსაბამობაზე. აქვთ თუ არა ერ-სახელმწიფოებს თანაბარი უფლებები, ან აქვთ თუ არა საერთოდ რაიმე მნიშვნელობა მათ არსებობას? იზიარებენ თუ არა პატარა ქვეყნების, ან ჩამორჩენილი ქვეყნების აზრს ზესახელმწიფოები? თუ კოლონიალიზმი დახვეწილ ნიუმონიზმში გადაიზარდა?

ჩემი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობები არსებობს, მისი პირდაპირი გავებით-ქვეყნები და ერები ერთმანეთთან ურთიერთობენ, არსებობს საგანიც, რომელიც ამ ურთიერთობებს შეისწავლის, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა არ არსებობს! სისტემა შედგება ერი-სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ამ სისტემაში არ ხორციელდება თანაბარი მექანიზმებითა და მნიშვნელობებით ერი-სახელმწიფოების ურთიერთობა. გასაგებია, რომ არსებობენ დიდი და ძლიერი ქვეყნები მეტი უფლებებით, მაგრამ მაშინ როდესაც ერი-სახელმწიფოების ინტერესი უკან დაწეულია არა ზესახელმწიფოების მხრიდან, არა-მედ სხვა მიზეზების გამო, მაშინ უკვე საუბარი ზედმეტია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე. ეს იქცევა ზე-სახელმწიფოებისა და სხვა დამოუკიდებელი სუბიექტების ურთიერთობად. საინტერესოა ვინ იგულისხმება დამოუკიდებელ სუბიექტებში?

ქვეყნის სიძლიერის და განვითარების დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ქვეყნის ბიუჯეტი. საქართველოს წლევანდელი ბიუჯეტი 7 მლრდ. ლარია. ბუნებრივია, ჩვენნაირი პატარა სახელმწიფოების ბიუჯეტი პატარაა. ქვეყნის ბიუჯეტი დამოკიდებულია არა მარტო ფართობზე, არამედ ქვეყნის განვითარების დონეზეც. პატარა და განვითარებადი ერი-სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობა შეგვიძლია (შედარებისთვის) დავუპირისპიროთ მსოფლიო მილიარდებს და მათ შემოსავალს. უურნალ „ფორბსის“ ყოველწლიური გამოკითხვის მიხედვით, დედამიწის ყველაზე მდიდარი ადამიანი კარლოს სლიმ ჰელუა, მექსიკელი მაგნატი და „ტელკომის“ მფლობელი. სლიმ ჰელუს შემოსავალი 2011 წელს 74 მილიარდი დოლარია (გავითვალისწინოთ დოლარი და არა ლარი!). გარდა, ჰელუსა მილიარდელთა ათასეულს ცალკ-ცალკე (ერთი მილიარდელი მილიარდელთა ათასი კაციდან) საქართველოს ბიუჯეტზე მეტი შემოსავალი აქვთ: ერთი ადამიანი-ერთი სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა: საერთაშორისო ორგანიზაცია, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს გაერო თუ ნატო, რომელ მხარეს მიანიჭებს უპირატესობას და რომელი მხარის აზრს გაითვალისწინებს ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში? საქართველოსას (დაახლოებით 5 მლნ ადამიანის) თუ ერთი ბიზნეს მაგნატის? პასუხი მარტივია. შეიძ-

ლება, შედარებისას საქართველოს მაგალითი არც ისე შთამბეჭდავი იყოს მკითხველისათვის, პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და არა ბუნებრივ რესურსული. ამიტომ, მაგალითად ავიღოთ ლიბია, ან თუნდაც ერაყი. ყველამ კარგად იცის, რომ არაბულ სახელმწიფოებში სამხედრო ინტერვენცია დაკავშირებულია ბუნებრივ რესურსებთან: ნავთობთან და გაზთან. მსოფლიოს უდიდეს ნავთობკომპანიებსა და გაზომპანიებს კი განაგებენ მაგნატები, რომელთა ინტერესებშიც შედის დაბალი ფასები რაც შეიძლება მეტ ბარელ ნავთობზე. კონკრეტულად ქვეყნის მთავრობას ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ იგი პირდაპირ დაინტერესებულია ბუნებრივი რესურსით, მაგრამ ის ვალდებულია და მოვალეა აასრულოს მილიონერების დავალებები, რადგან მისი სახელმწიფო მათ დაფინანსებაზეა დამოკიდებული. იმგვარ ინტერესებს, როგორიცაა ნავთობის ფასის შემცირება, მოჰყვება საშინელი შედეგები: შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც შენიღბულია სხვადასხვა პოლიტიკური აგიტაციით, ომი, სადაც იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა და უამრავი ჯარისკაცი ორივე მხრიდან. საპასუხოდ ამ ყველაფერს მოჰყვება შედეგი: დიდი ბიზნესმენები სასურველ ფასად გაყიდიან უცხო ქვეყნის რესურსებს, გამარჯვებული, მაგრამ დაღუპული ჯარისკაცების სამშობლოში ფასები გაიაფდება, და მოქალაქეები გაიუმჯობესებენ საცხოვრებელ პირობებს, ხოლო ნაომარ ქვეყანაში დადგება შერქმეული „თავისუფლება“ და „დამოუკიდებლობა“.

გარდა მილიონერებისა, ერი-სახელმწიფოების მნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზზე აკნინებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, ე.ნ. ტნკ-ები. ტნკ-ები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობენ და შესაბამისად ტნკ-ებში უამრავი (სხვადასხვა ნაციის, რელიგიის, ტრადიციის) ადამიანია დასაქმებული. საერთოდ პოლიტოლოგებისა და ეკონომისტების აზრით, მსოფლიოს მომავალი ასეთ კორპორაციებზეა დამოკიდებული და პარალელურად, თანდათან უფრო ეკარგება მნიშვნელობა ეროვნულ შემოსავლებს. მსოფლიოს ქვეყანათა უმეტესობა გადასულია ღია ბაზარზე და კერძო მეწარმეობაზე, რაც ხელ-ფეხს უხსნის ტნკ-ებს. მილიონერების შემდეგ სწორედ ტნკ-ები აუფასურებენ პატარა, ან ჩამორჩენილი ქვეყნების ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე. მაგალითების მოყვანა აქაც, ისევე როგორც მილიარდელების შემთხვევაში ძნელია, რადგან როგორც უკვე ვთქვი მსოფლიო პოლიტიკა მიმდინარეობს დემოკრატიისა და ფასეულობების გავრცელების მიზნებით, მაგრამ საინტერესოა ეს ფასეულობები მარტო ერთს გააჩნია და მეორეს არა? ეს ხომ საერთო ადამიანური ფასეულობებია? ტკნ-ები და მილიარდელების ინტერესები გადაწონიან ყოველთვის ერი-სახელმწიფოების ინტერესებს, აქედან გამომდინარე, ზედმეტია საუბარი საერთაშორისო ურთიერთობებზე, როგორც ერი-სახელმწიფოების ინტერესების სისტემაზე. შემდეგ თავში განვიხილავთ ადამიანთა უფლებების დაცვას და მისი განხორციელების თანამედროვე სისტემას.

ადამიანის უფლებათა დაცვის კრიტიკა

თუ არ არის საერთო ხარისხობრივი მორალინებისმიერი ადამიანის უფლებათა დაცვა იქცევა ადამიანის უფლებათა დარღვევად

ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას განვიხილავ ორ ჭრილში: 1) თავად ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის ნაკლი და 2) უშუალოდ თანამედროვე ინსტიტუტები.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია, რომელიც 1948 წელს მიიღეს, დაფუძნებულია მრავალსაუკუნეობრივ გამოცდილებაზე და პირველ რიგში იგი გამომდინარეობს ზოგად საკაცობრიო მორალიდან. პირველი ნაშრომები მორალზე და ადამიანის ბუნებაზე ჰქონდათ, რა თქმა უნდა, ძველ ბერძნებს, შემდეგ კი სხვა დასავლეთის ფილოსოფოსებს.

მორალი, იგივე ზნეობა, ზოგად საკაცობრიო მოვლენაა, ანუ ის, რაც ადამიანებს თავისდაუნებურად, ტრანსცენდენტურად გააჩნიათ. არ აქვს მნიშვნელობა ეს ევროპელია, აფრიკელი, თუ აზიელი ყველასთვის საერთოა ადამიანური ბუნება და მაშასადამე, მორალის ძირითადი პრინციპები ყველასათვის მისაღებია. რომ არ გამოგვივიდეს ჰაერზე საუბარი, მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს: გერმანელმა იცის, რომ თუ მოიპარავს ეს ამორალური საქციელია და ამისთვის მას დაიჭერენ, თუნდაც რომ არ არსებობდეს იმის შიში რომ მას დაიჭერენ, მან მაინც შინაგანად იცის, რომ ცუდი რამ გააკეთა, რადგან ქვეცნობიერი აანალიზებს იმას, რომ თუ ყველამ მოიპარა თვითონაც იქნება დაზარალებული. გერმანელისნაირად იცის აფრიკელმა, აზიელმა და ყველა ადამიანმა, რომ მოპარვის შემთხვევაში მან ცუდი რამ გააკეთა, რომ ამორალურად მოიქცა (არ აქვს მნიშვნელობა რამდენად რელიგიურია ეს პიროვნება). აქედან გამომდინარე, მცნება რომ არ უნდა მოიპარო არის საერთო, ზოგად საკაცობრიო მორალური ჰრინციპი. ასეთივე მორალური პრინციპებია: არ მოკლა, არ წაართვა, არ დაჩაგრო, არ ულალატო, არ ითვალთმაქცო. თითოეული ეს ზოგადი ადამიანური მორალის პრინციპებია. სწორედ ამ საერთო მორალის პრინციპებზეა დამყარებული ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია.

ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად ჩანს და სადავოც არაფერია, მაგრამ სინამდვილეში თავად მორალის პრინციპებში ჩნდება ხარისხობრივი განსხვავებანი, ანუ ერთი მორალის პრინციპი ხარისხობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე. ხარისხობრივი განსხვავებების შედეგად წარმოიშობა ადამიანის უფლებათა დარღვევა და საერთოდ უთანხმოება ამ დეკლარაციაში. რას გულისხმობს ძირითადი მორალური პრინციპების ხარისხობრივი განსხვავება?

მორალური პრინციპების ხარისხობრივი განსხვავება შეიძლება დავყოთ ორ (მიზე-ზობრივ) ფაქტორად: 1) კულტურული და 2) კლასობრივი. განვიხილოთ თითოეული მათგანი, რათა უფრო ნათელი გახდეს ჩემი აზრის შინაარსი.

მორალური პრინციპების განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს კულტურული ასპექტით. თუ ერთი კულტურის წარმომადგენლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არ მოპარვა, შეიძლება მეორე კულტურის მატარებლისათვის მისი მორალური პრინციპების სკალაში ყველაზე მაღლა იმყოფებოდეს ღირსება. მაგრამ ხარისხობრივი განსხვავება არ ნიშნავს, რომ ინდივიდს სხვა მორალური პრინციპები არ გააჩნია, არამედ ეს ნიშნავს იმას რომ პირველი უფრო მნიშვნელოვანია სხვა დანარჩენზე. მაგალითად, შეიძლება ვთქვათ, ზოგადად, ტენდენციის სახით, რომ ევროპელი მამაკაცის მორალურ პრინციპებში უმთავრესია სიცოცხლის ნების უფლება, ამიტომაც თუ ევროპელ მამაკაცს ულალატებს ცოლი, შეიძლება იგი მეუღლეს გაეყაროს, ან აპატიოს, ან თუნდაც სამაგიერო გადაუხადოს. რა ხდება აზიური კულტურის მამაკაცის შემთხვევაში, როდესაც მორალური პრინციპებიდან უმთავრესია ღირსება და შემდეგ სხვა დანარჩენი. აზიელი მამაკაცი თავის მოღალატე მეუღლეს არა თუ აპატიებს, ან გაშორდება, არამედ პირველ რიგში შეეცდება მას ფიზიკური ზიანი მიაყენოს, ან საერთოდ მოკლას მოღალატე, მისი ღირსების შემლახავი. აქვე შეგახსენებთ, რომ მის მორალურ ძირითად პრინციპებში ჰე-

გემონობს ლირსება. ზემოთთქმულს, რა თქმა უნდა, არ უნდა ჩავუღრმავდეთ და არ წარმოვიდგინოთ, რომ ეს აუცილებლად ასე მოხდება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ რიგ შემთხვევებში, პირიქით, აზიელმა დაინდოს მეუღლე და ევროპელმა გამოასალამოს სიცოცხლეს (რაც უფრო ინდივიდუალურია), მაგრამ საერთო, ზოგადი სურათი რომ წარმოვიდგინოთ: 10 ევროპელიდან მხოლოდ ერთმა შეიძლება მოკლას მოღალატე მეუღლე, ხოლო 10 აზიელიდან- 9 ვერ აპატიებს ღალატს მეორე ნახევარს. ამას ემატება ის ფაქტებიც რომ მოღალატე ცოლის მკვლელი მამაკაცი არა თუ დაგმობილია საზოგადოების მხრიდან, არამედ პირიქით, ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო და სოციუმი დამხმარებლად ევლინება მას. შეიძლება, აზიელ კაცს შეუმცირონ სასჯელი, ან უკეთეს შემთხვევაში თავად სახელმწიფო უწყება ჩამოახრჩოს ან მოკლავს მოღალატე ქალს. ასე მაგალითად, საუდის არაბეთში ქალი სახალხოდ გაწევებულეს იმიტომ, რომ ქმრის გარეშე გავიდა ქუჩაში. ერთი შეხედვით ეს შეუსაბამო და მიუღებელია ჩვენთვის ქართველების-თვის, რომელთა მორალურ პრინციპებში ხარისხობრივად ევროპულიცა და აზიურიც ურევია, მაგრამ რიგ შემთხვევებში ქართველი მამაკაცის მორალურ პრინციპებში უპირველესია ლირსება, ხოლო შემდეგ სხვა დანარჩენი. ლირსება კი თავისი არსებით გულისხმობს საზოგადოების ლეგიტიმაციას, მიუხედავად იმისა რამდენად სამართლიანია ეს ლეგიტიმაცია, ან საერთოდ რამდენად ლირს საზოგადოების მხრიდან მიღებულობა და ლეგიტიმაცია. კულტურული მიზეზისგან წარმოშობილ მორალურ ხარისხობრიობას პირობითად დავარქვათ **კულტურული მორალი.** კულტურულ მორალზე საუბრის დასასრულს მინდა დავამატო, რომ, რა თქმა უნდა, კულტურული მორალის მაგალითით, არამედ, შეგვიძლია შევადაროთ კულტურული მორალის პრინციპებით ბავშვის აღზრდა, მეგობრობა და ა.შ.

რაც შეეხება კლასობრივი მიზეზით გამოწვეულ მორალური პრინციპების ხარისხობრიობას- პირობითად მას **კლასობრივი მორალი** დავარქვათ. ამ შემთხვევები საქმე გვაქვს არა ტრადიციულ და კულტურულ განსხვავებასთან, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ მხარესთან. რამდენად ერთნაირი მორალური პრინციპები ექნებათ მდიდარს და ღარიბს? სადაც წარმოიშობა სოციალური ფენები და კლასები, შესაბამისად, იქ განსხვავდებიან ერთმანეთისგან კლასობრივი მორალით. ამ შემთხვევები, აღარ გვექნება საუბარი ევროპასა და აზიაზე, რადგანაც როგორც ევროპაში, ასევე აზიაშიც არიან მდიდრებიც და ღარიბებიც, ისინი გვერდი-გვერდ თანაცხოვრობენ, მაგრამ განსხვავდებიან მორალური პრინციპების სხვადასხვა ხარისხით. დავაზუსტებ და შევახსენებ მკითხველს, რომ ანალიზი და საუბარი არ გულისხმობს სრულ ჭეშმარიტებას და ის დაფუძნებულია ზოგად ტენდენციებზე. ასეთივე ზოგადი სურათით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდიდარი ადამიანის მორალური პრინციპებიდან ყველაზე მაღლა იმყოფება პატივისცემის პრინციპი და მას შეუძლია პატივისცემის მიღების გამო ნებისმიერი თანხა გადაიხადოს თავისი სახელის-თვის, ითვალთმაქცოს, ითამაშოს, მიუხედავად იმისა რომ მან იცის ეს ამორალური საქციელია, მაგრამ მისი მორალური პრინციპების სკალაში არ ითვალთმაქცოს დაბალი ადგილი უკავია და შესაბამისად, პირველი „პატივისცემა“ ჭარბობს ყველა სხვა დანარჩენს. ავილოთ თუნდაც სხვა მაგალითი, რაც უფრო თვალნათლად დაგვანახებს კლასობრივი მორალის განსხვავებას: ერთნაირად დაისჯებიან თუ არა მდიდარი და ღარიბი მოპარვისათვის? თუ მდიდარის ხელში უფრო მეტი მექანიზმებია თავის დასაცავად (ადვოკატი, ქრთამი, პროკურორი, ნაფიც მსაჯულები), ხოლო ღარიბის ხელში არანაირი მექანიზმი

არაა და მის მორალურ სკალაში ყალიბდება არ მოპარვის პრინციპი, რომელიც უმაღლე-
სია ვიდრე პატივისცემის, ან ლირსების პრინციპები.

კლასობრივი მორალის შემთხვევაში, ისევე როგორც კულტურული მორალის შემ-
თხვევაში გაუმართლებელია იმის გამორკვევა, თუ რომელია უკეთესი და რომელი უა-
რესი, ანუ არ უნდა ვეძებოთ უარყოფითი და დადებითი სახეები. თუ დავიწყებთ კარგის
გამორკვევას, ამ შემთხვევაში კლასობრივ ბრძოლასთან, ან სულაც ჰანტინგტონის ცი-
ვილიზაციათა ჯახთან მივაღთ.

ზემოთთქმული მსჯელობებიდან გამოირკვა, რომ არსებობს ზოგადი საერთო ადა-
მიანური საკაცობრიო მორალური პრინციპების ნუსხა, მაგრამ კულტურული და კლა-
სობრივი განსხვავებების გამო ადამიანებს უყალიბდებათ მორალური პრინციპების ხა-
რისხობრიობა. ხოლო ხარისხობრიობა განაპირობებს ადამიანის უფლებათა დარღვევას.
ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვიღწვოდეთ ადამიანის უფლებათა დაცვისკენ და რომ
ეს უაზრო დეკლარაციაა, არამედ, პირიქით, ამ განალიზებამ უნდა მოგვცეს ძალა და
სურვილი, რომ მოხერხდეს დეკლარაციის დახვეწა და მეტი სამართლიანობის დადგენა.

ადამიანის უფლებათა დაცვას კიდევ უფრო იდეალისტურს ხდის მისი პირველივე
პრინციპი, რომ ყველა ადამიანი არის თანასწორი- სიცოცხლის უფლებაში, განათლების
მიღებაში, აზრის გამოთქმის თავისუფლებაში და ა.შ. თანასწორი შეუძლებელია იყოს,
თუნდაც სიცოცხლის უფლებაში ჩემი და ლიბიელი ახალგაზრდის უფლებები. განათლე-
ბის მიღების თანასწორობა შეუძლებელია იყოს ჩემი დ ამ ახალგაზრდის, რომელიც
თვითმართველობაშია, იგივე აზრის გამოთქმის თავისუფლებაში, შეუძლებელია ვიყოთ
თანასწორნი მე და ხელისუფლების წარმომადგენელი. როგორც არისტოტელე გვეტყო-
და: „არ ვარგა თანასწორობა არათანასწორთა შორის“.

ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე მექანიზმებს ორი ცუდი რამ ახასია-
თებთ: 1) **ბიუროკრატია და 2) პლაკატურობა.** განვმარტოთ თითოეული მათგანი.

ბიუროკრატიულობა იმაში ვლინდება, რომ თითოეული ადამიანის უფლებათა დაც-
ვის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციონირება არის დროში განელილი. იმისათ-
ვის, რომ განაცხადო შენი საჩივარისა, თუ დარღვევის შესახებ, უნდა გაიარო მთელი რი-
გი პროცედურები, რათა ჯერ განიხილონ, შემდეგ კი საერთოდ დაამტკიცონ ადამიანის
უფლებათა დარღვევა. ასე მაგალითად, სტრასბურგის სასამართლოში იმდენი ბიუროკ-
რატიული საფეხურები უნდა გაიარო, რომ შეიძლება ლოდინში 5 წელიც გავიდეს. ამ 5
წლის განმავლობაში კი კაცმა არ იცის რა მოხდება, შეიძლება, საერთოდ აღარც გეცა-
ლოს საქმისათვის, ან, შეიძლება, საერთოდ დამნაშავეც აღარ იყოს ცოცხალი. ბიუროკ-
რატიზმი აფერხებს ადამიანის უფლებათა დაცვის აღმოფხვრის ეფექტურობას და ძლი-
ერ ანელებს სამართლიანობის დადგენის ტემპს.

ადამიანთა უფლებების დაცვის პლაკატური პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ
არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ გააჩნიათ ბრძოლის მექანიზმები და არ-
ცერთ მათგანს არ ძალუდს ადგილზე მოახერხოს დარღვევის აღკვეთა. ორგანიზაციების
უმეტესობა დაკავებულია საკუთარი ორგანიზაციის პიარით და სურათების გადაღებით
აფრიკელ ბავშვებთან. მათი სამუშაო შემოიფარგლება ე.წ. „რეპორტის“ დაწერით, რო-
მელიც წარედგინება კონკრეტულ ორგანოს. რა თქმა უნდა, საჯაროობა საუკეთესო ია-
რაღია უსამართლობასთან ბრძოლაში, მაგრამ რეალურად ადამიანის უფლებათა დამ-
რღვევებს არანაირი პასუხი არ მოეთხოვებათ, ანუ ადამიანის უფლებათა დაცვა იღებს
პლაკატურ სახეს.

ჩემს ნაშრომში მოცემული იყო საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკა და ადა-
მიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე ლაფსუსები. საქართველოში ხშირად უყვართ
პრობლემებზე თვალის დახუჭვა და ერთი და იგივე საკითხებზე საუბარი, (რომ ადამია-
ნის უფლებათა დაცვა აუცილებელია და რომ საერთაშორისო ურთიერთობები მთავარ
როლს ასრულებენ ამაში), მაგრამ პრობლემებზე თვალის არ დახუჭვა და მისი გაანალი-
ზება უფრო სასარგებლო იქნება საზოგადოების ცნობიერების დახვეწისათვის და გაუმ-
ჯობესებისათვის.

იმედია ნაშრომს მიექცევა სათანადო ყურადღება და „საერთაშორისო ურთიერთო-
ბებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კრიტიკა“ არ იქნება მიღებული და აღქმული,
როგორც საპროტესტო და წინააღმდეგობრივი ნაშრომი. პირიქით, ჩემს ნაშრომში შევე-
ცადე მაქსიმალურად მეჩვენებინა პრობლემები, რომელიც დგას ევროპელი მკვლევარე-
ბისა და სახალხო დამცველების წინაშე.

რუსულან ელიზბარაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

კონფლიქტების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი პავასიაში

ხელმძღვანელი პროფესორი: დალი ნიკოლაიშვილი

ზოგადი საკითხები

შეიარაღებული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის და სახელმწიფოს შიგნით ყოველთვის იყო კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრესი პოლიტიკური პრობლემას. ამუა-მად კონფლიქტებმა გლობალური სახე მიიღო, რის გამოც მათი თავიდან აცილებისა და მოგვარების პრობლემა განსაკუთრებულ აქტიურობას იძენს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა, რაც თავისთავად დაკავშირებულია ახალი=სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდასთან. მათი უმრავლესობა ყოფილი კოლონიური ქვეყნების ან ავტონომიური სახელმწიფოების ნაწილს წარმოადგენდა. შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვის ზრდასთან ერთად შეიცვალა კონფლიქტების ხასიათი: შეიარაღებული კონფლიქტი დიდ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკულად აღარ აღინიშნება. შემცირდა შეიარაღებული და-პირისპირებების ხანგრძლივობა და შეიცვალა კონფლიქტების გეოგრაფიაც. კონფლიქტების უმრავლესობას ლოკალური ხასიათი და წარმოადგენს ფართომაშტაბიან სამხედრო ოპერაციებს. დიდი სახელმწიფოების უმრავლესობას აღარ აქვს „ინტერესი“ ძალის გამოყენებით გაავრცელოს თავიანთი გავლენა პატარა და სუსტ სახელმწიფოებზე.

შეიარაღებული კონფლიქტი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება განვითარდეს, რაც რამდენიმე ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოჩნდეს. **პირველი ჯგუფის** კონფლიქტებს ხსნიან იმ ჰიპოთეზით, რომელიც ადამიანის ბუნებას უკავშირდება. საკმაოდ გავრცელებული წარმოდგენაა, რომ ყველა კონფლიქტის მიზეზი ადამიანის აგრესიული ბუნებაა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბრძოლა არსებობისთვის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ველურ ბუნებაში. ძლიერი ჩაგრავს სუსტს და თავისი მიზნის მისახწევად იყენებს ძალას. ამ ჰიპოთეზის მოზინაალმდეგეთა აზრით კი, პირიქით – კონფლიქტი ადამიანის ბუნებას ენინაალმდეგება – იგი არაბუნებრივი მოვლენაა, რომელშიც დამნაშავე ხელისუფლება და საერთაშორისო გულგრილობაა. **მეორე ჯგუფის** მიხედვით კონფლიქტების მიზეზი სახელმწიფოთა ქცევა და მისი ინტერესებია. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის დემოკრატიის დონესაც. კერძოდ, დემოკრატიული მშვიდობის თეორია ამტკიცებს, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ომი და შეარაბული კონფლიქტები გამორიცხულია. ფემინისტური თეორიის მიხედვით კი ომი „მამაკაცური აზროვნების“ შედეგია. **მესამე ჯგუფის** მომხრეთა აზრით, კონფლიქტების მთავარი მიზეზი საერთაშორისო ფაქტორებია.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი უფრო ხშირია, ვიდრე სახელმწიფოთშორისი კონფლიქტი. ცნობილია ისიც, რომ **ზღვარის გავლება** შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კონფლიქტებს შორის საკმაოდ რთულია, რადგან შიდა კონფლიქტების ინ-

ტერნაციონალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა. ძალიან ხშირად კონფლიქტი, რომელიც დაიწყო როგორც სამოქალაქო ომი, საერთაშორისო კონფლიქტად ქცეულა.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი, საერთაშორისოსთან შედარებით, **უფრო ძნელი** მოსაგვარებელია. XX საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო კონფლიქტების უმეტესობა მოლაპარაკების გზით გადაიჭრა, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი მხოლოდ 1/5 მოგვარდა ამგვარი ფორმით.

თანამედროვე მსოფლიოში გახშირდა კონფლიქტები ეთნიკურ ან რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, როცა უმცირესობა ითხოვს მეტ ავტონომიას ან სრულ დამოუკიდებლობას. ამიტომაა, რომ შიდა კონფლიქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ეთნიკურ კონფლიქტებს. ეთნიკური კონფლიქტის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირებაა. განვითარების მიხედვით, იგი შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან კულტურულ-რელიგიური ხასიათის. ცნობილია ისიც, რომ ეს კონფლიქტები ძირითადად პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველზე ვითარდება.

კავკასია

კავკასია მთიანი ქვეყანაა. იგი მდებარეობს შავ და კასპიის ზღვებს შორის. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ყუმა-მანიჩის ღრმული, ხოლო სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს თურქეთთან და ირანთან. კავკასიის ფართობი 440 ათასი კვადრატული კილომეტრია. კავკასიაში 25 მილიონამდე მცხოვრებია, რომლებიც ტერიტორიულად არათანაბრადა განაწილებული.

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი კავკასიას ორ მსხვილ რეგიონად: ჩრდილოეთ კავკასიად ანუ იმიერკავკასიად და ამიერკავკასიად ანუ სამხრეთ კავკასიად ჰყოფს. პირველი, ძირითადად რუსეთის ფედერაციაში შედის, ხოლო მეორე სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოიცავს. ცალკეულ შემთხვევებში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემი, როგორც საზღვარი, არ ემთხვევა სახელმწიფოთა საზღვარს. მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობი ადმინისტაციულად რუსეთს ეკუთნის, ხოლო კავკასიონის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი (როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი ფერდობები) – აზერბაიჯანს.

კავკასიის კონფლიქტების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების კვლევა პოლიტიკური გეოგრაფიის აქტუალური ამოცანაა. მისი გამომწვევი ფაქტორები სხვადასხვაგვარია, რომელთა შორის აღსანიშნავია ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, მოსახლეობის რელიგიური და ეთნიკური შედგენილობა, გეოპოლიტიკური მდებარეობა და ინტერესები.

კონფლიქტების მრავალფეროვნებით კავკასია არ გამოირჩევა, თუმცა უახლოეს ისტორიაში მათი რაოდენობა და შედეგები თვალსაჩინოა. ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ რეგიონში კონფლიქტების განვითარება განპირობებულია ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული რეალობით, რაც უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის – საბჭოთა კავშირის დაშლას და რუსეთის, როგორც მისი სამართალმემკვიდრის, გავლენის სფეროების შენარჩუნებისთვის ბრძოლას. გამოყენებისთვის იბრძვის ათეულობით ტრანსნაციონალური კომპანია.

გეოპოლიტიკური მდებარეობის მიხედვით კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია. იგი მდებარეობს საბობ-ენერგეტიკული წიაღისეულით მდიდარ („მიმნდებელ“) ცენტრალურ აზიასა და ნედლეულის ფართო მომხმარებელ ევროპას შორის,

სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის, აგრეთვე მრავალ-ფეროვანი ბუნებრივი რესურსების გამო კავკასია დიდ მანძილზე დაშორებული ქვეყნების (აშშ, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.) ინტერესების სფეროშიც კი მოქცა.

კავკასიაში გადახლართულია ქრისტიანული და მუსულმანური სამყარო, წარმოდგენილია რამდენიმე ენობრივი ოჯახი, თავს იყრის კავკასიური, თურქული, სპარსული და სლავური კულტურა (პიპინაშვილი, 2009), მაქსიმალურ სიახლოვესაა განლაგებული დაპირისპირებული სამხედრო ბლოკები, არსებობს ტერიტორიული პრეტენზიები და ისტორიული კონფლიქტების გაღვივების საფუძველი. ვითარებას ართულებს ისიც, რომ რამდენიმე ქვეყანა (რუსეთი, თურქეთი, ირანი) კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს განიხილავს როგორც ისტორიულად სამართლიან და კანონზომიერ მოვლენას.

ისტორიულად კავკასიის კონფლიქტებს აქვს როგორც პოლიტიკური, ისე ეთნიკური ხასიათი. პოლიტიკური კონფლიქტები გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე ეთნიკური. შედეგად, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები თანდათან იქცა გეოპოლიტიკური დაპირისპირების მთავარ ობიექტებად რუსეთსა და დასავლეთს (ძირითადად აშშ-ს) შორის. სამხრეთ კავკასიის რეგიონი გადაიქცა კონფრონტაციული გეოპოლიტიკური მეტოქეობის ერთ-ერთ ურთულეს სივრცედ, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა, როგორც გლობალური (აშშ), ისე რეგიონული (რუსეთი, ირანი, თურქეთი) მასშტაბის სახელმწიფოთა ინტერესები (პიპინაშვილი, 2009). პოლიტიკური კონფლიქტები ამჟამადაც გრძელდება, რაც მკაფიოდ აისახება მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ განვითარებაზე.

კავკასიის კონფლიქტები და მათი ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი

კავკასიაში მასშტაბებით და შედეგებით რამდენიმე კონფლიქტი გამოირჩევა, რომელთაგან ყველაზე მაშტაბურია საქართველოში (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი), აზერბაიჯანსა (მთიანი ყარაბაღი) და რუსეთში (ჩეჩენეთი) განვითარებული მოვლენები და პროცესები. მათი ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი თვალსაჩინოს ხდის კავკასიის, როგორც მსოფლიოში ურთულესი გეოპოლიტიკური რეგიონის, არსებობას.

აფხაზეთის კონფლიქტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, რომელთანაც საზღვარი კარგად გამოხატულ ბუნებრივ ბარიერებზე - მდინარე ფსოუსა და კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე გადის. აფხაზეთის ფართობი მცირეა (8.7 ათასი კმ²), რაც საქართველოს ტერიტორიის 12.5 %-ს შეადგენს. მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, აფხაზეთი კავკასიაში და შავიზღვისპირეთში გამოირჩევა ბუნებრივი მრავალფეროვნებით, კომფორტული ჰავით და ესთეტიკური პეიზაჟებით.

ისტორიულად აფხაზეთი საქართველოს უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია და მისი განუყოფელი ნაწილია. აქ სეპარატისტული პროცესები XX საუკუნის ბოლო მეოთხედში გააქტიურდა, რაც რუსეთის ნაქეზებით და ხელშეწყობით მიმდინარეობდა.

აფხაზეთში ეთნიკური წმენდა სამჯერ, ისიც სამხედრო მოქმედებების შედეგად განხორციელდა: პირველი 1994 წელს, მეორე 1998 წელს, ხოლო მესამე 2008 წელს. აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად მკაფიოდ შეიცვალა დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება. კონფლიქტამდე აფხაზეთის მოსახლეობა 525 ათასს აღემატებოდა, რომლის მოსახლეობის თითქმის ნახევარს (46%) ქართველები შეადგენდნენ. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაიღუპა 40 ათასამდე ადამიანი, განადგურდა რამდენიმე ათასი საცხოვრებელი სახლი და მოიშალა ინფრასტრუქტურა. ეთნიკური წმენდის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილად და ლტოლვილად იქცა.

ყარაბალის კონფლიქტი

ყარაბალი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში, მცირე კავკასიონის მთიანი სისტემის ფარგლებში მდებარეობს. მისი ფართობია 4.4 ათასი კმ², რაც აზერბაიჯანის ტერიტორიის 5.1 %-ია. XX საუკუნის დასაწყისში ყარაბალის მოსახლეობის 5 %, ხოლო XX საუკუნის ბოლოს მოსახლეობის თითქმის 1/5 ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 165 ათასს აღწევდა.

ყარაბალის ისტორიული კუთვნილება არაერთგვაროვანია. ამ ტერიტორიაზე პრეტენზიას აზერბაიჯანი და სომხეთი აცხადებს. მას ორივე მხარე ისტორიულ მიწებს უწოდებს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მას ისტორიული ალბანეთი ფლობდა, III – VII საუკუნეებში სომხეთი, VIII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს, IX – X საუკუნეებში კვლავ ალბანეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო, XI საუკუნეში თურქ-სელჯუკებმა, XIII საუკუნეში მონღოლებმა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში რუსებმა დაიპყრეს. იგი XIX – XX საუკუნეების მანძილზე ჯერ სომხეთის, შემდეგ კი აზერბაიჯანის შემადგენლობაში შედიოდა (ქსე, ტ.6, გვ. 670).

ყარაბალის კონფლიქტი XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო, თუმცა მისი ამავე საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. სომხეთ - აზერბაიჯანის თანამედროვე კონფლიქტების ისტორია 1905 წლიდან იწყება. სომხეთ - აზერბაიჯანის კონფლიქტის შედეგად, ორივე მხრიდან, დაიღუპა 30 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები და მებრძოლი, განადგურდა ასეულობით საცხოვრებელი სახლი, დევნილად იქცა მილიონზე მეტი ადამიანი. ყარაბალის კონფლიქტის ფონზე სომხეთმა მოახერხა აზერბაიჯანის ტერიტორიის 1/5 ოკუპაცია, რაც ოთხჯერ აღემატება თვით ყარაბალის სადაცო ტერიტორიის ფართობს.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი

ცხინვალის რეგიონი მთლიანად მოიცავს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. იგი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, მდინარე ლიახვისა და ქსნის აუზში, კარგად გამოხატული ბუნებრივი ბარიერის – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით. მისი ფართობია 3.8 ათასი კმ², რაც საქართველოს ტერიტორიის 5.4 %-ია. საქართველოში ოსი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა 165 ათასს აღწევდა, რომლის გარკვეული ნაწილი (64 ათასი) ცხინვალის რეგიონში ცხოვრობდა. აქ, ოსების ჩამოსახლება XVII საუკუნეში დაიწყო, რამაც განსაკუთრებული მასშტაბები XIX საუკუნეში მიიღო. XX საუკუნის ბოლოსთვის ცხინვალის რეგიონში ოსები მოსახლეობის 2/3 შეადგენდნენ და ქართველ მოსახლეობას რაოდენობით 2-ჯერ აღემატებოდნენ (ჯა-

ოშვილი, 1996). მიუხედავად მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ამგვარი განაწილებისა, აქ ეთნიკური დაპირისპირება არასოდეს ყოფილა. ოსები საუკუნეების მანძილზე იყვნენ ინტეგრირებული „ქართულ სივრცეში“ და დადებით როლს თამაშობდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი 1990 წლიდან იღებს სათავეს, რასაც ეთნოპოლიტიკური ტიპის კონფლიქტს აკუთვნებენ (პიპინაშვილი, 2009). მას ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო, რომელთაგან განსაკუთრებით თვალსაჩინოა უპასუხისმგებლო პოლიტიკური განცხადებები (ქმედებები) და რუსეთის პოზიცია. ოსი სეპარატისტები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას თავის ისტორიულ მიწანყლად განიხილავს და მასზე საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ცდილობს. აღსანიშნავია ისიც, რომ დავის საგანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური სტატუსიცაა.

ცხინვალის რეგიონში, XX საუკუნის ბოლოს და 2008 წლის ავგისტოში განვითარებული სამხედრო მოქმედებების და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაიღუპა ასეულებით მშვიდობიანი მოსახლე და სამხედრო პირი, დევნილად 30 ათასი ქართველი, ხოლო ლტოლვილად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 120 ათასზე მეტი ოსი იქცა.

ჩაჩნეთის კონფლიქტი

ჩაჩნეთი ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადის – მდინარე არღუნის აუზში მდებარეობს. მისი ფართობი 10 ათას კმ²-ს, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა (1989 წლის მონაცემებით) 850 ათასს აღემატებოდა. მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ანუ 75 %-ს ჩაჩნები შეადგენდნენ. აქ ცხოვრობენ აგრეთვე, რუსები, უკრაინელები, სომხები და სხვა ხალხები. რთული პოლიტიკური ვითარების გამო არ არსებობს ზუსტი მონაცემები ჩაჩნეთის რესპუბლიკის როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე ეთნიკური და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ.

ჩაჩნეთის კონფლიქტი პოლიტიკური ხასიათისაა. იგი 1994 წელს დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. კონფლიქტის პერიოდში აღინიშნა რუსეთის რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რასაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი მოჰყვა თან. ჩაჩნეთის კონფლიქტის შედეგები შემზარავია. სხვადასხვა მონაცემებით აქ 20 ათასამდე სამხედრო პირი და 100 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. ჩეჩჩნეთის ორი ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის რაოდენობამ ნახევარ მილიონს მიაღწია.

ამრიგად, კავკასიაში უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული კონფლიქტების შედეგად დაიღუპა 100 ათასამდე ადამიანი, დევნილად და ლტოლვილად იქცა 2 მილიონამდე მშვიდობიანი მცხოვრები. კონფლიქტები დღესაც გრძელდება. სეპარატისტული ტერიტორიები მოიცავს თითქმის 50 ათასი კმ²-ს, რაც კავკასიის საერთო ფართობის თითქმის 12 %-ია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პიპინაშვილი დ. 2009. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. თბილისი.
2. დავითაშვილი ზ. 2001. კავკასიის კონფლიქტები. მიზეზები და შესაძლო შედეგები// ქართული დიპლომატია, წელიწდეული 8. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ბერუჩაშვილი ნ., დავითაშვილი ზ., ელიზბარაშვილი ზ., 2010. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1983. ტ. 6. თბილისი,
5. ჯაოშვილი ვ. 1996. საქართველოს მოსახლეობა. თბილისი, 367 გვ.

ქრისტინე ბებია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

ქართველი ძლიერი სუსტი სქესის ნარმობადგენლები

ცნობილია, რომ მატრიარქატურ მოდელს არაერთი უძველესი კულტურა ემყარებოდა. პატრიარქატი ძირითადად აღმოსავური საზოგადოებების გადაწყვეტილება იყო ქალთა უფლებების შეზღუდვით. ასე იყო და მეტწილად ასეა დღესაც. დრომოქმულ ტრადიციებს დღემდე არ თმობენ ისინი. პირველად პატრიარქატის „უპირატესობაში“ ნეოლითში დარწმუნდნენ, როცა შემგროვებლური მეურნეობა მწარმოებლურმა ჩაანაცვლა, ანუ მიწათმოქმედებამ, მესაქონლეობამ. ეს უკანასკნელი ფიზიკურ ძალას მოითხოვს, რომელიც მდედრთან შედარებით მარმს მიეწერება. ქალის როლი, ძირითადად, ოჯახურ საქმიანობამდე ჩამოქვეითდა. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მდედრს ერთპიროვნულად ჩამოერთვა ყველა უფლება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ისტორიას თუ გადავხედავთ, არაერთი ფაქტს „ნავაწყდებით“, ქალი რომ განაგებდა სახელმწიფოს, ქალს რომ გააჩნდა ყველა ის იურიდიული უფლება, მამაკაცი რომ სარგებლობდა მისით. იყვნენ ცივილიზაციები, ქალებთან მიმართებაში განსაკუთრებული დამოკიდებულება რომ ჰქონდათ. ეს ამ ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით უნდა აიხსნას. მნიშვნელოვანი ძალის მქონე ქალი-ღვთაებები მათვის, ასე ვთქვათ, ავტორიტეტებს წარმოადგენდნენ.

ქალისადმი დამოკიდებულებისა და პატივისცემის დოზა განსხვავებულია დროსა და სივრცეში. ერთი კულტურა მეტ პატივს სცემს ქალის კულტს, მეორე – ნაკლებად. ეს დამოკიდებულება, შეიძლება, ერთ კულტურაშიც შეიცვალოს დროის ცვლასთან ერთად. ისტორიას ფაქტების „ჩანწერა“ უყვარს მომდევნო თაობებისათვის. საქართველოს ისტორიის ასეთ ჩანწერებში თუ ჩავიხედავთ და მას პირველი გვერდიდან ბოლომდე მივადევნებთ თვალს, დავასკვნით, რომ ქართველი ქალების ღვაწლი სამშობლოს წინაშე დიდია. საქართველოს ისტორიის გვერდებზე შევხვდებით წმინდა შუშანიქს, ქეთევან დედოფალს, თამარ მეფეს, მაია წყნეთელს და სხვა და სხვა გმირ ქალს. თუმცა, არსებობდნენ ისეთი გმირი ქალებიც, ამ ფურცლებს მიღმა რომ აღმოჩნდნენ და ამდენად, ხალხისთვის მათი სახელები უცნობია. საქართველოს ისტორიის ყოველ გვერდზე თითქოს ერთი და იგივე ამბავია მოთხოვნილი: ურიცხვ მტერთა შემოსევა, გაუთავებელი სისხლიანი ომები... ქართველ კაცს უმეტესწილად ბრძოლის ველზე, ოჯახს მოცილებული უწევდა ყოფნა. ოჯახს წაძლოლა ქალს უხდებოდა. მას უნდა მიეხედა კარ-მიდამოს-თვის, აღეზარდა პატრიოტი შვილები. ხშირად, ქართველი ქალი ბრძოლის ველზე გასვლასაც არ ერიდებოდა და საკუთარი სიცოცხლის გაფრთხილების სანაცვლოდ სამშობლოს უფრთხილდებოდა. მამული, სარწმუნოება, ღირსება. – ამ სამ ობიექტს განსაკუთრებით იცავდა ქართველი ქალი და აქიდან გამომდინარე, ის სიწმინდესთან ასოცირდებოდა. ქართველი ქალი დრომ გამოსცადა და მან დამსახურებულად მოიპოვა არაერთი სადიდებელი ლექსი, სადიდებელი სიმღერა თუ უბრალოდ სადიდებელი სიტყვები თანამემამულე თუ უცხოტომელ მამაკაცთა მხრიდან.

მაგრამ ქალთა დაჩაგრული მდგომარეობებიც ფაქტად „ჩაუწერია“ ისტორიას:

„შუშანიქის წამებიდან“ ვიგებთ, რომ V საუკუნის საქართველოში ქალის როლი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კაცის როლს. „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და

დედათა ერთად ეჭამა პური?! – ამბობს შუშანიკი. ან კიდევ: „განვისაჯნეთ მე და ვარსექნ პიტიახში მუნ, სადა – იგი არა არს თუალღებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა...”

ამის საპირისპიროდ, XII საუკუნის საქართველო თამარ მეფის მომსწრეა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყანას ღირსეულად ედგა სათავეში. იმდროინდელ საქართველოს გენდერულ (თუმცა, ეს ტერმინი მაშინ უცხო იყო) სიტუაციაზე უთქვაშს შოთა რუსთაველს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”. „ვეფხისტყაოსანი” XII საუკუნის საქართველოს პირდაპირი არეკვლაა თავისი სოციალურ-ეკონომიკური თუ გენდერული მდგომარეობით.

დრო იცვლება და თან ცვლის გარემოცვას. საქართველოში იყო პერიოდები, ქალებს რომ გარკვეული სახის შეზღუდვები გააჩნდათ. თუნდაც, ამგვარი რამ: ხელი არ მიუწვდებოდათ უმაღლეს განათლებაზე და ძირითადად, ხელსაქმის შესწავლით იყვნენ დაკავებულნი. მომავალმა დრომ ეს სიტუაციაც წარსულს ჩააბარა. მაგალითად, საბჭოთა კავშირმა დაამკვიდრა იდეოლოგია მამაკაცის თანასწორად ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებაში. საბჭოთა ადამიანი, განურჩევლად სქესისა, ადამიანია და მისი მოვალეობაა ერთიანი საბჭოთა ქვეყნისა თუ ოჯახის წინაშე, იყოს დასაქმებული. არამორწმუნე საბჭოთა კავშირმა ყველაზე მეტად დააჯერა ადამიანი, რომ პური მისი არსობისა საკუთარი ოფლით უნდა მოიპოვოს. სსრკ-ს დაშლამ მთლიანად საბჭოთა სტრუქტურის დაშლა გამოიწვია და ამასთან, – ქალთა საკითხისად-მი იდეოლოგიური მიდგომაც. წინ გაიჭრა პატრიარქატული შეხედულებები. ქალთა უმრავლესობა კი, გაძვედა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. მიუხედავად იმისა, თუ რა ადგილას იმყოფებოდა ქალი ამა თუ იმ ეპოქაში, მას მაინც ყოველთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართველი ერის ქართველობაში (!). ქართველი ქალი გმირი, სხვა რომ არაფერი, იყო მხოლოდ იმიტომ, რომ გმირ შვილებს ზრდიდა. საპასუხოდ ქართველ ქალთა მხრიდან ამ სიკეთისა მადლიერების ნიშნად ჩვენმა ერმა განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა ქალისადმი დამოკიდებულებას. დროთა განმავლობაში ასევე დროთა განმავლობაში „დაგროვებული” ქალის მამაკაცურ გმირობებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ნაფეხურ-ნაფეხურ შეიქმნა ქართველი ქალის სახე, მაგრამ მცირედი გზააბნეულობით – ქართველი მამაკაცები ამ გმირ სახეებში მხოლოდ სულიერ სიმტკიცეს (სათნოება, ღვთისნიერობა, კეთილშობილება...) ხედავენ და მის გვერდით არა პიროვნულ სიძლიერეს (ინდივიდუალურობა, სითამამე, პრინციპულობა...). XXI საუკუნემ კარგად გამოაჩინა ქალის რეალური სახე, მაგრამ ქართველი კაცის ცნობიერებაში მამაპაპათა მიერ შექმნილი ქალის ეტალონი მაინც შეუცვლელია. და ალბათ, კიდევ დიდხანს გაუძნელდება XXI საუკუნეს ქართველის თავის ყაიდაზე სრულად გადაბირება. გ. ასათიანის სწორი შენიშვნით, „საქართველო არც აღმოსავლეთია და არც დასავლეთი, არც მათი სინთეზი, ის საკუთარ თავში შეიცავს ყველაფერ იმას და მაინც განსხვავებული ფენომენია სამყაროში“ თავისი განსხვავებული მენტალიტეტით, რომელსაც თამამად (ამაყად?) შეიძლება, ქართული მენტალიტეტი ვუწოდოთ და ეს სულაც არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი.

XXI საუკუნე გლობალიზაციას „ქადაგებს“. „ტრადიცია“ ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმებია. მისგან განსხვავებით, სიტყვა „გლობალიზაცია“ ნიშნავს საყოველთაოს. გლობალიზაცია ჩაგვჩიჩინებს მსოფლიო საზოგადოებაში ცხოვრებას. ჩაკეტილი სივრცეების შესა-

ხებ წარმოდგენა ფიქციად იქცა. ვერცერთი ქვეყანა ან ქვეყანათა ჯგუფი ვერ შეძლებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობას. გლობალიზაციამ ყველა ერთმანეთზე დამოკიდებული გახადა; მოიტანა დროის აჩქარების შეგრძნება. ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელშიც გლობალიზაციას არ შეუღწევია. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციურ პროცესებს ძირითადად დასავლური სამყარო მართავს. სხვადასხვა ქვეყანაში გლობალიზაცია, შეიძლება, განსხვავებული გზით დაინერგოს, განსხვავებული იყოს თითოეული ქვეყნის საპასუხო რეაქცია გლობალიზაციის შემოტევაზე. ზოგი ქვეყანა ადვილად ემორჩილება მას, ზოგიც უძალიანდება, ზოგიც „სჯაბნის“... გლობალიზაციის გავლენა ყველგან ერთნაირი ძალით არ არის წარმოდგენილი, ზოგან ძლიერია, ზოგან – სუსტი. არიან ქვეყნებიც, სადაც გლობალიზაციის მხოლოდ ცალკეული ნიშნები თუ მოიპოვება ან სულაც – არაფერი მისი მაგვარი, მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდან ივარაუდება, რომ მომავლისთვის თანამედროვეობის ეს „სენი“ მსოფლიოს ყოველ კუთხე-კუნტულში შეაღწევს. სამყარო მომხვეჭელია, არ კმაყოფილდება მონაპოვარით და წინ მიიწვეს.

მსოფლიოს თანამედროვე ქვეყნების დასაქმების სფეროთი თუ დავინტერესდებით, დავინახავთ ტენდენციას, რომ დღეს ქალიც ისევე მონაწილეობს ოჯახის ბიუჯეტის გაუმჯობესებაში, როგორც – მამაკაცი. ქალთა შრომითი ემიგრაციის ზრდა განსაკუთრებით არა განვითარებულ, განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნევა, სადაც მცირეა მოსახლეობის დასაქმება სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში და ის მცირეც საარსებო მინიმუმისათვის არასაკმარისი თანხის ანაზღაურებით. ასეთ ქვეყნებში განსაკუთრებით პრობლემატურია ქალთა დასაქმება თავისი გენდერული პრობლემებიდან გამომდინარე. განუვითარებელ ქვეყნებში ეს პრობლემა მეტ სიმწვავეს იძენს.

საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ქართველების ბუნება უახლოვდება როგორც აზიურს, ასევე ევროპულს. საქართველო განვითარებად ქვეყანათა რიგებში ეწერება და ცდილობს, განვითარებულ ქვეყანათა რიგებამდე მიაღწიოს. თუმცა, უმჯობესია და მეტიც, აუცილებელია ბევრჯერ გაგებული „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“ დროულად ვაქციოთ საქმედ, რადგან საქმე საკმაოდ რომ ბევრი გვაქვს. პირველ რიგში, ქვეყანაში უნდა გატარდეს მთელი რიგი ლონისძიებები დემოკრატიის ხარისხის ასამაღლებლად, ვინაიდან განვითარება დემოკრატიის გარეშე წარმოუდგენელია. დემოკრატია კი, თავის მხრივ – გენდერული თანასწორობის გარეშე. ვერ ვიტყვი, საქართველოში მკაფიოდა გენდერული დისბალანსი, თუმცა, ამავდროულად, არცთუ ისე იშვიათია ქალთა ჩაგვრაც. ამაში ქალებისადმი მაინცდამაინც მონური მოპყრობა არ იგულისხმება. აქ არ მოიაზრება ცალსახად ფიზიკური ძალადობა, არამედ – მორალურიც. ძალადობის ერთ-ერთი სახეა, მე ვიტყოდი, ქართველი ქალების ფიზიკური და ხშირად, მძიმე ფიზიკური შრომით დასაქმება არალეგალურ სექტორებში ქვეყნის საზღვრებს შინ თუ საზღვრებს გარეთ. ქართველი ქალები სოციალურ-ეკონომიკური ან სხვა გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე იძულებულნი არიან, ეს ნაბიჯი გადადგან და ძნელი დასაჯერებელია, ამას სიამოვნებით აკეთებდნენ. სიამოვნებით ისინი სახელმწიფო ან თუნდაც კერძო, მაგრამ აკრედიტებულ დაწესებულებებში მონინავე თანამდებობებზე თუ დასაქმდებოდნენ. აქ მხოლოდ ფინანსური ფაქტორი არ არის მნიშვნელოვანი. დასაქმებული ქალი არამხოლოდ ფინანსურად ხდება დამოუკიდებელი, ასევე შინაგანად გრძნობს დამოუკიდებლობას. განვითარებად საქართველოში დასაქმების სფერო ჯერ კიდევ განსავითარებელია, მაგრამ ამის გათვალისწინებით, ქალთა დასაქმების კუთხით,

ნამდვილად შეიმჩნევა განვითარება. დღევანდელ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა, ქალი რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობს და შრომის ბაზარზეა და-საქმებული. ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვამახვილებ მძიმე ფიზიკურ მუშაობაზე. ვგულისხმობ პრესტიულ ან შედარებით ნაკლებად პრესტიულ სამსახურებს. **XXI** საუკუნის საქართველოში ქალები, მამაკაცების სურვილის წინააღმდეგ, რომ შინ ისხდნენ და საშინაო საქმეებს ანესრიგებდნენ, მაღალ თანამდებობებზე, პოლიტიკურ სარბიელზე გადიან და ქვეყნის საქმეებს აგვარებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდეცია, ძირითადად, ქალაქებში შეიმჩნევა. სოფლებში კი, ქალების იზოლაცია საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოვრებისაგან სამწუხარო სინამდვილეს წარმოადგენს. სოფლის მკვიდრი ქალები (არ მინდა ვიხმარო „სოფლელი ქალები“) საკუთარ ოჯახებში მორჩილად უანგაროდ საქმიანობენ. „უანგაროდ“ შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან მათი ოჯახის წინაშე განეული სამსახური, ხშირად, მხოლოდ სადლეგრძელოებში თუ დაილოცება, რეალურად კი, არ უფასდებათ.

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს და არც ერთი აზრი არსებობს ერთი თემის ირგვლივ. ჩვენს შემთხვევაში, თუ ერთი მხარე თვლის, რომ ქალების მომრავლება საზოგადოებრივ-სოციალურ ასპარეზზე მხოლოდ დადებითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს, მეორენი თვლიან, რომ დადებითზე მეტად ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქვეყანაზე – ქალი სამსახურში მაღალ თანამდებობაზე არ არის სასურველი, განსაკუთრებით, სახელმწიფო აპარატში. პირველი, რომ ლოიალური და მიმტევი ბუნება მას ნაკლებ ობიექტურს ხდის. მეორე: ნაკლებ ყურადღებას იჩენს სამუშაოსადმი, რადგან ქვეცნობიერად დედობრივი ინსტიქტიდან გამომდინარე ოჯახსა და შვილებს თუ მეგობრებს თუ ახლობლებს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს. შემდეგ: ქალის დასაქმება დემოგრაფიულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას... და კიდევ არაერთი შემდეგ.

საკამათოა, რამდენად ყვავის საქართველოში ეკონომიკა, მაგრამ იმედია, ენაც გვიყივლებს ახლო მომავლისათვის. ჯერჯერობით კი, ის უფრო, ასე ვიტყვი, კვირტების მოსხმის პროცესშია. ოჯახის ნორმალურ პირობებში არსებობისათვის არ კმარა მხოლოდ მამაკაცის საშუალოხელფასიან სამსახურში დასაქმება, მაგრამ საკმარისი და საკმარისზე მეტიც („მადა ჭამაში მოდის“) რომ იყოს მხოლოდ მამაკაცის ხელფასი ოჯახის შესანახად, ვფიქრობ, ქალის დაკავება ლეგალურ შრომით ბაზარზე, მაინც მნიშვნელოვანია, უპირველესად, თავად ქალის თვითრეალიზაციისათვის, შემდეგ – უკვე ნახსენები დემოკრატიის შენებისათვის და ასე და ასე, ჯაჭვური რეაქციის პრინციპით ეს ყველა-ფერი ბოლოს ქყვეყნის წარმატებამდე მიდის. ქართველი მამაკაცის მენტალიტეტი კი ჯიუტად არ თმობს პოზიციებს: ქალის ადგილი ოჯახშია, მისია – შვილების გაჩენა და აღზრდა! და სხვების დასანახავად საპირისპირო შეხედულებაც რომ ამტკიცოს, გულის სიღრმეში მაინც ამ აზრს ადგას. თუმცა, ზოგჯერ თვალსაც ხუჭავს, მაგალითად, როცა ოჯახიდან ცოლს საზღვარგარეთ უშვებს სხვის ოჯახში სამუშაოდ. საქართველოში ინტენსიური სახე მიიღო იმან, რომ ქალის აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობა, რაც სახლის დალაგება-დასუფთავებას, სამზარეულოში ფუსფუსსა და ბავშვების მოვლა-პატრონობას გულისხმობს, შეიცვალა ქალის ანაზღაურებადი საქმიანობით. ხშირად, ამ ანაზღაურებად საქმიანობაში არაპრესტიულ, გაურკვეველ სექტორებში მუშაობა იგულისხმება. ანდაზისა არ იყოს, „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე“, ხშირად ისე ხდება, რომ ქალი მიემგზავრება მშობლიური ქვეყნიდან, ტოვებს სახლ-კარს, მეუღლეს, ასაკოვან მშობლებს, შვილებს, უცხო ქვეყანაში რომ სხვის სახლ-კარს, მშობლებსა და შვილებს უპატ-

რონოს. მაგრამ ამ „თხის ყიდვა-გაყიდვაშიც“ არის გარკვეული „მოგება“: საკუთარ ოჯახში ქალი, უხეშად რომ ვთქვათ, ფუჭად მუშაობს, ის სხვები კი ამ გარჯას მას გარკვეული თანხით უნაზღაურებენ.

პირველ რიგში, ქალის ჯაფა მამაკაცმა უნდა დაათასოს და რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სიტყვით. წარსული და თანამედროვეობა ქალის სიძლიერეს თუ ამტკიცებს და მხოლოდ გარეგნული მონაცემების მიხედვით თუ უწოდებენ მას სუსტი სქესის წარმომადგენელს. მაგრამ... არსებობს ერთი „მაგრამ“: როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ქალი შინაგანად, გარეგნულად ის მაინც სუსტი სქესის წარმომადგენელია და მას მოფრთხილება, ზრუნვა სჭირდება მამაკაცთა მხრიდან.

ძნელი გასაცემია პასუხი კითხვაზე, რას უმზადებს მომავალი ქართველ ქალებს. დრო ისე სწრაფად ატრიალებს მოვლენებს, რომ დღეს გაკეთებული პროგნოზი, შესაძლოა, ხვალ არ გამართლდეს. აი, პასუხი კი, კაცების კითხვაზე, რა სურთ ქალებს, შედარებით მარტივია: თანასწორობა, არაძალადობა, უსაფრთხოება, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, აღიარება, დაფასება... – ეს მამაკაცების მხრიდან ასასრულებელი სურვილები... და აქვე, მე, თუნდაც როგორც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ერთსაც ვისურვებდი: მომავლისათვის (და რაც უფრო ახლოს იქნება ეს მომავალი, მით უკეთესი!) გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხის დაყენების არანაირი საჭიროება არ არსებობდეს.

ლაშა თაკალანძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიტი

საქართველოს პრიზისი – მსოფლიო პოლიტიკის თემა

ხელმძღვანელები პროფესორები: ელგუჯა ქავთარაძე, ნინო მინდიაშვილი

სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დაშლის უმ-თავრესი მიზეზი გახდა იდეოლოგიათა პოლიტიკური ცვალებადობა. სოციალისტური-დან კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლამ და სისტემათა ცვალებადობამ, რაც გარდაუ-ვალი იყო, სსრკ-ს დაშლის შემდეგ ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებში წარმოშვა როგორც პოლიტიკური, ასევე ეთნიკური კონფლიქტები. დაინგრა ცენტრალიზებული ეკონომიკა. პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, სადაც ფაქტიურად არც კი იცოდნენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, მტკიცნეული აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე გა-დასვლა.

როგორც აღვნიშნეთ, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე წარმოიშვა უამრავი ეთნო-და პოლიტიკური კონფლიქტი. ამ კონფლიქტების შედეგად მიყენებულმა პირდაპირმა მა-ტერიალურმა ზარალმა შეადგინა 15 მლრდ \$.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ზარალი მიადგათ საქართველოს, აზერ-ბაიჯანსა და ტაჯიკეთს. ამ კონფლიქტების გამო 1992–93 წწ.-ში საქართველოში მშპ 1990 წელთან შედარებით 80%-ით შემცირდა. ეკონომიკამ ჩრდილოვან სექტორში გადაინაც-ვლა, რასაც თავის მხრივ ინფლაცია მოჰყვა. საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული წესის მოშლის გამო, გარკვეულმა სეპარატისტულმა ძალებმა ისარგებლეს და აქტიურად შე-უწყვეს ხელი სეპარატიზმის გაღრმავებას. ამის მაგალითია საქართველოში, კერძოდ აფ-ხაზეთსა და სამართლოში არსებული კონფლიქტები. გაჩნდა ასობით ათასი დევნილი, ამან გამოიწვია ეკონომიკის კიდევ უფრო დაქვეითება.

ეს იყო 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა სფეროში დატრიალებული პროცესების მოკლე მიმოხილვა. ამის შემდგი იყო საქართველოსთვის დიდი განსაცდელი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ომი, რომელსაც აგრეთვე დამანგრეველი ძა-ლა ჰქონდა.

იმ ომებიდან, რომლებიც სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში 1991 წლიდან მოხდა, 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი იყო დროის ინტერვალის მიხედვით ყველაზე მოკ-ლე, საომარი ოპერაციები გრძელდებოდა 7-დან 15 აგვისტომდე. ეს მოკლევადიანი ომი არამარტო კავკასიური, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის საგანი გახდა. ეს ომი თავისი მნიშვნელობით ფაქტიურად გაუტოლდა ისეთ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ა.შ.

ამ ომმა დიდი პოლიტიკური ზიანი მიაყენა საქართველოს. რუსეთის მიერ აფხაზე-თისა და სამართლოს აღიარებით, კიდევ უფრო გართულდა ამ რეგიონების ოდესმე სა-ქართველოში ინტეგრირების საკითხი.

პოლიტიკურთან ერთად საქართველოს ეკონომიკური ზიანიც მიადგა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საომარ ვითარებაში საქართველოს ეკონომიკამ საკმაოდ მყარი მდგო-მარეობა გამოავლინა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ უკანასკნელ წლებში საკმაოდ

მომძლავრდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, აგრეთვე ეს ომი მხოლოდ 8 დღე გაგრძელდა.

ამ ომის შედეგად ფაქტიურად დაინგრა სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა, მათ შორის აეროდრომები, ხიდები, რკინიგზა, შენობა-ნაგებობები, ავტომაგისტრალები, საპორტო ინფრასტრუქტურა ფოთში და სხვა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ომის შედეგად მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1 მლრდ \$.

მიუხედავად ეკონომიკისადმი მიყენებული ზარალის სიდიდისა, მთავარი პრობლემა ესაა გაყინული კონფლიქტები, რომელიც რჩება საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე. მთავარი პრობლემაა აგრეთვე დაპირისპირება რუსეთსა, რომელმაც აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, და დანარჩენ მსოფლიოს შორის, რომელიც სერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. უნევის მოლაპარაკებაზე გადაწყდა, რომ აღდგენილიყო სამხრეთ ოსეთში ეუთოს მანდატი და ოქტომბრიდან მონაწილეობა მიეღოთ ასევე იქ მყოფ ევროკავშირის მისიას. ამ მისის მანდატი შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას. ამ მისის სეპარატისტულ ტერიტორიებზე შესვლას ხელი შეუშალეს სეპარატისტულმა ძალებმა და რუსმა ე.წ. „მშვიდობისმყოფელებმა“. ამ ხელშეშლის გამო, დანარჩენი მსოფლიოს მიერ არაღიარებული ტერიტორიები დღესაც არაა დაცული -ს დამკვირვებლების მიერ.

აშშ-ს როლი საქართველოს კრიზისში

საქართველო აშშ-ს მიიჩნევს თავის მჭიდრო პარტნიორად უსაფრთხოების საკითხებში. განსაკუთრებით ეს თანამშრომლობა გამოიკვეთა ჯერ კიდევ 2002 წელს, აშშ-ს მიერ მოხდა ქართული ჯარის მოდერნიზება. აშშ მხარს უჭერს საქართველოს თ-ში განევრიანებას. საქართველომ თავისი ჯარის ნაწილები გაგზავნა საერთაშორისო კრიზისულ ტერიტორიებზე და მიიღო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში. ერაყში ქართული კონტიგენტი შეადგენდა 2000 ჯარისკაცს და ეს იყო ერთ-ერთი დიდი კონტიგენტი.

აშშ-ს დიდი დაინტერესება საქართველოთი განსაკუთრებით გამოიხატა 2003 წელს, როდესაც აშშ როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურად მხარს უჭერდა „ვარდების რევოლუციას“ და შემდგომში საქართველოში გატარებულ რეფორმებს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, საქართველო 2006 წელს III ადილზე იყო როგორც უდიდესი ამერიკული ფინანსური დახმარების მიმღები ქვეყანა ერთ სულზე გაანგარიშებით. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ეს გამოიწვევდა რუსეთის გაღიზიანებას და 2008 წლის ომიც არ იყო შემთხვევითი მოვლენა, აშშ, როგორც რუსეთის კონკურენტი, საქართველოს პარტნიორი ქვეყანა გახდა და ფაქტიურად რუსეთს ხელიდან გამოეცალა მისი გავლენის სფეროები ამერკავკასიაში.

საქართველოს კრიზისი და ევროპული „აღმოსავლეთის პოლიტიკა“

საქართველო მდებარეობს -ის აღმოსავლური პროექტების კუთხეში: ესაა ევროპული კეთილმეზობლური პოლიტიკა, რომელსაც ამიერკავკასია 2004 წლიდან შეუერთდა. ბოლოს ამას დაემატა პოლონეთისა და შვედეთის ინიცირებული პროექტები აღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამავე დროს, გერმანიის მიერ შემუშავებული აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სტრატეგიაც ამ სპექტრში განიხილება. იმის გამო, რომ კავკასია წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ტრანსკორიდორს, ამიერკავკასიას გააჩნია ენერგო-პოლიტიკური პერსპექტივები, რომელიც დაკავშირებულია კასპიისა და შუაზიურ ნავთობთან.

საქართველოს კრიზისმა ხელი შეუშალა ამ აღმოსავლური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას, ოქტომბერში -ს აღმოსავლელ მეზობლებთან დაახლოებას.

2008 წლის დეკემბრის დასაწყისში, საგარეო კომისიამ შესთავაზა აღმოსავლელ პარტნიორებს პარტნიორობის პროგრამა, ესაა 6 სახელმწიფო: სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა. ამ ქვეყნებს გააჩნიათ შემდეგი უპირატესობები: სავაჭრო პრივილეგიები, ვიზის გაუმჯობესება და სხვა პრივილეგიებისა და მის აღმოსავლელ პარტნიორებს შორის. იმისათვის რომ რუსეთი დაემშვიდებინათ, კომისიის პრეზიდენტმა ხოსე მანუელ ბაროზომ მიუთითა, რომ არავითარი გამყოფი ხაზი ევროპაში არ წარმოიქმნება და რუსეთი არ იქნება იზოლირებული.

ევროპული გადმოსახედიდან ეს ომი იყო ძალის გადამეტება რუსეთის მხრიდან და მიმართა უკრაინასაც, სადაც სევასტოპოლიში განთავსებულია რუსული ფლოტი, რომელიც უკრაინაში დავის საგანს წარმოადგენს. რუსი პოლიტიკოსების გამონათქვამებით ჩანს, რომ რუსეთი უკრაინას აღიქვამს, როგორც ხელოვნურ სახელმწიფოს, ვინაიდან ამ ქვეყანაში დიდი რაოდენობით რუსული წარმოშობის ადამიანი ცხოვრობს. რუსეთი, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობს დაშალოს შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობა. აგრეთვე საქართველოს, იმის გამო, რომ მისი ტერიტორიების დიდი წარმოშობის მიერაა ოკუპირებული, ხელი ეშლება სამეზობლო ურთიერთობებში აქტიურად ჩაბმაში.

კედელი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარებით რუსეთმა სისრულეში მოიყვანა კედელი, რომელიც აღმართულია მასსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. მანამდე რუსეთი ამიერკავკასიაში მსგავს კონფლიქტებში სარგებლობდა მშვიდობისმყოფელის სტატუსით და ყოველთვის გვერდს უვლიდა თავისი პროტექციონიზმის გამოვლენას. თავდაპირველად მან უცნაური კავშირი დაამყარა სეპარატისტებთან, მაგრამ მათ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საუბარიც კი არ იყო. მიუხედავად ამისა, კოკოითის მთავრობა ომამდეც ფაქტიურად რუსი სპეცაგენტებითა და სამხედროებით იყო დაკომპლექტებული. იმის შემდეგ კი დასუსტებული და მისი დანგრეული ეკონომიკა რუსეთზე გახდა დამკიდებული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის მიერ კოკოითისთვის გაცემული 350 მლნ \$-ის წარმოშობა არ ხებში ჩაიკარგა.

ამისგან განსხვავებით, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მიუხედავად რუსეთზე დიდი ეკონომიკური დამოკიდებულებისა, აფხაზეთს თავი ვერ წარმოუდგენია ეთნიკური ავტონომიების „რუსული კავკასიის“ წევრად, არამედ მიაჩნია, რომ მას სტრატეგიული მდებარეობა უკავია შავ ზღვაზე, რომელიც საერთაშორისო ყურადღებას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, აფხაზურმა გაზეთმა 2009 წელს გამოაქვეყნა მაღალი ეკონომიკური დამოკიდებულების შესახებ რუსეთთან. ამ სეპარატისტული რესპუბლიკის მცხოვრებლები დაახლოებით 200 000 მაცხოვრებელს შეადგენს და მისი საშინაო მოხმარების 60% რუსეთის მიერ ფინანსდება.

რუსეთი, თავის მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად მიუთითებს „მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის“ შესახებ, ამას იგი საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით აცხადებს, მაგრამ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში აფხაზეთისა და სამხრ. ოსეთის აღიარებით დაარღვია გაეროს უსაფრთხოების რეზოლუცია. საქართველოს კრიზისმა ცხადყო, რომ რუსეთი ვერ აკონტროლებს მისი ე.წ. „გავლენის სფეროებს“ კავკასიაში. მან დაკარგა ნდობა მსოფლიო საზოგადოების წინაშე და ვერ მიიღო

თანამშრომლობა ევრაზიული რეგიონალური ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა მაგ. შანხაის ორგანიზაცია. დასავლეთში მიაჩნიათ, რომ რუსეთის მსგავსი „მარტო სიარული“ მსოფლიო პოლიტიკაში ემსახურება რუსულ საზოგადოებაში რუსული პოლიტიკური ელიტის პოზიციების გამყარებას. ეს გამჩნდა კიდეც, 2008 წელს გამოკითხვებში პუტინმა მიიღო 88%, ხოლო მედვედევმა 83% ხმებისა.

სამხრეთ კავკასია ომის შემდეგ

საქართველოს კრიზისი და კავკასიური კონფლიქტები სინონიმებად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთმა და ზერბაიჯანმა თავშეკავებულად გამოთქვეს თავიანთი აზრები ამ ომთან დაკავშირებით, ისინი მაინც აღმოჩნდნენ ამ სიტუაციაში ჩათრეული, რადგან ამ ომის მერე წინ წამოიჭრა მთიანი ყარაბახის თემა. აზერბაიჯანი, როგორც გაყინული კონფლიქტებით ერთ-ერთი დაზარალებული, ყრადლებით ადევნებდა თვალს რუსულ და მსოფლიო პოლიტიკას გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. ილჰამ ალიევის მოსკოვში ვიზიტისას მოსკოვი აცხადებდა, რომ ყარაბახის პოლიტიკა არ შეცვლილა და ის კვლავ მინსკის შეთანხმების ჩარჩოში იჯდა. რუსეთი ეყრდნობოდა იმას, რომ აფხაზეთისა და სამხრ. ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება იყო „კოსოვოს პრეცენდენტის“ ანალოგია, მაგრამ ეს ყოვლად აბსურდულია.

ამ ომამდე რუსეთი აყალიბებდა ამ რეგიონში სამშვიდობო პოლიტიკას, რომლისაც წლების განმავლობაში საქართველოში არავის სჯეროდა, დღესდღეობით კი ნათელი გახდა რომ რუსეთი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ამ კონფლიქტებში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს უწინდება შანსი, რომ საერთაშორისო ძალების დახმარებით აიძულოს რუსეთი გავიდეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან და დაემორჩილოს საერთაშორისო სამართალს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შოთა მალაშვიას – „კონფლიქტების პროგნოზირება“ ;
2. ჟურნალი – „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სტატია იაკობ მესხიასი – „ომი და ეკონომიკა“;
3. Von Uwe Halbach, veröffentlicht auf aussenpolitik. Net:14.11.2009
4. http://www.bpb.de/publikationen/UVG20J,5,0,Die_Georgienkrise_als_weltpolitisches_Thema.html

ნინო ცაგურია, ეკა ცერცნაძე

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

მედიის როლი განვითარებად ქვეყნები

ხელმძღვანელი პროფესორი: მაკა დოლიძე

მედიას აქვს უნარი საზოგადოებაზე ზემოქმედების, რაც მას დიდ ძალაუფლებას ანიჭებს. ეს ძალაუფლება კი შეიძლება გაოყენებულ იქნას როგორც საზოგადოების სასარგებლოდ, ასევე პირიქითაც. ის შეიძლება „მასობრივი განადგურების იარაღად“ იქცეს.

1994 წელს აფრიკის ქვეყანა რუანდაში, მოხდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გენოციდი, 100 დღის განმავლობაში 800,000 ადამიანი დაიხოცა. უმეტესობა იყო ტუტსელი (რუანდელი ტომი) და მათ შორის უმრავლესობა, იყო ისინი, ვინც ემზადებოდა პუტუების წინააღმდეგ. დაპირისპირება მოხდა ეთნიკური შუღლის ნიადაგზე.

გენოციდს რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი:

1. პრეზიდენტ ჰაბიარიმანას გარდაცვალებამ, რაც პუტუებისათვის აღმოჩნდა ომის დაწყების საბაბი;
2. პუტუების სიმრავლემ;
3. მედია პროპაგანდამ.

მედიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა გენოციდში, მის განვითარებასა და შედეგებში. ადგილობრივი ბეჭდური და რადიო საშალებები რუანდაში გენოციდის დროს და გენოციდამდეც „სიძულვილის ენას“ აქტიურად იყენებდა ტუტსების წინააღმდეგ.

გაზეთ „კანგურაში“ იწერებოდა ნიუსები, რომლითაც პუტუელ ექსტრემისტებს აქეზებდნენ. „ტუტსი ლვთის დაბრკოლება“ – ასეთი სათაურებით იწერებოდა სტატიები ტუტსების წინააღმდეგ.

საზოგადოების იმ ნაწილზე ზემოქმედებისათვის, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ხელისუფლებისათვის რადიო იყო საუკეთესო საშუალება. სწორედ ამ გზით ხდებოდა გარკვეული ინფორმაციის გავრცელება. „მოკალი, სანამ ის მოგვლავს“ – ასეთი განცხადებები ისმოდა რადიოში. პირდაპირ ასახელებდნენ ტუტსელთა ვინაობასა და მისამართებს, რათა უფრო ადვილად მიეგნოთ მათთვის და გაენადგურებინათ.

რუანდის გენოციდის პროვოცირებასა და შედეგებზე მეტწილად პასუხისმგებელი მედია აღმოჩნდა. ვინაიდან, მან იმოქმედა პუტუელთა ცნობიერებაზე. სწორედ მასმედიის საშუალებით ჩაუწერებული იყო გარკვეული მათი მტრები იყვნენ, რომლებიც უნდა გაენადგურებინათ. აღნიშნული ფაქტი კარგად ასახავს როგორ შეიძლება გამოიყენოს მედია გარკვეულმა ჯგუფმა, პირადი ინტერესებისათვის, საზოგადოების საწინააღმდეგოდ. როგორ შეიძლება მედიის პროპაგანდით, საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედება და მათი აზრის ფორმირება. რუანდაში მედიის პროპაგანდის ასეთ შედეგებამდე მისვლა გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ ქვეყანა იყო განვითარებადი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იყო წერა-კითხვის უცდინარი, მათი სამოქალაქო ცნობიერება კი სამაოდ დაბალი იყო. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში მედიისათვის უფრო მარტივია ზემოქმედების მოხდენა. თუმცა, ეს არ არის მედიის დანიშნულება.

რეალურად მასმედია არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის გავრცელებას. ის არის „ინსტრუმენტი“ საზოგადოების ხელში, რომლის მეშვეობითაც ის კონტროლს ამყარებს ხელისუფლებაზე.

მედიის როლი, როგორც ხელისუფლების გაკონტროლების, ძალიან კარგად გამოიკვეთა ვიეტნამის ომის დროს, როდესაც მასმედიამ შეძლო აშშ-ს საზოგადოებსათვის მიენოდებინა რეალური ინფორმაცია ომის მსვლელის შესახებ და რამაც გამოიწვია თავდაცვის მინისტრის, მაკამარასა და აშშ-ს პრეზიდენტის, ჯონსონის მიმართ, საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვა. ამის გამო, მინისტრმა პოსტი დატოვა, ხოლო პრეზიდენტს მეორე ვადაზე თავისი კარდიდატურა აღარ წარუდგენია.

მედიის როლი და დანიშნულება განვითარებად თუ განუვითარებელ ქვეყანაში სწორედ ეს არის – მიაწოდო ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია საზოგადოებას. თუმცა, მისი დანიშნულება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არ არის. ის ხშირად არსებული ინფორმაციის ანალიზით ახდენს საზოგადოების აზრის ფორმირებას მათ სასიკეთოთ, თუ საზიანოდ. „მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემორატიის ჩამოყალიბებაში. ეს არის ხერხემალი დემორატიის. მედია ხელს უწყობს მრავალფეროვან სოციალურ, პოლიტიურ და ეკონომიურ აქტივობებს მთელს მსოფლიოში. ის გავს სარკეს, რომელიც აჩვენეს რეალობას ჩვენი ცხოვრების.“

მასმედიას ძალიან დიდი როლი აქვს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონირება. განვითარებადი ქვეყნები იბრძვიან განვითარებისაკენ, სადაც ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები. განვითარების ასეთი პირობები თავისთავად გულისხმობს საზოგადოების აზროვნების ფორმირებას. ამ დროს, მედიას უდიდესი დანიშნულება აქვს – მას უნდა ჰქონდეს კავშირი საზოგადოებასთან. უნდა იმუშაოს მისი ცნობიერების ამაღლებაზე. ვინაიდან, მხოლოდ მაღალი ცნობიერების მქონე საზოგადოებას შეუძლია შექმნას მაღალგანვითარებული სახელწიფო.

„განვითარებადი ქვეყნების დილემა არის ის, რომ ადამიანები არ არიან გაცნობიერებული თავიანთ უფლებებში და რომც იყვნენ, არ იციან როგორ გამოიყენონ ეს უფლებები. მათ არ იციან როგორ შეიძლება გააპროტესტონ და რა მნიშვნელობა აქვს პროტესტს.“

ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიას – „უურნალისტიკის უპირველესი მიზანი არის მოქალაქეების უზრუნველყოფა იმ ინფორმაციით, რომელიც მას თავისუფლებისა და თვითმმართველობისათვის სჭირდებათ“

ბევრი განვითარებადი სახელმწიფოების მიზანი არის მაღალი დემოკრატიის დონის მიღწევა. „დემოკრატია კი არის ხელისუფლება ხალხის, ხალხისთვის და ხალხის მიერ.“ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრის გათვალისწინება. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას აქვს მაღალი ცნობიერება, მას შეუძლია ხელისუფლება გახადოს ანგარიშვალდებული და განახორციელებინოს ცვლილებები. თუმცა, იმისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რა შეცდომა დაუშვა მისმა ხელისუფლებამ, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ამის შესახებ. ხოლო მედია არის ერთადერთი, რომელიც ინფორმაციას აწვდის მათ. „საზოგადოების დიდი ნაწილი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციას მედიისაგან იღებს. მით უმეტეს, რომ მედია ყოველთვის თვალს ადევნებს საპარლამენტო სხდომებსა და სასამართლო პროცესებს. უურნა-

ლისტიკისათვის ხელის შეშლა ინფორმაციის მიღებაში კი საზოგადოების უფლებების დარღვევაა. ამ უფლებას კი მედია კარგად იყენებს.“

როგორც ინფორმატორმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ობიექტურად, იმის მიხედვით რა არის საზოგადოებისათვის ყველაზე საინტერესო. თუმცა, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „ინფორმაციის ასეთი სახით მიწოდება შეიძლება გამართლებული იყოს ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიც მაგალითად, არის დიდი ბრიტანეთი. მაგრამ, ისეთ ქვეყნები, როგორიცაა ბანგლადეში, პასტანი, სადაც ადამიანების უმრავლესობა არის გაუნათლებელი, რომელთაც არ უჩნდებათ კითხვები, მედიის როლი არის შემცირებული და ის დამოუკიდებლად აწვდის ინფორმაციას“.

აქედან გამომდინარე, ვთიქრობთ, ერთმანეთისაგან განსხვავდება საზოგადოებისათვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია. განვითარებად სახელმწიფოებში, შესაძლოა ადამიანებისათვის არ იყოს საინტერესო ის, რაც მათ უნდა იცოდნენ, იმისთვის რომ იყვნენ სრულფასოვანი მოქალაქეები. ასეთ შემთხვევაში, მედიის დანიშნულება არის, მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ სამოქალაქო ცნობიერებაც აამაღლებს, თუნდაც, ეს არ იყოს მათთვის საინტერესო.

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, სადაც უმეტესად მაღალი თვითშეგნების საზოგადოება არის, საინტერესო სწორედ ის არის, რაც მათთვის, როგორც მოქალაქეებისათვის არის მნიშვნელოვანი. ამიტომ, მედიამ უნდა მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის საინტერესოა.

მედიის ფუნქციონირება განსხვავებულია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის იმის მიხედვითაც როგორ არის ქვეყნის მოსახლეობა განთავსებული. განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქშია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – სოფლად. განვითარებად ქვეყნებში, თუ მედია ორიენტირებული იქნება ურბანულ ნაწილზე ინფორმაციის მიწოდებით, აღმოჩნდება, რომ ის ორიენტირებული არის უმცირესობაზე.

განვითარებად ქვეყნებში, სადაც მედიისათვის არ არის პროფესიული თვისებები იმ ხარისხით მიწოდებული, როგორიც დასავლეთში, პრე- და პოსტ-პროფესიონალური ფაზები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. მაგალითად, ჩინეთი, სადაც მედიის ძირითადი ნაწილი კონტროლდება პარტიების მიერ, ბლოგერთა სფერო, მიუხედავად ინტერნეტის ზედამხედველობისა, მოქალაქეების მიერ არის უზრუნველყოფილი, როგორც მოდარაჯე ძალლი. 2006 წლისათვის იქ იყო 136 მილიონი ინტერნეტმომხმარებელი და ათი მილიონი ბლოგი. ჩინეთი არის მაგალითი როგორ შეიძლება დამყარდეს თვითმმართველობა ჟურნალისტიკის მეშვეობით.

მედია ასევე ემსახურება ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობას, ის ხელს უწყობს მათ შორის საჯარო დებატებს. დემოკრატიის განვითარებისათვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელს უწყობს სამოქალაქო კულტურის განვითარებას. რაც ავტოკრატიული მმართველობის პირობებში შეუძლებელია.

„ეროვნული განვითარების სამსახურში, მედია არის სოციალური ცვლილების აგენტი.“ სოციალური ცვლილების დროს საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ ისინი მიაღწევენ ცვლილებას, შეითვისებენ ახალ ჩვევებს და ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოაყალიბებენ ახალ სოციალურ ურთიერთობებსაც. ამისათვის ადამიანებს პირველ რიგში: გაცნობიერებული უნდა ჰქოდეთ რა არ არის მათთვის სასურველი ახლანდელი ჩვეულებებიდან; მეორე, მათ უნდა მოიფიქრონ ან გადმოიღონ ის ჩვევა, რომელიც მათთვის არის სა-

ჭირო. ამ დროს მნიშვნელოვანია მედიის ფუნქციონირება. სწორედ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, ან თავად საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის წარმოქმნა. საჯარო დებატებისა თუ ანალიტიკური გადაცემების მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზრის გაცვლა და საზოგადოებისათვის სასურველი შედეგის მიღწევა.

მედია უნდა იყოს სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი და არა ხელისუფლების ინტერესების დამცველი. წინა პლანზე უნდა დადგეს საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესები. თუმცა, „მხოლოდ დამოუკიდებელ მედიას შეუძლია განსაზღვროს საზოგადოების პრობლემები და პრიორიტეტები“ (Prof. Parminder. S. Bhoqal)

გამოყენებული ლიტერატურა

1. მედიის როლი დემოკრატიის გაღრმავებაში, Sheila S. Coronel
2. <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan010194.pdf>
3. გენოციდი რუანდაში
4. <http://www.hrw.org/legacy/reports/1999/rwanda/>
4. რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მედიას საზეოგადოებაზე
<http://www.blurit.com/q692672.html>
5. კოვაჩი, როზენსტილი – „ურნალისტიკის ელემენტები“
6. მედიის როლი დემოკრატიაში
5. http://www oppapers com/essays/The-Role-Of-Media-In-Democracy/539464?read_essay
6. „ურნალისტებისაგან ურნალისტებს“, ბრიტანეთის საბჭოს გამოცემით (2007 წ).
7. მედიისა და პრესის თავისუფლება განვითარებად სახელმწიფოში
8. <http://www.wan-press.org/IMG/pdf/RhodesUniversity.pdf>
9. რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მედიას საზეოგადოებაზე
10. <http://www.blurit.com/q692672.htm>
10. როგორ მოხდა გენოციდი
11. <http://news.bbc.co.uk/2/hi/1288230.stm>
11. მედია და რუანდის გენოციდ
12. <http://www.idrc.ca/openebooks/338-0/>
12. მედიის როლი დემოკრატიაში
13. http://www oppapers com/essays/The-Role-Of-Media-In-Democracy/539464?read_essay
14. მასმედია და ეროვნული განვითარება; ინფორმაციის როლი განვითარებად ქვეყნებში – wilbur schramm http://books.google.ge/books?id=z16jAAAAIAAJ&pg=PA99&lpg=PA99&dq=media+role+in+developing+country&source=bl&ots=3Ff92E-9nb&sig=af7omDl2JgEtfZY0XtF-QGbXE&hl=ka&ei=2nCyTbHfAZDpOcLUiPwI&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=4&ved=0CCgQ6AEwAzbU#v=onepage&q&f=false
13. „მედია, როგორც მოდარაჯე ძალი“ Sheila S. Coronel
15. <http://www.hks.harvard.edu/fs/pnorris/Conference/Conference%20papers/Coronel%20Watchdog.pdf>
14. მედიის როლი განვითარებად საზოგადოებაში
16. <http://www.scribd.com/doc/31932545/Role-of-Mass-Media-in-Developing-Societies>

ლალი ცერცვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

განსაკუთრებული საჭიროების პავოვაბის მიმართ გამოყენებული ტერმინოლოგია

ხელმძღვანელი პროფესორი: **ნინო ჭალაგანიძე**

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების დასამსხვრევად, მათი პრობლემების გაშუქებისას, უურნალისტთა ერთიან სასაუბრო სტილზე შეთანხმებაა საჭირო. მედიის წარმომადგენლებმა საზოგადოებას უნდა დაანახონ, რომ გადაადგილების, სმენის, მხედველობის თუ რომელიმე სხვა შესაძლებლობის შეზღუდულობის მიუხედავად, ყოველი ბავშვი განსაკუთრებული და თანასწორია. საპირისპიროდ ამისა, ხშირად უურნალისტები თავად ხდებიან სტერეოტიპების მსხვერპლი. რესპონდენტის სახელდებისას არ იშველიებენ ნეიტრალურ ტერმინებს. შედეგად, ბავშვის, როგორც ინდივიდის, ლირსება ილახება, საზოგადოებაში კი მათ მიმართ არაჯანსაღი, სიბრალულნარევი დამოკიდებულება ინერგება. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით ბოლო პერიოდში დგას – გასულ წლებთან შედარებით, ქართველი უურნალისტები ბი ახლა ხომ უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების პრობლემებისადმი . მეტ ყურადღებას, სამწუხაროდ, მეტი ხარვეზიც ახლავს. ამდენად, საჭიროა, დადგინდეს, რომელია სოციალური (ჩვენს შემთხვევაში კი, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე არასრულწლოვანთა) საკითხების გაშუქების სუსტი მხარეები და საერთო ძალებით შევეცადოთ მათს გამოსწორებას.

იმისათვის, რომ გაგვეგო, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მოხსენიებისას, სადღეისოდ, რა ტერმინებია გავრცელებული ქართულ მედიაში და რა სიხშირით გამოიყენება ისინი, შევეცადეთ, სამ ქართულ საინფორმაციო სააგენტოს: „ინტერპრესნიუსს“, „ჯი-ეიჩ-ენსა“ და „მედიანიუსს“ დავკვირვებოდით. ჩვენი ყურადღების სააგენტოებზე შეჩერება მარტივმა მიზეზმა განაპირობა – პრესასა და ტელევიზიაში, ასე თუ ისე, ყოველდღე ვკითხულობთ და გვესმის, რა ხდება. საიფორმაციო სააგენტოები კი ის ორგანოებია, რომელთა ცნობებზე დაყრდნობითაც, ხშირად, სტატიები და სიუჟეტები მზადდება. მათ კი, ვისთვისაც ინფორმაციის მიღების წყარო ინტერნეტი არ არის, წარმოდგენა არ აქვს, რას წერენ სააგენტოები. ამდენად, საინტერესოდ მივიჩნიეთ, გვეკვლია, ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით, რა ვითარებაა აქ შექმნილი.

დასაკვირვებლად ოთხთვიანი პერიოდი შევარჩიეთ – 2011 წლის იანვრიდან ამავე წლის აპრილის ჩათვლით (სააგენტოების ინფორმაციული ბაზა საშუალებას იძლევა, დაარქივებულ მასალასაც გაეცნო). დაკვირვებისა და მონაცემთა ანალიზის გზით, შევეცადეთ, არა მარტო ტერმინები და მათი გამოყენების პერიოდულობა გვეკვლია, არამედ დასკვნებიც გამოგვეტანა იმაზე, თუ რა ხდება უურნალისტის მიერ ეთიკის დარღვევის მიზეზი – არცოდნა თუ გულგრილობა. კვლევის მიმდინარეობისას ერთი საგულისხმო ტენდენციაც გამოიკვეთა, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

დასაკვირვებელი პერიოდი, საინფორმაციო სააგენტოებში, განსაკურებული საჭიროებების მქონე ბავშვთა საკითხებით დახუნდლული არ აღმოჩნდა. შევძელით ორი ათეული ამბის პოვნა, რომელთაგანაც ნახევარში შეგვხვდა არანეიტრალური ტერმინები. ეს ტერმინოლოგია გახლდათ: ინვალიდი, უსინათლო, ყრუ-მუნჯი, უნარშეზღუდული. შევეცადეთ, ზოგადი სურათის შესაქმნელად, მათგან რამდენიმე მაგალითი ამოგვერჩია:

1. „ინტერპრესნიუსმა“, 16 აპრილს, გაავრცელა ინფორმაცია სათაურით „გორში უნარშეზღუდული პატარები თოვინების თეატრის წარმოდგენას დაესწრებიან“. ამბის დასაწყისში ვკითხულობთ: „თოვინების თეატრის წარმოდგენას, სხვა პატარებთან ერთად, 10 უნარშეზღუდული ბავშვიც დაესწრება“. მთავარი სიახლე, რომელსაც ამბავი შეიცავდა და რომლის გამოც ის ღირებული იყო, გახლდათ გორის დრამატულ თეატრსა და თეატრალურ ინსტიტუტს შორის მემორანდუმის გაფორმება, რომლის ფარგლებშიც, თოვინების თეატრის წარმოდგენები გაიმართებოდა. წარმოდგენები გათვლილი გახლდათ, ზოგადად, ბავშვებზე. ამდენად, რაიმე ნიშნით ათი პატარის სხვა ბავშვებისაგან გამორჩევა ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო. როგორც ვხედავთ, ამ ინფორმაციაში არაეთიკურია არა მხოლოდ ტერმინი „უნარშეზღუდული“, არამედ ბავშვების განსაკუთრებული საჭიროებების მქონეობის ხაზგასმაც.

2. „ჯი-ეიჩ-ენი“, 8 იანვარი. ნიუსში სათაურით „ყრუ-მუნჯი ბავშვების დახმარების მიზნით გამოფენა-გაყიდვა გაიმართება“ ვკითხულობთ: „ნატო გრიგალაშვილის, მიხეილ კოკოჩაშვილისა და გვანცა ლობჟანიძის კიდევ ერთი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მიზნად ისახავს ყრუ-მუნჯი ბავშვების დახმარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას“. უურნალისტმა იცის, რომ ქველმოქმედ მხატვართა მიზანი სმენისა და მეტყველების პრობლემის მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაა, თუმცა უჭირს, გააცნობიეროს, რომ „ყრუ-მუნჯის“ დაძახება პატარებს სწორედ ამ ინტეგრაციის პროცესში შეუშლის ხელს. ავტორი აგრძელებს: „აღსანიშნავია, რომ მიხეილ კოკოჩაშვილი არის ყრუ-მუნჯი“. შევედავებით: სულაც არ არის აღსანიშნავი! მით უმეტეს უადგილოა ის ბიოგრაფიული ცნობები და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დეტალები, რომელსაც, ნიუსის დასასრულს, უურნალისტი მიხეილ კოკოჩაშვილზე გვაწვდის. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დანარჩენი ორი მხატვარიც აქტიურადა ჩართული და თუ მათი ღვანლის წარმოჩენა უნდოდა, ავტორს სამივე ხელოვანზე თანაბრად უნდა ესაუბრა. ინფორმაციაში უმთავრესი არა მხატვრის შეზღუდული შესაძლებლობები, არამედ მისი ნიჭიერება და გულისხმიერებაა. ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულება შეცოდებით იმიტომ შემოიფარგლება, რომ მედიის წარმომადგენლები ცდას არ აკლებენ, მათდამი არა პატივისცემა, არამედ სიბრალული განგვივითარონ.

3. „ჯი-ეიჩ-ენი“, 22 მარტი. ნიუსში სათაურით „არასამთავრო ორგანზაციები აწყობენ აქციას – „სოლიდარობა იაპონელ ხალხს“ ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი“ ხუთჯერ არის გამოყენებული, ერთხელ კი ვხვდებით „ინვალიდობის მქონე ბავშვსაც“. ჩანს, უურნალისტმა იცის, რომელია შედარებით უფრო ნეიტრალური გამოთქმა, თუმცა, უბრალო ტავტოლოგიის თავიდან ასარიდებლად მისი შემცვლელის გამოძებნა გადაუწყვიტავს.

4. „მედიანიუსი“, 13 იანვარი. ვხვდებით ნიუსს სათაურით „უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს წასაკითხი აპარატურა გადაეცა“. ნიუსში ვკითხულობთ: „ნორვეგიის მთავრობისგან საჩუქრად გადმოცემული სპეციალურად სუსტი მხედველო-

ბის ბავშვებისთვის განკუთვნილი წასაკითხი აპარატურა [...] მორგებულია ნებისმიერი ბავშვის მდგომარეობაზე და აქვს სხვადასხვა მანიპულაციის საშუალება, როგორიცაა ტექსტის გადიდება, ფერის შეცვლა და მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია. უსინათლო ბავშვებს გადაეცათ სხვადასხვა სახის გამადიდებელი ლინზები.“ ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ მედიის წარმომადგენლები ერთიან ტერმინოლოგიაზე შეთანხმებული არ არიან. დასაწყისში ნათქვამი „სუსტი მხედველობის ბავშვი“ უურნალისტმა მოგვიანებით „უსინათლოთი“ შეცვალა. ეთიკური წორმა რომ არ დაერღვია და ტავტოლოგიაც თავიდან აერიდებინა, ავტორს შეეძლო, ბოლო წინადადებაში სიტყვისთვის „ბავშვებს“ განსაზღვრება სულაც არ დაერთო. ისედაც ცხადია, რომ ლინზები მხედველობის პრობლემის არმქონე ბავშვებს არ დასჭირდებოდათ. თანაც, დასაწყისში ნახსენები 202 სკოლა-პანსეონი, რომლის აღსაზრდელებიც დასაჩუქრდნენ, სწორედ მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვებისთვის არის გათვლილი. ამდენად, მცირედი ძალისხმევაც კი არ იქნებოდა საჭირო ამბის ნეიტრალურ ენაზე გადმოსაცემად.

ტენდენცია კი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ასეთია: საინფორმაციო სააგენტოების საძიებო ველში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა მიმართ გავრცელებული არაეთიკური ტერმინების ჩაწერისას მიღებულ შედეგებს შორის, 2011 წლის აპრილამდე არსებულ ინფორმაციას გასული წლების (2010, 2009) აპრილამდე არსებული ნიუსები სჭარბობს. ეს კი იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ადეკვატური სტილი თანდათან მკვიდრდება, თუმცა, სრულად დანეგილი არ არის.

მოცემულმა მცირემასშტაბიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ საინფორმაციო სააგენტოებში („ინტერპრესნიუსი“, „ჯი-ეიჩ-ენი“, „მედიანიუსი“) ბოლო ოთხი თვის მანძილზე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა საკითხის მომცველი ოცი ამბავი გაშუქდა. აქედან ათი არანეიტრალური და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგით იყო გაჯერებული.

განხილულ მაგალითთაგან ორში, გამოიკვეთა, რომ უურნალისტი ეთიკურ წორმებს არცოდნის გამო არღვევს – ყველგან უხეშ ტერმინს იყენებს, რაც გვავარაუდებინებს, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა სახელდებისთვის სხვა სიტყვა ან არ გაუგონია, ან გაუგონია, მაგრამ თავის მიერ გამოყენებულზე უარესი ჰგონია. დანარჩენ ორ შემთხვევაში კი, უურნალისტი, უბრალოდ, გულგრილია – ნეიტრალური ტერმინები უხვად უწერია, მაგრამ მათს სინონიმებად არაეთიკურ განსაზღვრებსაც მოიშველიებს. ფიქრობს, რომ ტავტოლოგია და ლექსიკური სიმნირე უფრო მძიმე შეცდომებია, ვიდრე ზედსართავი სახელები: „უნარშეზღუდულო“, „ბრმა“, „ყრუ-მუნჯი“, „ინვალიდი“.

შეჯამების სახით კი შეიძლება ითქვს, უურნალისტები თავისუფალნი არ არიან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ არსებული სტერეოპტიპებისგან, რაც, თავის მხრივ, ამ სტერეოტიპთა კიდევ უფრო ფართოდ დანერგვას უწყობს ხელს. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, მედიის წარმომადგენლებმა ბავშვთა უფლებების აღიარება ისწავლონ და პატივი სცენ პატარებს, როგორც ინდივიდებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში, სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, თბილისი, 2008.
2. ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიის ეთიკა საქართველოში - სიტუაციური ანალიზი, ზვიად ქორიძე, თბილისი, 2008.
3. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში, მარი ახსიაშვილი, თბილისი, 2010.

მედიაბმულები:

1. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ – [http://www.interpressnews.ge/
ge/regioni/166027-gorshi-unarshezghuduli-patarebi-thojinebis-theatris-tsarmodgenas-daestsrebian.html](http://www.interpressnews.ge/ge/regioni/166027-gorshi-unarshezghuduli-patarebi-thojinebis-theatris-tsarmodgenas-daestsrebian.html)
2. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ – <http://ghn.ge/news-31412.html>
3. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ – <http://ghn.ge/news-37638.html>
4. საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ – [http://medianews.ge/ index. php/ka /content/57690/](http://medianews.ge/index.php/ka/content/57690/)

მარიამ აბულაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

აგრესია მოზარდებში

ხელმძღვანელი პროფესორი: ლია სვანიძე

ფსიქოლოგთა განმარტებით აგრესია მათი თვითგამოხატვის ფორმაა, ვისაც მაშინ-ვე არ შეუძლია უარყოფითი ემოციის ადეკვატურად გამომჟღავნება. არიან ადამიანები, რომელთაც ემოციის გამოხატვა უჭირთ, მაგრამ დაგროვილი განცდა და ბოლმა უკვა-ლოდ არ ქრება და მოგვიანებით სწორედ აგრესიული და სასტიკი ქცევის სახით ამოხეთ-ქავს ხოლმე.

აგრესიულობა, როგორც თვისება ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება და გამოხატუ-ლების სხვადასხვა ფორმა ახასიათებს. ფსიქოლოგიაში ცნობილია ვერბალური და ფი-ზიკური აგრესია. თითოეულ მათგანს აქვს პირდაპირი და ირიბი ფორმა. პირდაპირი ვერბალური აგრესია წარმოადგენს ვერბალური ფორმით სხვის შეურაცხყოფასა და დამცირებას. ირიბი ვერბალური აგრესია კი მიმართულია თანატოლის მიმართ მუქარი-სა და უხეში სიტყვიერი მოპყრობისკენ.

პატარა ბავშვებში პათოლოგიური აგრესიის არსებობა განსაკუთრებული ინტერესის საგანია. იგი ხშირად ვლინდება ობლებსა და არასრულყოფილ ოჯახებში გაზრდილ, ასე-ვე ბავშვებში, რომლებმაც დედობილ-მამობილი გამოიცვალეს, ცხოვრობენ საბავშვო სახლებში ან სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ეს ბავშვები არ არიან ჭკუასუსტე-ბი, თუმცა ახასიათებთ გონიერივად ჩამორჩენილი, უკონტროლო, უშინაარსო, დესტრუქ-ციული მონაცემები, განიცდიან სიამოვნებას ან სრულ გულგრილობას მათ მიერ დამ-ტვრეული ნივთებისადმი. ისინი აფუჭებენ ტანსაცმელს, ავეჯს, სათამაშოებს, უფროსე-ბისადმი არიან გულგრილნი, არ ემორჩილებიან მათ. ასეთი ბავშვების ურთიერთობა აღ-მზრდელებთან პრობლემურია, უფრო ღრმა განხილვისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პა-თოლოგიური ფაქტორები არსებობენ არა აგრესიულ გამოვლინებებში, არამედ მათი ლი-ბიდოზური (ეროტიული) განზრახვებისადმი კავშირების არარსებობაში. პათოლოგიური ფაქტორი ვლინდება, ეროტიული განვითარების სფეროში, რომელიც დამახასიათებელია ისეთი შიდა და გარე პირობების გავლენით, როგორიცაა სიყვარულის ობიექტის არარსე-ბობა, გარშემო მყოფი უფროსებისაგან ემოციური პასუხის ვერ მიღება, ემოციური კავში-რების მტკიცნეული გადაწყვეტა და ა.შ.

ბოლო ხანებში მოზარდებში იმატა აგრესიულმა ქცევებმა. მკვლევრები ცდილობენ დაადგინონ, თუ რა იწვევს აგრესიული ქცევის ზრდას. ერთ-ერთ მიზეზად თვლიან ტე-ლევიზიას, როგორც აგრესიული ქცევის მიბაძვის საშუალებას ქამსტოკის თქმით წელი-წადის ოთხ ბუნებრიც დროს, რომელთა მიხედვით ადამიანები თავიანთ ცხოვრებას გეგ-მავენ, ტელევიზიამ დაუმატა მეხუთე, ხელოვნური დრო. ამ ახალ ფაქტორს, წელიწადის ბუნებრივი დროების მსგავსად, თავისი ადგილი აქვს კალენდარში. საინტერესოა, რა როლს ასრულებს ტელევიზია საზოგადოებრივ ცხოვრებაში? მოზარდები საკმაოდ დიდხანს სხედან ტელევიზორის წინ და არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმ ფაქტმა, რომ ტელევიზიამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მათზე. ყველაზე ღრმადაა შესწავლილი საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს იგი ანტისაზოგადოებრივ ქცევაზე.

თვით ტელეგადაცემათა ყურება არ არის დაკავშირებული არც ანტისაზოგადოებრივ ქცევასთან, არც აგრესიასთან. სატელევიზიო გადაცემათა ყურება, როგორც ჩანს აგრესიულობის საფუძველია. ეს დასკვნა ათობით ლაბორატორიული და სხვა სახის კვლევებიდან გამომდინარეობს. ამა თუ იმ აგრესის ყურებას რა შედეგი მოჰყვება ამის განსაზღვრა ძნელია, რადგან იგი რეალურ ცხოვრებაში დამოკიდებულია სიტუაციურ ფაქტორზე. სატელევიზიო გადაცემებში ნაჩვენებ აგრესიას შეუძლია გარკვეულ პირობებში ლაგამი ამოსდოს შემდგომ აგრესიულობას, მაგრამ ამის მიზეზი, ალბათ, აგრესორის-თვის დამახასიათებელი შიშით გამოწვეული თავშეკავებაა და არა კათარზისი. კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა განვაცხადოთ, რომ ტელეგადაცემათა ძალადობასა და შემდგომ აგრესიულ ქცევას შორის არსებობს ურთიერთკავშირი, მაგრამ არ არსებობს პირდაპირი მონაცემები იმისა, რომ გადაჭრით ვთქვათ, რა გავლენას ახდენს ტელევიზია სერიოზულ ანტისაზოგადოებრივ ქცევაზე.

მეტად საყურადღებოა მულტფილმებში ნაჩვენები აგრესიული ქმედებები, რომელსაც ახორციოელებენ აგრეთვე მახინჯი ფიგურები. ეს ყოველივე ამახინჯებს ბავშვთა წარმოსახვას და უბიძგებს აგრესიული ქცევისკენ. მათ თითქოს იმუნიტეტი უმუშავდებათ აგრესიული ქმედებების მიმართ, ეს თანამედროვე მახინჯი ფიგურები, რომლებიც „ამშვენებენ“ დღევანდელ მულტფილმებს ბავშვების მიერ აღიქმებიან, როგორც ჩვეულებრივი და არა ულამაზო ფიგურები. ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ, ისე თანდათან გასასტიკად ფილმებიც და ისე თანდათან შევეჩვიეთ საშინელებებს ეკრანზე. შესაბამისად განმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ ძალადობაში არაფერია უჩვეულო და სასტიკის გამოვლინებები ყოველდღიურ ცხოვრებაში სავსებით დასაშვებია. ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად, ბავშვები, რომლებიც ხშირად უყურებენ ძალადობის შემცველ ფილმებს, უფრო ადვილად ეგუებიან თანატოლთა მტრულ, აგრესიულ ქცევებს, მათში გაცილებით ნაკლებადაა გამოხატული საპასუხო ემოციონალური რეაქცია და ძალადობისთვის წინააღმდეგობის განევის სურვილი.

როგორ შეიძლება ბავშვებზე ტელევიზიის ნეგატიური ზეგავლენის შესუსტება? ერთ-ერთი გზა არის მოზრდილის მიერ ბავშვისთვის გარკვეულ სატელევიზიო პროგრამებზე თუ ფილმებზე შეზღუდვების დაწესება. აქ შეიძლება სირთულეს წავაწყდეთ: როცა ბავშვს რაღაცას ვართმევთ სანაცვლოდ აუცილებლად უნდა შევთავაზოთ სხვა რამ, თუ არ გვსურს ბავშვმა ძალადობას უყუროს, მაშინ მათ შემეცნებითი და სასწავლო პროგრამების, მუსიკალური წარმოდგენების, სპექტაკლების, საბავშვო ფილმების ფართო სპექტრი უნდა შევთავაზოთ. ახლა კი გავეცნოთ აგრესიული ქცევის გამომწვევ რამდენიმე ყველაზე გავრცელებულ მიზეზს და აგრესიასთან გამკლავების ხერხებს.

აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები: ეს ყველაზე გავრცელებული მიზეზია. პატარას დათვურ სამსახურს ვუწევთ, ან ძალიან მკაცრად ვექცევით. მართალია, ძნელია ოქროს შუალედის პოვნა, მაგრამ ცდა ნამდვილად ღირს. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს შექება შენიშვნაზე ნაკლებად როდი სჭირდება.

არაჯანსალი ატმოსფერო: ოჯახში სადაც მშობლები ხშირად კამათობენ, ცივი ურთიერთობა აქვთ, არაჩვეულებრივი გარემოა აგრესიული ბავშვის ჩამოსაყალიბებლად. იმ ბავშვების ფსიქიკა, რომლებიც დაძაბულ ატმოსფეროში იზრდებიან, თითქმის ყოველთვის ტრავმირებულია.

თვითრეალიზების უუნარობა: აგრესიულები ხშირად ხდებიან ბავშვები, რომლებსაც უჭირთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. მათ რიცხვს ძირითადად ეკუთ-

ვნიან ისინი ვინც სკოლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებად ითვლებიან. თუ ბავშვს მისთვის განკუთვნილი სასკოლო მასალის ათვისება უჭირს, არ უნდა ვაიძულოთ, საათობით თავაუღებლად იჯდეს წიგნებთან. უნდა შევეცადოთ სახალისო გასართობებით მივაწოდით მასალა. უნდა დავეხმარით შესაძლებლობათა გამოვლენაში და მისი აგრესიულობაც უკვალოდ გაქრება.

და ბოლოს, ბავშვის აგრესიულობასა და სისასტიკეს დამოუკიდებლად მხოლოდ მაშინ უნდა ვებრძოლოთ, როცა ის მარტივ ფორმებშია გამოხატული. თუ შევატყვეთ, რომ ჩვენი მცდელობა უშედეგოა აუცილებლად უნდა მივმართოთ ფსიქოლოგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კოლომინსკი. „საუბარი ფსიქიკის საიდუმლოებებზე“. თბილისი 1983წ.
2. ჯ. ქამსტოკი, ს. ჩაფი. „ტელევიზია და ადამიანის ქცევა“. საბჭოთა საქართველო 1989წ.
3. ლ. ქურხული. „ბავშვთა აგრესია“. თბილისი 2006წ.
4. ჟურნალი „ავერსი“, თბილისი 2008წ.
5. „ცხელი შოკოლადი“ თბილისი 2008წ.
6. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ფსიქოლოგიის) II კურსის სტუდენტი მარიამ აბულაძე.

მანანა კუცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გეცონდიფიცირებული პროდუქტები

ხელმძღვანელი პროფესორი: დავით ცხომელიძე

Introduction

It is a well known fact that the world population has increased considerably in the past years. One thing that has been agreed upon by experts across various fields is that our population will only continue to increase. Right now , a significant amount of the population is faced with the problem of world hunger(15 million children die each year from starvation). There have been many efforts to decrease this ever rising issue, but how can hunger be decreased when population is growing and our food supply is not ? So scientists have found solution to this problem- GM food. There are those around the world that believe that this is a perfect solution to the growing problem of world hunger. There are skeptics that would say genetically modified organisms are only a risk to the environment as well as to those who are consuming them. By this paper I will try give some basic information which will help you to consider whether it is acceptable or not.

Genetic Modification

First of all let us discuss what does Genetic Modification means. Genetic modification (or 'GM') is the modification of genetic make-up so that the modification is passed on to the organism's descendants. The first major product of new GM was developed in 1982, for the production of human insulin by bacteria for the treatment of diabetes. The process of Genetic modification is a general term that covers many processes – some of these are new and some have been strategically used for 10,000 years, since agriculture began at the end of the last ice age. However, the term has more recently come to be used for the process of 'genetic engineering', where newly developed processes of molecular biotechnology are employed to insert relatively few genes into an organism's genome. Other terms that have been used to describe this technology include 'recombinant DNA technology' and 'genetic manipulation'.

In addition to these traditional approaches, there is new GM, involving the modification of specific cells using recently developed biotechnologies. Essentially, this process involves:

- **The "shot-gun" technique:** This technique is also called biolistic transformation which was developed by Sanford in 1987. Cereals are not suitable to be modified by transfection with Agrobacterium Tumefaciens and the regeneration of plants whose cells walls were enzymatic digested is very difficult. A device was built to shoot small particles of gold or tungsten against cells. These particles can be coated

with DNA material and are so small that they can penetrate cells without lasting damage. The machine used gun powder and later compressed helium. The particles are accelerated four times sound velocity. This method is less labor intensive as the Agrobacterium method. Biolistic transformation can be used to transform all kind of plants, bacteria, moulds, algae and animals.

- **The transfection with Agrobacterium Tumefaciens:** : This bacterium infects the plant and transfers its DNA to the plant. Agrobacter tumefaciens is a bacterium found in soil. Certain compounds such as Acetosyringone which are released by wounded cells of the plant act as a recognition for the Agrobacterium tumefaciens in order to link to wounded cells.
- **Electroporation:** Involves subjecting the plant or animal cell to an electric shock, which can make the cell membrane permeable to plasmid DNA. In some cases cells will incorporate the DNA into their genome.

Selection of the transformed cells is being done with antibiotics Kanamycin or gentamycin and neomycin. These antibiotics act toxic on cells without transformation. The DNA material which is being introduced in a plant must contain four parts:

- *The gene coding for the new property: For instance be a resistance to dry or excessive wet weather or a resistance to a new chemical agent such as a synthetic herbicide.
- * A promoter signal: It is a start signal for the cell to start the activity of the gene such as the production of a specific protein. Most of the promoters which are being used were derived from the Cauliflower Mosaic Virus (CaMv) called 35S promoter.
- * A terminator signal: It is a signal for the cell to stop at this point the information concerning the alien gene. Most of the terminator signals used are derived from Agrobacterium tumefaciens a soil bacterium. It is the nopaline synthase gene (NOS) of Agrobacterium, called terminator NOS or NOS 3.
- * A marker gene: Often is a resistance to antibiotics gene is used in order to select transformed cells.

ARE GENETIC MODIFIED PRODUCTS HARMFUL FOR OUR HEALTH?

Since the first genetic modified food appeared ordinary people and scientists have been asking to their selves if this new generation of food could be considered safe? So now I will try somehow to answer this question by telling you some aspects according to which we can't afford ourselves eating everything we want and like. The first thing which we have to fear is unknown allergens. As we know allergy is a disorder where immune system overacts and responds harmless substance as if it were a pathogen. According to studies only 6 percent of children and 2 percent of adults have food allergies. Critics of genetically modified foods argue biotech crops could cause problems for people with food allergies. For example: The inserted gene in soy contains an allergic sequence common to shrimps protein. It is suspected that it may cause persistent allergy problems because it is taken up by intestinal bacteria ,that can continue producing the allergenic protein. In the UK there was a 50% increase of soy allergy after the introduction of Monsantos soy.

Another thing which we have to fear is new substances produced by inserted genes. In 1989 a new medicine appeared in markets **L-Tryptophane**. The medicine caused the syndrome of Eosynophytic Myalgy, which is characterized by paralysis, chronic neurological problems, risen sensitivity to light and auto immune disorders. 37 man died and about 1500 persons were taken ill.

Also there is an evidence that GM organisms can produce new viruses. The reason is that every cell in a GE plants contains parts of virus genes that can combine with the genes of infecting viruses. In a very large proportion of GE crop varieties, the virus genes come from a virus (Cauliflower Mosaic Virus – CaMV) related to human viruses. The CaMV promoter normally drives the creation of copies of the CaMV-virus. This virus contains RNA which is similar to HIV,

Human Leukemia Virus and Human hepatitis B. CaMV is closely related to hepatitis B and is closely related to HIV (the AIDS virus). The CaMV promoter is preferred

Above other potential promoters because it is more powerful than others and is not greatly influenced by environmental conditions or tissue types. The perceived hazards of the CaMV

Promoter in crop plants include the consequences of recombination and pseudo recombination. Recombination is the exchanges of parts of genes or blocks of genes between chromosomes. Pseudorecombination is a situation in which gene components of one virus are exchanged with the protein coats of another. Frequently viruses may incorporate cellular genes by recombination or pseudorecombination. It has been noted that such recombinants have selective advantages. It has been shown that the CaMV DNA incorporated into the plant (canola) chromosome recombine with infecting virus to produce more virulent new virus diseases. The designers of the experiment questioned the safety of transgenic plants containing viral genes. Recombination between CaMV viruses involves the promoter and may take place either between DNA and DNA or RNA and RNA and **frequently creates more severe infections than either parent. Recently related experiments suggest altered plants may breed deadlier diseases.** DNA copies of RNA Viruses are frequently propagated using the CaMV promoter to drive RNA virus production. Viral genetic elements introduced through genetic engineering are present in every cell of GE plants. A corn plant, for example, contains about a billion cells. Even if the statistical risk for the creation of a dangerous virus would be exceedingly small, still it may be likely to occur because of the enormous numbers of recombination-prone virus elements in the total annual crop..(this is a scientific work of professor Joe Cummins.,,"The use of cauliflower mosaic virus")

Jay Morris and colleagues 2008 genetically modified carrots increasing the absorption of calcium by 41 per cent in humans. According to the authors the new calcium enriched carrot could help to compensate for a worldwide nutritional calcium deficiency. The increased absorption was attained by altering the CAX1 gene which controls the absorption and transport of calcium in plants. The authors stress that the technology may be applied to various crops because it involves the over-expression of a gene found in all plants. This will be dangerous for people who have normal level of calcium absorption. The reason why do I think so is that Ca-ion is a signal ion for cell and it must be fixed concentration(10-7-10-8M). Unless it will cause cramps. Also it will be mentioned that increased concentration of calcium will destroy special proteins – Connexons that are involved in intercelular contacts.

I would like also to talk about connection between increased parasitological deseases and GM food. A gene from beans introduced in the field pea blocked the activity of the alfa-amylase enzyme. This enzyme is important for digestion of starch. Weevil larvae feeding on starch in the developing pea seed are unable to digest the starch and starve. Beans with the alfa-amylase inhibitor gene were eaten by humans for many years without evidence of an immune response. However, according to Dr. Simon Hogan and Professor Paul Foster at the John Curtin School of Medical Research the peas with the same alfa-amylase inhibitor gene did cause an

Immune response in mice, resulting in inflammation of the lung tissue. As you can see for parasites, for which the starch is one of the main nutrient, is a best place in your organism.

GM PRODUCTS THAT MAKE OUR LIFE EASIER

Of course there are created some products which have no unhealthy effect on human. For example: Modified tomatoes introducing a gene from Petunia encoding chalcone isomerase, an enzyme involved in flavonol biosynthesis has been used to produce transgenic fruit with an increase

in peel flavonols of up to 78 fold, mainly due to accumulation of quercetin glycosides. The in vitro evidence for one group of flavonoids, (e.g., quercetin and kaempferol) are told to be cardiovascular protective. Another genetically modified product which I would like to mention is rice engineered to produce lactiva and lysomin. These proteins are found in breast milk and should improve recovery from diarrhoea. The company has now received approval from the US Department of Agriculture to cultivate this rice in the state of Kansas. According to Robert Wittler, from Kansas University School of Medicine at Wichita the outcomes of a clinical trial using the new rice suggests that children suffering from diarrhea may recover sooner compared with traditional traditional medication. Gene Watch UK and Friends of the Earth, point out the danger of a broad contamination of staple foods with pharmaceutical producing genes. The genes, cultivated and copied in a laboratory to produce a synthetic version, are carried into embryonic rice plants inside bacteria.

As you see we can't say definitely if GM foods are harmful for our health.

GM PRODUCTS ACT AS MEDICINE

As it was mentioned transgenic plants contain a gene or genes from another species. So antigens or antibodies can be produced in plants by introducing antigen or antibody producing genes into the plant. These antigens are purified and can be given intravenously as vaccine

against that particular virulent organism. For example: Vaccine against acute watery diarrhea caused by E. coli and also Vibrio cholerae is produced in genetically modified tobacco plants.

Transgenic tobacco is produced by infecting cell with recombinant virus with desired antigen along with coat protein. This induces the immunogenicity in plant and produces antibody against this virus or antigen. I would like to tell about another plant that produces vaccine against Hepatitis B infection. Hepatitis B virus attacks liver and it may cause liver failure ,liver

Cancer and finally death. Transgenic banana are produced with capacity to produce Hepatitis B vaccination and hence by eating this kind of fruit one can get immunity against this dangerous virus. An ambitious aim of Ma's project is to produce stocks of antibodies that could be used to make an anti-HIV cream woman could apply prior to having sex. Efforts are underway to develop an „edible vaccine” against the measles virus using tobacco plant. A plant based oral subunit vaccine for respiratory syncytial virus (RSV) using either the apple or the tomato is under development.

As of 2001, four antibodies expressed in plants had shown potential to be useful as therapeutics. A chimeric secretory IgG/IgA antibody effective against a surface antigen of Streptococcus Mutans has been expressed in tobacco and has been demonstrated to be effective against dental caries. Soybeans can express a humanised anti-herpes simplex virus(HSV).Rice and wheat expression systems can produce antibodies against Carcinoembryonic antigen.

GM products also help us to fight with Autoimmune diseases such as Diabetes. It can be cured by eating transgenic potato tuber, which produces insulin. Hence diabetic patient can eat this transgenic potato instead of taking insulin injections.

The most important and interesting is that with the help of GM tomato we can prevent development of Alzheimer's disease. Alzheimer's disease is a neurodegenerative disease and it causes dementia in patients. Transgenic tomato derived Beta Amyloid can be used as vaccine against this disease.

Vaccines produced in genetically modified plants were effective in providing immunity against some dangerous infections. This technology will be a boon to developing and underdeveloped countries as there is no need for low temperature storage for this vaccines and can be grown locally. Therefore this is very economical way of getting immunity against some deadly disease.

GEORGIA AND GM PRODUCTS

Unfortunately as I have read an article in „The Messenger Online” genetically modified products are being sold in the country without any special marks indicating this. Also currently the Georgian legislation does not regulate the use of GM organisms and their distribution on the market. Despite number of projects on transboundary transportation, use control and regulation of GM organisms and products obtained out of them were elaborated, consideration of these projects has not taken place in the Georgian parliament so far.

Proceeding from all the aforementioned, it can be said that now our country's consumer market represents a place for selling foreign or domestic low-quality, detrimental to health and often hazardous products.

CONCLUSION

In my opinion we can't say definitely whether the gene modified food is good or not. It's a scientific progress and we should try to fix the mistakes and accept new world with its surprises.

SOURCES:

17. „Genetic Modification” by Mark Tester
18. Article Source: www.nuffield.org/bioethics/publication/modified_crops/index.html
19. „What are the advantages and disadvantages of genetic modification in humans”
20. Article Source : www.tech.org.ge
21. „Genetic Modification of food”
22. Article Source:www.raw-wisdom.com/50harmful
23. „Genetically Modified Crops as Medicine” By Nidhi Udpangala
24. Article Source : <http://www.biotecharticles.com>
25. „ How much medicine can a GM plant make” By Ian sample
26. Article Source: „The Gurdian “ Thursday 15 July 2004 12.21 BST
27. „Genetically Modified Crops” By Makayla Lakrick
28. Article Source: <http://www.oppapers.com>
29. Scientific work of Professor Joe Cummins „The use of cauliflower mosaic virus”
30. „Biopharmaceuticals derived from Genetically Modified plants” By D.A Goldston and J.A Thomas
31. Article Source: <http://www.qjmed.oxford.journals.org>
32. „Unmarked GM foods in Georgian market place “ By Gvantsa Gabekhadze
33. Article Source: „The Messenger Online”
34. „Biophysics of Cell membrane” By Tamar Sanikidze
35. Tbilisi 2009
36. „Histology” By Rusudan Rukhadze
37. Tbilisi 2008
38. „What is allergy”
39. Article Source: <http://www.alk-abello.com>
40. „Allergies from GM food” By Task Group on Public Perceptions of Biotechnology
41. Article Source: <http://efbweb.org/ppb>
42. „Genetically modified food produce new toxins”
43. Article Source: <http://www.Tuberose.com>

ლანა გაბრიაძე ქუთევან გონგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

ზემო სვანეთის საფასადო მოხატულობები

ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა სხირტლაძე

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის, სვანეთის მკაცრმა კლიმასტურმა პირობებმა და ყოფის თავისებურებებმა გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაზე. შესაძლოა ამით იყოს განპირობებული მათი განსაკუთრებულად საკრალური დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ. შვანების ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებს მათი ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი და ფოლკლორი. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნებასა და კულტურას, სასოებით უფრთხილდებიან საკულტო ძეგლებსა და სასულიერო ხელოვნების ნიმუშებს.

ზემო სვანეთის მოხატულობები გამოირჩევა თვითმყოფადობითა და ორიგინალური ნერის მანერით. მისთვის დამახასიათებელია მდიდარი, მუდრი კოლორიტი და ინდივიდუალური ტიპაჟები. ველაფერმა ამან გაქლენა იქონია ადგილობრივ კულტურაზე და ხელი შეუწყო ამ თავისებური მხატვრული სტილის შექმნას.

საფასადო მოხატულობები იშვიათობას წარმოადგენს ქრისტიანულ სამყაროში. ავ-რცელებულია რუმინეთში, ბულგარეთში, რუსეთში, მაკედონიასა და საქართველოში.

საქართველოში საფასადო მოხატულობები გვხვდება ზემო სვანეთში, კახეთსა და ჯავახეთში.

ძემო სვანეთის საფასადო მხატვრობაში გავრცელებულია ძველი და ახლი აღთქმისეული სცენები: ვედრება, აბრაამის სტუმართმოყვარეობა, ადამისა და ევას ცდუნება, წმინდა ევასტათეს ნადირობა, მეომარი წმინდანები-წმინდა გიორგი, წმინდა თევდორე და წმინდა დემეტრე, ასევე მოციქულები ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების გავლენით. შასულიერო სიუჟეტების გარდა გვხდება საერო შინაარსის სცენები „ამირანდარე-ჯანიანის“ საგმირო ეპოსიდან.

შაფასადო მოხატულობების გავრცელება ზემო სვანეთში შესაძლოა განაპირობა დარბაზული ეკლესიების სამშენებლო მასალამ, რომელიც ტაძრის რელიეფური დეკორით შემკობის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა. თუმცა, რიგ შემთხვევებში ვხვდებით ფასადოს რელიეფითა და მხატვრობით ერთდროულად გაფორმებას (იფხი, ნაკიფარი). ქსტერიერის გაფორმება შესაძლოა გამოწვეული იყოს იმითაც, რომ ტაძრების მცირე შიდა სივრცე სრულად ვერ იტევდა ხალხსა და კომპოზიციებს, ამიტომ ფასადზეც გამოსახავდნენ სასულიერო თუ საერო სცენებს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სვანური ტრადიციის მიხედვით ქალების შესვლა ზოგ ეკლესიაში არ იყო ნებადართული და ისინი სავარაუდოდ გარეთ ლოცულობდნენ. მას გარდა ფასადზე შესრულებული ფრესკა შორიდანაც აღიქმება და წმინდანები თემის მფარველებად გვევლინებიან.

საფასადო მოხატულობების სიუჟეტები გარღვევეული თვალსაზრისით ირჩეოდა. ითვალინებდნენ თუ ვისი სახელობის იყო ტაძარი. ემარი წმინდანების თემის ხაზგასმა ადგილობრივი მოსახლეობის მებრძოლ ბუნებას უკავშირდება. ხსნის, მეოხების იდეა

სვანებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რაც გამოიხატება ვედრების კომპოზიციის ხაზ-გასმით.

აღსანიშნავია, რომ ადამისა და ევას ცოდვით დაცემისა და აბრაამის სტუმართმოყვარეობის სცენები უნიკალურია ზემო სვანეთის საფასადო მოხატულობებში.

წმინდა ევსტათეს ნადირობის სცენა წააგავს წინა აზიაში გავრცელებულ სამეფო ნადირობის სცენებს.

სცენა „ამირანდარეჯანიანის“ საგმირო ეპოსიდან აძლიერებს წმინდა მხედრების კულტის მნიშვნელობას.

შვანურ საფასადო მხატვრობაში სცენების კომპოზიციური გადაწყვეტის თვალსაზრისითაც სვან ოსტატებს ინდივიდუალური შტრიხები აქვთ შეტანილი. მაგალითად, ლალამში წმინდა ევსტათეს ნადირობის სცენაში გადმოცემის მიხედვით ირმის რქებზე გამოსახული უნდა იყოს ჯვარცმული მაცხოვარი, სვანი ოსტატი კი წელსზევითა და მაკურთხებელი მარჯვენით წარმოგვიდგენს ქრისტეს.

ასევე თავისებური გადაწყვეტით გამოირჩევა სცენები „ამირანდარეჯანიანის“ საგმირო ეპოსიდან, რაც გამოიხატება თავად ტიპაჟების შერჩევაში, მათთვის დამახასიათებელია ეთნიკური ნიშნები და თვალშისაცემია ადგილობრივი სკოლისთვის დამახასიტებელი წერის მანერა.

ძემო სვანეთში ტაძრის ფასადთა ფრესკული შემკულობის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშა წარმოადგენს იფარის თემის სოფელ აცის მთავარანგელოზთა ეკლესია, სადაც აღმოსავლეთ ფასადზე შეიმჩნევა მოწითალო-მოყავისფრო ფიგურის ფრაგმენტები. სამხრეთზე წარმოდგენილია წითელი და ნაცრისფერი კვადრატების ჭადრაკული წყობა, რომელიც VII-IX საუკუნეების ტაძრების ინტერიერების მოხატულობებსა (ატენი VII ს. ერთო სიონის VIII-IX სს. უალეთი VIII-IX სს. რმაზი 864 წ.) და კაპადოკიურ (წითელი დეკორი) მხატვრობაში გვხვდება.

X ს-ით თარიღდება მუჟალის თემის სოფელ უაბეშის მაცხოვრის ტაძრის ფასადზე სარკმლის ზემოთ წარმოდგენილი რელიეფური ჯვრის ორივე მხარეს მოწითალო-მოყავისფრო საღებავით შესრულებული მზისა და მთვარის გამოსახულება, რაც სიმბოლურად ჯვარცმას განასახიერებს.

XI ს-ით თარიღდება უშეულის თემის სოფელ უიბიანის ლამარიას ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილია ჯვრის რელიეფური გამოსახულება წარწერით, რომელიც წითლადაა შეფერადებული. აღმოსავლეთ ფასადზე რელიეფურად გამოწეულ კარნიზზე, რომელიც მოჩუქურთმებულია შემორჩენილია წითელი საღებავით შესრულებული ორნამენტები. ასევე შეღებილია კარნიზზე ამოჭრილი სამკუთხედები. შესაძლოა ფრესკული ნიმუში ყოფილიყო სამწახნაგიანი აფსიდის თაღში, რადგან აშკარად ჩანს ნალესობის კვალი.

I ფარის თემის სოფელ ნაკიფარის წმინდა გიორგის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე შესრულებული მოხატულობა კარგად გააზრებულია და ორგანულად ერწყმის არქიტექტურასა და სკულპტურულ დეკორს. რონტონზე კარნიზის გასწვრივ წარმოდგენილია სულთმოფენობა-თორმეტი ფიგურა სხვადასხვა ბრუნში. სულთმოფენობის ქვემოთ, სამთაღში, სკულპტურულ დეკორთან ერთად წარმოდგენილია ფრესკები. შეუა თაღში ქრისტე ივმანუელია ჯვრული შარავანდით. გვერდითა ნიშებში კი შარავანდედი წმინდანები. თაღის სისქეში კიბისებრი ორნამენტია შესრულებული თეთრ, წითელ და მოტყავისფრო ფერებში. ერწერული და სკულპტურული დეკორის ასეთი მოჩარჩოება ცხადყოფს ოსტატის სურ-

ვილს, ორგანულად გააერთიანოს ფერწერა და არქიტექტურა, ფასადის კომპოზიციას დასრულებული სახე მისცეს.

კულპტურული და ფერწერული დეკორის შერწყმისათვის შესაძლოა ოსტატმა წარმოგვიდგინა ევმანუელი ირმის რქებს შორის, რაც წმინდა ევსტატეს ხილვის ასოციაციას იწვევს.

აკიფარის მაგალითზე კარგად ჩანს შუა საუკუნეების სვანური ხელოვნების თავისებურებები-როგორ ერწყმის ძველ კერპთაყვანისმცემლურ ზოომორფულ მოტივებს ქრისტიანული თემატიკა.

იფარის თემის სოფელ ჰადიშის წმინდა გიორგის ეკლესიის ინტერიერისა და ექსტერიერის მოხატულობები თანადროულია და XI-XII საუკუნეებს მიეკუთვნება. ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახული არიან ამხედრებული და ერთმანეთისკენ მიმართული წმინდა გიორგი და წმინდა თევდორე. ისინი განთავსებული არიან ფასადის ზედა ნაწილზე, მათი მონუმენტური ფიგურები უფრო თვალსაჩინოა და შორიდან ადვილად აღიქმება, რასაც ასევე ხელს უწყობს კოლორიტი, რომელიც გადაწყვეტილია მოწითალო-მოყავისფრო და ოხრისფერ ტონალობაში. ეს წმინდანები მთელი სოფლის მფარველებად მიიჩნევიან.

არის თემის სოფელი სვიფის წმინდა გიორგის ეკლესიის საფასადო მხატვრობა XII საუკუნეს მიეკუთვნება. აღმოსავლეთ ფასადზე, ფრონტონში, „აბრაამის სტუმართმოყვარეობის“ ძეველალთქმისეული სცენაა გამოხატული. სამების საკურთხევლის კედელზე წარმოჩენით ხაზგასმულია მისი საკრალურობა და დიდებულება. ჭმინდა სამების თემა ნოვგოროდის წმინდა სოფიის ფასადზეც გვხვდება.

სვიფში, ამ კომპოზიციაში სამი ანგელოზი მაგიდასთან ზის. ცენტრალური, ჯვრულ-შარავანდიანი ფიგურა მაკურთხებელი მარჯვენით მაცხოვარია. ჭმინდა სამებისკენ ორივე მხრიდან აბრაამი და სარა არიან მიართული. ბრაამი ღვინის ყანნს აწვდის სტუმრებს, სარა კი პურით უმასპინძლდება. აგიდაზე სუფრაა გამლილი, გრძელ თასზე ევქარისტიული სიმბოლო-ხბა გამოსახული. ეს კომპოზიცია შეკრულიდა ერთიანია, ყურადღება გადატანილია მთავარ პერსონაჟებზე, რომელიც ოდნავ იერატიულნი არიან.

ამ სცენის მონუმენტურ-რეპრეზენტატიული მანერა დამახასიათებელია XI-XII საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობისათვის. აღმოსავლეთი ფასადის ქვედა რეგისტრში ამხედრებული და ერთმანეთისკენ მიმართული წმინდა გიორგი და წმინდა თევდორე არიან წარმოდგენილი. მათ შორის წმინდა დემეტრე დგას. წმინდანების ფიგურები კარგად აგებული, მოზრდილი ზომისაა, ამით ხაზგასმულია მათი ძლევამოსილება, მით უმეტეს, რომ სვიფის პატრონი წმინდა გიორგია. მთლიანობაში სვიფის საფასადო მხატვროაპ საკმაოდ მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული.

კალას თემის სოფელ იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესიის საფასადო მხატვრობა დღეისთვის ძლიერ დაზიანებულია. სამხრეთ ფასადზე, პირველ რეგისტრში სამ ნაწილად დაყოფილია „ვედრება“, სადაც პერსონაჟები ორნამენტირებულ ჩარჩოში არიან მოქცეული. აქვეა მთავარანგელოზის გამოსახულებაც. ქვედა რეგისტრში წმინდა ევსტატეს ნადირობის სცენა ყოფილა წარმოდგენილი, რომელიც დღეს აღარ იკითხება.

საფასადო მხატვრობა ასევე ცუდად არის შემორჩენილი ლაგურკაში, რომელიც XII-XIII სა-ით თარიღდება. ტაძრის სამხრეთ ფასადზე, კარნიზის გასწვრივ „ხატების“ რიგია წარმოდგენილი. იფრარის კომპოზიციის მსგავსად შესაძლოა აქაც ყოფილიყო ვედრების თემა. ხატების იმიტაციის მოტივი გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ქართული

ტაძრების ინტერიერში – წირქოლი X კალაუბნის წმინდა გიორგის ეკლესია მცხეთასთან – XII წმინდა ბარბარეს ეკლესია სოფელ ხეში – XIII ს.

ლაშალის თემის სოფელ იფხის წმინდა გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობა XIII სკ-შია შესრულებული. სამხრეთ ფასადზე, პირველ რეგისტრში გამოსახულია „ვედრება”, სადაც თერთმეტი ნახევარფიგურაა წარმოდგენილი. აქ ჩართული არიან მთავარანგელოზები, წმინდა პეტრე და წმინდა პავლე, მათე და მარკოზ მახარებლები. პერსონაჟების ვინაობას წარწერები გვამცნობენ. შესასვლელის აღმოსავლეთით წმინდა მხედრების ხუთი ფრონტალური ფიგურა იყო გამოსახული, მათ შორის არის ტაძრის მფარველი – წმინდა გიორგიც. იფხის კომპოზიციების სტილისტიკური თუ იკონოგრაფიული ნიშნები XIII სკ-ის ქართული კედლის მხატვრობის ტენდენციებს უახლოვდება.

ლენჯერის თემის სოფელ ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის გარე და შიდა მოხატულობა XIV სკ-ით თარიღდება. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილია წმინდა ევსტატეს ნადიორობის სცენა, დასავლეთზე – „ვედრება”, სამხრეთზე – წმინდა მხედრები, ხოლო ჩრდილოეთზე – ბატალური სცენები „ამირანდარეჯანიანის” ეპოსიდან. აღმოსავლეთ ფასადზე მშვილდმომართული წმინდა ევსტათე ისარს ესვრის ირემს, რომელიც თავით მიბრუნებულია წმინდანისაკენ, მის რქებზე გამოსახულია ევსტათესკენ მიმართული ქრისტე ჯვრული შარავანდითა და მაკურთხებელი მარჯვენით. ეს კომპოზიცია ძალზე დინამიურია. შესაძლოა წმინდა ევსტათეს ნადიორობის სცენა ქრისტიანობისკენ მოქცევის იდეაზე მეტყველებდეს.

ლაშთხვერის დასავლეთ ფასადზე ვედრების თემა იყო წარმოდგენილი, ამჟამად მხოლოდ იოანე ნათლისმცემლის მთლიანი ფიგურაა შემორჩენილი. მისი მთელი ტანით წარმოჩენა მსგავსემას ავლენს ინტერიერის მხატვრობასთან. ვედრების სცენაში სავარაუდოდ ქტიტორიც უნდა ყოფილიყო გამოსახული. ამჟამად მისი ფიგურა და წარწერა აღარ განირჩევა.

სამხრეთ ფასადზე ამხედრებული წმინდანების ფრაგმენტების შემორჩენილი. ჩრდილოეთ კედელზე, ღია ფონზე „ამირანდარეჯანიანის” ფრიზია წარმოდგენილი, რომელსაც წარწერებიც ახლავს. აქ გამოსახულია ვეშაპთან და ბაყბაყდევთან მებრძოლი ამირანი. მისი მეგობრები: ბადრი, სეფედავლა და უსუპი ცხენებზე ამხედრებული და შეიარაღებული არიან. პერსონაჟთა ტიპები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, საკუთარი ინდივიდუალური და ეთნიკური ნიშნებით გამოირჩევიან. კომპოზიცია ერთ სიმეტრიულ ხაზზეა განთავსებული. რიტმი თანაბარზომიერია, მოძრაობა – დინამიური, კოლორიტი – ცხოველხატული და ფერადოვანი. ეს კომპონენტები მეტ ემოციურ გამომსახველობას ანიჭებს სცენას. აქ დრამატიზმზე მეტად ზღაპრულობის შთაბეჭდილება ჩნდება, იგრძნობა ადგილობრივი ფოლკლორისა და რწმენა წარმოდგენების გავლენა.

„ამირანდარეჯანიანის“ თემას კვლავ ვხვდებით უშესების, სოფ. ჩაუაშის მაცხოვრის ეკლესიაში. ჩრდილო ფასადის მხატვრობა XVII სკ-შია შესრულებული. აქ ბადრის, უსპისა და სეფედავლას მუზარადიანი თავებია შემორჩენილი, ასევე ჩანს მათი საბრძოლო ფარ-ხმალი. წარწერა მხოლოდ ბადრის თავზე განირჩევა. ეს მოხატულობა მხატვრული ოსტატობით ჩამოუვარდება ლაშთხვერის ფრიზს.

ამ საგმირო ეპოსის ორგზის წარმოჩენა საფასადო მოხატულობაში მეტყველებს იმაზე, რომ ამპერიოდის ადგილობრივი საზოგადოება ჩართული იყო ერის კულტურულ ცხოვრებაში. სევე ხაზგასმულია ქართული ეროვნული ლიტერატურული თემა, ამირანი

კი, როგორც მებრძოლი გმირი, მეომარ წმინდანებთან ერთად დიდი პატივით სარგებლობს სვანეთში.

XIV სკ-დან უკვე ეკლესიების ყველა ფასადს ამკობს მხატვრობა. შემოდის ახალი თემები და კომპოზიციური გადაწყვეტის ხერხები(ფრიზული განლაგება). მესტიის თემის სოფ. ლალამის მაცხოვრის ეკლესიის ყველა ფასადი მოხატულია დასავლეთი კედლის გარდა. ფრესკები ძლიერ დაზიანებულია. აღმოსავლეთ კედელზე წარმოდგენილია წმ. ევსტატეს წადირობა, ჩრდილოზე – ადამისა და ევას ცდუნება და სამოთხიდან გაძევება, სამხრეთზე მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი (მ. ბუჩუკურისა და გ. ჭეიშვილის აზრით აქ გამოხატული იყვნენ წმინდა მხედრები ლაშტხვერის მსგავსად).

წმ. ევსტატეს წადირობის სცენა მოჩარცოებულია, ზემოდან გამოწეული კარნიზი ყვავილებითაა მოხატული. ლია ფონზე წმინდანი ამხედრებული მიემართება ირმისკენ და შვილდი მოუზიდავს. მის წინ წარმოდგენილია ირემი, რომლის რქებს შორის ჩანს იესოს წელზევითი ფიგურა. კომპოზიცია დინამიურია, რასაც ხელს უწყობს წმ. ევსტატესა და ირმის მიმართულება, გარბენი. ასევე ადგილი ორ ფიგურას შორის და ირმის შემდეგ, რაც აღქმისას აზრობრივი გაგრძელების საშუალებას იძლევა. დინამიურობას სძენს ქვედა მოჩარჩოებაც, ირმის ქვემოთ ჩარჩო უფროშეჭრილია და ძლიერდება მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ.

ჩრდილო ფასადზე წარმოდგენილია შესაქმის სამი ეპიზოდი. მოვლენები აქ უფრო მშვიდად ვითარდება. ერთმანეთის მონაცვლეობით განალაგებული სცენები მეტ დროს მოითხოვს ალსაქმელად. შემოსაზღვრულია წითელ-ყავისფერი ჩარჩოთი. კარნიზის მცენარეული მოხატულობა დეკორატიულობას სძენს ფრიზს. სხვადასხვა ჯიშის ხეები სცენებს შორის პაუზას ქმნის. დეკორატიულობას აძლიერებს ტოტების ექსპრესიული მიმართულება, ფოთლებისა და ნაყოფის მონაცვლეობა. კომპოზიციას დახურული ხასიათი აქვს – ორივე მხრიდან მას დიდი პალმები საზღვრავს.

კომპოზიცია იწყება გველის მიერ ევას ცდუნების სცენით, გრძელდება ევას მიერ ადამისთვის ნაყოფის შეთავაზების ეპიზოდით, ამას მოსდევს სცენა, სადაც ადამმა და ევამ შეიცნეს სიშიშვლე და დამწუხრებული დგანან ხის ორივე მხარეს. მომდევნო ეპიზოდში მათ ანგელოზი აძევებს სამოთხიდან. მარცხნივ ანგელოზია, რომელიც უბიძგებს, ევას რომლის წინ ადამი მიაბიჯებს. შემდეგ ადამისკენ მიბრუნებული ანგელოზია გამოსახული. ყოველივე ამას სრულად მიაქვს მნახველამდე ბიბლიური სიუჟეტის არსი. რიტ-მულია ფიგურათა განლაგება, კოლორიტი – ნათელი, თავშეკავებული (წითელი, ყავისფერი, მწვანე, ოქროსფერი). ფიგურების შედარებით მცირე პროპორციები, რომელიც ერწყმის პეიზაჟის ზომებს, ამჟღავნებს კავშირს პალეოლითურ ხელოვნებასთან.

უფრო გვიანდელი პერიოდისაა ლატალის თემის სოფ. მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ტაძრის ექსტერიერის მოხატულობა (XVI ს.). ფრესკები შესაძლოა ინტერიერის მომხატველი ოსტატების, ან მათი შეგირდების მიერ იყოს შესრულებული. ხუთწახნაგიანი აბსიდის ცენტრალურ თაღში, სარკმლის ზემოთ, წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმით. ფრესკა დაზიანებულია – ღვთისმშობლის მხოლოდ მოწითალო კონტური იკითხება, რომელიც მკვეთრად ხაზობრივია. ჩვილს ყვითელი დრაპირებული სამოსი აცვია. ფრესკა ორგანულად ერწყმის თაღის მოყვანილობას. ოდიგიტრიის დამოუკიდებელი თემა გვხვდება (ბერი) ტაძრის სამხრეთ ფასადზე. ფრესკა დაზიანებულია და დათარიღება ვერ ხერხდება.

საკურთხევლის სამხრეთ თაღში წარმოდგენილია წმინდანის გამოსახულება, სადაც განირჩევა მოყავისფრო-მოწითალო თმა, ოქროსფერი შარავანდი. იგი წააგავს არმაზის წმინდა მეომრებს, სვანურ ჭედურობას და ნაკიფარის ფიგურებს. სახის ნაკვთები ერთი მონასმითაა შესრულებული, თვალები ნუშისებრია, რაც დამახასიათებელია სვანური ფერწერისათვის (თევდორეს მხატვრობა).

ჩრდილო ფასადის ფერწერიდან მხოლოდ ლაქები შემოეჩა. როგორც ჩანს, აქ მოხატულობა უნდა ყოფილიყო თაღში და კარნიზის გასწვრივ. ცენტრალურ და ჩრდილო თაღს შორის წარმოდგენილი იყო მრავალფიგურიანი კომპოზიცია. სიბრტყეზე მარცხენა მხარეს განირჩევა შარავანდიანი ფიგურა. კოლორიტი აქ უფრო მრავალფიგუროვანია – ლურჯი, წითელი, მოყავისფრო-ოქროსფერი. რელიეფურად გამოწეულ კარნიზსა და თაღებსშორისი არ მოხატულია გეომეტრიული და მცენარეული მოტივებით. თაღების ლილვები მოჩარჩოებულია წითელი გეომეტრიული ხაზებით; თაღებსშორისი სივრცე შევსებულია სამკუთხედებსა და რომბებში ჩახატული ჯვრებით.

ზემო სვანეთის საფასადო მოხატულობებში გამოვლინდა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები, ცნობიერება და განსაკუთრებული მონიშება სარწმუნოების მიმართ. ზოგადად, სვანეთის მოხატულობებისთვის დამახასიათებელია ორგანული კავშირი არქიტექტურასთან. საფასადო მხატვრობაში წარმოდგენილი კომპოზიციები სადა და ლაკონურია, არ გვხვდება არქიტექტურული პეიზაჟები. ყურადღება გამახვილებულია პერსონაჟებსა და მოქმედებაზე. მხატვრები თავისუფლად, მთელს სიბრტყეზე გამოსახავენ კომპოზიციებს. XIV–XV საუკუნეებში ოსტატები ცდილობენ უკეთესად მიუსადაგონ გამოსახულებები ხუროთმოძღვრულ ნაგებობას. ფრონტონზე ცალკეული ფიგურები და პატარა სცენაა წარმოდგენილი, ჩრდილო და სამხრეთ კედლებზე კი ფრიზული კომპოზიციები. გამოსახულება ადვილად აღსაქმელია, რადგან არ არის გადატვირთული სხვადასხვა დეტალით, ფიგურებიცა და საგნებიც სადაა. შიდა მოხატულობებთან შედარებით აქ ნაკლებად ექცევა ყურადღება მოდელირებასა და შუქრჩრდილებს. ფერადოვანი კომპოზიციები წარმოდგენილია ღია ფონზე და კონცენტრირება მთლიანად გამოსახულებაზე ხდება, რაც აცოცხლებს და მეტ ესთეტიურობას ანიჭებს ტაძრების მკაცრ აგებულებას. მოხატულობების წითელი, მოყავისფრო, ყვითელი, ოქროსფერი, ცისფერი, მწვანე ტონალობები ეხამება სვანეთის ბუნებას, მეტ მრავალფეროვნებასა და ცხოველხატულობას ანიჭებს გარემოს. ტაძრები სვანურე კოშკებთან ერთად ჰარმონიულად ერწყმის გარემოს.

ბიბლიოგრაფია

1. Аладашвили, Алибегашвили, Вольская 1983. Аладашвили Н., Алибегашвили Г., Вольская А., Живописная школа Сванетии, Тбилиси, 1983г.
2. Аладашвили Н., Вольская А., Фасадные росписи Верхней Сванетии(Х-XVII вв.).
3. Амиранашвили, 1957. Амиранашвили Ш., История Грузинской монументальной живописи, (Т. I) Тбилиси, 1957.
4. ყენია, ალადაშვილი, 2000. რ. ყენია, 6. ალადაშვილი, საქართველოს მეგზური II, ზემო სვანეთი. თბილისი, 2000.
5. ყიფშიძე, 1977. ი. ყიფშიძე, შუა საუკუნეების სვანეთის კედლის მხატვრობისა და ხატწერის ურთიერთობისათვის, სხ, 1, 1977.

მარიამ გოჩელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

ისტორიული ცენტრი მთის (ლეპარის) ნაიდა გიორგის მონასტრის შესახებ

ხელმძღვანელი პროფესორი: ნათელა ჭაბუა

საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთია რაჭა, რომელმაც შემოგვინახა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არაერთი გამორჩეული ნიმუში. მათ შორის აღსანიშნავია მთის, იგივე ლეპარის წმინდა გიორგის მონასტერი, რომელიც მდებარეობს ქვემო რაჭაში, რაჭა-იმერეთის გამყოფ ნაქერალას ქედის დაბოლოებაზე. ამ ადგილს ისტორიულად წმინდა გიორგის მთა ეწოდებოდა, ხოლო რაჭაში მას იცნობენ, როგორც ლეპარის მთას. აյ არსებული მრავალრიცხვანი ნანგრევები მეტყველებს იმაზე, რომ მთის წმინდა გიორგის მონასტერი საკმაოდ ძლიერი კომპლექსი უნდა ყოფილიყო, რაზეც მიუთითებს ისტორიულ წყაროებში, უცხოელ მოგზაურთა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული არც თუ ისე ბევრი ცნობა მონასტრის შესახებ. თუმცა ამ ცნობების განხილამდე საინტერესოა ზოგადად მიმოვიხილოთ მონასტრის ეკლესია, რომელიც დარბაზული ტიპისაა. როგორც ხელოვნებათმცოდნე მ. დვალი აღნიშნავს, ტაძარი აგებული უნდა იყოს IX-X სა- ის მიჯნაზე, ხოლო ჩრდილოეთი მიშენი X-XI ს-ის მიჯნაზე. ამჯერად ყურადღებას გავა- მახვილებთ ამ მონასტრის შესახებ ისტორიულ საბუთებში, უცხოელ მოგზაურთა და სა- მეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ცნობებზე.

მთის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ ცნობები მოიპოვება ძველ სიგელ-გუჯ- რებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა XV საუკუნეში იმერეთის მეფე ბაგრატის მიერ „მთის წმინდა გიორგის“ მონასტრისადმი გაცემული გუჯარი, რომლის შედგენის დროისა და გამცემი პიროვნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადას- ხვაობაა, მაგრამ თვითონ გუჯარი ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს, რომლიდანაც ჩანს, რომ იმერეთის მეფე ბაგრატს ალუდგენია მონასტერი და მიწებიც შეუწირავს. გან- საკუთრებით საინტერესოა ის, რომ სიგელში დავით აღმაშენებელი და მისი ძე დემეტრე I იხსენიება, რაც ადასტურებს, რომ ტაძარი დავით აღმაშენებლის მეფობამდე უნდა იყოს აშენებული.

მთის წმინდა გიორგის მონასტერი იხსენიება აგრეთვე ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყ- ნებულ ნიკორწმინდის ტაძრის სახელზე ლევან იმერთა მეფის მიერ 1591 წელს გაცემულ 15 საბუთში, აგრეთვე 1680-1685 წწ.-ში ვინმე სვიმონა წულუკიძის მიერ გაცემულ შენი- რულობის სიგელში, უკანასკნელი შენირულობის წიგნი კი გაცემულია 1795 წელს იმე- რეთის მეფე სოლომონ II-სა და მის მეუღლე მარიამის მიერ.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი გუჯრები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მთის წმინდა გი- ორგის მონასტერი საკმაოდ ძლიერ კომპლექსს წარმოადგენდა და მას მამულებს სწი- რავდნენ როგორც ერთიანი საქართველოს მეფეები, ისე იმერეთის მეფეებიც.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებს წმინდა გიორგის მთას „სამ- ხრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ და მთასა ამას საერთოდ უხოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს ნაქერალას, ვე-

ლევა... ”როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი გარკვეული მიზეზების გამო არ ახ-სენებს მონასტერის არსებობას, თუმცა წმინდა გიორგის მთას მოიხსენიებს და ზუსტად აღწერს მის ადგილმდებარეობას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ვახუშტი ეყ-რდნობოდა მასთან ერთად ემიგრაციაში წასული საქართველოს ამა თუ იმ კუთხის წარ-მომადგენლის მონათხრობს ან რუსეთში გატანილი სამეფო არქივის მონაცემებს.

ძველი ისტორიული წყაროების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოელ მოგ-ზაურთა თუ სწავლულთა ცნობები, რომელთა შორის უპირველესად უნდა დავასახე-ლოთ 1651 წელს საქართველოში ჩამოსული რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლე-ვის მოგზაურობის ამსახველი ანგარიში, რომელშიც ძალიან მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული რაჭის შესახებ. აქ მოცემულია რაჭის რამდენიმე სოფლის, ეკლესიისა და მო-ნასტრის აღწერილობა. ელჩები არაფერს ამბობენ მთის წმინდა გიორგის მონასტერზე, რომელიც საკმაოდ ცნობილი კომპლექსი ყოფილა, რასაც ქვემოთაც დავინახავთ. თუმ-ცა ქუთასში ისინი ტყიბულის გავლით მიდიან, საიდანაც ერთი გზა მიდის სწორედ ამ მონასტრამდე. მართალია, ანგარიშის ძირითად ტექსტში არც ტოლოჩანოვი და არც იევ-ლევი არ იხსენიებენ მთის წმინდა გიორგის მონასტერს, მაგრამ საყურადღებოა იევლე-ვის ანგარიშს დართული იმერეთის ციხე-ქალაქებისა და მონასტრების სია, რომელიც მას თვითონ შეუდგენია ადგილობრივი აზნაურების ზეპირი გადმოცემის მიხედვით. აქ იმერეთის მონასტრებს შორის სამჯერაა ნახსენები მთავარმოწამის გიორგის საყდარი. აქედან მესამე საყდარი მდებარეობს ქუთათისში, მაგრამ დანარჩენი ორი მონასტრის მდებარეობა მიახლოებითაც არ არის განსაზღვრული, სამაგიეროდ მითითებულია ამ საყდრის მმართველი სასულიერო პირის ვინაობა. არაა გამორიცხული, რომ იევლევს რომელიმე მათგანში ნაგულისხმევი ჰქონდეს სწორედ მთის წმინდა გიორგის ეკლესია, მაგრამ გადაჭრით ამის მტკიცება შეუძლებელია არასაკმარისი ცნობების გამო და ეს უთუოდ შემდგომ უფრო დეტალურ კვლევას მოითხოვს.

უცხოელ ავტორთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა იოპან ანტონ გიულდენ-შტედტი, რომელიც იყო გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერე-ბათა აკადემიის წევრი, საიდანაც მან 1768 წ მიიღო მოწვევა, რათა მონაწილეობა მიეღო 1768–74 წწ.-ში ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს შესასწავლად წარმოებულ ექსპე-დიციაში. 1771 წლის სექტემბერში იგი უკვე დუშეთში იყო, ხოლო 1772 წლის ივნისში იმ-ყოფებოდა იმერეთში. პირველი კუთხი, რომელიც მან იმერეთში ყოფნისას საგანგებოდ მოინახულა იყო სწორედ რაჭა. მის ჩანაწერებში მოცემულია რაჭის სოფლების თითქმის სრული სია, რამდენიმე ეკლესია-მონასტრის, ციხის თუ ხიდის აღწერილობა. აგრეთვე საინტერესო მასალაა წარმოდგენილი რაჭის სოფლის მეურნეობის შესახებაც. ჩვენთვის გიულდენშტედტის მოგზაურობის ანგარიში მით უფრო საინტერესოა, რადგან მასში მოცემულია მცირე ცნობა მთის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ და მითითებულია აგრეთვე მისი ადგილმდებარეობაც: „**დღეს დილით გავედი ნიკორნმინდიდან. გზა 1/2 საათი მიდიოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ ამჟამად დამშრალ მდ. ხერგის კალაპო-ტის გაყოლებით... აქედან გზა დაეშვა ალპური ქედის ციცაბო ფერდის პირდაპირ... ქედის თხემი დაუსახლებელია და მასზე გადის სხვადასხვა გზა რაჭიდან იმერეთისა-კენ; ჩვენ მიერ გავლილი გზიდან კიდევ რამდენიმე ვერსზე დასავლეთით გადის უფ-რო ციცაბო გზა მთაზე, რომელსაც წმინდა გიორგი ეწოდება; მასზე დგას ცნობილი, დანგრეული ეკლესია...**” როგორც ვხედავთ, გიულდენშტედტიც ახსენებს წმინდა გი-ორგის მთას, რომელზეც დგას ჩვენი მონასტერი. ამიტომ მოგზაურის მიერ დასახელე-

ბულ “ცნობილი, დანგრეული მონასტერი”, უნდა იგულისხმებოდეს მთის წმინდა გიორგის მონასტერი. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ეკლესია სახელგანთქმული ყოფილა. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსი ელჩის იევლევის ანგარიშის ბოლოს მოცემულ იმერეთის მონასტრების სიაში ერთ-ერთი უთუოდ ჩვენი მონასტერია, რადგან რუსი ელჩის საქართველოში მოგზაურობიდან გიულდენშტედტის მოგზაურობამდე თითქმის 120 წელი გავიდა. ამიტომ თუ გიულდენშტედტის დროს მონასტერი სახელგანთქმული იყო, მით უფრო იქნებოდა რუსი ელჩების მოგზაურობის დროსაც და აუცილებლად მოიხსენიებდნენ მას იმერეთის მონასტრებს შორის. თუმცა ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ ელჩებს იმერეთის ეკლესია-მონასტრებს შორის გამორჩენოდათ მთის წმინდა გიორგის მონასტერი. გიულდენშტედტის ცნობებს რაც შეეხება, ის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ირკვევა, რომ მონასტერი 1772 წლისათვის დანგრეული იყო, თუმცა სხვა უფრო კონკრეტულ ცნობას მოგზაური აღარ იძლევა.

მთის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს მოცემული ფრანსუა გამბას, რომელიც იყო ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, მან 1820–1824 წლებში იმოგზაურა საქართველოში, ხოლო 1821 წლიდან იყო საფრანგეთის კონსული თბილისში, საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, 1824–1826 წლებში პარიზში გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც ძირითადად აგებულია მის დაკვირვების შედეგებზე, თუმცა აგრეთვე ჩართულია ისტორიული ცნობებიც, ბერძენ-რომაელ ავტორთა მონაცემები და ადგილობრივი მოსახლეების მონათხრობიც. გამბას ნაშრომის ერთი თავი ეთმობა რაჭის აღნერილობას, სადაც უმოგზაურია მის ძმას და ეს თავი შედგენილია მისი მონათხრობის მიხედვით, რაც იმთავითვე გამოიწვევდა გარკვეულ უზუსტობებს. რაჭაზე თხრობის დასასრულს ავტორს მოტანილი აქვს ასეთი ცნობა: „რაჭის ტყის შუავულში არის ქვით ნაგები და ძალზე ძველი პატარა სამლოცველო. იგი ნაკურთხია წმინდა გრიგოლის სახელზე და კოლხეთის ხალხები მას თაყვანისცემით ეკიდებიან. აქ დიდძალი ხალხი მოდის სალოცავად, ხშირად იმერეთისა და სამეცრელოს შორეული ადგილებიდანაც კი. მათ ნეხად აქვთ სამლოცველოსთან იმ პროდუქტის დატოვება, რომლის შექმა-საც ვერ ახერხებენ, ლოცვის შემდეგ აქ ყოველთვის პურის ნამა იმართება ხოლმე.” ნაშრომის მთარგმნელ მ. მგალობლიშვილს მოტანილი აქვს განმარტება: „გამბას მიერ მოხსენიებული სამლოცველო მთის წმინდა გიორგის ეკლესია უნდა იყოს, რომელიც ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზე დგას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ეკლესია ლეკნარის წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი (იხ. თ. ბერაძე, რაჭა, თბ. 1983, გვ. 119–122)”. მართლაც, თ. ბერაძეს თავის ნაშრომში მთის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მიმართებაში მოტანილი აქვს გამბას ზემოთ დასახელებული ცნობა. მაგრამ აქ ბევრი რამ არის დამაფიქრებელი, რატომ უწოდებს გამბა წმინდა გრიგოლის სახელს, მაშინ როცა იგი წმინდა გიორგის სახელობისაა, ან რატომ მიიჩნევს პატარა სამლოცველოდ? მაშინ, როცა ჯერ კიდევ XV–XVIII საუკუნის სიგელებში და გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებში იგი ძველ სახელგანთქმულ მონასტრად არის სახელდებული. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გამბას ძმის მოგზაურობის დროს მონასტერი უკვე დანგრეული იყო და დარჩენილი იყო მხოლოდ ეკლესია. არც ისაა გამორიცხული, რომ გამბას ძმას თავად არც უნახავს მონასტერი და სხვისი გადმოცემის მიხედვით ჩაამატა ეს ცნობა. ამ ვარაუდს ისიც ამაგრებს, რომ ეს ცნობა მოგზაურობის ჩანაწერების ბოლოს არის მიწერილი, ხოლო თვითონ რომ ენახა, აუცილებლად მიუთითებდა მონახულების კონკრეტულ დროს, მდებარეობას და ზუსტს დასახელებასაც. ასე

მოცემული ეს ცნობა ეჭვის საფუძველს ნამდვილად იძლევა, რაც შემდგომ უფრო გა-
მოწვლილვით კვლევას მოითხოვს. თუმცა თვითონ ცნობა, უთუოდ, აღნიშვნის ლირსია.

როგორც ვიცით XIX–XX ს-ის მიჯნაზე რაჭაში სხვადასხვა დროს იმოგზაურეს მ.
ბროსემ, პ. უვაროვამ, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა, თუმცა მათ ჩანაწერებში ვერ მივაკ-
ვლიერ ცნობებს მთის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ.

მთის წმინდა გიორგის მონასტრის პირველი მეცნიერული შესწავლა, თუ შეიძლება
ასე ითქვას, ეკუთვნის გ. ბოჭორიძეს, რომელმაც ძალიან დიდი შრომა გასწია საქართვე-
ლოს მასშტაბით ძველი ეკლესია-მონასტრების აღნუსხვისა და საეკლესიო სიძველეების
გადარჩენის საქმეში. მან მოინახულა ჩვენი მონასტერი და აქ არსებული სიძველეები
აღწერა, თუმცა გარკვეული მოსაზრების გამო მკვლევარი მონასტერს იმერეთის კუთ-
ვნილებად განიხილავს, რაც იმითაა განპირობებული, რომ მკვლევარმა მონასტერი მოი-
ნახულა იმერეთში ყოფნის დროს. სწორედ ამიტომაც მოიხსენიებს მონასტერს „მთასაყ-
დარის“ სახელით ისე, როგორც იმერეთში ამჟამადაც უწოდებენ ამ ეკლესიას.

1948 წელს მონასტერი მოინახულა ხელოვნებათმცოდნე მ. დვალმა, რომელმაც ეკ-
ლესია შეისწავლა სახელოვნებათმცოდნეო-არქიტექტურული კუთხით. 1954, 1955 და
1956 წელს რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო ძეგლის გაწმენდის და შესწავლის მიზნით.
მოპოვებული მასალის ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი ინახება კულტურული მემ-
კვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში. აქვე საინტერესოა ერთი ფაქტი,
რომ მ. დვალი მონასტერს მოიხსენიებს ლევნარის წმინდა გიორგის სახელით და განიხი-
ლავს რაჭის კუთვნილებად. ჩვენ ჯერჯერობით დანამდვილებით არ ვიცით თუ რამ გა-
ნაპირობა სახელწოდება „ლევნარის“ წარმოშობა, მაგრამ ერთ ფრთხილ ვარაუდს მაინც
გამოვთქვამთ – ამ ტერიტორიაზე ხარობს ლევას ხე, ამიტომ შეიძლება ლევადან მომდი-
ნარეობს სახელწოდება ლევნარიც. ამავე დროს ცნობილია, რომ ეს სახელწოდება საკმა-
ოდ ბევრგან გვხვდება საქართველოს მასშტაბით და თვითონ რაჭაშიც, მაგრამ ჯერ მა-
ინც ბოლომდე არაა ჩვენთვის ცნობილი ამ სახელწოდების წარმომავლობა.

შემდგომი პერიოდის ავტორთაგან, რომლებიც მთის წმინდა გიორგის მონასტერს ეხე-
ბა, აღსანიშნავია თ. ბერაძის ნაშრომი „რაჭა“, სადაც ერთი თავი ეთმობა რაჭის ხუროთ-
მოძღვრულ ძეგლებს, მათ შორის წარმოდგენილია მთის წმინდა გიორგის მონასტრის მოკ-
ლე აღწერა, რომელიც ძირითადად ეფუძნება მ. დვალისა და გ. ბოჭორიძის მონაცემებს,
მაგრამ აგრეთვე ჩართულია სიგელ-გუჯრებისა და გამბას ზემოთ მოტანილი ცნობაც.

მთის წმინდა გიორგის მონასტერს, ოღონდ ლევნარის სახელით, განიხილავს ვ. გო-
ბეჯიშვილი თავის ნაშრომში „რაჭის მონასტრები“, რომელშიც ძალზე მოკლედ არის მი-
მოხილული მონასტრის ისტორია, ეკლესიის არქიტექტურა და აქვეა საინტერესო ზეპი-
რი გადმოცემაც მოტანილი, რომლის მიხედვით თითქოს ლევნარისა და ლვიარის ჯვარ-
ცმის ეკლესიები ერთმანეთს სულიერად უკავშირდებოდნენ.

საინტერესოა აგრეთვე ნ. ულენტის ნაშრომები, რომელიც ეხება ზემოთ ნახსენებ
XV ს-ის ბაგრატის მიერ გაცემულ სიგელს და რამდენიმე საგულისხმო საკითხი აქვს ნა-
მოჭრილი როგორც საკუთრივ მონასტრის ისტორიიდან, ისე ზოგადად საქართველოს ამ
პერიოდის ისტორიის შესახებაც.

უკანასკნელ პერიოდში მამა არჩილ დათეშიძემ მონასტერზე გადაიღო ორი დოკუ-
მენტური ფილმი, რომელთაგან ერთი ბევრ უზუსტობას შეიცავს, მაგრამ მაინც ღირე-
ბულია, როგორც დოკუმენტური მასალა.

ამრიგად, განხილული მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მთის წმინ-
და გიორგის მონასტერი, როგორც ადგილმდებარეობით, სასულიერო და არქიტექტუ-

რული მნიშვნელობით გამორჩეული ძეგლი, ყურადღებას იმსახურებდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე. იმედია, ლეკნარის მონასტერი დღესაც მიიქცევს სპეციალისტების ყურადღებას, რათა ადგილზე მისი შესწავლის და რესტავრაციის შედეგად შენარჩუნდეს ათასზე მეტი წლის წინ აგებული ქართული კულტურის ეს ძეგლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. კაკაბაძე – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1921 წ
2. ს. კაკაბაძე – ბაგრატ, უცნობი მე-XVს-ის რაჭა-არგვეთის მფლობელი, 1913 წ
3. ქართლის ცხოვრება, ტ.IV; 1973 წ
4. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღნერილობა, 1650165266, 1970 წ
5. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოს ელჩობის საანგარიშო აღნერილობა (მუხლობრივი აღნერილობა), 1969 წ
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.1, თარგმანი გ. გელაშვილის, 1962 წ
7. გამბა ჯაკ ფრანსუა – მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თარგმანი მ. მგალობლიშვილის, 1987 წ
8. გ. ბოჭორიძე – იმერეთის ისტორიული ძეგლები, 1995წ
9. მ. დვალი – ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1968, 4
10. თ. ბერაძე – რაჭა, 1983 წ
11. ვ. გობეჯიშვილი – რაჭის მონასტრები, 2006 წ
12. ნ. ულენტი – „მთის წმ.გიორგის“ მონასტრისადმი გაცემული XV ს-ის გუჯარზე, მონასტრი სადმი შენირულობის გამღები, საპუთის განმაახლებელი და ახლად დამამტკიცებელი პირების მიერ შესრულებული მინაწერების შესახებ, ქრისტიანობის კვლევები, 2009, ტ.II
13. ნ. ულენტი – მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV ს-ის გუჯარში მოხსენიებული „მებართლომეს“ ვინაობის შესახებ, ქრისტიანობის კვლევები, 2009, 3.
14. ნ. ულენტი – მთის წმინდა გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV ს-ის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2010, ტ. XII.
15. myvideo.ge – მთასაყდარი

ლექსო დორეული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

პოსტმოდერნისტული ხელოვნების ფილოსოფია

ხელმძღვანელი პროფესორი: აკაკი ყულიჯანიშვილი

პირველ რიგში, საჭიროა, შევთანხმდეთ, რომ „პოსტმოდერნისა“ და „პოსტმოდერნიზმის“ ცნებებს შორის არსებითი, თვისებრივად პრინციპული განსხვავებაა. მართალია, ისინი ერთ იდეოლოგიურ ველში პულსირებს, მაგრამ პოსტმოდერნი თუ ზოგადეპოქალური მდგომარეობაა, რომელიც ადამიანის აზროვნებასა და სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესებს აერთიანებს, მის ეთიკურ ღირებულებებს ადგენს, ეპოქის მსოფლმხედველობრივ „კლიმატს“ ქმნის და შესაბამისად, ყოფიერებას მთლიანად განსაზღვრავს, პოსტმოდერნიზმი მხოლოდ მისი ერთი კონკრეტული სფეროსაკენ არის მიმართული და ძირითადად კულტურასა და ხელოვნებას მოიცავს.

აქვე, აუცილებელია, შევთანხმდეთ, რომ „მოდერნი“ და „პოსტმოდერნი“ (შესაბამისად მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი) ურთიერთმომცველი, კოპერენტული ცნებებია. ორივე ერთ ფუნდამენტურ იდეაზეა აღმოცენებული, ექსისტენციალური კრიზისის გამწვავების უკიდურეს ფორმებს წარმოადგენს და ამდენად ისინი ერთიან, ორგანულ, სინთეზურ არსობრივ მდგომარეობას ქმნის. მათი ცალკეულ ეპოქებად განხილვა რეალობას არის მოკლებული. ისინი ერთი მენტალური მსოფლხედვის განვითარების ფაზებს წარმოადგენს და ამდენად, ღირებულებათა სისტემების (თუ კი ასეთი საერთოდ შეიძლება გააჩნდეს) თუნდაც მნიშვნელოვანი განსხვავებულობის მიუხედავად, ერთმანეთან კაუზალურ მიმართებაშია.

მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ცნებას „ეპოქა“ პოსტმოდერნთან მიმართებაში მხოლოდ დროით-სიტუაციური დატვირთვა აქვს, რადგან პოსტმოდერნში საბოლოოდ ფორმირებული ნიშნებისაკენ – ადამიანთა ტექნიციზირებისაკენ სწრაფვა, სულიერი კულტურის აბსოლუტური დეგრადირება, ღირებულებათა ევოლუციური ტრანსფორმაცია და ა.შ. – მიდრეკილება, კაცობრიობას ჩანასახშივე ახასიათებდა და სინათლის სიჩქარით მიაქანებდა კიდეც მას თვითლიკვიდაციამდე, პოსტმოდერნამდე, რომელიც კაცობრიობის განვითარების, ანუ დეკადანისის საბოლოო სტადიაა და ცივილიზაციასაც კარგს არაფერს უქადის. საქმე იმაშია, რომ პოსტმოდერნი ამ საუკუნოვანი გამოცდილების კულმინაციური ეტაპია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საერთო კულტურულისტორიული, მსოფლმხედველობრივი ცვლილებების სავსებით ლოგიკური შედეგია.

პირველ რიგში, კვლევა-ძიების რეზულტატურობისათვის აუცილებლად მიმართია იმ მეთოდოლოგიურ გზებზე შეთანხმება, რომელიც პროდუქტიული შეიძლება აღმოჩნდეს ამ კუთხით. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საჭიროა, „პოსტმოდერნიზმის“ – ამ მენტალურ-იდეოლოგიური, ინტერპელაციური არსის ცნების არა ისტორიული, არამედ ონტოლოგიური ანალიზი; თუ რა ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს ის ყოველგვარი გარეშე ძალებისაგან გამიჯვნით. აქედან გამომდინარე, პოსტმოდერნიზმის არსს (უარსობას) რომ ჩავწვდეთ, მისი გენეტიკური, ჩანასახოვანი ფუძის განხილვასთან ერთად, პრაქტიკული ასპექტების ანალიზია საჭირო; თუ როგორ ახდენს ის საკუთარი თავის გა-

მოვლენას ობიექტურ სინამვილეში. საკითხის (პრობლემის) ძირეული შესწავლისათვის აუცილებელია, შემეცნების ნაკადი მივმართოთ არა იმისკენ, რაც ყველაზე ხშირად არის გაგებული როგორც პოსტმოდერნიზმი, არამედ მისი იდეური, კონსტატური, პირველადი არსისაკენ. უპრიანია, მისი ავთენტიკური ბაზისის დესკრიფიული განხილვა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ანალიზის პირველ საფეხურზე ნაკლებად უნდა დავინტერესდეთ პოსტმოდერნიზმის ტრანსფორმაციული, არაჰიმოგენური, დისემინაციური სახეცვლილებებით, რათა შეცდომაში არ შეგვიყვანოს და სწორ გზას არ აგვაცდინოს ამ მენტალურობის ფაქტობრივმა გამოვლინებებმა, რომელიც ზოგჯერ უახლოვდება, ზოგჯერ კი შორდება კიდევ მის ჭეშმარიტ საზრისს.

რა თქმა უნდა, პოსტმოდერნულმა მსოფლმხედველობრივმა ასპექტებმა პირდაპირი ასახვა ჰქოვა ხელოვნებაზე, როგორც კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის ყველაზე ამაღლებულ სფეროზე. შესაბამისად, პოსტმოდერნიზაციის გარდაუვალმა პროცესმა ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა საკუთარი ესთეტიკურ-ინტელექტუალური მიმართულებების პარალელურად წარმართა და ეგრეთნოდებული „ახალი ხელოვნება“ წარმოქმნა, რომლის მიზანს, როგორც ჰანს ზედლმაირი წერს, „ადამიანის დამახინჯება“ წარმოადგენს...

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ პოსტმოდერნიზმის კვლევისას ჩვენ არას დიდებით არ უნდა დავემსგავსოთ ხელოვნების ისტორიკოსებს. თუმცა ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფიური გამოცდილება არ გავითვალისწინოთ. როგორც ორტეგა ი გასეტი ერთგან წერს: „ვისაც ნაწარმოებში ხუანის თუ მარიამის, ტრისტანისა თუ იზოლდას ბედი აღელვებს და სწორედ ამას უსადაგებს თავის სულიერ აღქმას, ვერასოდეს დაინახავს საკუთრივ მხატვრულ ნაწარმოებს“. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიას, ესთეტიკას მართებს არა კონკრეტული ფაქტების კონსტატაცია და ანალიზი, არამედ ამ პროცესის შინაგან თავისებურებათა მახასიათებლების კანონზომიერებების დადგენა და საჭიროების შემთხვევაში სიტუაციის რადიკალიზება. ამიტომაც სრულებითაც არ არის სავალდებულო, ვინმეს „ახალი“: პოეზიის, მხატვრობის, მუსიკის და ა.შ ჩვენეული შეფასება განსაკუთრებით აინტერესებდეს. ამიტომაც, საჭიროა, განსახილველი პრობლემის ზოგადი ასპექტების სიღრმისეული სისწორით ანალიზი და არა მისი კონკრეტული, კერძო, ფაქტობრივი გამოვლინებების აღწერა-შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადება. ასე, რომ საკითხის მიმართ ინტერპოლაციური მიდგომაა საჭირო, რადგან პოსტმოდერნიზმს, როგორც „მთელსა“ და მის კონკრეტულ „ნაწილებს“ შორის არააღიტიური დამოკიდებულებაა.

ძირითადი თემის სრულყოფილი ანალიზისათვის (რამდენადაც ეს შესაძლებელია), პირველ რიგში, აუცილებლად მიმაჩნია ორი ცნების – „პოსტმოდერნიზმისა“ და „თანამედროვე ხელოვნების“ ურთიერთმიმართების ანალიზი. დასადგენია, თუნდაც კონტექსტუალურად, რამდენად იგივეობრივი, ეკვივალენტურია ისინი და შეიძლება თუ არა მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა. ამ პრობლემის გადაჭრა საშუალებას მოგვცემს, კონკრეტულ საგანს, ფენომენს მისი არსობრივი, იდეური, ესენციალური, ბუნებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით „მოვარგოთ“ შესაბამისი ცნება. გარდა ენობრივი უზუსტონობისა, კვლევა-ძიების ამ კუთხით წარმართვა თავიდან აგვაცილებს შესაძლო დაუდევრობას – ერთმანეთთან საზრისული მდგომარეობით სრულიად განსხვავებული მოცემულობების იდენტიფიცირება, გაიგივება მოვახდინოთ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ცნება – „თანამედროვე”, საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე მყარ ღირებულებას. ის არც ეპოქალურობასა და მის იდეოლოგიურ მრნამსს შორის მსოფლმხედველობრივ იდენტობაზე შეიძლება მიანიშნებდეს. „თანამედროვე” მეტად კონტექსტუალური ცნებაა დროის ფენომენთან მიმართებაში. სხვა საქმეა, თუ რა მნიშვნელობები შეიძინა ამ ცნებამ და რა შინაარსობრივი დატვირთვებით ფიქსირდება ამჟამად ენობრივ ველში. ჩვენ მისი პირველადი ლინგვისტური საზრისი გვაინტერესებს და ამიტომაც განვიხილავთ ყოველგვარი სოციო-ისტორიული გავლენებისაგან გამიჯვნით. ვფიქრობთ, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ მისი კონკრეტული საგნის ან მოვლენასთან მიმართებაში გამოყენება მცირედითაც ვერ ცვლის ამ უკანასკნელის (საგნის, მოვლენის) ბუნებას. ჰანს ზედლმაირი წიგნში „თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია“ წერს: სიტყვებით – „თანამედროვე ხელოვნება“, საქებრად იქნებიან ისინი გამოყენებულნი, თუ საძაგებლად – გვეუფლება წარმოდგენა, რომ ოდესადაც „ჩვენს დროში“, ხელოვნებაში ან მისი მეშვეობით წარმოიქმნა „სრულიად ახალი“ ისეთი რაღაც, რაც ამ „თანამედროვე ხელოვნებას“ და მხოლოდ მას, ძირშივე განასხვავებს „ძველი ხელოვნებისაგან.“ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი, შეიძლება ითქვას, რომ „თანამედროვე“ არ არის რაიმე თვისების მატარებელი ცნება; ის მხოლოდ გარკვეული მოვლენის, საგნის ისტორიული დროის მიმართ ეპოქალურ „დამთხვევაზე“ მიუთითებს; მაშინაც კი, როდესაც რაიმე ვითარებასთან მიმართებაში, რომელიც წარსულში შეიქმნა, ვხმარობთ სიტყვა „თანამედროვეს“, ჩვენ სწორედაც იმ პერიოდში მყოფი ადამიანის პოზიციიდან ვაფასებთ მდგომარეობას. უფრო ზუსტად და კონკრეტულად რომ ვთქვათ, არსობრივად სიტყვა „თანამედროვეს“ დროით-სიტუაციური დატვირთვა აქვს და მასთან იდეურად ახლოს მდგომ ტერმინად „თანადროული“ უფრო სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე ნებისმიერი პრედიკატი, რომელიც საგნობრივ მოცემულობას თუნდაც მცირედით მაინც ცვლის. ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლებელი მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთებაა – ცნებების „პოსტმოდერნული“ და „თანამედროვე“ ნიველირება დაუშვებელია. მეტიც, ისინი ხელოვნებასთან უშუალო მიმართებაში მეტონიმიურიც კი არ არის და ერთ საგანზე შეიძლება არც „ლაპარაკობდეს“. მართლაც, დიდი იმედი მაქვს, რომ თანამედროვეობაში არიან ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, რომელთაც პოსტმოდერნისტულ მსოფლმხედველობასთან იდეოლოგიურად არაფერი აკავშირებთ და მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ისინი მაინც ანმყოს „საკუთრებად ითვლებიან“... თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ რამდენიმე განსაკუთრებულად ნიჭიერმა ერთეულმა შემოქმედმა კლასიკურ ესთეტიკურ ღირებულებებთან პოსტმოდერნისტული კომერციულობის საკმაოდ წარმატებული, საინტერესო ადაპტირება შემოგვთავაზა.

ახლა კი, როდესაც უკვე დავიზღვიეთ თავი გაუგებრობისაგან – მსჯელობისას ვიგულისხმოთ ერთი საგანი, ფენომენი და სინამდვილეში ვაანალიზებდეთ მეორეს, თამა-მად შეგვიძლია, „პოსტმოდერნიზმის“ არსის განხილვაზეც გადავიდეთ.

პირველ რიგში, აუცილებელია, გავარკვიოთ, თუ რა წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნების main stream-ს. ორტეგა ი გასუტი ერთგან წერდა: „ახალი ხელოვნება არახალხურია თვით თავისი არსით. მეტიც, ის ანტიხალხურია. მისი ნებისმიერი ქმნილება ავტომატურად იწვევს საზოგადოებაში კურიოზულ სოციოლოგიურ ეფექტს. პუბლიკა ორად იყოფა; ერთი ნაწილი, უფრო მცირე, კეთილმოსურნედა განწყობილი, მეორე, გაცილებით უფრო

დიდი, მტრული თვალით უყურებს მას!" აქვე აუცილებელია ითქვას, რომ თუ იმდროინდელი ეპოქის ხელოვნების ამ „დახასიათებას“ „გადმოვიტანთ“ და „მოვარგებთ“ თანამედროვეობას, აღმოვაჩენთ, რომ „ახალი ხელოვნების“, რაშიც იმ პრინციპული, თვისებრივი ნიშნების ერთობლიობა იგულისხმება, რაზეც გასეტი საუბრობს, ანალოგს, დღევანდელობაში არა პოსტმოდერნისტული, არამედ კლასიკური ხელოვნება წარმოადგენს. ეს ერთი შეხედვით, წარმოუდგენლად შემზარავი პარადოქსია, მაგრამ ცხადია, რომ თუ ორტეგა ი გასეტის დროს ხელოვნების main stream-ს კლასიკური ხელოვნება წარმოადგენდა, ხოლო „ახალ ხელოვნებას“ საზოგადოების დიდი ნაწილი უპირისპირდებოდა, ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და მეტიც, დემონსტრაციულად „გაუკულმართდა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური გამომდინარეობა, რომლის მიხედვით, მოვლენათა პერმანენტული განვითარების შემთხვევაში, აუცილებლობის წესით, პოსტმოდერნისტული ხელოვნება, სიახლის, ნოვაციურობის (ამ შემთხვევებაში არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულად რა სახის სიახლეზეა საუბარი) თვალსაზრისით, ორტეგა ი გასეტის მიერ კლასიფიცირებული „ახალი ხელოვნების“ ანალოგად სავსებით სამართლიანად უნდა მიგვეჩნია, ხოლო კლასიკური ხელოვნება „არახალხური ხელოვნების“ ანტიპოდად, მთლიანად დაირღვა. შესაბამისად, შეიქმნა მდგომარეობა, რომლის მიხედვით, გასეტის მიერ „ახალი ხელოვნებისათვის“ „მინიჭებული“ ნიშნები, თანამედროვე ეპოქის მსოფლეოდვის მიხედვით, არა პოსტმოდერნისტული, არამედ კლასიკური ხელოვნებისათვის არის დამახასიათებელი. მართლაც, საზოგადოების ძალზე დიდი ნაწილი კი არ ენინა-აღმდეგება, არამედ სიამოვნებით ღებულობს პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას. ეს სიტუაცია, მეცნიერული სიზუსტით, სამი სიტყვით შეგვიძლია, დავახასიათოთ, როგორც „ღირებულებათა გრძელი როქი“. ამის ფონზე კი მოდერნიზმის, განსაკუთრებით კი პოსტმოდერნიზმის მიმდევრები არასოდეს ცდილობდნენ დაემალათ საკუთარი ზიზღი იმ ესთეტიკური ღირებულებების მიმართ, რომლის მატარებელიც კლასიკური ხელოვნებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოსტმოდერნისტული ტალღა, მართალია, ჯერჯერობით, ვერ „ბედავს“ უკვე კლასიკად ქცეული ხელოვნების ნიმუშები დაბალი დონის მხატვრულ პროდუქტად გამოაცხადოს (თუმცა ამის დიდი სურვილი აქვს), მაგრამ უკვე პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ხელოვნების ქმნილებებს, რომელიც კლასიკური სტილისა და ესთეტიკის დაცვით არის შექმნილი, „არქაულს“, „მოძველებულს“, „შესაბამისად“ კი „დრომოქმულსა“ და „ამაზრზენსაც“ კი უნიდებს; ეს კი, რასაკვირველია, კლასიკური ხელოვნების ანუ ხელოვნების ზიზღსა და სიძულვილს ნიშნავს. ასე, რომ ხოსე ორტეგა ი გასეტის მიმართ უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ყოველგვარი მორიდებისა და კრძალვის გარეშე, უნდა ითქვას, რომ მისმა წინასწარმეტყველებამ, თითქოს „ახალ ხელოვნებას („ახალი“ – ამ სიტყვის დროული მნიშვნელობით) საქმე აქვს მისდამი მტრულად განწყობილ მასასთან, და ასე იქნება მუდამ“ რამდენიმე ათწლეულსაც კი ვერ გაუძლო. ახლა კი, როდესაც განვსაზღვრეთ თუ რა წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნების main stream-ს და, შესაბამისად, ვიცით, თუ რა არის ჩვენი კვლევა-ძიების მთავარი საგანი, შეგვიძლია, უფრო დეტალურად ჩავუდრმავდეთ საკითხს. პირველ რიგში, აუცილებლად მიგვაჩინია თანამედროვე შემოქმედის, ხელოვანის სულიერ, ესთეტიკურ მოთხოვნილებებზე, მიზნებსა და ხელოვნების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე მსჯელობა. ობიექტრობისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩინია შემოქმედებითობის, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების, პოსტმოდერნისტი ხელოვანის ტიპთან ოპოზიციაში განწილვა.

ჭეშმარიტი ხელოვნებისა და სუბიექტური (და არავითარ შემთხვევაში ობიექტური) რეალობის ურთიერთმიმართების საკითხი იმ მარადიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც ისტორიულობის პარალელურად სულ უფრო და უფრო მეტ სიმწვავეს

იძენს. მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ფილიპ ლერში მიიჩნევს, რომ მათ შორის დამოკიდებულება ურთიერთმოქმედი არ შეიძლება იყოს. მართლაც, სინამდვილე, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, ყოფიერების ეპოქალურ განაზრებას წარმოადგენს, საკუთარ ლირებულებათა გავლენის გაზრდას, რაც, როგორც წესი, წმინდა შემოქმედების (ამ შემთხვევაში, არ იგულისხმება „.....pure”-ის პრინციპი) ფიზიკური არსებობის „მიჩქმალვასთან”, არცნობასთანაც კი შეიძლება გავატოლოთ, ისე ახერხებს, რომ ამ „ბუნებრივი” პროცესიდან თავად „მშრალად ამოდის” და მცირედითაც კი არ ტრანსფორმირდება. ეს ყოველივე ზოგს შეიძლება პარადოქსულადაც კი მოეჩივენოს, მაგრამ თანადროულობის მხრიდან „ტექსტთა დაჩაგვრის” მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა „ჩვეულებრივს” ხდის ამ ფაქტს, რომ თითქოს, ეს ასეც უნდა იყოს. თუმცა სხვას რას უნდა ელოდო „ხელოვნებისაგან”, რომელიც სიმბოლიზმის თეორეტიკოსის ვიაჩესლავ ივანოვის სიტყვებით რომ ვთქვათ „პროგრესის ფატალისტურ მოძღვრებაზეა დამყარებული”.

ამ გაგებით პოსტმოდერნიზმი ამორალური მოვლენაა. მაგრამ ის იმიტომ კი არ არის ამორალური, რომ ამორალურია, არამედ იმიტომ რომ მორალური არ არის.

პოსტმოდერნიზმი ყოველგვარი ზნეობრივი, ესთეტიკური ნორმების „გარღვევით” არის წარმოშობილი. ზოგი შეიძლება შემოგვედაოს, აკი-ლა გოეთე და კანტიც იმას აღნიშნავდნენ, ტალანტი უკვე არსებულ წესებს კი არ იყენებს, არამედ თავად არის კანონმდებელი, თავად უდგენს ხელოვნებას წესებს და ამიტომაც რეზულტატი სრულიად ახალი ხელოვნებაა. მაგრამ, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ და დავასაბუთეთ, „პოსტმოდერნისტული ესთტიკა” და, შესაბამისად, „პოსტმოდერნისტული ხელოვნება” მეტად წინააღმდეგობრივი ცნებებია. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ წესებსაც აქვს შექმნის თავისი უზოგადესი წესები, კანონზომიერება, რომელიც ხელოვნებას ხელოვნებად აქცევს...

როგორც მარქსი წერდა: „ადამიანი გარდაქმნის სამყაროს სილამაზის, მშვენიერების კანონების შესაბამისად”. პოსტმოდერნიზმში ეს „წესი” აბსოლუტურად „გაუკულმართდა” და ახლა ადამიანი „სილამაზის კანონებს” გარდაქმნის სამყაროს შესაბამისად; ხელოვნება გარე ძალებზეა ორიენტირებული და ამდენად, ის სპეციფიკურ, ინდივიდუალურ ღირებულებებს კარგავს. სწორედ ამიტომ აზრი, რომლის მიხედვითაც პოსტმოდერნიზმში ქრება ინდივიდუალიზმი და ავტორი აღარ არის ლიდერი, ის ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული მოკვდავია, ნამდვილად არ არის გონიერებას მოკლებული. ამ „ღირსების” „დამსახურებაა”, რომ პოსტმოდერნიზმი მასობრივი კულტურის პროდუქტად ჩამოყალიბდა. როგორც კანტი წერს: „ხელოვნება გენის ქმნილებაა, გენის გარეშე ის არ არის ჭეშმარიტი ხელოვნება”. კანტი იმასაც ამბობს, რომ „გენია მოქმედებს როგორც ბუნება, მან რაღაც უნდა გამოიგონოს და არა აღმოაჩინოს!“ ახალი დროის შემოქმედი კი კონსტრუქტორს ჰგავს, რომელიც მხატვრული პროდუქტის შესაქმნელად მზა მასალას იყენებს. სწორედ პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ის უნიჭოთათვის იდეალურ პირობებს ქმნის – ადვილად გაასაღონ ყველაფერი ხელოვნებად.

გოეთე ავტონომიას უქმნის შემოქმედს ხელოვნების სამყაროში და მთავარ მოთხოვნად ხელოვნების მიმართ კეთილსინდისიერებას უყენებს. სწორედ ამ საკითხთან მიმართებაში ამბობს კანტი: „ოსტატი, რომელიც ხელფასისათვის ქმნის, ხელოსანია და არა ხელოვანი“. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ პოსტმოდერნიზმს, როგორც კომერციულ ინტერესებზე აგებულ მიმართულებას, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან არაფერი აკავშირებს. შესაბა-

მისად, მისი მიმდევრების დიდი ნაწილი სრულიად სამართლიანად შეიძლება მოინათლონ უბრალო ხელოსნებად, მუშებად, რომელთათვისაც უმთავრესი მატერიალური კეთილ-დღეობაა და სწორედ ამ მიზნის მისაღწევად აწვალებენ კალამს, ფუნჯს და ა.შ.

თუმცა, ეს სრულად როდი ამონურავს პოსტმოდერნიზმის ჩრდილოვან მხარეებს. მეორე, მეტად მტკიცნეულ უკიდურესობას ის წარმოადგენს, რომ ამ საყოველთაო უსა-მართლობით იმედგაცრუებული ჭეშმარიტი ხელოვნები ხშირად „ტოვებენ“ ლიტერატუ-რას და აბსოლუტური გულწრფელობით ათქმევინებენ საკუთარ პერსონაჟებს: „ნეტავ არც ერთი პოეტი ახლოს არ გამეცნო!“ (საუბარია თანამედროვე ქართველი მწერლის, რამაზ ბერაძის, ფილოსოფიურ-მისტიკურ რომანზე – „მარადისობის მარადიული მის-ტერია“, სადაც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი – „ელი“ წარმოთქვამს ამ სიტყვებს). მი-უხედავად ამისა, როგორც გამორჩეული პოეტი და მოაზროვნე – მიხეილ გოგუაძე ერ-თგან წერს: „მინის ფიალას მოთმენა ავსებს, სინათლისაკენ იძვრის ყოველი“. სხვა რა დაგვრჩენია! ჩვენც დაველოდოთ წინასწარმეტყველების აღსრულებას – „ჭეშმარიტე-ბის ექსპერტიზაზე გულალმა წვანან გაფატრული საუკუნენი“ (მ. გ).

პოსტმოდერნი საერთო მენტალური მდგომარეობაა და კაცობრიობის ევოლუციური, ტექნოკრატიული, განვითარების ანუ დეკადანის ერთ-ერთ ბოლო ფაზას წარმოადგენს. ყოველივე ამის შედეგი კი ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის იდეური ზღვარის წაშლაა. როგორც მარტინ ჰაიდეგერი წერდა: „ხელოვნება და მეცნიერება ეს ის ორი უდიდესი მნვერვალია, რომელსაც უფსკრული ჰყოფს“. პოსტმოდერნისტული ხელოვნება კი ორი სიტყვით შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ესთეტიკურის (და არა ესთეტიკური) ნიჰილიზმი. რაც თავისთავად გულისხმობს ესთეტიზმის დასასრულს ყოფიერებაში. ესთეტიზ-მი კი ხელოვნებას იცავდა „ყოფიერების სულიერი სიმდაბლისაგან“ და მეცნიერული, გეო-მეტრული, არითმეტიკული სიზუსტისაგან. შესიტყვება „პოსტმოდერნისტული ესთეტიკა“, არსობრივად იგივეა, რაც ორი ცნების – „ტექნოკრატიისა“ და „ესთეტიკურის“ სინთეზი. ტერმინი „ტექნიციისტურ-ესთეტიკური“ კი თავისივე თავშივეა წინააღმდეგობრივი და ორი არსობრივად დაპირისპირებულ ღირებულებათა პოლუსების სინთეზს გულისხმობს. პოს-ტმოდერნისტულ ხელოვნებაში სიტყვები კი არ მნიშვნელობენ, არამედ მნიშვნელობები მნიშვნელობენ, საგნებიდან მათი საზრისული „მარადიული ამწყოს“ „გატანა“ კი ისე ხდება, რომ საგანი იგივე რჩება.

ყოველივე ეს საკმაოდ დიდ საფრთხეს ბადებს, რომ თეორიული მეცნიერება ხელოვ-ნებისათვის იმპულსთა წარმომქმნელ ფაბრიკად გადაიქცეს. ამის შედეგია კითხვა, რო-მელიც უკვე საკმაოდ აქტუალურია: „შეუძლია კი მეცნიერებას მეცნიერული სახით წარმოსდგეს?“... აქვე თავს ბუნებრივად იჩენს მეორე უკიდურესობა – ხელოვნებას, რა-საკვირველია, არ ძალუძს მთლიანად კონსტრუირდეს წმინდა თეორიულ მეცნიერებად და ვიღებთ შემდეგ სურათს: თეორიული მეცნიერება ეძლევა ლეთარგიულ ძილს, ხოლო ხელოვნება კვაზი-მეცნიერული ხდება.

შესაბამისად, ხელოვნებამ დაკარგა სამყაროს სუბიექტურ-ობიექტური აღქმის უნარი. მას რეალობის მხატვრულად ასახვის ძალა აღარ შესწევს და საკუთარ დანიშნულებად სი-ნამდვლის კოპირება გაიხადა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ „ახალი ხელოვნების“ პერ-სონაჟებს ადამიანებისათვის რომ „გაეცვალათ“ ადგილი არსებითად არაფერი შეიცვლე-ბოდა. როგორც ორტეგა ი გასეტი წერს: „რელობა ჩასაფრებულია და გამუდმებით უთვალ-თვალებს მხატვარს, რომ გაქცევის საშუალება არ მისცეს“... ასე, რომ ხელოვნების იდეურ-არსობრივი დეგრადირება იმ მხატვრის, ხელოვანის სინდისზეა, რომელსაც რეალობისაგან

თავის დაღწევისათვის ნიჭი არ ყოფნის. არადა ხელოვნების ძირზე კი არ უნდა აღმოცენდეს ადამიანი, არამედ პირიქით, ადამიანზე უნდა აღმოცენდეს ხელოვნება...

საბოლოოდ, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ის, რაც მხოლოდ არსებობდა, აღარ შეიძლება დაბრუნდეს...

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხოსეორტეგა ი გასეტი, „მასების ამბოხი”, თბ. გამომც. „ხომლი”, 1993 წ.
2. ხოსე ორტეგა ი გასეტი, „ხელოვნების დეპუმანიზაცია”. თბ. გამომც. „ლომისი”, 1992 წ.
3. ჰანს ზედლმაირი, „თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია”, თბილისი, 2010 წ.
4. ლალი ცერცვაძე, „გენიოსის პრობლემა გერმანულ კლასიკურ ესთეტიკაში” (კანტი, გოეთე, შილერი, შელინგი, ჰეგელი) თბ. გამომც. „მეცნიერება”, 1998 წ.
5. ზურაბ კაკაბაძე „ექსისტენციური კრიზისის პრობლემა დაედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია”, თბ. 1985 წ. გამომც. „მეცნიერება”, 1985 წ.
6. ედმუნდ ჰუსერლი „პარიზული მოხსენებები”, თბ. გამომც. „მერიდიანი”, 2010 წ.
7. აკაკი ყულიჯანიშვილი, „ესთეტიკა”, თბ. გამომც. „მერიდიანი”, 2006 წ.
8. პლატონი „იონი/ დიდი ფიპია/ მენონი”, თბ. გამომც. „ნაკადული”, 1974 წ.
9. „ლიტერატურის თეორია”, (მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები), თბ. „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2009 წ.
10. „ფსიქოლოგიური ენციკლოპედია”, თბ. 2007 წ.
11. რუსულან მირცხულავა, „ხელოვნების ფსიქოლოგია”, თბ. გამომც. „კენტავრი”, 2007 წ.
12. მიხაკო წერეთელი, „ერი და კაცობრიობა”, თბ. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1990 წ.
13. რამაზ ბერაძე, „მარადისობის მარადიული მისტერია” (თანამედროვე მითი), თბ. 2010 წ.
14. რამაზ ბერაძე, „წრებრუნვა”, თბ. „ეროვნული მწერლობა”, 2008 წ.
15. „სტუმრად კობა გურულის საუფლოში”, თბ. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა”, 2008 წ.
16. მიხეილ გოგუაძე, „ლურჯი სარკე”, თბ. 2007 წ.
17. ვოლფგანგ ველში, ჩარლზ ჯენკსი, კლემენტ გრინბერგი, ჯონ ბრუინი, რუთ ლორანდი, დონალდ ვ. კასპითი, „პოსტმოდერნი, როგორც “ასეთი” ”, თბ. გამომც. „მერანი”, 1999 წ.
18. ავალიანი სერგი, „ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფია”, თბ. გამომც. „უნივერსალი”. 2006 წ.

გარიამგაზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

მაია და მისი ტრადიციები

ხელმძღვანელი: გიორგი კლდიაშვილი

ამერიკის კონტინენტის დღევანდელი ეთნოსები ძირათად ახალი ჩამოყალიბებულნი არიან, რაც XV საუკუნის ბოლოდან და XVI საუკუნის დასაწყისიდან ევროპელთა მასობრივმა მიგრაციამ გამოიწვია, თუმცა აქამდე ამერიკის კონტინენტი დაუსახლებელი არ ყოფილა. აქ ასეულობით დიდი და პატარა ეთნოსი მკვიდრობდა.

ამერიკის ადგილობრივი, ავტოქტონური ეთნოსები საზოგადოებრივი განვითარების დონით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. ერთნი თუ პირველყოფილი თემური წყობილების სხვადასხვა სტადიაში იყვნენ, სხვებს სახელმწიფო და მაღალი კულტურა ჰქონდათ შექმნილი. სწორედ ასეთი მაღალი კულტურით ხასიათდება მაია - მეზოამერიკული ცივილიზაცია. მისი არსებობა თარიღდება ძ.წ. 3000 – ა.წ. XVI საუკუნით.

საიდან გაჩნდა ეს ცივილიზაცია ყველასათვის უცნობ სამყაროში? ეს კითხვა მრავალი მეცნიერის საკვლევი მასალა იყო წლების განმავლობაში. დღეისათვის მათი უმეტესობა შეთანხმებულია, რომ ამერიკაში მოსახლეობის მიგრაცია აზიდან დაიწყო.

მაიას ხალხი დღესაც ცხოვრობს სამხრეთ მექსიკაში, გვატემალასა და დასავლეთ ჰონდურასის მოსაზღვრე რაიონებში, აგრეთვე სალვადორსა და ბელიზაში. მაიას ინდიელთა ჯგუფის ხალხის რაოდენობა 4 მილიონიდან 7 მილიონამდეა. მისი ენა განეკუთვნება მაია-კიჩეს ენათა ოჯახს. ნაწილმა იცის ესპანურიც. რელიგიით ფორმალურად კათოლიკები არიან, ფაქტობრივად ინარჩუნებენ ნინაქრისტიანულ რწმენათა გადმონაშთებს. თანამედროვე მაიას ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა.

პირამიდთა ფრესკებზე ხშირადაა გამოსახული შოკოლადის მომზადების სცენა (შოკოლადს დღეში სამჯერ სვამდნენ), რომლის მომზადების წესი და ინგრედიენტები ბოლომდე დღესაც არაა შესწავლილი.

მაიას ხალხი ძლიერი, სიცოცხლისმოყვარული და ლამაზი იყო. მათთვის სილამაზის ეტალონი ქალების წითლად შეღებილი სხეული, ბრტყელი შუბლი, წაგრძელებული თავის ქალა და სიელმე იყო. ამის გამო, ახალშობილის თავს დაბადებისთანავე ორ ბრტყელ ფიცარს შორის მოაქცევდნენ, ხოლო შუბლზე, თვალებს შორის, ყურადღების მისაქცევად, მძივს კიდებდნენ. მამაკაცის ატრიბუტი იყო სარკე. ისინი ქალებზე მდიდრულად იყვნენ ჩაცმულნი. მიიჩნევდნენ, რომ ქალის საუკეთესო სამკაული თავდაჭრილობაა. თუ ისინი მამაკაცს თავისუფლად შეხედავდნენ, ამისთვის თვალებზე წინაკას უსვამდნენ.¹

მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა მუსიკა და ცეკვები, რომელთა საშუალებითაც ისინი ღმერთებს მაღლობას სწირავდნენ. მუსიკის ჰანგები და ქორეოგრაფიული სურათები თან ახლდა მაიას ყველა მასობრივ ლონისძიებას. სამწუხაროდ, დღეს არ შეგვიძლია მოვუსმინოთ მუსიკას, რომელიც მაშინ ჟღერდა, მხოლოდ ცეკვათა რიტმული მოძრაობის წარმოდგენით თუ დავკმაყოფილდებით.

მაია, ისევე როგორც სამხრეთ ამერიკის სხვა ხალხი, განსაკუთრებული რიტუალებით ხასიათდება. მათთვის ტაძრები წარმოადგენდნენ იმ ადგილს, სადაც სრულდებოდა

მაიას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი- ღმერთთან და წინაპრებთან შერწყმა, რასაც „მიწისქვეშეთში მოგზაურობა“ ეწოდებოდა. ამგვარი მოგზაურობის შესასრულებლად მმართველი უნდა შესულიყო ეგზალტაციის უმაღლეს სტადიაში, რომლის დროსაც ჰალუცინაციები იწყება. ამის მიღწევა შეიძლებოდა შიმშილობითა და სისხლის გამოშვებით. მმართველი ამ წესს განმარტოებული, პატარა ოთახში ასრულებდა, შემდეგ კი სისხლით მოთხვრილი, თეთრი ტანისამოსით გამოჩნდებოდა ტაძრის კიდეების ზედა მოედანზე და იქიდან იწყებდა „ღმერთთან ასვლას“. მაიას ხალხების აზრით, საიდუმლო კავშირი ცოცხალ ადამიანებს, ღმერთებსა და წინაპრებს შორის მყარდებოდა რიტუალური აქტების დროს, რომლებსაც ადამიანებისათვის უნდა მიეცათ ცოცხალი სამყაროდან სულების სამყაროში გასვლის საშუალება. ნებისმიერი რიტუალის ჩასატარებლად სისხლის გამოშვება იყო აუცილებელი.²

დღეს მაიას ხალხში ქრისტიანობამდელი კულტები და რწმენა-წარმოდგენები მჭიდროდაა დაკავშირებული კათოლიციზმთან: მითების, გამოქვაბულების, ჭების, ჯვრის და დასახლებების ცენტრში დაარსებული წმინდა ხეების კულტები დაკავშირებულია წინაპრებისა და წვიმის კულტებთან. მივარდნილ ოლქებში შემორჩენილია საცხოვრებლის იატაკის ქვეშ დაკრძალვა, ბავშვებსა და მოხუცებს კი მღვიმე-გამოქვაბულებში კრძალავენ. რიტუალებში იყენებენ ძველი მაიას კალენდარს.³

ამ მცირედი გამოკვლევის შემდეგ მივხვდი, რომ მიუხედავად, ესპანელების მცდელობისა იარაღის გამოყენებით მოექციათ საკუთარ სარწმუნეობაზე, რაც მათი აზრით, მაიას ხალხის უკეთ დამორჩილებასა და ტერიტორიების ადვილად დაპყრობაში დაეხმარებოდათ, მაიას ხალხი დღესაც ინარჩუნებს ტრადიციებს, რაც მათი აზრით, თვითმყოფადობის შენარჩუნებას უწყობს ხელს და ამ ტრადიციების დაცვითა და თაობიდან თაობაზე გადაცემით პატივს სცემენ წინაპრებს, უდიდეს ისტორიასა და უმნიშვნელოვანეს კულტურას.

ესპანელი მღვდლები გაკვირვებული იყვნენ იმის გამო, რომ მაიას ხალხში არსებობდა რიტუალი, საოცრად მსგავსი ქრისტიანული ნათლობისა. რიტუალი ტარდებოდა მაშინ, როცა დასახლებაში გროვდებოდა საკმარისი რაოდენობა ბავშვებისა 3-დან 12-წლამდე, რომლებიც ცერემონიამდე იცავდნენ განსხვავებულ მარხვას. სანამ ვარსკვლავთმრიცხველი ატარებდა სხვადასხვა განსაწმენდ რიტუალებს (ლოცავდა მათ წმინდა წყლითა და აწევინებდა თამბაქოს), ბავშვები იმყოფებოდნენ მამებთან ერთად, ვიწრო ძაფით შემოღლობილი წრის შიგნით, რომელსაც იქმნდა 4 პატივსაცემი მოხუცი კაცი. ისინი განასახიერებდნენ წვიმის ღმერთ შაკას. ზუსტად ამ რიტუალის შემდეგ ითვლებოდა რომ ასაკით უფროსი გოგონები იყვნენ მზად დასაქორწინებლად.⁴

როგორც მაიას მთაში, ასევე ბარში ბიჭები და ახალგაზრდა მამაკაცები ცხოვრობდნენ მშობლებისაგან მოშორებით სპეციალურ სახლებში, სადაც მათ ასწავლიდნენ საბრდოლო ხელოვნებასა და სხვა აუცილებელ ქმედებებს. მაიას ჰერონდა მორალის ორმაგი სტანდარტი – გოგონებს ზრდიდნენ დედები და მათ მიერ დაწერილი ქცევის სტანდარტების დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა.

როგორც ყველა ხალხს, სადაც ქორწინება ეგზოგამიურია, მაიას ჰერონდა მკაცრი წესები იმის შესახებ თუ რომელ ხალხთან შეიძლებოდა ქორწინება და რომელთან არა. მკაცრად იკრძალებოდა ქორწინება ნათესავებს შორის – მამის მხრიდან. ქორწინება მონოგამიური იყო ძირითადად, გამონაკლისს წარმოადგენდნენ მნიშვნელოვანი ჰერსონები, რომლებსაც შეეძლოთ უფლება მიეცათ საკუთარი თავისთვის რამოდენიმე ცოლის

შერთვისა. ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. მსხვერპლშენირვაზე მაიას ხალხი ძალზედ რელიგიური იყო, ისინი რამდენიმე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს. მათი მსოფლმხედველობის თანახმად ღმერთებსა და ადამიანებს ერთმანეთზე უნდა ეზრუნათ. ღმერთები აძლევდნენ ადამიანებს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სიმდიდრესა და ბედნიერებას, ხოლო ადამიანებს კი უნდა მიეცათ მათვის თავიანთი ენერგია და სისხლი.

აქედან წარმოიშვა იდეა მსხვერპლშენირვის უკიდურესი მნიშვნელობისა. მსხვერპლად შეიძლებოდა შეეწირათ ყვავილები, საჭმელი, საყვარელი ცხოველები და სამკაულები; ხელოვნების ნიმუშები და ყველაფერი რაც მათვის ძვირფასი იყო. ბევრად სერიოზულ სახეობად მსხვერპლშენირვისა ითვლებოდა ენის გახვრეტა, ლოყისა და ტუჩის დაჩვლეტა. ისინი დარწმნებულები იყვნენ რომ ჭრილობები ადამიანის სხეულზე გამტარ როლს ასრულებდნენ ზებუნებრივი ძალებისა. მათი საშუალებით ისინი „იგებდნენ“ ვარსკვლავების ენერგიეს.

ბევრად საზარელი მხსვერპლშენირვა, რიტუალური მკვლელობები და კანიბალიზმი სრულდებოდა განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციებში (ბუნებრივი კატაკლიზმები, პოლიტიკური მოვლენები, ეპიდემიები). კანიბალიზმის რიტუალი სრულდებოდა იმ მიზნისათვის, რომ მიეგოთ გარდაცვლილის ღირსებებისათვის პატივი.

ყოველდღიურ რიტუალებს განეკუთვნებოდა წვა კეთილსურნელოვანი მცენარეებისა, ლოცვები, მარხვა (თავშეკავება მარილისაგან, წიწაკისაგან, ხორცისაგან, სექსუალური კავშირისაგან), ალსარება (საზოგადოებაში თხრობა თავიანთი ცოდვებისა და სულის განწმენდა), კულტურული ცეკვები და სიმღერები, რომლებიც მთელ დღეს გრძელდებოდა და მასში 800-მდე კაცი მონაწილეობდა.

დეიგო დე ლანდა გვიამბობს დეტალურად გლოვის ცერემონიალზე: „დღისით ისინი ტიროდნენ ჩუმად, ღამით კი ხმამაღლა და გულისმომკვლელად გოდებდნენ, მხოლოდ მოსმენაც კი სევდის მომგვრელი იყო. ისინი დიდხანს ღრმად დამწუხრებულნი დადიოდნენ. იცავდნენ დათმენას და მარხვას მიცვალებულთა გამო, განსაკუთრებით ქმარი და ცოლი“.⁵

სიკვდილის შემდეგ ცხოვრების რწმენამ მიიყვანა ისინი გვამების ბალზამირების პრაქტიკამდე. გაკვეთის მათეული ტექნიკა გავს ძველეგვიპტურს.

ადამიანის სხეულის ნაწილების ალსანიშნავად მაის ტომი 150 ტერმინს იყენებდა, ბევრი მკვლევარი ამ ფაქტს უკავშირებს რიტუალური მსვერპლშენირვისთვის პრაქტიკას, როდესაც დადგენილ დღებში რამდენიმე ათას ადამიანს კვეთდნენ მკერდსა და უღებდნენ გულს. დაავადების მიზეზად ითვლებოდა ცუდი საქციელი და ცოდვები, კალენდარული წლის თავისებურებები, არასრულყოფილი მსვერპლშენირვა, არამინიერი და მაგიური ძალები.⁶

სწორედ ეს წარმოდგენები იყო მათი ცხოვრების წარმმართავი, აქედან გამომდინარე იყვნენ საოცრად კანონმორჩილნი, ეხმარებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ ღმერთების პატივისცემა დაემსახურებინათ.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ერთი შეხედვით პრიმიტიული წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები იყო ძირითადი მიზეზი მათი ცხოვრების წესისა, წესის, რომელიც მათი დიადი კულტურის დასაბამი გახდა, თუმცადა ამ კულტურის განვითარება არ მომხდარა ეტაპობრივად, იგი ცივილიზაციის შექმნისთანავე პიკს იყო მიღწეული.

გვატემალის ერთ-ერთი რეგიონის სკოლის მოსწავლე წერს, რომ მისი თემისთვის ყველაზე საყვარელია სიმინდის მოყვანის ტრადიცია. ის აღნიშნავს, რომ სიმინდით აკეთებენ სხვადასხვა საჭმელს და თქვენ წარმოიდგინეთ სასმელსაც კი.

გვატემალაში, აგრეთვე, აქვთ ერთი ისეთი ტრადიცია, როგორიცაა „ტამალის“ მომზადება. იგი განსაკუთრებულ შემთხვევებში მზადდება და დიდი დრო სჭირდება. ეს არის საკვები, რომელიც მზადდება სიმინდისაგან. ტორტილლას შეიძლება დაემატოს სხვადასხვა ინგრედიენტები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ღორის ან ქათმის ხორცი. ტამალი ძირითადად ისეთ დღესასწაულებზე კეთდება, როგორიცაა ახალი წელი, სიმინდის დათესვის დღე, ქორწილი, რაიმეს აღნიშვნა ტაძარში და სხვა. ეს საკმაოდ დიდი სიამოვნებაა, ვინაიდან კეთდება ხორცით, რომელიც სოფლებში ნამდვილი ფუფუნებაა.

საშუალო სკოლის მოსწავლე წერს რომ მისი სოფლის ქალები ყოველთვის ლამაზად იცვამენ. გვატემალას მოსახლეობა ამაყობს ჩაცმის ამ სტილით, ვინაიდან ის ითვლება მათი კულტურის წარმოჩენის საუკეთესო საშუალებად. ატარებენ „კორტეს“, იგი გრძელი ნაჭერია, შემოხვეული ქალის სხეულზე და ასრულებს ქვედაბოლოს როლს.

მათთვის ცეკვა დღესაც რჩება ტრადიციის მნიშვნელოვან ნაწილად. ყველაზე ცნობილი ცეკვაა ირმების ცეკვა და ცეკვა ნიღბებით. იგი 10 დღის განმავლობაში გრძელდება. ირმის ცეკვას აღნიშნავენ აღდგომის კვირაში და 15 სექტემბერს (მათი დამოუკიდებლობის დღე).

მუსიკოსები უკრავენ მარიბას (ნაციონალური მუსიკა) და მთელი ღამე სვამენ „გუარის“ (შაქრისაგან დამზადებული ალკოჰოლური სასმელი).⁷

მაიას ხალხში, დღესდღეობით, საკმაოდ კარგადაა განვითარებული მატყლის დამუშავების ტრადიცია. იგი გარკვეული თემის თუ ოჯახისთვის ნამყვან ბიზნესს წარმოადგენს.⁸

მაიას ცივილიზაცია ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელია მსოფლიო ისტორიაში და ამ ცივილიზაციის ტრაგიკულმა დასასრულმა აჩვენა ადამიანებს, რომ აუცილებელია წარსულის მემკვიდრეობის გულმოდგინედ დაცვა, საფუძვლიანი შესწავლა, გამდიდრება და შემდგომი განვითარების მიზნით, მომავალი თაობებისთვის გადაცემა.

შენიშვნები:

1. თოფჩიშვილი რ. – ამერიკის ეთნოლოგია, თბ., თსუ გამომცემლობა, 2009წ.
2. www.wikipedia.org, „მაია ცივილიზაცია, რელიგია“.
3. თოფჩიშვილი რ. – ამერიკის ეთნოლოგია, თბ., თსუ გამომცემლობა, 2009წ.
4. "Майя. Исчезнувшая цивилизация: легенды и факты", Майкл Ко, moskva, 2007
5. გალენექემპი ჩ. – „მაია – გამქრალი ცივილიზაციის საიდუმლო“, თბ., გამომცემლობა, „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.
6. www.wikipedia.org, „მედიცინა ძველ ამერიკაში.“
7. www.youthbeyondborders.org, „Mayan Traditions“.
8. www.indigenous.youhtleader.org, „Traditions of the K'iche(Maya)-A Story of Cultural Survival".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოფჩიშვილი რ. – ამერიკის ეთნოლოგია, თბ., თსუ გამომცემლობა, 2009წ.
2. გოგიაშვილი ე. – ამერიკის ხალხთა მითოლოგია, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010წ.
3. გალენქემპი ჩ. – „მაია – გამქრალი ცივილიზაციის საიდუმლო“, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.
4. www.wikipedia.org, „medicina Zvel amerikaSi.“
5. www.wikipedia.org, „maias civilizacia“.
6. [www.youthbeyondborders.org](http://youthbeyondborders.org), „Mayan Traditions“.
7. www.mayatraditionsfoundation.blogspot.com, „The Highly Anticipated Wool Visit“.
8. www.indigenous.youhtleader.org, „Traditions of the K'iche(Maya)-A Story of Cultural Survival“.
9. "Майя. Исчезнувшая цивилизация: легенды и факты", Майкл Ко, moskva, 2007.

ლელა კურტანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

დეპუმანიზაციის ტრაგედია ერნსტ ვაისის მოთხოვაში „ფრანტა ცლინი“

ხელმძღვანელი პროფესორი: ლევან ცაგარელი

შესავალი

ერნსტ ვაისი, ებრაული წარმოშობის ავსტრიელი პროზაიკოსი, საქართველოში მკითხველთა ფართო წრისათვის უცნობი მწერალია. მისი შემოქმედების შესახებ არ დანერილა არც ერთი გამოკვლევა, ასევე არ მოიპოვება მისი ნაწარმოებების ქართული თარგმანები.

ჩვენ საანალიზოდ ერნსტ ვაისის ერთ-ერთი მოთხოვა „ფრანტა ცლინი“ ავირჩიეთ, რომელზე დაყრდნობითაც შევეცდებით ვაჩვენოთ გზა, რომელიც პროტაგონისტმა ადამიანურობიდან ცხოველურობამდე გაიარა.

1. მოთხოვაში სიუჟეტი

იმისათვის, რათა კარგად გავიაზროთ მთავარი მოქმედი პირის ადამიანიდან ცხოველში გარდაქმნის პროცესი, საჭიროა მოკლედ გავაცნოთ ქართველ მკითხველს მოთხოვაში შინაარსი.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები ფრანტა ცლინი და მისი მეუღლე მაშა არიან. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გენერალი, ებრაელი გლეხის ქალი, ვიკი და ვასილი.

მოთხოვაში აღნერილია ფრანტას თავგადასავალი პირველი მსოფლიო ომის გარკვეულ მონაკვეთში. პროტაგონისტს მოთხოვაში დასაწყისშივე ვეცნობით – იგი ოცდაათი წლისაა, დაქორწინებულია და აქვს ოქრომჭედლის პროფესია.

ომში იგი ოფიცრის მოვალეობას ასრულებს და ერთ გენერალს ექვემდებარება, რომელიც მისთვის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს. რაზმის განადგურების შემდეგ სასონარკვეთილი გენერალი თავს იკლავს, რაც ფრანტასთვის საშინელი ფსიქოლოგიური დარტყმაა და ის ინსტინქტურად უმისამართოდ გარბის. პროტაგონისტი თავისთვის უჩვეულო ქმედებების ჩადენას სწორედ აქედან იწყებს.

ფრანტა ცლინი ბუნებით ძალიან კეთილი, ფაქიზი ადამიანია. განსაკუთრებით მგრძნობიარება ცოცხალი არსებების მიმართ. განიცდის მათ ყოველგვარ გასაჭირს და შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ.

გაქცევის შემდეგ ფრანტა კრაკოვში ხვდება, სადაც ქალაქის ევაკუაციაში იღებს მონაწილეობას. ერთ-ერთ საღამოს კაპრალთან ერთად ჯარისკაცებისთვის საკვების საშოვნელად მიდის, სადაც ისინი მინდორში პირუტყვს პოულობენ და კლავენ. შემდეგ ჩნდება პირუტყვის პატრონი, ებრაელი გლეხის ქალი, რომელიც ზარალის გამო ტირის. მისი გარეგნობა, ოვალური, ნათელი სახე, მრგვალი ტუჩები მხეცურ საწყისს აღვიძებს ფრანტა ცლინში. იგი ქალს აუპატიურებს. თუმცა გონს მოსვლის შემდეგ ჩვეულ მზრუნველობას იჩენს და ქალს დაკლული ცხოველის გადატანაშიც ეხმარება.

შემდეგ მოთხოვთ პროტაგონისტის მგზავრობა უღელტეხილზე. ფრანტა კვლავ კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. მან ერთ-ერთი შენაერთისათვის დასაკლავი საქონელი უნდა გადაიყვანოს. ეს მგზავრობა მას ფიზიკურ და სულიერ ძალებს ართმევს. გზა რთულია, ერთ-ერთი ძროხა მშობიარობს და ხბოსთან ერთად თოვლში რჩება. შემდეგ შემოხვდება ებრაელი ოჯახი, ქალი, კაცი და ჩვილი, ძალიან გამხდრები და ღარიბულად ჩაცმულები. მათ გზაზე მარგალიტები რჩებათ. როდე-საც ფრანტა მარგალიტებს პოულობს, ეძახის მათ, და რადგან ვერ აგონებს, იღებს და სისხლიან წინდებში ინახავს. ფრანტა გრძნობს, რომ ირგვლივ არსებულ სისასტიკეს და არაადამიანურ პირობებს ვეღარ აიტანს და არ ტოვებს ფიქრი გადარჩენაზე, რასაც ის ამ მარგალიტებში ხედავს.

ერთ-ერთი დაბომბვისას ფრანტა საჭურისდება. ამის შემდეგ იგი სასტიკად და ეგო-ისტურად იქცევა.

მას, როგორც სამუდამო ინვალიდს, შინ გზავნიან, მას კი თავისი ცოლის ნახვა აღარ სურს. მისი ცოლი ახალგაზრდა, ლამაზი ქალია.

ფრანტას და მაშას ურთიერთობა რთულად მიმდინარეობს. ერთ დროს ენანყლიანი ფრანტა სულ დუმს და საშინელი გამოხედვა აქვს, რაც ქალში ძრწოლას იწვევს. იგი ყველაფერს აკეთებს ქმრისთვის და ოჯახისთვის, მუშაობს მოსამსახურედ, საკვებისთვის ყიდის საკუთარ ნივთებს, საკუთარ თმას და ქურდობაზეც მიდის. როგორც მთხოვნელი ამბობს, „ის იყო ძალიან მშვიდი, ძალიან კარგი და თვით უკიდურეს გაჭირვებასაც კი არ შეეძლო მისი გაბოროტება. მისთვის ისიც კმაროდა, რომ ცოცხლობდა და მისი ფრანტა მასთან იყო“ (1.172). მაშა ყველაფრის მიუხედავად ქმრის მიმართ ყოველთვის ალერსიანი და თბილია.

ფრანტას არ აღელვებს მატერიალური გაჭირვება, არც მეუღლის ტანჯვა, არ აინტერესებს, რას და რატომ საქმიანობენ სხვა ადამიანები. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე თავი უნდა გადაირჩინოს, მისი და მაშას თანამყოფობა წარმოუდგენელია, რადგან ისინი ახლა სხვადასხვა პოლუსს წარმოადგენენ. ამასთან, მაშა ფრანტას-თვის მისი სულის იმ ნაწილად იქცა, რომელიც მასში უკვე მოკვდა.

მაშასთვის სიცოცხლეს აზრი ეკარგება, რადგან აცნობიერებს, რომ მისი ქმარი ძველებური ფრანტა ვეღარასდროს იქნება და რომ მისმა ქმარმა იარაღი მის მოსაკლავად იყიდა და დატენა. ამის გაცნობიერების შემდეგ ის ლოცულობს თავისთვის და ქმრის-თვის და შემდეგ თავს იკლავს.

მისი სიკვდილის შემდეგ ფრანტა სულიერ სიმშვიდეს პოულობს. მუშაობას იწყებს გაზის ქარხანაში და სადმე პატარა სახლის ყიდვაზე ფიქრობს. აქ იგი რუს ტყვეს ვასილის გაიცნობს. ვასილიმ რამდენიმე გერმანული სიტყვა იცის და ხშირად იყენებს ფრაზას: „ხომ არ გნებავთ?“. ერთი შეხედვით გულუბრყვილო მანერები აქვს, თუმცა თავიდანვე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც მისი ღიმილი აღწერილია, როგორც „ჭუჭყიანი“.

ერთ დღეს ფრანტა მასთან ერთად ერთ სასტუმროში მიდის, სადაც მსუბუქი ყოფაქ-ცევის გოგონას, ვიკის გაიცნობს. ის ოცი წლისაა, მაგრამ ბავშვურად გამოიყურება, ხშირად იცინის, აქვს ოვალური ტუჩები, რომელთა შორის წანვეტებული კბილები თეთრი ცეცხლივით ჩანს. მისი გარეგნობა და დადებითი მუხტი განსაკუთრებით მტკიცნეულად მოქმედებს ფრანტაზე. ის ჯერ დაუნდობლად სცემს, შემდეგ შიშვლდება გონწასული ვიკის და საკუთარი თავის წინაშე და ცრემლიანი აღიარებს, რომ იგი სამუდამოდაა დასა-

ხიჩქებული ხორცით და სულით და რომ ის ასეთი არასდროს ყოფილა, ის მკვლელია საკუთარი მეუღლისა და აღარც გადარჩენა შეიძლება მისი.

კარზე კაჯუნი ისმის, შემოდის ვასილი და ჩვეულ ფრაზას იმეორებს ბოროტი ღიმილით. ფრანგია და ვასილი ერთად გარბიან, გზაში ფრანგია ვასილის უკვე თავზარდამცემ, საშინელ არსებად აღიქვამს. ვასილისთვის კი ფრანგია უკვე ზედმეტი ტვირთი ხდება, რადგან მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ის კლავს ფრანგიას და შვეიცარიაში გარბის. ფრანგიას კი 1996 წელს სანკტ-ანტონში მარხავენ, როგორც უცნობს, მოკლულს უცნობის ხელით.

2. მოთხოვთ ინტერპრეტაციის ცდა

ავტორი პროგრაგონისტის ხასიათისა და ცხოვრების წესის გადმოცემისას თავიდანვე ხაზს უსვამს მის თვისებებსა და ხასიათს. იგი თბილი, მგრძნობიარე, მხიარული ადამიანია და არაფრით გამორჩეული ცხოვრება აქვს. ჰყავს მეუღლე და აქვს პროფესია. ამასთან, იგი მიზანდასახული, ძლიერი პიროვნებაცაა და სამხედრო სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობა უჭირავს, კარგად ასრულებს მოვალეობებს. მნიშვნელოვანია გენერლის ფიგურაც და გარემოებები, რომლებშიც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ. ისინი იმყოფებიან ფრონტის ერთ-ერთ ცხელ წერტილში. გადამწყვეტი შეტევის შედეგად გენერალმა დაკარგა რაზმი და უკანასკნელი რეზიუმებიც. ეს არის მდგომარეობა, როცა უკვე აღარაფრის გამოსწორება შეიძლება და ბრძოლას აზრი აღარ აქვს. ასეთ მძიმე მომენტში გენერალი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. ფრანგიასთვის ეს აუტანელია. იგი გარბის. სწორედ ამ მომენტიდან იწყება მისი გაცხოველების პროცესი. ამაზე მინიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი გაქცევის სცენა – ადამიანები და ცხოველები ერთმანეთშია აზელილი, ფრანგიასაც უკვე დაკარგული აქვს ყველანაირი გრძნობა და სურვილი, მათ შორის შეის განცდაც. ერთადერთი, რასაც ის გრძნობს, ძილის მოთხოვნილებაა.

ფრანგიას ბუნებისთვის პირველი შეუსაბამო ქცევა ებრაელი გლეხის ქალის გაუპატიურებაა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფრანგია სხვა ადამიანს ზიანს აყენებს. თუმცა, როგორც ტექსტიდან ვიგებთ, ეს არ იყო გაცნობიერებული ქმედება, განხორციელებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე: „მისი (ქალის) სახე, თეთრი, ოვალური, ნათელი ხორცით სავსე, იდუმალს აღძრავდა ამ კაცში“ (1.162).

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია უღელტეხილზე გადასვლის სცენა. აქ მთავარ მოქმედ პირს ისევ ცხოველებით გარშემორტყმულს ვხედავთ: „მას ღობიდან ხშირად ესმოდა რამდენიმე დამშეული და მნიურვალი ცხოველის ღმუილი და ხედავდა მათ, მისკენ ჯგროდ რომ მოიწევდნენ. მაგრამ მათი გამოკვება აკრძალული ჰქონდა, მხოლოდ წყალი შეეძლო დაელევინებია“ (1.163). ასევე: „იგი სწავლობდა მათთან მოპყრობას“ (1.164).

აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანგია მარტო არ არის, მასთან ერთად რამდენიმე რუმინელია. მაგრამ ფრანგია მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ურთიერთობს მათთან. მისთვის ცხოველებთან ურთიერთობა უფრო კომფორტული ჩანს. სიმბოლურად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მისი თანამგზავრები უცხოენოვანი ხალხია და ფრანგიას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ ანიშნოს მათ. ლაპარაკი, ადამიანებთან ნორმალური კომუნიკაცია მისთვის შეუძლებელია.

ტექსტში განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია ებრაელი ოჯახი და მარგალიტების სიმბოლო.

„არაქათგამოცლილი აჩერილ ბეწვის ქუდიანი ებრაელი (კაცი) მიერეკებოდა ორ არაქათგამოცლილ ცხენს, რომელთა კუდები უფრო სქელი ჩანდნენ, ვიდრე ბარკლები. თეთრ ტილოში გახვეული ქალი ორთვალაზე იდგა გადატვირთულ მაგიდებსა და სხვა ხარახურას შორის. კარგად ჩანდა, რომ ხელში შეხვეული ბავშვი ეჭირა. ქალისა და კაცის შუაში თითბერის ჭურჭელში კიაფობდა გალვივებული ნახშირი [...].“ (1.166).

როგორც ვხედავთ, აღნერილია, როგორ გარბის აყრილი ოჯახი ერთი ადგილიდან მეორეზე, რაც ძალიან გვაგონებს იოსების და მარიამის ეგვიპტეში გაცემას ჩვილ იესოს-თან ერთად.

ამრიგად, მარგალიტების სიმბოლოს ტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი მხატვრული დანიშნულება აქვს. მარგალიტებთან დაკავშირებული თვისებები „თეთრი“, „ოვალური“, „ნათელი“ რამდენიმეჯერ გვხვდება ტექსტში. მოქმედების დასაწყისში ებრაელი გლეხის ქალის, ბოლო ეპიზოდებში კი ვიკის გარეგნობის აღნერისას.

ლიტერატურაში მარგალიტები სრულყოფილების, სიბრძნის, სიყვარულის, რწმენის, ასევე ქრისტეს სიმბოლოა (2.271). შესაბამისად, ტექსტში მას შეიძლება ჰქონდეს სიწმინდის დატვირთვა ამ ცნების როგორც არარელიგიური, ასევე რელიგიური მნიშვნელობით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზემოხსენებული ებრაელი ოჯახი ბიბლიურ წმინდა ოჯახს განასახიერებს, შეიძლება გავიხსენოთ ასევე სიტყვები სახარებიდან: „ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით ღორებს“ (მათ.7:6). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრანტა ცლინის ბუნებაში თავიდან არ ყოფილა ჩადებული ის თვისებები, რომლებიც მას ეტაპობრივად ან ერთბაშად დაღუპვამდე მიიყვანდა.

მარგალიტების დანიშნულება ამ ტექსტში სულიერიცა და მატერიალურიც. სულიერი ზემოთქმულიდან გამომდინარე. მატერიალური კი იმდენად, რამდენადაც მისი სწორი რეალიზაცია – მისი, როგორც ძვირფასი ქვის მატერიალური გაჭირვების დასაძლევად გამოყენება იქნებოდა.

ფრანტა ცლინი საგულდაგულოდ მაღავს მარგალიტებს სისხლიან წინდაში და უკიდურესი გაჭირვების დროსაც არავის უჩვენებს მათ, რადგან მასში თავის ხსნას ხედავს. მისი დამოკიდებულება მარგალიტებთან არაა მატერიალური. იგი არც მანამდე, არც ცოლის სიკვდილით სიმშვიდის მოპოვების შემდეგ არ იყენებს მათ და თავს სამსახურით ნაშოვნი ფულით ირჩენს.

ფრანტას არასწორ ქცევებთან ერთად იცვლება მარგალიტების ფერი – „მარგალიტები ოდნავ განითლდა, მაგრამ როცა ისინი ენასა და სასას შორის ატრიალა (ამ დროს ძველი აღფრთოვანების დარმა, გამოუთქმელმა ურუანტელმა დაუარა) ისინი გათეთრდა, როგორც ხელახლა ნაშობი“(1.171). მაგრამ მაშას სიკვდილის შემდეგ „მათ კვლავ წითელი ფერი შეეპარა, უფრო ძლიერ, ვიდრე ადრე, და ამის შემდეგაც [იგულისხმება პირში ჩადების შემდეგ, ლ.კ.] ოდნავ მოწითალონი დარჩენენ“(1.178).

თუ მივიჩნევთ, რომ პირში ჩადება და გასუფთავება სიმბოლურად მიტევებას ნიშნავს, მაშინ ის, რომ მარგალიტები კვლავ მოწითალო დარჩა, გმირის დაღუპვაზე უნდა მიანიშნებდეს.

მთავარი მოქმედი პირის სიკვდილის სცენა მოთხრობის ლოგიკური დასასრულია. აქ კიდევ ერთხელ გვხვდება მარგალიტების სიმბოლო: „დაახლოებით შუალამისას ფრანტა მინაზე დაწვა. მას უნდა დაეძინა. ჯერ უნდოდა მარგალიტები და ხუთი დიდი ოქროს მონეტა რუსისთვის მიეცა თავის გადასარჩენად. მაგრამ შურის უკანასკნელმა იმპულსმა ხელი გააშვებინა და ჩანთაში ძვირფასეულობის ძიებას შეუდგა“ (1.182).

როგორც ვხედავთ, ფრანტა ქვეცნობიერად გრძნობს, რომ მისი ხსნა არა მარგალიტების შენახვაში, არამედ მათ გაცემაშია. თუმცა იგი ამჯერადაც კარგავს გადარჩენის შანსს. ტექსტში ვკითხულობთ:

„მაღალი ორთვალა, ამოტრიალებული მაგიდებითა და ძველი ხარახურით დატვირთული მის თვალწინ მიიჩევდა. არაქათგამოცლილი ებრაელი კაცი მათრახით მიერეკებოდა ასევე არაქათგამოცლილ ცხენებს. მცირე ცეცხლი თბილად ბუუტავდა [...] ახალგაზრდა მსუქანი ებრაელის გლეხის ქალი, არა უკვე ორთვალაში, მინაზე დაეძებდა რაღაცას მიმავალი ცხოველების გახლეჩილ ჩლიქებს შორის. მისი სახე, ოვალური, თეთრი, ნათელი ხორცით სავსე, უახლოვდებოდა მას...“ (1.183)

აქ მეორდება იმ ეპიზოდის მოტივები, რომელიც უდელტეხილზე გადასვლისას შე-ემთხვა პროტაგონისტს. იმ განსხვავებით, რომ მარგალიტებს ამჯერად ეძებს არა ფრანტა, არამედ ებრაელი გლეხის ქალი. შეგვიძლია გავიხსენოთ სიტყვები სახარები-დან: „ყველა მქონეს მიეცემა და მიემატება, ხოლო არამქონეს წაერთმევა ისიც, რაცა აქვს” (მათ. 25:29).

სიკვდილის სცენაში ფრანტას უკვე ცხოველის სახე აქვს, მისი გრძნობა-ემოციები ცხოველის, ახალშობილი ხბოს ინსტინქტებამდეა დაყვანილი. თუკი ერთმანეთს შევადა-რებთ ხბოს დაბადების და ფრანტას სიკვდილის სურათებს, დავინახავთ, რომ ისინი იდენ-ტურია: „როცა ძროხამ ბოლო გაჭინთვისას გვერდზე გადაგდებული თავიდან ამოიბლავ-ლა, თოვლზე გაიშალა რძისფერი, წყნარი, სულ პატარა ცხოველი, შიშველი და ნაზად მო-ცახცახე. პატარა ცხოველმა თავი მოატრიალა და კიდურები მოხარა, ეტყობოდა, რომ დედას ეძებდა” (1.165).

ფრანტას სიკვდილის სცენა კი ამგვარია:

„ცხოველივით მიეგდო, აღარ ინძრეოდა. [...] ხელს ისე აცეცებდა, როგორც უნინ მშო-ბიარე ძროხის ქვეშ, და გრძნობდა, როგორ გაედინებოდა მისი სხეულიდან სისხლი, თით-ქოს ვნების მიმცხრალი ალი ყოფილიყო იგი, ერთგვარი გათავისუფლება ყვირილის გარე-შე, ბოლოს რამდენჯერმე მძლავრად დატრიალდა და სრულად დაინთქა მოზღვავებულ აღფრთოვანებაში” (1.183).

მოთხოვთ პროტაგონისტის სიკვდილით სრულდება. თუმცა ამ მოთხოვთის ტრაგე-დია არა მის ფიზიკურ სიკვდილში, არამედ მის ადამიანიდან ცხოველში გარდასახვაში მდგომარეობს, რამაც დასრულებული სახე სწორედ სიკვდილის სცენაში მიიღო.

დასკვნა

ერნსტ ვაისის მოთხოვთის ფრანტა ცლინი თემა რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანის გაცხოველება, მის მიერ ადამიანური სახის დაკარგვა, დეპუმანიზაცია. მწერალი ცდი-ლობს, გაარკვიოს ამგვარი გადაგვარების მიზეზები, თავისებურებები და შედეგები. სიუ-ჟეტის ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ სრულიად ჩვეულებრივ, ცივილიზებულ ადა-მიანში გარემო პირობების გავლენით შეიძლება გაიღვიძოს მხეცმა. მოცემულ ტექსტში დეპუმანიზაციის გამომწვევ მიზეზად ომი გვევლინება. იგი მყისიერად ცვლის პროტაგო-ნისტის შინაგან სამყაროს და აქცევს მას ერთგვარ ბრძოლის ველად, სადაც ერთმანეთს ებრძვის ველური მხეცი და უსუსური წმინდანი. ნანარმოებში ცხოველურ საწყისს განასა-ხიერებს ყველა მოტივი, რომელიც საქონელსა და წითელ ფერს უკავშირდება, სინმინდეს კი – მარგალიტები, სითეთრე და ოვალური ფორმები. დეპუმანიზაციის ტრაგედია სწო-რედ ისაა, რომ ამ ბრძოლაში სიკეთე და ადამიანურობა განწირულია. გაღვიძებული ცხო-ველი ანადგურებს ადამიანის იდენტობას და ბოლოს ღუპავს მას.

აშკარაა ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზისა და ფრიდრიჟ ნიცშეს ფილოსოფიის გავლენა ჩვენ მიერ განხილულ ნანარმოებზე. მწერალი ძალზე პესიმისტურად აფასებს ადამიანის არაცნობიერის აბობოქრების პერსპექტივას. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ ნა-ნარმოების შექმნისას მისი მთავარი მიზანი ცივილიზებული სამყაროს გაფრთხილება და ძალადობის შეჩერება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Prager Deutsche Erzählungen. Hg. v. Dieter Sudhoff; Michael M Schardt. Stuttgart: Reclam, 1992
2. Metzler Lexikon literarischer Symbole. Hrsg. von Guenter Butzer und Joachim Jacob. Verlag J.B. Metzler Stuttgart, Weimar: 2008

სოფიკო ხელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

საქართველოში გავრცელებული ენები

ხელმძღვანელი პროფესორი: თინათინ ბოლქვაძე

საქართველო მრავალეროვანი (მულტიეთნიკური) ქვეყანაა. ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსხვავებულია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის ხარისხიც, ამ უკანასკნელში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივ ფაქტორს.

ქართული ენა სახელმწიფო ენაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (აფხაზეთში ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი მიცემული აქვს აფხაზურს – ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ორი სახელმწიფო ენა);¹ ბუნებრივია, მკვლევართა წინაშე დგება საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების სახელმწიფო ენასთან მიმართების საკითხი.

ეთნიკური მრავალფეროვნების კვალდაკვალ, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. ისტორიულად ენათა სიმრავლე საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მრავალ ენაზე მეტყველებენ საქართველოში მოქალაქეთა პატარა თუ დიდი ჯგუფები. უახლოეს წარსულში მომხდარი პოლიტიკური ამბებისა და სულ უფრო და უფრო მზარდი ემიგრაციის გამო, ჭირს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის დადგენა.²

ქართული ენა სახელმწიფო ენაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ის, მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად, მიეკუთვნება ქართველურ ენათა ჯგუფს, ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში არსებული ენები, კერძოდ, რუსული, (სლავური ჯგუფი) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დროს და საერთოდაც, რუსული იყო ინტერნა, იგი გამოიყენებოდა და ჯერაც გამოიყენება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის ურთიერთობის საშუალებად. თანამედროვე საქართველოში რუსული არ არის ოფიციალური ენა, მაგრამ იგი ფართო კომუნიკაციის ენაა. მისი საშუალებით იბეჭდა ურთიერთობა ბევრ ქვეყანასთან, უმთავრესად, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან.³

ინდოევროპული ენების ჯგუფს მიეკუთვნება ასევე სომხური, ბერძნული, ოსური (ირანულ ენათა ჯგუფი), აზერბაიჯანული მიეკუთვნება თურქულ ენობრივ ჯგუფს, ალათაურ ენათა ოჯახში.

ამგვარად, საქართველოში ოთხი ძირითადი ქართველური სამეტყველო ენა ფუნქციონირებს: საკუთრივ ქართული, მეგრული, სვანური, წოვა-თუშური და ექვსი არა-ქართველური: აფხაზური, ჩეჩენური (ქისტური), ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და

¹ რეკომენდაციები ევროპის საბჭოს 1993 წლის რეგიონული უმცირესობათა ენების ქარტიის რატიფიცირებისთვის საქართველოს მიერ ასაღები ვალდებულებების შესახებ. თბ. 2008 წ. გვ. 4.

² თ. ბოლქვაძე, „იდეოლოგიზებული ღირებულებები“ თბ. 2005. გვ. 165

³ თ. ბოლქვაძე, „იდეოლოგიზებული ღირებულებები“ თბ. 2005. გვ. 34.

რუსული.⁴ ამ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობა ამჯამად კომპაქტურად არის დასახლებული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო ნაწილებში.

საყოველთაოდ მიღებული ენათმეცნიერული თვალსაზრისით, საკუთრივ ქართული ენა წარმოადგენს საკმაოდ რთულსა და მრავალდიალექტიან სისტემას, რომელიც დაკავშირებულია ქართველური ოჯახის კიდევ ორ ენასთან: სვანურთან და ზანურთან, რომელიც შეიცავს მეგრულს და ლაზურს. ამ სამი ქართველური ენის – სვანურის, ზანურის (მეგრულ-ჭანურის) და ქართულის – ტოპოლოგიური სივრცე წარმოდგენილია, როგორც დასავლურ ქართული, ანუ კოლხური ჯგუფის და აღმოსავლურ ქართული, ანუ იბერიული ჯგუფის ენობრივი სივრცე. ამგვარ განყოფაში სვანური და მეგრულ-ჭანური კოლხური ჯგუფის ენებს წარმოადგენენ, ხოლო ქართული კი – იბერიულისა.⁵

თანამედროვე აფხაზური ენა არ ეკუთვნის ქართველური ჯგუფის ენებს და არც სამხრეთ კავკასიური ჯგუფისას, ის ჩრდილო კავკასიურ ენათა ადილეურ ჯგუფს განეკუთვნება და ეს არის მთავარი საფუძველი საქართველოს ოფიციალური ორენოვნებისა. აფხაზები, ქართულ ცნობიერებაში, ისეთივე ქართველურ ხალხად მოისაზრება, როგორც სვანები, მეგრელები, იმერლები, კახელები და სხვა. ამ მოსაზრებას ისინი უარყოფენ და თავიათ თავს ადილეველების უახლოეს მონათესავე ხალხად მიჩნევენ, ხოლო ამ ორი ხალხის ნათესაური სიახლოვის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ნიშანს, მათი სამეტყველო ენების სიახლოვე წარმოადგენს.⁶ არც წოვა-თუშურს აკუთვნებენ ქართველურ ენათა ჯგუფს, არამედ იგი მიჩნეულია ნახურ დიალექტ-ენად.

სხვადასხვაა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის განსახლების არეალი.

ზანურის მეგრულ დიალექტზე მოლაპარაკე ჯგუფი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზეა განსახლებული. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე და სამეგრელოში.⁷

ლაზებით კომპაქტურად დასახლებული მხოლოდ ერთი სოფელია – სარფი, საქართველოს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

სვანები კომპაქტურად სახლობენ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თემა – მეგრულ-ლაზური და სვანური ენებია თუ დიალექტები – საკმაოდ საკამათოა დღემდე, გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით, ხოლო ალ. ცაგარელი იყო პირველი ქართველი ენათმეცნიერი, რომელმაც აჩვენა ქართულის, მეგრულისა და სვანურის ნათესაობა და ისინი დიალექტებად აღიარა, რომლებიც დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ და დღეს დიგლოსიურ დამოკიდებულებაში არიან ქართულ ენასთან.⁸

ამ თემასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების დიაპაზონი ვერ იქნებოდა ფართო; სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ზანურ-სვანური დიალექტებია (ენა კავებია), მეორე ნაწილი კი თვლის, რომ სვანებს, ლაზებს და მეგრელებს საკუთარი დამნერლობის წერილობითი ტრადიცია არა აქვთ და ისინი უმნერლობო ენებია.

⁴ ჯანრი კაშია „ქართველურ ენათა ტიპოლოგია“ 2002 წ. გვ. 251.

⁵ ჯანრი კაშია. დასახელებული ნაშრომი. გვ. 252.

⁶ კარლო ბარბაქაძე „კავკასიური ენების ხორუმი“ 2007 წ. გვ. 22.

⁷ კახა გაბუნია „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ 2010წ. გვ.8.

⁸ თბოლქვაძე, „ქართველური დიგლოსია“ ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. თბ. 2007. გვ. 216.

ამ მოსაზრებას მკვეთრად უარყოფს მეცნიერთა ერთი ჯგუფი და თვლის, რომ ეს არის იმპერიული გეგმა, რომელიც ქართველთა კუთხეური მეტყველებების (კილობის) დამოუკიდებელ, უმწერლობობრივი ენებად გამოცხადებით, მიზნად ისახავს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ და ეკლესიურ დაშლას.⁹

ცნობილი მკვლევარი ბესიკ ჯორბენაძე წერს: „რაც შეეხება ზანურსა და სვანურს, რომლებიც წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით ენებია, სოციოლინგვისტური ასპექტით მათი გამოყენება ხდება ლოკალურ სფეროებში (დიალექტების დონეზე). სალიტერატურო ენა ზანურისა და სვანურის მფლობელთათვის ქართულია. ანალოგიური ვითარებაა წოვა-თუშური (ბაცბური) ენის გამოყენების თვალსაზრისითაც“.¹⁰

ქართველური ენები ერთმანეთისაგან სხვაობენ ფუნქციებით. მეგრულისა და სვანურის გამოყენების არეალი არ სცდება ყოველდღიურ ყოფით კომუნიკაციებს. მიუხედავად იმისა, რომ მეგრული ენის მცოდნეთა რიცხვი დიდად აღემატება ქართული ენის დიალექტებზე მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობას.¹¹

ეს რაც შეეხებოდა ქართველურ ენებს. საინტერესოა, რომელი ენები გამოიყოფა საქართველოში, სულ ასეთი ოთხი ჯგუფია:

1. სახელმწიფო ენები-საქართველოს ახლანდელი კონსტიტუციის მერვე მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აფხაზური. აღსანიშნავია, რომ აფხაზურ ენას გააჩნია უკვე სახელმწიფო ენის სტატუსი, ოსურ ენასთან მიმართებით ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შეთავაზება მოხდა ჯერ კიდევ 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ. შესაბამისად, სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული საკითხები შიდა კანონმდებლობით რეგულირდება.

2. უმცირესობათა ენები-სომხური და აზერბაიჯანული, რომლებიც ერთ-ერთი ბოლო აღნერის მიხედვით უმცირესობათა ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ.

3. ტერიტორიის არმქონე ენები- მათ არ გააჩნიათ ტერიტორიული ბაზა, ანუ გავრცელების განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი, თუმცა ამ ენებზე საუბრობენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები. ტერიტორიის არმქონე ენების გამოყოფის კრიტერიუმად საქართველოში მუშაობს ორი ფაქტორი:

ა) რაოდენობრივი მაჩვენებელი (საქართველოს მოქალაქეთა 0,1 %-ზე მეტი ოდენობა)

ბ) ისტორიული ფაქტორი (მიგრაციული პროცესების შედეგად, სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ბოლო დროს გაჩენილი ენების მდგომარეობა)

ამ კრიტერიუმთა გათვალისწინებით, ტერიტორიის არმქონე ენებად საქართველოში გამოიყოფა ებრაული, ქურთული, აისორული, უკრაინული, რუსული და სხვა. ამ ენებზე მეტყველთა რაოდენობა ქმნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს.

4) უმწერლობობრივი ენები-სვანური და მეგრულ-ლაზური, რომლებიც დიგლოსიურ დამოკიდებულებაში არიან ქართულ ენასთან. როგორც ქვემოთ აღვნიშნე, ამ ენათა სტატუსთან დაკავშირებით, წარსულშიც და დღესაც მიმდინარეობს დისკუსიები. მაგრამ ერთი რამ ცხადია, აღნიშნული ქართველური ენების დაცვისა და განვითარების გარან-

⁹ ტარიელ ფუტკარაძე „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი. 2009წ. გვ. 55.

¹⁰ თინათინ ბოლქვაძე „ქართველური დიგლოსია“ ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. თბ.2007წ. (პირველი კრებული) გვ. 216.

¹¹ იქვე. გვ. 225.

ტიებიც შიდა კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს, რაც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესებას და ხელშეწყობას ამ ენების კვლევასა და გავრცელებაში.

როგორც ვნახეთ, საქართველოში საქმე გვაქვს ლინგვისტურ მრავალფეროვნებასთან, რაც განსაზღვრავს ენობრივ პოლიტიკას საქართველოში, რომელიც დღესდღეობით ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ა) სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება;
- ბ) უმცირესობათა ენების პოპულარიზაცია და დაცვა;

ვფიქრობ, აღნიშნული მიდგომები ხელს შეუწყობს, როგორც სახელმწიფო ენის დაცვასა და გაძლიერებას, ასევე განსაზღვრავს საქართველოში არსებული ყველა ლინგვისტური ერთეულის სათანადო სტატუსს.

ამ მიმართულებების გარდა გასათვალისწინებელია, უცხო ენების მიმართებით არსებული პოლიტიკა და ქართულის, როგორც უცხო ენისადმი განსასაზღვრი პოლიტიკა, რაც უფრო მეტად დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალიზაციის პროცესში.

როგორც ვნახეთ, საქართველოში აშკარად გვაქვს საქმე ლინგვისტურ მრავალფეროვნებასთან, ხოლო უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე, ენობრივი ცვლილებებიც უფრო ცხადი გახდა.

ვფიქრობთ, ლინგვისტური მრავალფეროვნება ქვეყნის სიმდიდრის მაჩვენებელია და ქვეყანაში არსებულ ყველა ლინგვისტურ ერთეულს უნდა განესაზღვროს სათანადო სტატუსი, ოღონდ რათქმაუნდა, ეს უნდა მოხდეს, სახელმწიფო ენის ფუნქციის დაკნინების გარეშე. ასევე ვემხრობი იმ აზრს, რომ დაცული იქნას ისტორიული უმცირესობის, ახალი უმცირესობისა თუ მიგრანტების წარმომადგენელთა ენობრივი უფლებები, რაც ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს მათი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებას და ჩვენს ქვეყანაში რეალურ ინტეგრაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. კაშია 2002. ჯ. კაშია „ქართველურ ენათა ტიპოლოგია“ თბ. 2002
2. თ. ბოლქვაძე 2005. თ. ბოლქვაძე „იდეოლოგიზებული ლირებულებები“ თბ. 2005.
3. ქართველური ენები და დიალექტები. (კრებული) თბ. 2007.
4. თ. ბოლქვაძე „ქართველური დიგლოსია“ ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა თბ. 2007. (პირველი კრებული)
5. რეკომენდაციები ევროპის საბჭოს 1993 წლის რეგიონული უმცირესობათა ენების ქარტიის რატიფიცირების საქართველოს მიერ ასაღები ვალდებულებების შესახებ. თბ. 2008.
6. ტ. ფუტკარაძე 2009. ტ. ფუტკარაძე „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი. თბ. 2009.
7. კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია. 2010. კ. გაბუნია „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ თბ. 2010.

მარიამ დადუნაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სახარეპის სამი შატბერდული ხელნაწერი: ადიშის, პარსლისა და პარამის რომანი

შატბერდის მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა IX საუკუნის და-საწყისში, კლარჯეთში ქართული მწიგნობრობის კერა შეიქნა IX-X საუკუნეში. აქედან ვრცელდებოდა ქართული წიგნები, ორიგინალური თუ ნათარგმნი, არა მარტო კლარ-ჯეთში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში. აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან ჩვენამ-დე მოუღწევია რამდენიმეს და მათ შორის სამ სახარებას: ადიშის პარხლისა და ჯრუჭის. ადიშის ოთხთავი პირველი შატბერდული ხელნაწერია, გადაწერილია 897 წელს, დაწერი-ლია ასომთავრული ანბანით, ორ სვეტად. ადიშის ოთხთავის ტექსტში დასტურდება ჰაე-მეტი ფორმები. ის იპოვეს მესტიის რაიონის სოფელ ჰადიშში და დახელნოდებაც აქედან მომდინარეობს. პირდაპირი ცნობა, რომ ადიშის ოთხთავი შატბერდშია გადაწერილი არ არსებობს, მაგრამ ა. შანიძის აზრით, მისი მომგებელი სოფრომი, უთუოდ გრიგოლ ხან-ძთელის მონაფე უნდა იყოს. მის შატბერდში გადაწერაზე მეტყველებს, ასევე ნიკოლაო-სის მინაწერიც.

ჯრუჭის ოთხთავი, მეორე შატბერდული ხელნაწერია, გადაწერილია 936 წელს. მისი მომგებელი არის გრიგოლი, გადამწერი გაბრიელი. ხელნაწერი დაწერილია ორ სვეტად. 940 წელს მოუხატავს თევდორეს. მას გაუკეთებია ასევე მინაწერიც რომელ წელსაც მოუხატავ-ს. ჯრუჭის ოთხთავი ურანასკნელად დაცული იყო ჯრუჭის მონასტერში და მისი სახელიც აქედან მოდის.

პარხლის ოთხთავი, მესამე შატბერდული ხელნაწერია, გადაწერილია 973 წელს. ხელნა-წერი გადაწერილია ასომთავრული ანბანით ორ სვეტად, იოანე ბერაის მიერ. იოანე ბერაის ანდერძში, პირდაპირ არის მითითებული რომ ხელნაწერი გადაწერილია შატბერდში. ეს ოთხთავი პირველად ნახა ექვთიმე თაყაიშვილმა მღვდელთან, გვარად სუხიაშვილთან.

ეს სამი ხელნაწერი ერთი და იმავე მონასტრიდანაა გამოსული. მათი გადაწერის დრო, დიდად არ არის დაშორებული ერთმანეთისგან. ადიშის ოთხთავი 39 წლით ადრეა გადაწე-რილი ვიდრე ჯრუჭის, ხოლო ჯრუჭის პარხალზე 37 წლით ადრე. არსებითად აქ გვაქვს ორი რედაქცია: ერთი წარმოდგენილია ადიშის ხელნაწერში, ხოლო მეორე კი ჯრუჭისა და პარ-ხლის ხელნაწერებში.

ჯრუჭისა და პარხლის ტექსტები საფუძვლად დასდებია მერმინდელ რედაქციებს, ჯერ ექვთიმე ათონელის და შემდეგ გიორგი ათონელის რედაქციებს. გიორგი მთაწმინ-დელის რედაქციამ კი, როგორც ვიცით საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი. ჯრუჭი-სა და პარხლის ტექსტები მცირე-მცირე განსხვავებებით საყოველთაოდ ყოფილა გავ-რცელებული X საუკუნეში. ამ რედაქციას განეკუთვნება ოპიზის, ბერთისა და ტბეთის ხელნაწერები, უფრო მეტიც, ჯრუჭისა და პარხლის ტექსტს მიჰყვება ხანმეტი ლექციო-ნარი, მეშვიდე საუკუნის ხელნაწერიც.

შატბერდის ოთხთავების ტექსტები წარმოადგენენ, ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლებს. მართალია, ისინი გადაწერილია IX-X საუკუნეებში, მაგრამ წარმოშობით ისინი უძველად ადრინდელ ხანას განეკუთვნება. რა თქმა უნდა, ენა შესწო-

რებულია იმდროინდელი ნორმების მიხედვით, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც IV-V საუკუნის ენას ასახავენ. სტილისტური რედაქცია უმთავრესად ხანმეტობასა და ჰეპტებია, ამ მხრივ ბევრი რამ დაგვაკლდა, თუმცა ძირითადად მარაგი უძველესი მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნებისა და არქაული ლექსისა კარგად არის შეიცავით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. თაყაიშვილი “სამი ისტორიული ქრონიკა” 1890წელი. 2. ა. შანიძე “ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი 3. შატბერდული ხელნაწერის მიხედვით” 1945წელი.
2. კ. დანელია ზ. სარჯველაძე ”ქართული პალეოგრაფია” 1997წელი.

სოფიკო ძელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა

ლაშა იმადაშვილის რომანების რომანების პოსტმოდერნისტული გააზრებისათვის

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

თანამედროვე მწერალთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია ლაშა იმედაშვილი, მისი შემოქმედება სრულად პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც პოსტმოდერნიზმი აყენებს მხატვრული ლიტერატურის წინაშე. მისი რომანებიდან აღსანიშნავია „ბიოგრაფიები” და „სამი მკვლელობა ძველ თბილისში”.

„ბიოგრაფიები” – ამ წიგნში შედის („იესო ქრისტე”, „ლეონარდო და ვინჩი”, „ალ-ფრედ ბერნარე ნობელი”, „მიხეილ ჯავახიშვილი”, „გალაკტიონ ტაბიძე”, „დიაბოლოს”) ამათგან ყველაზე მეტად გამოირჩევა „მიხეილ ჯავახიშვილი”. საინტერესოა, ერთი მწერლის ცხოვრების დანახვა მეორე მწერლის მიერ. გაზეთ „ჩვენ მწერლობაში” სადაც პირველად გამოქვეყნდა აღნიშნული რომანი, მას ასეთი სკანდალური სათაური ჰქონდა „მწერლობის იმიტაცია საეჭვო ბიოგრაფიის კაცი”.

როგორც საყოველთაოდ აღიარებულია პოსტმოდერნისტი მწერალი უნდობლობით არის განმსჭვალული, ყველა სახის ცოდნის მიმართ, უან-ფრანსუა ლიოტარის ტერმინოლოგიით „ყველა იმ „მეტათხობის“ მიმართ, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება ახერხებს ორგანიზებას და დაფუძნებას. პოსტმოდერნისტები თვლიან, რომ სამყაროს რეალური წვდომა მისი ადეკვატური გააზრება მხოლოდ „ინტუიტივიზმით” შეიძლება. თავისი ასოციაციურობით, მეტაფორულობით, გონების წამიერი განათებით. ხედვის აღქმის კუთხით ასეთი ცვლილება იწვევს ძველი „დიადი მეტამოთხრობების დაქუცმაცებას, პატარ-პატარა ხშირად ძალზე მოულოდნელ პარადოქსული ხასიათის ამბებად, რითაც თავდაყირა დგება ყველა ტრადიციული ფასეულობა. ჩვეულ ლოგიკურ კავშირებსა და ტრადიციული ფასეულობების ნამსხვრევებში მოყოლილი პოსტმოდერნისტი ამიერიდან სამყაროს აღიქვამს, როგორც მოუნესრიგებელ ფრეგმენტების გროვას.”” (1;87) სამყაროს ასეთმა არატრადიციულმა ხედვამ „პოსტმოდერნისტული მგრძნობია-რობის” სახელწოდება მიიღო.

კრიტიკოს ნუგზარ მუზაშვილის აზრით, „მწერლობის იმიტაცია; საეჭვო ბიოგრაფიის კაცი” – შეიძლება ქართული პოსტმოდერნიზმის ქრესტომათიულ ნიმუშად ჩაითვალო, იმდენად ზუსტად გამოხატავს იმ თავისებურებებს, რაც ამ მიმდინარეობას აქვს ჩვენში. აქ არის აშკარად გამოკვეთილი ეპისტემოლოგიური დაეჭვების სპეციფიკურად ქართული ვარიანტი. განხორციელებული მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებით.” (1:91) მოთხოვობაში ნაჩვენებია ციტირებები, ალუზიები როგორც მიხეილ ჯავახიშვილის, ისე სხვა ავტორთა შემოქმედებიდან. როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს – „შეუძლებელია თვალში არ მოგხვდეთ მოთხოვნის ხაზგასმული ესეისტურობა – თქვენ არა მარტო იცით, როგორ შეიქმნა ეს ტექსტი, რომელსაც ახლა ინტერესით კითხულობთ, არამედ ზოგჯერ იფიქრებთ გამოკვლევას კითხულობთ მიხე-

იღ. ჯავახიშვილის ცხოვრებასა და „შემოქმედებაზე“ (1:93) როგორც უმრავლესობა პოსტმოდერნისტულ ტექსტებში, აქაც თვალშისაცემია ორმაგი კოდირების სისტემა, ტექსტში განხორციელებულია სრულიად სხვადასხვა ხასიათის, უანრისა და შინაარსის ნაწარმოებების სინთეზი.

ყველაფერი გაურკვეველია, ყველა ამბავს კითხვის ნიშანი აქვს დასმული, მნერალი ხშირად იმდენად შორს მიჰყავს ამ გაურკვევლობას, რომ ის ეჭვით კითხულობს, „ჯავახიშვილი მართლა ჯავახიშვილი იყო, ადამაშვილი თუ ტოკლიკაშვილი.“ (2:43)

ასევე ირონიზებულია ქართველების მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი „გვარიშვილობის სნობიზმი“, ავტორი თავის სათქმელს მიხეილ ჯავახიშვილის დახმარებით გვეუბნება – „ნამსვე ნამოხტი და პატარა, დამჯერე ბავშვივით ორბელიანს (გრიგოლი) უკან ავედევნე იმ კაცს, რომელსაც ნახევარზე მეტ საქმეს მისი გვარი დაბადებამდე გაკეთებულს ახვედრებდა, მე კი დღემდე ვერ გამირკვევია ტოკლიკაშვილი ვარ, ადამშვილი, ჯავახიშვილი თუ სამივე ერთად. ფინიასავით გავყევი იმ კაცს, რომელმაც ერთი ხეირიანი ლექსიც კი ვერ შექმნა“. (2:46).

ნაწარმოებში ხდება პატრიოტიზმის მიმართ განსხვავებული პოზიციის დაფიქსირება მორალური ფასეულობები ნელ-ნელა უკანა პლანზე ინაცვლებს, მნერალი საქართველოზე საუბრისას სიმართლეს ამბობს, სიმართლეს, რომლის აღიარებაც ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ყველაზე კარგად ვიცით; „ასე ვიყავით ჩვენც მუდამ ვბაქიბუქობდით, განუმეორებლობას ვიჩემებდით, ქართული მნერლობა არა თუ შვილი მეზობელიც არას-დროს ყოფილა ევროპული მნერლობისა“. (2:48).

საინტერესოდ არის დანახული ქალის კულტი. ნაჩვენებია დამოკიდებულება ქალი-სადმი, რომელიც ისევ შორეული ოცნების საგანი გამხდარა, ევროპა ამ კუთხითაც არ შემოსულა ჩვენს ქვეყანაში აქ ჯერ კიდევ, „მხოლოდ შორით დაგვა, გაუთავებელი წუხილი და გაუმხელელი საიდუმლო იყო. ამის გამო ვიხარშებით საკუთარ წვენში, ვერაფრით გაგვირდვევია საზღვარი და ვერც ევროპის მაჯისცემას ავდევნებივართ.“ (2:52) ახალმა ეპოქამ მოითხოვა ქალისადმი დამოკიდებულების შეცვლა. თანამედროვე ადამიანი არ კმაყოფილდება დაფრაული სხეულის ხილვით „ითხოვს ვნებიან კოცნას მიჩქმალული გრძნობების დუღილს.“ (2:53).

პოსტმოდერნისტი მნერალი ფარდას ხდის სიმართლეს და ისტორიაში დამალულ ფაქტებს აყენებს მკითხველის წინაშე. ასე მაგალითად, საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის მამის საპას თავგადასავალი მაიკო ბარათაშვილთან და შემდეგ მიხეილის მიერ მარგოსა და ჯაყოს პროტოტიპებად საკუთარი მამისა და მაიკო ბარათაშვილის გამოყენება.

მიხეილის ამბების მთხოობელად ავტორმა გამოიყვანა ვინმე ნიკა, რომელიც მიხვდა, რომ თავის გადასარჩენად შეიძლებოდა ეწერა, ერთადერთი ეს იყო, რაც ეხერხებოდა. შეეძლო მიებაძა, სხვდასხვა მნერლებისთვის და, როგორც ნუგზარ მუზაშვილი ახასიათებს „რაც მთავარია, იგი პოსტმოდერნისტული საუკუნის შვილია, ანუ ადამიანი, რომელიც ტრადიციული ფასეულობების ნანგრევებში ცხოვრობს.“ (1:97) მისი აზრით სიკვდილმისჯილთა საკანში მყოფი მიხეილ ჯავახიშვილი ასე დაწერდა თავის ბიოგრაფიას, ფსევდო მნერალი კი მას ბარიგა ტელმანს დახმარებით ისე გაასაღებდა, როგორც დიდი მნერლის ხელნაწერს. ფარსიფიცირებული ტექსტი ავტორს ათავისუფლებს პასუხისმგებისაგან, ეს პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი თხრობის მანერაა, სადაც ხორციელდება მისი მთავარი პრინციპი ტექსტი ტექსტში.

მოულოდნელობის ეფექტი ამ ტიპის ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია, ნიკა ციხეში ხვდება არა გაყალბებისთვის, არამედ მუზეუმიდან ხელნაწერის მოპარვისთვის მოსამართლეებს კი, რომლებიც დიდად არ გამოირჩევიან, ინტელექტის მაღალი დონით, ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს აბსურდი ჯავახიშვილის შექმნილია და ნიკამ მოიპარა იმის-თვის, რომ ფული ეშვება.

ის, რაც წინა პერიოდში ბევრისთვის მიღებელი და აღმაშფოთებელი იყო, ახლა ჩვეულებრივ ამბადაა ქცეული. ნიკა ციხეში ჰყავება გალაკტიონის, ცისფერყანწელების პოსტმოდერნისტულ ბიოგრაფიებს, მან დიდი წარმატება მოიპოვა არა მარტო პატიმრებში, არამედ ციხის ადმინისტრაციაშიც, სადაც სიამოვნებით უსმენენ და ამით იპყრობს ბევრი ადამიანის გულს.

ნაწარმოებში ჩასმულია თემურ ბაბლუანის ფილმების ციტირებაც კერძოდ ის მთავრდება სიტყვებით, „მალიარი ხარ ბიჭო?“. – ეკლექტიზმი დამახასიათებელია პოსტმოდერნიზმისთვის.

ამ ნაწარმოებში კარგად ჩანს ადამიანებზე დროისა და ეპოქის კვალი და ის, თუ როგორი ჰქონდებოდა მე-19-20 საუკუნეების თბილისი. აქ ქალაქის ხიბლს გვაზიარებს მწერალი პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ირონიული ხედვითა და თანამედროვე გააზრებით. ის საინტერესო თხრობის მანერით გამოირჩევა. მკითხველს ითრევს გარდასული პერიოდის თბილისის ამბებში და მასთან ერთად მოგზაურობს, ისტორიის მივიწყებულ ლაბირინთებში. მწერალს თავისი ვარაუდები აქვს ცნობილი ქართველი მთარგმნელის ივანე მაჩაბელის ბურუსით მოცულ გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ასევე ილია ჭავჭავაძის და ნორვეგიელი ქალბატონის პანი პრესპიშევსკაიას მკვლელობაზე.

ლაშა იმედაშვილი ნამდვილად მომხდარსა და გამონაგონს ისე უთავსებს ერთმანეთს, რომ ჭირს გარკვევა რა არის რეალობა და რა მწერლის ფანტაზიით შექმნილი, ასეთმა შერწყმამ არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო. „ამ მოთხოვთ მხატვრული დამაჯერებლობის ხარისხი მაღალია“ – წერს ლევან ბრეგაძე ნაწარმოების წინასიტყვაობაში.

აღნიშნულ ნაწარმოებში ორი საწყისის დოკუმენტურობისა და გამონაგონის ჩინებულ და, ცოტა არ იყოს, თამამ შერწყმასთან გვაქვს საქმე. „საინტერესო მწერლის დაწერილია, იუმორი, ჩვენ გველიმება ავტორს კი ამ დროს მასაც ვხედავთ, ნაკვთი არ უტოკავს სერიოზულობის ნიღაბაფარებულ სახეზე“. (3;4)

ლევან ბრეგაძე თითოეულ მკითხველს ეპატიურება ლაშა იმედაშვილის სამყაროში, სადაც ავტორი ჩვენს არც თუ შორეულ წარსულში გვამოგზაურებს.

მოთხოვთ პირველი ნაწილი კინაზ მაჩაბელს ეხება, მწერალი ირგებს პოსტმოდერნისტი შემოქმედის ნიღაბს და ერთ-ერთი მთავარი გმირის ვანო ჩალაძის პირით გადმოცემს თავის მთავარ სათქმელს.

ვანო ჩალაძე მწერალი იყო, რომელსაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოუნია დანოლა მწვავე ნევროზული შეტევის გამო. ის მუდამ სიკვდილზე ფიქრობდა – „სიკვდილი ჩვენი საუკეთესო მეგობარია, იგი დაბადებიდან თან დაგვტრიალებს, როგორც მზრუნველი მშობელი, ყველაზე მეტ დროს ჩვენ სწორედ მასთან ვატარებთ, თუმცა ეგაა, ვერა-

სოდეს ვხედავთ ჩვენს საუკეთესო მეგობარს, იგი ჩვენშია და ამავე დროს ჩვენს შორის დაჰქრის ფართატით, მხოლოდ თვალის მოკვრა შეგვიძლია, ისიც წამით“. (3:10).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, როდესაც მწერალი ჩვენს წინაშე პოსტმოდერნისტული ხერხების წყალობით გაათამაშებს კარნავალს და მთავარ გმირს დაუნიშნავს სამკურნალო თერაპიას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სამოცდაცამეტი საათი მას რომელიმე დიდი მწერლის ცხოვრებით აცხოვრებს. ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო იღიაზე, გალაკტიონზე, კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძეზე.

მკურნალობა ყველაზე იაფი მაშინ ჯდებოდა, თუკი პაციენტი ვაჟა-ფშაველას ან ალექსანდრე ყაზბეგს აირჩივდა. „მაგრამ ცუდი პირობებია, არა მგონია, ისევ უშუქობაში მოგინდეთ ცხოვრება“. (3:14).

მწერალმა ვანო ჩალაძეს ივანე მაჩაბელი აურჩია, მას უნდა ეცხოვრა ამ მთარგმნელის ცხოვრებით, რომელმაც „ბევრის შემძლებელ გაცილებით ნაკლები მემკვიდრეობა დაუტოვა საზოგადოებას“ (3:17) გმირს სახელის შეცვლამ აღარ მოუწია. შემდეგ აღნერილია ივანე მაჩაბლის ცხოვრების ლაშა იმედაშვილისეული ვერსია.

იმ დროს თბილისი „მიგდებული ბავშვივით უპატრონო და ბინძური იყო“, რომელიც მუდმივად რაღაცის მოლოდინშია. საინტერესო ეპიზოდებია მწერლის ცხოვრებიდან გადმოცემული. პეტერბურგში მაჩაბელმა და ილია ჭავჭავაძემ შექსპირის თარგმნას ერთად მიჰყვეს ხელი, ისინი „მეფე ლიონს“ თარგმნიდნენ რომელიც სამ თვეში დაასრულეს.

მნიშვნელოვანის ის, რომ მწერალი ივანე მაჩაბელზე საუბრისას, აქტიურად აშუქებს მის პირად ცხოვრებას, არ ერიდება ინტიმური დატალების ჩვენებასაც, ასე მაგალითად, გადმოგვცემს, რომ მაჩაბელს და ცნობილ ქართველ მსახიობს მაკო საფაროვას ერთმანეთი უყვარდათ და „რომეო და ჯულიეტას“ თარგმნა მისი გულისოფის დაუწყია, თუმცა მისთვის მოულოდნელი ფაქტი შეიტყო გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან მთარგმნელმა მაკო საფაროვასა და ვასო აბაშიძის დაქორწინების შესახებ. „არ არსებობს პირადი ცხოვრება, მწერალის პირადი ცხოვრება ისეთივე ზღაპარია, როგორც ახალ წელს საჩუქრებით დატვირთული თოვლის პაპა.“ (3:58).

ცხოვრება რთული გაკვეთილების ჩაბარებას სთხოვდა გმირს, მან გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძლო ამის გაკეთება, თუმცა ეს არ იყო საკმარისი.

ლაშა იმედაშვილი თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისაგან ის გულახდილად ამხელს თავისი ქვეყნის უარყოფით თვისებებს მართალია სხვისი პირით, მაგრამ მაინც. „კავკასიური ველურობა და აზიური სიზარმაცე რომ არ უშლიდეს ხელს, თქვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე საპატიო ადგილს დაიკავებდა.“ (3:60).

ილიასა და მაჩაბელს შორის „დროების“ გამო კონფლიქტი ხდება. ილიამ „ჰამლეტი“ არ შეუქო მთარგმნელს. „განა კერძო წყენა ლიტერატურაში უნდა გადმოვიტანოთ“ – გულდაწყვეტით აღნიშნავდა მაჩაბელი.

თხრობა თავიდან ჩვეულებრივად მიდის, სანამ საქმე მაჩაბლის გაუჩინარებაზე არ მიდგა, აქ ერთვება ტექსტში ათასგვარი ჭორ-მართალი, ალბათ, მაშინ როდესაც დამტკიცებული არაფერი არაა, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება.

ივანე მაჩაბელს ლაშა იმედაშვილმა თავის მოთხოვნაში სიცოცხლე სულით ავადმყოფთა თავშესაფარში დასრულებინა, ამ ამბავს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ის ფაქტი, რომ ეს თავად მაჩაბლის ცოლმა ანასტასია ბაგრატიონმაც იცოდა, მაგრამ ოჯახის ღირსების დაცვის მიზნით არ ახმაურებდა.

მოთხოვბაში რადიკალურად სხვა სათქმელითა და თემით იწყებს ახალ თავს ავტორი, სადაც ამჯერად მოქმედ პირად გვევლინება პეტრე ევტუშევსკი – ინგლისში განათლება მიღებული გამომძიებელი, რომელიც ილიას მკვლელობის დროს საქართველოში იმყოფებოდა და მას დაევალა ამ საქმის გამოძიება. ლაშა იმედაშვილი ილიას მკვლელობაში ბრალს სდებს მის მოურავს დიმიტრი ჯაშს.

მწერლის პიროვნების შესახებ ჭორი და მართალი ერთმანეთში ირევა, ზოგი მას სასტიკ მებატრონებ მიიჩნევს, ზოგი კი აღმერთებს. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ილია ჭავჭავაძე მოკლეს ის იყო, რომ რუსეთის სათათბიროსგან პოეტი საქართველოს და ქართული ეკლესიის ავტონომიას მოითხოვდა. ამ ყველაფრიდან სრულ დამოუკიდებლობამდე ერთი ნაბიჯილა დარჩებოდა, მაგრამ...პ

ავტორი საინტერესო დოკუმენტურ მასალას გვაწვდის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალებზე. როგორც ცნობილია, აღნიშნულ მკვლელობაზე ბევრი ეჭვმიტანილი იქნა დაკავებული „ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა ამ სიაში მთელი საქართველო აღმოჩნდესო“ – გაიფიქრა იაშვილმა.

საინტერესოა ბევრისთვის უცნობი დოკუმენტური მასალა, რომელიც მოგვაწოდა ავტორმა ნორვეგიელი ქალბატონის პანი პრეპიშევსკაიას მკვლელობაზე, მკვლელობა იმ პერიოდის თბილისში მოხდა, „როდესაც ჩვენი სამშობლო, ჯერ კიდევ არ იყო უნარჩვევების ქვეყანა და ავად თუ კარგად, ტრადიციების ერთგული გახლდათ“. (3:64) ამ ნათქვამში ავტორი ირონიასაც ურევს.

ლაშა იმედაშვილმა ამ ნაწარმოებში ჩვენ წინაშე გააცოცხლა იმ პერიოდის თბილისი, როდესაც ქალაქი შენდებოდა და ევროპის ფეხის ხმას თუ არა, სუნთქვას მაინც იყო აყოლილი. სადაც უამრავი ფარული თუ ღია დანაშაული ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი იყო უცხოელი სტუმრის პანი პრეპიშევსკაიას საიდუმლოებით მოცული მკვლელობა. ისტორიზმის პრინციპი, კრიმინალური საქმეები, სადაც გამოძიებას თავად ავტორი ახდენს მკითხველთან ერთად პოსტმოდერნიზმისთვისაა დამახასითებელი. მწერლის განხილული ნაწარმოებიც ყველა იმ მოთხოვნას პასუხობს, რასაც ეს ლიტერატურული მიმდინარეობა აყენებს მხატვრული ტექსტის წინაშე. აქ ვხვდებით ავტორის ნიღაბს, ინტერტექსტს, ინტერტექსტუალურ თამაშის პრინციპს.

ლაშა იმედაშვილის ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ ჩვენს წინაშე თანამედროვეთაგან ერთ-ერთი გამორჩეული პოსტმოდერნისტი მწერალი დგას. რომელიც მკითხველს უამრავ საინტერესო, მათთვის უჩვეულო მასალას აწვდის წინა საუკუნის (და არაა მარტო იმ პერიოდის) თბილისზე.

ბიბილიოგრაფია:

1. მუზაშვილი ნუგზარ, „ჩვენ და ისინი“ თბილისი, 2002 წელი.
2. იმედაშვილი ლაშა, „ბიოგრაფიები“ (იესო ქრისტე, ლეონარდო და ვინჩი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, დაბოლოს) თბილისი, „ლომისი“, 2003 წელი.
3. იმედაშვილი ლაშა, „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“ (კნიაზ მაჩაბელი, კნიაზ ჭავჭავაძე, პანი პრეპიშევსკაია) თბილისი, „უნივერსალი“, 2006 წელი.

შორენა შავრეშიანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

თემისა და პიროვნების კონფლიქტის ყაზბეგისეული გაგება და თანამედროვე ქართული კრიტიკა

ხელმძღვანელი პროფესორი: ნანა კუცია

ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ მწერლის მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესო შემოქმედების ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტია. მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას შორის, უარსებითესია კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით „ხევისბერ გოჩაში“ წარმოჩნდა.

მწერლის თანამედროვე კრიტიკოსის ბოსლეველის (ესტატე მჭედლიძე) თანახმად: „ბატ. მოჩხუბარიძის მოხევეები სწორედ რომ მარტო სიყვარულისთვის არიან დაბადებულნი, თითქოს სხვა აღარაფერი სადარდებელი არა ჰქონდეთ რა ქვეყანაზედ!.. მერე რაგვარი სიყვარული სცოდნიათ ამ უცნაურს მთიელებს? მოავლებენ თვალს ერთმანეთს და გათავდა!...“ [1, 179].

ამ ნანარმოებშიც ამავე სცენარით ვითარდება მოქმედება: ერთი თვალის შევლებით დაწყებული, „უხილავი ცეცხლით“ დამდაგველი სიყვარული, რომელიც ახალგაზრდებს წამში ტრფიალებით გამსჭვალავს და რომელთაც სწორედ ეს თავდავიწყება და წამიერი გონდაკარგვა ღუპავს...

ნანარმოების მთავარი გმირი ონისე ცდილობს, გაექცეს ამ სიყვარულს, მაგრამ ამაოდ. იგი ვერ ამართლებს მამის დარიგებას: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი, ვინძლო, ქვეყანა არ გააცინო“... [4, 287]. ძიძიას სიყვარული ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აღმოჩნდა და მანაც ჩაიდინა დანაშაული. საბოლოოდ კი, მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ, მაინც ახერხებს ტრფიალისაგან განთავისუფლებას, აცნობიერებს თავის ქმედებას და მზად არის საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდოს დანაშაული.

ონისეს ღირსეულობის დასტურია ის ფაქტიც, რომ იგი უნებლიერ დანაშაულს აღიარებს თემის სასამართლოს წინაშე. მას შეუძლია, სულაც არაფერი თქვას და სასჯელიც აიცილოს, მაგრამ ამით უდანაშაულო გუგუა დაისჯება და ეს კი მის კაცურ თავმოყვარეობას უფრო მძიმე ტვირთად დააწვება... და... ხევისბერიც თემის წესისამებრ, საკუთარი პიროვნული ღირსებიდან გამომდინარე კლავს შვილს...

„ხევისბერი მამა თავისი ხალხისა“ [1, 185] – რომელსაც, სწამდა, რომ ხალხისაგან არჩეული ღვთისგან არჩეულიც უნდა ყოფილიყო. ხევისბერი თემის ნაწილია, მისი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე, სამართლიანი მოსამართლე, რომელიც სასჯელის არც ერთ ფორმაზე უკან არ დაიხევს, თუნდაც საკუთარი შვილი იყოს, უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში მას გაცილებით უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვა რომელიმე თემის წევრს.

უკანასკნელ ხანებში, უურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე საინტერესო პოლემიკა გაიმართა „ხევისბერ გოჩაში“ თემსა და პიროვნებას შორის კონფლიქტის პრობლემის შესახებ.

უურნალში დაიბეჭდა გია არგანაშვილის წერილი „ხევისბერი გოჩა აიძულეს, საკუთარი შვილი მოეკლა“. წერილს მოპყვა პაატა ჩეხიძისა და ზურაბ ლავრელაშვილის გამოხმაურებანი: „აიძულეს?!“ („ჩვენი მწერლობა“, 21, 2010) და „ყაზბეგი – პლაგიატორი და ეპიგონი?“ („ჩვენი მწერლობა“, 10 (140), 2011).

სამივე წერილი უარღესად საინტერესოა, მაგრამ – ერთმანეთისგან განსხვავებული.

გ. არგანაშვილი თვლის, რომ ყაზბეგის ნაწარმოებებში არ არის ნაჩვენები პერსონაჟთა ხასიათის ევოლუცია, ამიტომაც მისთვის ნიშანდობლივია სტატიკური ხასიათების ჩვენება. კრიტიკოსი მიუთითებს მწერლის შემოქმედებაში საკუთარ გარემოს მოწყვეტილ, სხვა ლიტერატურული თუ ბიბლიური სივრციდან შემოსულ მზა, ნასესხებ გმირებზე, რომლებსაც თვითმყოფადობა არ ახასიათებთ, რის გამოც ყოველგვარი ზღვარი იშლება ორიგინალურ ნაწარმოებსა და ფოტოგრაფიულ ასლს შორის.

გ. არგანაშვილის შეხედულებებს და პოზიციას რადიკალურად უპირისპირდება ზ. ლავრელაშვილი წერილით „ყაზბეგი – პლაგიატორი და ეპიგონი?“. მისთვის მიუღებელია გ. არგანაშვილის „ვარაუდის დონეზე გამოთქმული“ დასკვნები. ზ. ლავრელაშვილი გ. არგანაშვილს ადანაშაულებს ყაზბეგის ნაწარმოების არასწორად გააზრებაში, რომლის მიხედვითაც, მას „მიზნად დაუსახავს – ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ აღმოჩინა თანამედროვეობის უმთავრესი ნიშანი, რაც მისი აზრით, თხზულებაში თემისა და მორალური გმირის დაპირისპირებით არის მოცემული“ [5, 4].

გ. არგანაშვილის მითითებით, ხევისბერი აიძულეს, მოეკლა საკუთარი შვილი. ჩვეულებრივ, სამართლიანობის, ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი თემი, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, რომელიც მიწიერ საუფლოში ამყარებს წესრიგს, იცავს ზნეობას, წინაპართა მიერ სისხლით მორწყულ მიწას, თემი, რომელიც მოიაზრება მიწისა და ზეცის კავშირად, არსებობის ერთგვარ კრიზისს განიცდის, უპრინციპოდ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გადამწყვეტ მომენტში ვერ აღმოჩნდება მოწოდების სიმაღლეზე და ტრაგედიას თავიდან ვერ აიცილებს...

თემს არ ჰყოფნის გამბედაობა, აღასრულოს ის, რასაც ხალხის ნება, თემის დაუწერელი კანონი გულისხმობს მოღალატისთვის შესაბამისი სასჯელის მიზღვისას... და სწორედ, მისთვის შეუფერებელი გულჩვილობა თუ უადგილო შემწყნარებლობა, იძულებულს ხდის ხევისბერს, განაჩენი თავად გამოუტანოს შვილს... განაჩენი, რომელიც მეტისმეტად სასტიკია.

ონისე გავლენიანი და მდიდარი ოჯახის შვილია. თანატოლებისგან ჩაცმულობითაც გამოირჩევა, გამორჩეულობა კი მძიმე სატარებელი ტვირთია მთაში და როგორც კრიტიკოსი მიუთითებს, ეს ფიზიკური თუ სულიერი ბრწყინვალება უარყოფითად აისახა ონისეს ბუნებაზე, რომლის ანარეკლსაც წარმოადგენს გაუფრთხილებლობა და უპასუხისმგებლობა. მიუხედავად ონისეს სისუსტისა და თემის კანონიდან რადიკალურად გადახვევისა, რამაც მოხევეთა მონობა-მორჩილების საკითხი მტკიცნეულად დააყენა, თემი მაინც გაცილებით უფრო ლოიალურად ეპყრობა, ვიდრე შეეფერება. ცდილობს მის გამართლებას და ჩადენილს ყმაწვილკაცობითა და წუთიერი გონდაკარგვით გამოწვეულად ნათლავს... და ყოველივე ამის გამო, თემი, ერთგვარ „მოლიზლარ პრბოლ“ იქცევა. ამ შემთხვევაში, აღბათ ონისეს ხევისბერის შვილობამაც „უშველა“, რადგან, დამნაშავე სხვა რომ ყოფილიყო, თემი განაჩენსაც ადვილად გამოიტანდა...

მეორე მხრივ კი, როგორც თავად მიუთითებს: „ონისეს არ გამოუჩნდა კაცი, რომ ხელი ჩაეჭიდა და სამშვიდობოს გაეყვანა“ [2, 5] (აკი, თემი ცდილობდა მის გადარჩენას და სასჯელის შემსუბუქებას, მაგრამ სწორედ ასეთ შუამავლობას უთვლის იგი თემს უსუსურობად და უპრინციპობად. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გ. არგანაშვილი თავადვე ექცევა თავის მიერვე წამოყენებულ არგუმენტთა წინააღმდეგობაში და სათქმელი ბუნდოვანი და გაურკეველი რჩება).

კრიტიკოსს ონისეს სიყვარულიც ძიძიასადმი ვნებად და „მტლაშა-მტლუშად“ უფრო მიაჩნია, ვიდრე გულწრფელ სიყვარულად. თითქოს ონისესთვის სულერთი იყო, ძიძია იქნებოდა უგულო ტრფობის ობიექტი თუ ქალთა სქესის სხვა, ნებისმიერი წარმომადგენელი: „ონისეს გული თავისუფალია. ამ ახალგაზრდა კაცს ხევში თავისი სწორი და ფერი ვერ უნახავს და სიყვარულს მოწყურებული, ახლა მხოლოდ შესაფერის ობიექტს დაეძებს... და სულერთია, თუ ვინ იქნება ის?! მკითხველისთვის ამგვარ საორჯოფო მდგომარეობაში ჩავარდნილი ონისე, ბუნებრივია, პირველივე შესაძლებლობას იყენებს და, რანამს ძიძიასთან მარტო რჩება მარხილში... აღარ გვიკვირს, ასე იოლად რომ დაიწყო მათი ურთიერთობა“ [2, 5]. (თავად ავტორი კი მიუთითებს, რომ ეს ჭეშმარიტი ტრფიალებაა: „გულს ნამდვილი სიყვარული პირველად ეგრძნოო“) ... [4, 342].

ზ. ლავრელაშვილისთვის, მრავალ საკითხს შორის, ეს საკითხიც ერთგვარ თავსატეხს წარმოადგენს. მისი აზრით, ამ დაუსაბუთებელ არგუმენტთა კასკადი ეჭვქვეშ აყენებს ყაზბეგის ავტორობის საკითხს და დაისმის კითხვა – „ყაზბეგი პლაგიატორი და ეპიგონი“?! კრიტიკოსის განცვიფრებას ინვევს, თუ რა უგერგილოდ სდებს ბრალს არგანაშვილი ყაზბეგს პერსონაჟთ პლაგიატორობაში და როგორ აზელს ერთმანეთში ბიბლიური აბესალომისა და ველად გაფრილი ტარიელის თვისობრივ ინგრედიენტებს მოსვენებადაკარგულ, შინაგანი წინაამდეგებობებით აღსავსე ონისეს.

როგორც ზ. ლავრელაშვილი მიუთითებს, გ. არგანაშვილი ერთმანეთს უპირისპირებს უზნეო, უპრინციპო თემსა და მორალურ გმირს, მტკიცე ნებისყოფის ადამიანს, რომელიც, მიუხედავად სასტიკი სულიერი გამოცდისას, ხელოვნურად შეკონინებულ წინააღმდეგობრივ გარემოშიც კი ინარჩუნებს ღირსებას, ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს და ამ სიკვდილით იმარჯვებს კიდეც მხოლოდ ფიზიკურად ცოცხალ თემზე.

პ. ჩეეიძის პოზიცია ნაკლებად კატეგორიულია, თუმცა, მანაც, მსგავსად ზ. ლავრელაშვილისა ყურადღება გაამახვილა ნაწარმოებში არასწორად აღქმულ ზოგიერთ საკითხზე.

კრისტიკოსის აზრით, სადავო და საკამათოა, თითქოს „მთაში „გამორჩეულობა“ საწყევარ სიტყვად ითვლება და, რომ თითქოს „ხევისბერის დიდაქტიკური მორალი ერთ ფრაზაში ეტევა – ვინძლო, ქვეყანა არ გააცინო“ და რომ თითქოს „თემსა და მოლიზლარ ბრბოს შორის ერთი ნაბიჯია“... „ყაზბეგთან გამორჩეული ვაჟუაცი თემს არ დაუპირისპირდება“, რადგანაც თემი მოლიზლარი ბრბო კი არ არის, არამედ: „თემი ადათია, წესჩვეულება, ტრადიცია, თემი ფესვებია, თემი ზნეობაა!“ [6, 51].

„ყაზბეგი თავის გმირს თემის აუგს არ გააბედინებს“ [6, 51]. მისი გმირები პატივს სცემენ თემის გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის გარდაუვალი კანონია და რომელსაც ვერსად და ვერავისთან გაასაჩივრებენ. ისინი თემის განუყოფელი ნაწილი არიან და საუკუნეებით გადაჯაჭვულნი, მტკიცნეულად განიცდიან, თუ როგორ ანგრევს „ხანი უნდობარი“ ამ მრავალსაუკუნოვან კავშირს.

კრიტიკოსის საყვედურს იმსახურებს გ. არგანაშვილი ასევე რ. ჩეეიძის „ყაზბეგიანას“ „ორი სიმართლის“ თავისებურად გაგების გამო. ის ორი სიმართლე, რაც რ. ჩეეიძესთან მარადიულ სიყვარულს და თემის წიაღში მცხოვრები ადამიანის გარდაუვალ მოვალეობაზე მიუთითებს, მას თემისა და ხევისბერის სიმართლედ მიუჩნევია. თავად ავტორის თანახმად: „ხევისბერ გოჩაში“ ორი სიმართლე შეიძლება გამოიკვეთოს: ხევისბერისა („ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“, როგორც ფორმულა ცხოვრების სიბრძნისა, დიდი და გარდაუვალი ჭეშმარიტებისა) და ონისეს („ვინც თავის გულთან წრფე-

ლია, და თუ მას, რაიმე იპყრობს და იტაცებს, მხოლოდ ბუნებისმიერი და ძლევამოსილი ძალა სიმართლე“) [6, 51].

ხევისბერი გოჩაც სწორედ იმიტომ კლავს შვილს, რომ მან ჭეშმარიტ გზას, მემკვიდრეობით ხაზს გადაუხვია, რომელიც დასაბამიდან მოსდევდათ მოხევეებს და რომლის დარღვევაც დანაშაულია ღვთისა და კაცის წინაშე. ამ გზით სიარული საკმაოდ დიდ ნებისყოფას მოითხოვს და კაცთაგან მხოლოდ რჩეულთ თუ შეუძლიათ, გადალახონ თითქმის დაუძლეველი, ადამიანური სისუსტეები. ონისეს არ აღმოაჩნდა საკმარისი ძალა, ამ მხრივაც გამორჩეული ყოფილიყო, ის მიეცა წუთიერ თავდავიწყებას და დაივიწყა გარდაუვალი მოვალეობა, რითაც ადამის მოდგმის ცოდვით ისედაც გაუღენთილ-დამცრობილი დედამინა კიდევ უფრო მძიმდება, ირღვევა ღვთაებრივი კავშირი ზესკნელსა და ქვესკნელს შორის და წყდება გენეტიკური კავშირიც წინაპართან... სწორედ ამიტომაც, შეუძლებელია ხევისბერის შეჩერება, რომელმაც იცის, რომ: „რაკი კავშირი გაწყდა, ყველაფერი მოიშალა. აღარც მამაა, აღარც შვილი. აღარც წინაპრებია, აღარც შთამომავლობა. აღარც ანდერძია და აღარც აღსრულება“ [6, 51]. ხევისბერი უკვე აღარ წარმოადგენს ზნეობრივ მაგალითს თავისი ხალხისთვის. ვერც მან გაუძლო თავსდატეხილ უბედურებას და ისიც ნადგურდება ფიზიკურად და სულიერად. თუმცა არც ეს არის გასაკვირი, ისიც ხომ ადამიანია?! როგორც ერისკაცმა კი ღირსეულად გასწია ერის წინამძღოლობა და მამობა, ჭეშმარიტი მწყემსობა ჭეშმარიტ და გარდაუვალ გზაზე. მიუხედავად ყველაფრისა, ხევისბერი ღირსებას ბოლომდე ინარჩუნებს და დიდი ძალისხმევის ფასად, თავის საკუთარ სისხლსა და ხორცს წირავს, რითაც ააცდენს შვილს თვითგვემას, გვარს – საშვილიშვილო სამარცხვინო ლაქას და თემს – საფრთხეს, „მოლიზდარ ბრბოდ“ გადაქცევას რომ უქადდა. მის მიერ გამოტანილი განაჩენი დასაწყისია აღდგომისა, გაბრწყინების, განწმენდის და სულიერი ფერისცვალებისა...

თემის უმოქმედობას და შემწყნარებლობას, რომელსაც გ. არგანაშვილი პურისა და სანახაობის მოყვარული „მოლიზდარი ბრბოს“ უსუსურობას მიაწერს, სავსებით სამართლიანად ამართლებს პ. ჩხეიძე. თემი ბრბო არ არის, რომელიც მსგავს სიტუაციში უმართავი ხდება და რომლისთვისაც არ არსებობს ზნეობა და ღმერთი. მას არ აქვს მორალური უფლება, ხევისბერი წააქეზოს და ცეცხლზე ნავთი დაასხას. თემს რომ შეეგულიანებინა ხევისბერი და ებიძგა ამ სადისტური ქმედებისკენ და ისედაც დაქცეული ოჯახი არ დაენდო, საბოლოოდ გაენირა, სწორედ მაშინ გადაიქცეოდა „მოლიზდარ ბრბოდ“.

სავსებით სამართლიანია ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრება ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით: „ყაზბეგი იმისთვის მისტირის მის თვალწინ მომაკვდავი თემის დაშლას, რომ აქ ეგულება პიროვნებისათვის ძვირფასი პირობა“ [3, 113] – თავისუფლება, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული.... რაც თემში თავისთავად იგულისხმება და რასაც „ცივილიზაცია“ წალევას და საპირისპირო ცნებებად გადაქცევას უქადის. სწორედ თემის სულის დაკარგვის საფრთხე იწვევს საყოველთაო გლოვასა და კაეშანს.

თემი დამოუკიდებელი კულტურაა, ქართული მსოფლმხედველობის საძირკველი. თემი იგივე საქართველოა. ამ არც თუ ისე ფარულ ალეგორიაში საკმაოდ ადვილად იკითხება ის სევდისმომგვრელი მწარე სინამდვილე, რაც „წითური დათვის“ (თუ გნებავთ, „წითური სახადის“) სახით ელოდა ჩვენს ქვეყანას: „ოფიციალურ-პოლიციური რუსეთი მოდიოდა, როგორც დიდი „კულტურით“ დამძიმებული, ნამდვილად კი – კულტურა მოუნელებელი და ბარბაროსი. ყაზბეგის აზრით, მათ შემოიტანეს მორალური გახრმნა, რითაც ბევრი დასწეულდა. მათ ხელში ადამიანი გეომეტრიული ფიგურა იყო

და არც უნდოდათ და ვერც ხედავდნენ ადამიანის შინაგან ქვეყანას. იქ სინდისი „დაქი-რავებულიც“ არ ჰქონდათ. სულ სხვა იყო თემი. აქ სასოებაა, შიშია შეცდომისა, აქ დამ-ნაშავე საფლავთან ლაპარაკობს და მსაჯულებიც „ღვთის პირით“ ეკითხებიან“ [4, 116].

მოყვრულად მოსული მტერიც „ღვთის პირითა და სახელით“ მქადაგებელი, სინამ-დვილეში – ბოროტების მთესველი ჯოჯოხეთის მოციქულია და მლიქვნელობით, ენის მოჩლექითა და ათასგვარი ხრიკით აღწევს მიზანს. შედეგად – თემი გლოვობს, სატანა კი – ხითხითებს.

და ბოლოს, „ხევისბერი გოჩა გამორჩეული კაცი იყო. იგი თემისა და ადათის წიაღში ცხოვრობდა, იცოდა მოვალეობა და თავისუფალი იყო. მას ვერავინ აიძულებდა!“ [6, 51].

ეკა იორამაშვილი

გორის უნივერსიტეტი

გალაკტიონი და თანამედროვეობა

ხელმძღვანელი პროფესორი მარინა ცერცვაძე

გალაკტიონის შემოქმედება მეტად თავისებურია და საიდუმლოებით მოცული, მის პოეზიაში ვხვდებით ისეთ ფრაზებს, რომლებიც ქმნიან სიტყვის ახალ მნიშვნელობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შემოქმედება ძნელად აღსაქმელია. აქედან გამომდინარე რთულია გალაკტიონის პოეზიის თარგმნა. შესაძლებელია ესეც გახლდათ იმის მიზეზი, რომ მის ლექსებს მთარგმნელი არ ყავდა.

ვახტანგ ჯავახაძე თავის წიგნში „უცნობი“ გვაწვდის ამ საკითხთან დაკავშირებით გალაკტიონის მოსაზრებას. „ერთი რამ ნათელია ჩემთვის: როდესაც ძალიან ბევრს გაიძახიან, რომ გალაკტიონ ტაბიძის მთარგმნელები არ ვარგანან, ამ ტრაფარეტულ წამოძახილს სისტემური ხასიათი ეძლევა. ვიღაც ძალიან დაინტერესებულა არა მარტო იმით, რომ გაუმჯობესდეს თარგმნის საქმე იმით, რომ დააშინონ მთარგმნელები, აქაოდა, გალაკტიონ ტაბიძის თარგმნა ყოვლად შეუძლებელია, ის გენიაა და მთარგმნელიც გენია უნდა იყოსო, თორემ ჩვეულებრივი მთარგმნელი მის სულს ვერ მისწვდება და აუცილებლად დამარცხდებაო.

და, აი მთარგმნელი იძულებული ხდება, სულ ახლოს არ გაეკაროს ჩემს მასალასო, მაშინ, როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიან, არავის აზრად არ მოსდის შესძახოს მთარგმნელს, როგორ ბედავ, „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობასო. ეს რომ მომხდარიყო, ჩვენ არ გვექნებოდა ათამდე სულ სხვადასხვა თარგმანი „ვეფხისტყაოსანისა“ [3,36]

გალაკტიონს აუცილებლად მიაჩინია გამოცხადდეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც აცხადებს, რომ გალაკტიონს თითქოს ცუდად თარგმნიდნენ. „ვის სჭირდება ეს? რა თქმა უნდა იმათ, რომელთაც სურთ ჩემს მთარგმნელებს ხელი ააღებინონ თარგმნაზე“. [3,36].

ვახტანგ ჯავახაძის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით კი ასეთი იყო, „ქართული პოეზიის თარგმნას ძირითადად პირადი ურთიერთობანი განაპირობებენ. უმეგობრო და მარტოსული კი ძნელად ამყარებდა კონტაქტებს კოლეგებთან. სხვებს საკუთარი საზრუნავი აფიქრებდათ და ამიტომ სახალხო პოეტის შემოქმედება მაშინდელი პირველხარისხოვანი მთარგმნელის ყურადღების გარეშე დარჩა. ფაქტიურად, იგი დაუმალეს რუსულ პოეზიას და ამდენად - მთელს ევროპას.

წლების წინათ ვენორი ქვაჩიამ დაიყოლია რუსი პოეტი - მთარგმნელი ალექსანდრე მეჟიროვი, რათა ეთარგმნა გალაკტიონის ლექსები. ცალკე ითახი გამოუყო, პურმარილით მოამარავა და შედეგს დაელოდა. არაფერი გამოვიდა, ა. მეჟიროვმა ვერ თარგმნა გალაკტიონის ლექსები. მას მიუწერია „პოეზია უთარგმნელია, ცდა ბედის მონახევრეაო..“

ამ ფონზე დასაფასებელია გამბედაობა ინესა მერაბიშვილისა მან თარგმნა გალაკტიონის ლექსები, რომლებიც „უთარგმნელად“ იყო მიჩნეული, ქართველ მთარგმნელს უზადო გემოვნებით შეურჩევია სათარგმნი მასალა, ამ ლექსებს მთელი საქართველო იცნობს, ზოგიერთი მათგანი ზეპირადაც იცის. რაც შეეხება პოემა „ჯონ რიდის“ თარ-

გმნას ვახტანგ ჯავახეაძე იხსენებს: – გადავათვალიერე თითქმის ხუთასგვერდიანი კრებულის სარჩევი და სინანულმა შემიპყრო: აქა-იქ ჩანდა ნაცნობი გვარი. წიგნის საერთო დონის განსაზღვრისათვის კი ერთი ფაქტის აღნიშვნაც კმარა: „ჯონ რიდის” ათას სტრიქონზე მეტი ვერლიბრი თარგმნილია (უფრო ზუსტად: გადაკეთებულია) ასოთხმოც-სტრიქონიან რითმიან ლექსად. თარიღიც მცდარი უზის 1918-ის ნაცვლად 1924 წლისა. (ეს სწორედ ერთი იმ თარგმანთაგანი უნდა იყოს, რომელიც ვერ იცნო გალაკტიონმა).

ამ მონაცემთში კარგად ჩანს გალაკტიონის გულისტკივილი, პირველ რიგში იმის გამო, რომ თითქმის ყველა ერიდებოდა ეთარგმნა მისი ლექსები და თუ ვინმე ამას გააკეთებდა. უხარისხოდ კეთდებოდა, შორდებოდა ძირითად შინაარსს. მიხეილ კვესელავას ასეთი მოსაზრება გააჩნდა: ერთი ეპოქა რომ მთავრდება მეორე იწყება, ყოველ ახალ ეპოქას ჭეშმარიტი პოეტი შინაგანად ანახლებს თავისი ერის ლიტერატურულ ტრადიციებს. იგი ერთის მხრივ ამდიდირებს უკვე მოცემულ გამოცდილებას, ხოლო მეორეს მხრივ ახალ საფეხურს ქმნის ლიტერატურის განვითარებაში, მან ისიც აღნიშნა, რომ არც ქართული პოეზია შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე გამონაკლისს, მხოლოდ გავერკვეთ, თუ რა ფორმებში ვლინდება ეს სიახლეო.

როგორც ვიცით, გალაკტიონი ყოველთვის ახლისაკენ მიისწრაფოდა, ამას იგი მოითხოვდა არა მარტო პოეზიის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისაგან, „ყოველი დღე უნდა იყოს სიახლე” – წერდა გალაკტიონი. იგი ყველგან და ყველაფერში ახლის ტრფიალი იყო: ამბობდა კიდეც: „დაუჭვნობ და წმინდა ძეგლად დარჩება” მხოლოდ „ჰანგი ახლის ძიებისაა”.

პირველად აკაკი წერეთელს უთქვამს გალაკტიონის შესახებ, იგი ბევრ სიახლეს შემოიტანს ჩვენს მწერლობაშიო. აბა, ამას რა დასტურის მიცემა უნდა ვისაც ორიოდ სიტყვა უთქვამს ან დაუწერია გალაკტიონის შესახებ. აღუნიშნავს კიდეც რომ, იგი ქართული ლექსის უდიდესი ნოვატორია, განმაახლებელი, მიუთითებენ მისი ლექსისი „განუმეორებელ არტისტიზმზე” ახალ ინტონაციებსა და ფერებზე, რითაც მან გაამდიდრა ქართული პოეზია, ჩვენი ეპოქის შესაფერისი ენით აამატყველა თანამედროვე ადამიანის სული. მის დღიურებში ვკითხულობთ: „– მართლაცდა, ამდენი ლაპარაკია ჩემი ნოვატორობის შესახებ და ერთი ხეირიანი წერილიც კი არ არსებობს;

1. რა არის საზოგადოდ ნოვატორობა?
2. რაში გამოიხატება მისი დადებითი მხარე
3. ნოვატორობა ფორმისა
4. ნოვატორობა შინაარსის
5. ეპოქის მნიშვნელობა
6. ჰარარელები წარსულ მწერლობასთან
7. ნოვატორი დამწყებია ახლის შემომტანი”. [3,42].

ასეთია თვითიონ გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული შვიდი თეზისი, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს მისი შემოქმედების ხასიათის შესწავლა, ე. ი. იმის გარკვევა თუ რა სიახლე შემოიტანა მან ქართულ პოეზიაში.

საჭიროა მასალების შეგროვება, განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯერება. ხალხში ამბობენ, ჯერ ფონს მოსინჯავენ და მერე შეტოპავენო. ხოდა, ვიდრე საქმე „შეტოპვაზე” მიდგებოდეს, თავისი აზრი უნდა გამოითქვას გალაკტიონის მიერ დასმულ კითხვებზე. მიხეილ კვესელავამ ამ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ იმ შვიდ კითხვაზე მიუთითებს. „შვიდი-მეთქი რომ ვამბობ, თვალწინ თითქოს ადამის უამიდან ცნობილი „მაგიური

კვადრატი” მიდგეს. იმ კვადრატში ჩაწერილი ციფრები, რომელებიც ყველა მიმართულებით: ვერტიკალური, ჰორიზონტალურით თუ დიაგონალურით, ერთსა და იმავე რიცხვს ქმნის”. [4,45].

როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონი ყოველთვის ახლის და განახლებისათვის მებრძოლთა მეთაური და მედროშე იყო, მისი აზრით, არ შეიძლება ცხოვრება მხლოდ წარსულით, ცხოვრება მიდის წინ, არ შეიძლება, ადამიანი ჩამორჩეს ცხოვრების დინებას.

„მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია”. [4,44].

თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გალაკტიონს ყოველგვარი სიახლე როდი მიაჩნდა ბაჯალლო ოქროდ, ამიტომაა, თავის მიერვე დასმულ კითხვაზე ნოვატორობის შესახებ ზედაც რომ დაურთო, „რაში გამოიხატება მისი დადებითი მხარეო” [4,45].

როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონის პოეზიის არა მარტო თარგმნას, არამედ კვლევას დიდი ღვაწლი დასდო ინესა მერაბიშვილმა, მას მიაჩნია: რომ გალაკტიონის პოეზია განსაკუთრებულ ახსნასა და გაშიფრას საჭიროებს, მიუხედავად ამისა, ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა მოსი ლექსები.

თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მეცნიერული ანალიზი ხშირად გალაკტიონისეული ენიგმის აუხსნელობის მტკიცებით მთავრდება.

„გალაკტიონის შემოქმედება მეტად თავისებურია, პოეტურ ტექსტში ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა იშლება სემებად და კონტექსტის გავლენით ისინი ახლებურად ლაგდებინ. შესაბამისად მის წიგნში „გალაკტიონის ენიგმები” ქმნიან სიტყვის ახალ მნიშვნელობას.

მაგალითისათვის განხილულია შესიტყვება „ცეცხლის მზე”, რომელიც მოცემულია ლექსში „დროშები ჩქარა” ამ შემთხვევაში „მზე” პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება, ხოლო „ცეცხლი” გადატანით. შესიტყვებაში „ცეცხლის მზე” დამტევია არა მარტო ცეცხლივით ძლიერი, ავარვარებული, მოწითალო მზის შინაარსისა. „ცეცხლი” ამ შემთხვევაში მოასწავებს იმ გადამდებ და აღმაფრენით აღსავსე ძალასა, რომელიც უნდა მოსდებოდა თავისუფლებას მოწყურებულ ხალხს. [2,58].

ინესა მერაბიშვილი ასევე იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც მიხეილ კვესელავამ გამოაქვეყნა გალაკტიონისადმი მიძღვნილი მონოგრაფია „პოეტური ინტეგრალები” და რომელშიც მან გალაკტიონის პოეზია სამი სახეობის ლექსებად წარმოგვიდგინა:

პირველ სახეობას მან მიაკუთვნა ტრადიციული ლექსები, სადაც პოეტური მეტყველების კლასიკური წესია დაცული.

მეორე სახეობას ეკუთვნის ის ლექსები, სადაც სატყვებს შორის არსებული ლოგიკური კავშირი შესუსტებულია.

მესამე სახეობას მიაკუთვნებს იმ ლექსებს, სადაც სემანტიკური მთლიანობაა დარღვეული.

დასკვნა კი ასეთია, ამ ლექსებს ავტორი ინტეგრალურ ლექსებს უწოდებს და მიაჩნია, რომ ეს სავსებით ახალი მოვლენაა პოეზიაში.

თეომურაზ დოიაშვილი აღნიშნავს, რომ გალაკტიონის შემოქმედება სიმბოლური პოეტიკით შესრულებული სახეა, რომელთა გაშიფრა არ ხერხდება და არც საჭიროა. გალაკტიონს მშვენივრად ესმოდა ის გამორჩეული სახე, რომელიც მეოცე საუკუნემ მოიტანა „შეიცვლებიან ქარით სიონი” – წერდა გალაკტიონი და ამით ახალ თაობას მოასწავებდა „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს” – ამბობდა იგი.

გალაკტიონისათვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ შეეგროვებინა რითმები, შეექმნა ახალი იმ ეპოქისათვის, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა.

მთლიანი გარითმისაგან არასგზით არ უნდა გადვუხვიოო, -ჩაიწერს გალაკტიონი. თავისი ახალი პოემისათვის 30000 ახალი რითმა სჭირდებოდა. ეს ყველაფერი კი ერთ თვეში უნდა გაეკეთებინა. დღეში ათასი უნდა დასძებნოს. გეგმას რომ შეადგენდა, ყოველთვის მოინიშნავდა, რითმების დაძებნას უნდა მოვანდომო მთელი იანვარი 1947 წლისამ. მის მთავარ მიზანს რითმების დაგროვება, ამოკრეფა წარმოადგენდა.

ოთარ ჩხეიძე კარგად გადმოგვცემს პოეტის განცდებს: „მთლიანი გარითმისაგან არასგზით არ უნდა გადუხვიოო, შეფიქრებულა პოეტი, როდესაც განუზრახავს დაწერავება ნაწარმოებისა, ის მაინც უდავოა „ჯონ რიდი” რო სიახლე გახდა ჩვენს ლიტერატურაში, მოვლენა და მაუწყებელი კლასიკური პოემის დარღვევისა, სიუჟეტისა, კომპოზიციისა და სალექსო საშუალებათა მხრივ, – თავისუფალი ლექსი ესაა, ვერლიბრი ესაა გალაკტიონისა, ესაა განახლება თავისუფალი ლექსისა”. [1,202].

გალაკტიონი რითმის მსახურია, მსახურიცა და ბატონიცა, განმგებელია თავისი საუფლოსი, რითმის საუფლოსი, ისევ და ისევ რითმას მოითხოვს და მკაცრ განაწესს დაუდებს თავსა, არ გადაუხვიო გარითმისაგანაო, მიაჩნია ოთარ ჩხეიძეს.

თუმცა ყველაფერი ამაო აღმოჩნდა, მართალია იგი გამალებით ცდილობდა დაეძებნა, აღმოეჩინა ახალი რითმები, შეექმნა განსხვავებული, ისეთი რამ, რაც ჯერ არავის შეუქმნია, მაგრამ რითმების შეკრება ისეთი ადვილი არ აღმოჩნდა, როგორც გალაკტიონს წარმოედგინა. „დღეში ათასიო” – ამბობდა იგი, ეს ხომ შეუძლებელია, თუმცა იგი მაინც არ ნებდებოდა, მისი სურვილი ხომ ყოველთვის ახლის და განსხვავებულის შექმნა იყო.

თუმცა უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მან ეს ნაწილობრივ მაინც შეძლო, მისი შემოქმედება ისევე, როგორც პიროვნება ბურუსით იყო მოცული. იგი ერთს ამბობდა, მაგრამ სხვას გულისხმობდა, სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წერილები XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე, თბილისი 2006.
2. მერაბიშვილი ი. 2003 ი. გალაკტიონის ენიგმები, თბილისი 2003.
3. ჯავახაძე ვ. უცნობი, თბილისი 1988.
4. კვესელავა მ. პოეტური ინტეგრალები, თბილისი 1977.
5. გალაკტიონ ტაბიძე-ლექსები, ინგლისური თარგმანი ინესა მერაბიშვილისა, თბილისი 2005.

მეგი გუმბერიძე, ანა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი

ოთარ ჩხეიძის სტილი

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

XX საუკუნის 50-იანი წლების ეპოქალური რიტმი იყო უაღრესად თავისებური. ყოფის პომპეზურობისა და მოჩვენებითი ბედნიერების მიუხედავად ეს იყო ტრაგიკული ხანა ეპოქა, როდესაც მღელვარე, საბედისწერო მოვლენების წინ ქვეყანა იმყოფებოდა ინერტულ მდგომარეობაში. 50-იანი წლების „ლოგიკური“ გაგრძელებაა 80-იანი წლები, არანაკლებ რთული, მძიმე და ტრაგიკული. ისტორიული გარდატეხის ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა ოთარ ჩხეიძის მწერლური სტილი.

„თანამედროვეობა უამრავ მასალას აწვდის ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას და მისი ინტერესებიც, ყურადღებაც სწორედ ამაზე უნდა იყოს დაკონკრეტებული, კონცენტრირებული. გრანდიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული პროგრამები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული პროცესი, რითაც არის ნიშანდობლივი ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, რაც არნახული ტემპით ასხვაფერებს გარემოსაც და ადამიანსაც – აი, რა უნდა იყოს საბჭოთა მწერლობის დაკვირვების, შესწავლის გააზრების საგანი“ – წერდა გურამ გვერდწითელი 80-იან წლებში.

ოთარ ჩხეიძე კი იყო მწერალი, რომელიც განსხვავებულ თემებზე „განსხვავებულად“ წერდა. ის არ ჰყოვნის „რიტმსა და ინერციას“ და ინდივიდუალური მწერლური თვისებები, მხატვრული ენა და სტილი, რომლითაც ხასიათდება ოთარ ჩხეიძის შემოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ პროტესტადაც ამ იდეოლოგიისადმი.

ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილი, რომელზედაც შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება საყოველთაო მჯელობისა და განხილვის საგანი იყო სალიტერატურო კრიტიკაში. თანამედროვეთა შეფასებები, რომელიც ხშირად ბრალდების სახეს იღებდა ადანაშაულებდა მაშინდელი ტერმინოლოგით „ძნელადნასაკითხ“ მწერალს, რომ „მის სტილში იგრძნობა ვასილ ბარნოვის გავლენა. ეს გავლენა აქა-იქ მიბაძვაში გადადის ...ეს გავლენა ჩანს ლექსიკაშიც (აღნაქვსი, შენივთდა, უჩინარქმნილიყო, ჩამოქუფრდა და სხვა) გარდა ბარნოვის გავლენისა, კრიტიკის საგანი იყო ენობრივი სტილი: კუთხურობა-დიალექტიზმი, ემფატიკური „ა“, ბოლოკიდური „ი“, ტავტოლოგიზმი, ხელოვნურობა, სტილის ბუნდოვანება და ა.შ.

გურამ გვერწითელი ეტიუდებსა და სტილურ მანერას, რომ მოუწოდებდა („სადა, აღმოსავლურ-ქართული მეტყველების იერდაკრული ენა“) ამასთანავე აღნიშნავდა: ოთარ ჩხეიძეს ზოგჯერ ახასიათებს დამძიმებული, განმეორებითი და ტავტოლოგით გადატვირთული მეტყველება. ამას იგი განზრახ აკეთებს, რათა უფრო გამოკვეთილად და კარგად მიიტანოს მხატვრული აზრი მკითხველამდე. მაგრამ ხანდახან, როდესაც ზომიერების გრძნობა ღალატობს, ასეთი მანერა აძნელებს კითხვას და თითქოს საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს, ქანცავს მკითხველის ყურადღებას, ძნელად გასაგებს ხდის მოქმედების თანმომდევრულ განვითარებას, აძნელებს დინამიკას“

ზოგიერთის აზრით, ოთარ ჩხეიძე „დაწუნებული“ ენით ქმნიდა ნამდვილ სულიერ ფასეულო ბებს, თუმცა ის თავისი ენობრივი სტილის გამო კრგავდა მკითხველს და ხელოვნურად ქმნიდა ამ ტრაგედიას.

კრიტიკოსები იზიარებდნენ იმ საყოველთაო შეხედულებას, რომ ოთარ ჩხეიძის სამწერლო მოღვაწეობა ადასტურებდა მის გულისტკივილს საქვეყნო სატკივარით, აღნიშნავდნენ მის სწორ მოქალაქეობრივ პოზიციაზე დგომას, მაგრამ მწერლის სტილსა და მანერას ამგვარი ლიტერატურული ბრალდებანი არასოდეს მოკლებია. ეს ერთგვარად გამოწვეული იყო სოციალისტური რეალიზმით, მსოფლმხედველობისა და აზროვნების ეს წესი განსხვავებულს, თავისებურს და პიროვნულს ძნელად აზლევდა არსებობის საშუალებას.

მაგრამ მოახლოებული იყო დრო, როდესაც გაჩნდა სხვაგვარი მოსაზრებები პრესის ფურცლებზეც. თანდათან გამოიკვეთა შეხედულება, რომ ამ ენობრივი მანერის შექმნის ერთ-ერთი მოტივი გაბედული ქვეტექსტებისა და ტექსტების არსებობა იყო, რაც ახასიათებს ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას. შემდეგ უკვე, როდესაც ვასილ ბარნოვის ფენომენთან ენობრივ-თემატიკური პარარელის გავლებაზე საუბრობენ, ნათელი ხდება, რომ ეს მხოლოდ მიბაძვა არ არის. ლია კუხიანიძე თავის მონოგრაფიაში „მწერალი და საზოგადოება“ აღნიშნავს ამ პარარელების შესახებ. მისი აზრით გარდა ენობრივ-სტილისტიკური პარარელებისა და „მართლის თქმის“ პრინციპისა, მეორე არანაკლებ მნიშნვნელოვანი არის ქართული სინამ დვილის ასახვის მემკვიდრეობითობა. ვასილ ბარნოვის ნაწარმოებებში ასახულ თემას „რანი ვიყავით“ ოთარ ჩხეიძე აგრძელებს „რანი ვართ“.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში ლია ყატაშვილი გამოყოფს შემდეგ სტილობრივ ნიშნებს;

დიალექტიზმი, რომლის ყველა ნიუანსს ინარჩუნებს ოთარ ჩხეიძე. იგი ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ წარმოთქმებსაც არ აძლევს ლიტერატურულ სახეს. (რო და რომ მაგალითი) არ ალიტერატურებს დიალექტურ „ი“ ს – „გოგოი“ ასე ისმის დიალექტში და ასევე ტოვებს მწერალი. ემფატიკური „ა“, რომელიც არის დამახასიათებელი და ბუნებრივი ქართლური დიალექტისთვის, შენარჩუნებულია და უცვლელად გდადის მწერლის თხრობაში.

„მიღიან ისინი თავიანთთვისა, თავიანთ გზაზედა, თავიანთ საქმეზედა, მიღიან და ერიდებიან ავ თვალსა, ავ გულსა, კილსა და შურსა...“

ოთარ ჩხეიძის სტილის ერთ-ერთი თავისებურება თხრობის ასოციაციურ ჯაჭვში ჩართვაა, ანუ „სათქმელის მივიწყება“ და თხრობის სხვა საგანზე გადასვლა. შემდეგ კიდევ სხვაზე და ა.შ. ამის მთავარი მოტივი ხშირად არის ცალკე ამბის შემოტანა, მოგონების გაცოცხლება მწერლის ცნობიერებაში. ხალხურ გამონათქვამებზე მსჯელობა.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში იკვეთება ქართული ფოლკლორისა და ზღაპრის სტილიზაცია „რწყილი ახტა დახტა“, მოულოდნელის აღმნიშვნელად „სად იყო და სად არა“, ზღაპარში დაკანონებული დასაწყისი „იყო და არა იყო რა“

მკითველთან საუბარი, დამოწმება, ხან კამათი მასთან დამახასიათებელია ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისთვისაც. ის ხშირად ესაუბრება მკითხველს, იცის რა ხდება მის გონებაში და მწერლის საუბრებიც ხშირად აქეთკენა მიმართული;

„აღნიშვნაც არ უნდა ასეთ რამესა, მაგრამ ზოგს ყურადღება არა ჰყოფნის, ან სიტყვა გაიტაცებს. ასეთი ფურცელი ადვილად გამორჩება“

მწერლის აზროვნების ანდაზურად გადმოცემა და თხრობაში „სხვისი ნათქვამის“ ჩართვა ერთ-ერთი სპეციფიკაა ოთარ ჩხეიძის პროზისა.

ზემოთაღნიშნული ნიშნები ნაწილობრივ აისახება ოთარ ჩხეიძის ნოველებში, მაგრამ განსაკუთრებით თავს იჩენს ზოგიერთი. ნოველა, როგორც მას განმარტავენ; წარმოსახავს ადამიანის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, ერთ მომენტს, ერთ ასპექტს. მისთვის დამახასიათებელია მარტივი სიუჟეტი, პერსონაჟთა უკიდურესი სიმცირე. ნო-

ველაში ძალზე შეკუმშულადაა ნაჩვენები ყოფითი დეტალები, გარემო, ხასიათის ფორმირების პროცესი; მისთვის უცხოა აღწერითი მომენტები. აქცენტი გადატანილია მოვლენის რომელიმე ერთი მხარის, პერსონაჟის რომელიმე თვისების განსახოვნებაზე. ეს მცირე ზომის ნაწარმოებები გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო გამოვკვეთოთ ოთარჩხეიძის მწერლური სტილი.

„ჩემი სოფლის ეტიუდებში“ ნარმოდგენილი ნაწარმოებები გვიდასტურებენ დიალოგის ზოგიერთ თავისებურებას, ორიგინალობას, ასევე „სათქმელის“ უთქმელად გადმოცემის ფორმა არის აქ ნარმოჩხენილი. მწერალი ამ ყოველივეს აღწევს ჟესტ-მიმიკის საშუალებითაც:

„მოერლვეოდაო თითქოს სხეული თამარსა უეცრადა, აასავსავებდა, გაიწვდიდა ხელსა, მკლავს მოაფათურებდა გიორგისასა, დაეყრდნობოდა, ან თუ ვერ დაეყრდნობოდა, დაემგვანებოდა თითქოსდა ლანდსაო, უძალოსა და უღონო ლანდსაო“.

დიალოგის ასეთი შესრულებით მკითხველი სრულყოფილად ხედავს პერსონაჟს და მთლიანად ესმის მისი.

ოთარჩხეიძეს ხშირად საყვედურობდნენ სათქმელის გაბუნდოვანებასა და განზოგადებას. შესაძლებელია, თუ არა მისი „ზედმეტი სიტყვებისაგან“ განთავისუფლება? ერთ-ერთ ნოველაში „მალე მეორე ავტობუსიც მოვა“ მწერალი წერს:

„და გროვდებიან ნამსვლელები ცხადია, გროვდებიან და ვერცა გროვდებიან; მოსაცდელსა თუ საჩრდილობელში მზე ჩანოლილა, მზე პარპაშებს და შიგ არ უშვებს არავისა;

ვერც გადაიწვიმებ, შიგ ასხამს წვიმაცა, თოვლიც შიგ აყრის, ქარის შიგვეა რო ბუქნის ხოლმე, მტვერიცა ბუქნის, მტვერი და ქარი, აიყოლიებს საჩრდილობელსაცა ანუ მოსაცდელსა ავტობუსისა, აიყოლიებს და ჩააბამს ზარბუზანსა;

და ასეა, რო გროვდებიან და ვერცა გროვდებიან; თუ მიიყუჟებიან აქეთ იქითა, — ჩრდილებში ცხადია, ხისა თუ კედლისა, აქეთ-იქითა, ზოგი ახლოსა, ზოგიც ცოტა მოშორებითა; არც ისე ცხელა, ჯერ კიდევ ადრეა, — პირველი ავტობუსი სულ ადრე გადის — მიიყუჟებიან მაინცა.

თუკი მოვინდომებთ ამ ფრაგმენტიდან „ზედმეტი“ სიტყვების ამოღებას, მხოლოდ უფერული ფრაზა დაგვჩება: ავტობუსის მოსაცდელში თანდათან გროვდებოდნენ მგზავრები.

ეს ყველაზე უკეთ დაგვანახებს ოთარჩხეიძის „უცნაური“ სტილის კანონზომიერებას.

ოთარჩხეიძის სტილი მრავალმხრივ საინტერესოა. გარდა მხატვრული ლირებულებისა მას სხვა ლირსებაც გააჩნია. ჩვენი მიზანი იყო ოთარჩხეიძის სტილის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა. მისი კვლევა დიდ გამოცდილებასა და ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ოთარჩხეიძისთვის ენა, სტილი არა მარტო საკომუნიკაციო ფორმაა, არამედ მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და პოზიციის გამოხატვის საშუალებაც. ამიტომ იგი ენობრივ-სტილისტიკურადაც გაემიჯნა იდეოლოგიური ტერმინოლოგიით, აბრევიატურებით გაჯერებულ და თითქმის საკანცელარიო ენის სტილისტიკაზე დაყვანილ ქართულ სალიტერატურო ენას. ოთარჩხეიძის თავის-თავადობას მის გამორჩეულობას მოქალაქეობრივი პოზიცია და შემოქმედება განსაზღვრავს. იგი ამ პოზიციას სწორედ თავისი განსვავებული სტილით გამოხატავდა.

ინერ თამარ მოდებაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სიკვდილი გალაკტიონის პოეზიაში

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

გალაკტიონის პოეზიაში ასახული სიკვდილის პერსონიფიცირებული სახის სიკვდილის ურთიერთსაწინააღმდეგო გააზრებას შევხვდებით. არის ლექსები, სადაც სიკვდილი ტრაგიკულადაა დანახული, შავი სიმბოლიკითაა დატვირთული, მაგრამ სხვაგან ის სასურველი სტუმარია, „ვარდისფერ სამყაროში გადაბიჯებაა“. თემაში წარმოგიდგენთ ამ დამოკიდებულებათა შედეგს ბიბლიოგრაფიული და ჩემეული შეხედულებების საფუძველზე.

საინტერესოა სიკვდილი გალაკტიონის პოეზიასა და ცხოვრებაში. ლექსში „საფლავი“ პოეტი მიისწრაფვის სასაფლაოსკენ, როგორც დაურღვეველი მყუდროებისკენ:

მიყვარს საფლავი, ეგ მდუმარება
და ეგ სიჩუმე დაურღვეველი.
შენსკენ ვისწრაფვი, რაკი დატანჯულს
სევდა და ფიქრი შემომაწვება,
თუმცა კი ვიცი, შენს სიჩუმეში
თვითონ სიჩუმეც საგრძნობი ხდება.

როგორც ვხედავთ, სევდისაგან დამძიმებული პოეტი შვებას საფლავთან მახლობლად ეძებს, მაგრამ იქვე იღებს გადაწყვეტილებას:

მსურს, რომ ვიცოცხლო... მსურს, აღარ მოვკვდე,
მსურს ცრემლი ვლვარო და ვივალალო,
ცრემლი ციურ ცვრად არეს ვაპკურო,
გზა ეკლიანი ცრემლით გავკვალო...

მიუხედავად ცხოვრებისეული წინააღმდეგობებისა, მაინც არ ემალება ტანჯვას, პირიქით, თითქოს ემზადება კიდეც დიდი მსხვერპლისათვის.

განსხვავებული მდგომარეობა ლექსში „გამოსალმება“, სადაც ამაყი პოეტი ოსტატურად მალავს სიკვდილის შიშს. იქნებ სულაც თავისუფლად გრძნობს მისგან თავს, როცა ამბობს:

ნუთუ გგონიათ, რომ ჩემი გული
ეხლა სავსეა მწამვლელ გრძნობებით?
რომ ვერასდროს კვლავ ვეღარ გიხილავთ
და სამუდამოდ გემშვიდობებით?

პოეტი არ წუხს სიკვდილის მოახლოების გამო, რადგან ამქვეყნად მოსაგონარი რჩება:
დამშვიდდით, მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა.

სახელი უკვდავსაყოფად მას სიმღერა დაუტოვებია ჩვენთვის; დაუტოვებია და
დაგვმშვიდობებია კიდეც, მაგრამ, როგორც ჩანს, სიკვდილთან შერიგება არც ისე ადვი-
ლი აღმოჩნდა. ლექსში „უკანასკნელი დღე“ სიცოცხლე სანატრელია, მის შენარჩუნებას
პოეტი გამოუცნობ ძალას სთხოვს. მას ყველაფერი ეთმობა, სიცოცხლის გარდა:

მართმევს ამ დღეს უკანასკნელს
სამარის მტვერი,
მართმევს იმგვარად, ვით წამართვა
მან ყველაფერი!
ოჳ, არ წამართვათ, არ წამართვათ
დღე ეს ნათელი,
დღე სევდიანი, დღე დაღლილი,
უკანასკნელი!

სულ ცოტას, ცოტა ხანს ითხოვს პოეტი და სურს, ეს ცოტა სამუდამოდ გაგრძელ-
დეს... მალე არ ჩამოიცალოს ცხოვრების ქვიშის საათი; მაგრამ ხედავს, რომ სიკვდილი
გარდაუვალია და მტკიცნეულად განიცდის სიცოცხლის დაღუპვას.

მსგავსი მდგომარეობაა ლექსში „ატმის ყვავილები“. სიკვდილი აქაც ტრაგედიაა.
აქ სიცოცხლეს – ატმის ყვავილებს უპირისპირდება დაუნდობელი ქარი – სიკვდილის
სიმბოლო. ჯერ სიცოცხლის, მშვენიერების ზეიმია:

ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში.
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი
და გრძნობათ ალი – სიმწუხარეში.
ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ლელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი.

ატმის ხე სიცოცხლის სიმბოლოა, ხოლო მშვენიერი ყვავილები ჩვეულებრივი მოკ-
ვდავები არიან. მზე ღვთაებრივი, ზეციური მშვენიერების სიმბოლოა, ქარი კი დაუნდო-
ბელი ჯალათი – სიკვდილი. ატმის ხე სანამ იარსებებს, ქარი მასთან იქნება. ხან დაიმა-
ლება, ხან კი უეცრად დაატყდება თავს. სიკვდილის ნიშანი – „განაბზარი“ სიცოცხლის
ხეს მუდამ აჩნია და სიცოცხლის ყვავილებს ახსენებს თავს. ხშირად სიკვდილი მაშინ მო-
დის, როცა ყველაზე ნაკლებად ველით. მოვა და დაიტაცებს სიცოცხლის შვილებს,
მტკიცნება ბილიკზე მიმოფანტავს, ყველას დაანახებს თავის ძალას და იზეიმებს.

ლირიკული გმირისთვის ტრაგედიაა მშვენიერების კვდომა. მზის ჩასვლა, საღამო, უიმედობას ბადებს მასში და გვესმის მწარე გოდება:

მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი,
მეფობს სიკვდილი – ჭკნობის მსურველი!
გაქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი!

„დაჭკნა ყვავილი“, მაგრამ ყვავილი ერთი მშვენიერი ნაწილია სიცოცხლის ხისა. ქარისაგან დალდასმული ატმის ხე ხომ შემდეგ წელს მეტი სიდიადით გაიფურჩქნება, დამშვენდება... ქარი რომ არა, ხომ ვერ შევიგრძნობდით ასე ძლიერ ატმის ყვავილის მშვენიერებას და ისიც ისეთი შეუმჩნეველი დარჩებოდა, როგორც ბევრი რამ ცხოვრებაში.

ამ ქვეყნიდან უკვალოდ გაქრობაზე ფიქრი არ ასვენებდა პოეტს. ლექსში „მესაფლავე“ გალაკტიონი დინამიკურ ბრძოლას წარმოგვიდგენს რეალობასთან.

მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ეჱ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი,
და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.
მაგრამ ბოლოს იმედგაცრუებული აღიარებს საკუთარ შეცდომას:
მესაფლავე, ეხლა კი გაქვს, ნება, რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსნოვნას სამარის ქვა.

აქ მკვეთრადაა გამიჯნული პოეტის გული და გონება. გული ერთგულების, სიმართლის, სიყვარულის მცველია; გონებამ კი იცის ცხოვრების მკაცრი წესები. მესაფლავის ველურ ღიმილში ცხოვრების სახეს ვხედავთ. პოეტის გულიც, თითქოს ბედს დამორჩილდაო, აღიარებს გონების სიმართლეს და ამბობს იმას, რასაც აქამდე მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო:

განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო!

აქ ადამიანის ყოფიერება მისივე არსებობით შემოიფარგლება. სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ადამიანი.

„მესაფლავემ“ მოამზადა „ლურჯა ცხენები“. „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი „მესაფლავის“ მიერ გათხრილ სამარეში წევს. განწყობა მინორულია; დაკარგულია მზე - ღვთიური რწმენის სიმბოლო, ყველა იმედი დამსხვრეულია:

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

ღვთის სიტყვის დაკარგვით სულს არსებობის მიზანი დაუკარგავს, მიწიდან ზეცის-კენ სწრაფვის ნაცვლად, ბოროტი ძალა უმიზნოდ ატრიალებს „სამუდამო მხარის“ მკვიდრთა ცხოვრებას:

ვით ცეცხლის ხეტიალია, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

დაკარგულია ადამიანის სახე, უფალი დაკარგა, ამიტომ მის ნაცვლად ბნელ ხვეულებში დაბუდებული გამოუცნობი ქიმერები ხვდებიან სულს. გალაკტიონის „სიზმარიან ჩვენებაში“ განჭვრეტილია, თუ როგორი „განსასვენებელი“ ელის უღვთოდ დარჩენილი ადამიანის სულს: „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით“ აღსავსე სამყარო უპირის-პირდება სულთა სასუფეველს. აქ დახატული სამყარო საზარელია თავისი მიუსაფრობით, სიცივითა და სიმწუხარით.

ეს ლექსი მოიცავს გაფრთხილებას, თუ რამდენად მძიმე შეიძლება იყოს პიროვნებისთვის რწმენის დაკარგვა, თუ რამდენად უსასოოდ აღიქვამს ამგვარი პიროვნება არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ მიღმურ სამყაროსაც.

როგორც ჭეშმარიტი „მარტობის ორდენის კავალერი“, გალაკტიონი ბოლომდე მარტოდმარტო დარჩა. ადამიანი მარტოა არა იმიტომ, რომ „იგი მარტოა ღმერთის წინაშე“, არამედ იმიტომ, რომ „იგი მარტოა არარას წინაშე“. – აი, დაახლოებით ასეთია მისი მრწამსი.

ნათლად იკვეთება სიკვდილის გარდაუვალობა და საშველის უქონლობა, რაც პოეტის სასოწარკვეთის მიზეზია, მაგრამ მისი სასოწარკვეთლების ექსტაზში პროტესტი იკლებს და სიკვდილი სიამოვნებადაც კი იქცევა. იგი ურიგდება სიკვდილს და შერიგების საფუძველსაც უთითებს:

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი;
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!

დიდი ხელოვნება არა უბრალოდ სიკვდილთან შერიგების, არამედ მარადისობაში დამკვიდრების საშუალებაა. ხელოვანისთვის აღარ არსებობს აწმყო, წარსული და მომავალი. დროის – ლურჯა ცხენების – სადავეები ახლა უკვე თავად მას უპყრია ხელთ. სწორედ ამ აზრის დასაბუთებას წარმოადგენს ლექსი „ეფემერა“, რომელიც „ნახტომია“ მარადისობაში. „ლურჯა ცხენების“ დაწერიდან შვიდი წლის შემდეგ გალაკტიონი ასე აჯამებს თავის პოეტურ მოღვანეობას:

ბედი - ქროლვის გარეშე - ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ეხლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგის მარმარილო იქნება.

გალაკტიონის შემოქმედებითი გზა არის გზა „ლურჯა ცხენებიდან“ „ეფემერამდე“, სიკვდილიდან – უვადვებამდე, აქ ყოფნიდან მარადიულ ყოფნამდე.

გაორებული პოეტი სიკვდილის ტრაგიკულად აღქმიდან მის გაიდეალებამდე მიდის. ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ პოეტი სიკვდილს არაჩვეულებრივ ფერებში ხატავს. სიზმარი და რეალობა ერთმანეთშია არეული. ქარი აღარ არის სიცოცხლის მტერი, აქ ის „ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს“. სიკვდილი სასურველ სტუმრად ქცეულა; მას დაუკარგავს ტრადიციული გაააზრება, სადაც ის უდიდეს ბოროტებასთანაა გაიგივებული: „და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ – ნატრობს პოეტი, რადგან სიკვდილში ხედავს ხსნას, ბედნიერებას. მშვენიერ ზმანებად უქცევია პოეტის ფანტაზიას მარადიული სამყოფელი:

თუ სიკვდილის სიახლოევე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა.

ვარდისფერად შეფერილი სიკვდილის გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ირეალური სამყაროსკენ სწრაფვა ძლიერია, ამიტომ ამბობს მომღიმარი წყვდიადით მოხიბლული:

რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლოს სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები.

აქ იმდენად მომხიბლავია სიკვდილის პოეტური სახე, რომ გალაკტიონი მზადაა, ფრთაგაშლილი შეეგებოს მას.

სიკვდილი ასეთივე ნათელი ფერითაა დახატული ლექსში „მარმარილი“. აქ ის ბედნიერებას უკავშირდება და აძლიერებს ზესთასოფელში გამგზავრების სურვილს. „სიკვდილის უსახო და უპირქუბო გზა“ მიდის უკვდავებისკენ, იცვლება ვარდისფერი საფეხურებით, ხოლო სიკვდილის ატრიბუტები – შავი ყორანი და შავი კუბო გზას უთმობენ მარმარილოს სფინქსს და დიონისეს. ვარდისფერი შლის შავ ნაპრალს და სიკვდილის გზას უკვდავებასთან ასოციაციის გამო ვარდისფერს აძლევს:

აპყვე ვარდისფერ საფეხურებს და აპყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე;
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება.

სიკვდილი აქ საოცნებოა, რადგან სისხლისგამყინავი სიცივის ნაცვლად ღვინისა და ექსტაზის ღვთაება – დიონისე შეეგებება სტუმარს, რომელიც პოეტს საკუთარი „მე“-ს ორეულად ჰყავს წარმოდგენილი.

გალაკტიონისთვის, ალბათ, ყველაზე დიდ ტრაგედიად იქცა იმის შეგრძნება, რომ ერთხელაც მოვა სიკვდილი და უკვალოდ გააქრობს ამ ქვეყნიდან. მან მთელი ცხოვრება სიკვიდლთან ჭიდილს შეალია: ჯერ, სიცოცხლის მოტრფიალე, ხელგანვდილი ითხოვდა დროს, რათა შეეგრძნო დღეთა სიტკბოება. მისტიროდა დარდითა და ტკივილით აღსავსე დღეებსაც. შემდეგ ვარდის ფერებში წარმოისახა „უცხო სტუმარი“, ბოლოს სიკვდი-

ლის დაძლევის უჩვეულო გზა აირჩია. უფლის სურვილის წინააღმდეგ, ნაადრევად გაემ-გზავრა იმქვეყნად. გალაკტიონს სიკვდილის დამარცხებით სურდა უკვდავების მოპოვება და ამ სურვილს სიცოცხლეც შესწირა.

„მშვიდობით, სიკვდილისთვის აჩქარებულო, როგორ არ იცოდი, რომ სიკვდილი შენ ვერ მოგერეოდა“ – უკანასკნელად უთქვამს გიორგი ლეონიძეს გალაკტიონისთვის. მას ხომ საკმარისზე მეტი ჰქონდა გაკეთებული სახელის უკვდავსაყოფად. გალაკტიონი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად.

გალაკტიონ ტაბიძის პიროვნების, პოეზიის ირგვლივ საუბრის დასრულება ჯერ ვერავინ შესძლო. ბუნებრივია, ეს არც მე შემიძლია, თვით გალაკტიონი კი ასე იტყოდა:

გზები გაუვალი
და გზები გავლილი -
გულისტყივილით მაქვს
ყველა შესწავლილი.
ადის მწვერვალზე თუ
ჭაობში ეფლობა -
ერთი ნიშანი აქვს:
დაუსრულებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე – ლექსები, ტომი I, თბილისი, 1993 წ.
2. მიხეილ კვესელავა – „პოეტური ინტეგრალები“, თბილისი, 1983 წ.
3. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1994 წ.
4. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – XX საუკუნის ქართული მწერლობა, თბილისი, 2002 წ.
5. გალაკტიონოლოგია, ტომი I – თბილისი, 2002 წ. 6. სულავა „გალაკტიონის ვარდთ-მეტყველება“. გვ.137-142.
6. გალაკტიონოლოგია, ტომი II – თბილისი, 2003 წ. ს. ბარამიძე „ყოფიერება და დრო გალაკტიონის პოეზიაში“. გვ. 148-161.
7. გალაკტიონოლოგია, ტომი III – თბილისი, 2004 წ. რ. ბარამიძე „მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰვერის“. გვ. 379-381.
8. რევაზ თვარაძე – „ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“. თბილისი, 1985 წ. გვ. 319
9. ბელა წიფურია – „ლურჯა ცხენების გააზრებისათვის“.
10. ზაზა შათირიშვილი – „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“. თბილისი, 2004 წ. „თემატური ფიგურები და შერიგების მოტივური ანალიზი“, გვ. 89-95.

გვანცა ფოფხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ქალაქის მხატვრულ-სიმპოზიუმი გააზრება XX საუკუნის ქართულ პოეზიაში

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ პაიჭაძე

ურბანიზაციის პროცესმა, რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში შეიძინა, ბუნებრივია, გამოძახილი პპოვა ამ ეპოქის ქართულ პოეზიაში. გამოიკვეთა ქალაქისადმი ორგვარი დამოკიდებულება, თუ ერთი მხრივ, იგრძნობა გატაცება ქალაქური ქალაქური კოლორიტით, მეორე მხრივ წარმოდგენილია შეუგუებლობა სასტიკ, გაუცხოებულ ურბანულ გარემოსთან.

სოფლის მშვიდ, მყუდრო გარემოდან ჩამოსულ პოეტთა უმრავლესობას გაუჭირდათ შეგუება ქალაქის გულგრილობასთან, ცხოვრების დაძაბულ რიტმთან. კონტრასტი ამ ორ სამყაროს შორის ხშირად სულიერი დრამატიზმის გამომწვევია. ეს პრობლემა ყველაზე მძაფრად გამოხატა გალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „ი.ა.“ აქ პირველყოფილი სისადავე, უმანკოება, შეეჯახა ქალაქის ბინიერ ყოფას. პოეტი სულიერ დაცემად აღიქვამს ამ ტრაგედიას: „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“ ლექსში „შეშლილისახით“ მომკივანი ქუჩა უფრო მეტად ამძაფრებს ნოსტალგიას სოფლის იდილიასა და მყუდრო გარემოზე:

შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა.

მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა

და გაისმოდა დების სიმღერა.

ქალაქის გარემოსთან ანალოგიურ შეუთავსებლობას ვხვდებით პაოლო იაშვილის ლექსში „წერილი დედას“. ამ შემთხვევაშიც, სოფლური მყუდრო სამყოფელის ფონზე კიდევ უფრო შემზარავია ქალაქური ყოფა, „კინტოს პროფესიი“, „საეჭვო ტარნები“. პოეტმა ქალაქური ნაცრისფერი ყოველდღიურობის ხაზგასასმელად სოფლის რომანტიკული კოლორიტი და ამ ორ სამყაროს კონტრასტი მოიშველია. (თ. პაიჭაძე) ლექსში დედის წმინდა სახეს, სოფლის სიმყუდროვეს ზნედაცემული გარემო დაუპირისპირა, რამაც ლირიკული გმირის მორალზეც უარყოფითად იმოქმედა: „და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე სალახანა“.

ლექსში შეგვიძლია დავინახოთ ლირიკული გმირის ბოჰემურ ცხოვრებასთან დაახლოება, რაც ნიშანდობლივია სიმბოლისტი პოეტებისთვის. „მე მირჩევნია დავიღუპო როგორც ბოჰემა“ – წერს ვ.გაფრინდაშვილი. ბოჰემური ცხოვრების წესი კი ურბანული გარემოს განუყოფელი ნაწილია. ამიტომაცაა, რომ ქალაქი, ქალაქური ყოფა სიმბოლისტი პოეტებისთვის ცხოვრების ორგანული ნაწილია. კოლაუნ ნადირაძის ლექსი „ავზნიანი ქალაქი“ შემდეგი სიტყვებით იწყება: „მე ხშირად მიყვარს ეს ქალაქი მრუში და მყრალი“. აქ ქალაქი ერთობლივ საზარელიცაა თავისი ზნედაცემული გარემოთი და მიმზიდველიცაა, როგორც შემოქმედების წყარო და ასპარეზი. ამიტომაცაა, რომ ეს თემა სხვადასხვა კუთხით გაშუქებული სიმბოლისტთა პოეზიაში: „ქალაქი-ერთი მხრივ, პიროვნე-

ბის დამთრგუნველი, დამძაბველი, ინდივიდუალიზმის წამშლელი მექანიზმი და მეორე მხრივ, მარტოობის, მისტიკის, გაუცხოების წარმომშობი სოციალური ფაქტორი:

„ქალაქში სიცხე იყო, რეტიან ფიქრებს
მზე აწვალებდა და ახრჩობდა ცხელ ნიაღვარში
(ავია, როცა წითელ გველებს მზე შემოიკრებს
და დაიქცევა მკბენარ სისხლად ქუჩების ლარში.”

ამასთან ერთად, ხშირად ვხვდებით კონტრასტს ქალიქის ფუფუნებას, ფუქსავატურ ცხოვრების წესა და მის სიღუხჭირეს შორის, სხვადასხვა სოციალურ ფენათა გაუცხოებას (გ. ტაბიძე „ბავშვები კაფეში“) ამავდროულად, საცნაურია ქალაქის სპეციფიკის, კოლორიტის ასახვა და მისდამი სითბოს, სიახლოვის გამოხატვა. აქვე უნდა ითქვას, რომ სიმბოლისტები იყვნენ ერთ-ერთი პირველთაგანი მათ შორის, ვინც დაამკვიდრა ურბანული თემატიკა ქართულ პოეზიაში

ურბანული თემით სიმბოლისტთა მომდევნო თაობაც დაინტერესდა. 40-იანიწლების ქართულ პოეზიაში აღსანიშნავია ლ. ასათიანის ურბანულ თემაზე შექმნილი ლექსები. მათში, ძირითადად, გამოხატულია სიყვარული ქალაქური ქოლორიტისადმი, რომელთან სულიერ სიახლოვესაც გრძმობს პოეტი:

მე კარგად ვიცი ვინა ვარ, რა ვარ,
საიდან მოველ ან საით წავალ,-
მე ვეტრფი ძლიერ თბილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას

პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი ფიროსმანისადმი, რომელიც თბილისური კოლორიტის განუყოფელი ნაწილი იყო, თავისი ფუნჯითაც ამ კოლორიტულ სულს გამოხატავდა. ამიტომაცაა იგი პოეტისათვის ასეთი მახლობელი: „ჩემი თბილისი და ფიროსმანი არ ვიცი ასე რამ შემაყვარა!“ – წერს ლ. ასათიანი. ამგვარი ქალაქური კოლირიტი მისი ურბანისტულ თემაზე შექმნილი ლექსების შთაგონების წყაროა. თბილისა და ქუთაისისადმი მიძღვნილ ლექ- სებში იგი სწორედ ამ ქალაქების სპეციფიკური გარემოსადმი სიყვარულს გადმოგვცემს. პოეტს რომ ქალაქი იზიდავს, ჩანს მის აბასთუმნიდან გამოგზავნილ წერილებში, რომლებშიც იგრძნობა თბილისის ნოსტალგია. ამავე განცდას გადმოგვცემს ლექსი „აბასთუმანი“:

თეთრ მაგიდაზე წიგნების გროვა
ცისფერ ვაზაში ნაძვის რტო მწვანე,
ოცნება; თბილისს წასვლის დროც მოვა,
მიინურება აგვისტო მალე.

მიუხედავად ქალაქის ასეთი სიყვარულისა, მას სოფლის გარემოც ხიბლავს და ხშირად ენატ-რება ხოლმე. თუმცა ასათიანი ამ ორ განსხვავებულ გარემოს შორის ბარიერს არ ავლებს, მისთვის ქალაქიც და სოფელიც ერთნაირად საყვარელია, ორივე საჭიროა პოეტური შთაგონებისთვის:

ისევ მომინდა ჩემი სოფელი
ხალხურ ლექსებით და საკრავებით
ეზოში-მწვანე და უშობელი
და მოკუნტრუშე თეთრი კრავები...
ისევ ვიბრუნე სოფლისკენ პირი
დიდი ყოფილა ძალა ბუნების,
ცოტა ხანს დავყოფ და მერე თბილისს
ვენვევი ნედლი სალამურებით

შემდგომ თაობაში, კერძოდ, 50-იანი წლების პოეზიაში, ქალაქის თემა კვლავ ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. ამ დროის ქალაქი სწრაფად იზრდება და ვითარდება, სულ უფრო მეტი ადამიანი გადმოდის საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში, რაც სოფლების მაცხოვრებლებისგან დაცლას იწვევს. ეს მწვავე პრობლემა ყველაზე ცხადად შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში აისახა. შემოქმედი მტკივნეულად აღიქვემდინარებას მიტოვებული მიწების დაცარიელებას, ნოყიერი მამულების გაუდაბურებას და გრძნობს მიტოვებული მიწების დაკარგვის საფრთხეს:

ჭალა-ჭალა ბრიალებდა მზის და ბრონეულის ტევრი
ალაგ-ალაგ შუკაც ხტოდა, როგორც სილუეტი მწევრის.
აღარც ტყეა, აღარც ჭალა ჩემს ყმობასთან შეზრდილები,
მამა-პაპის ნაოფლარო, ვაი რა მწარედ მესიზმრებით.
ბუჩქი რაა, ხრიოკებზე ბუჩქიც ვერ დაფესვიანდა,
გამოვრბივარ ქალაქისკენ, როგორც დამარცხების მაცნე
და მომყვება ყრუ ხარხარი ჩალმიანთა, ფესიანთა,

პოეტისთვის განსაკუთრებით მძიმეა ქალაქის გამსხვილების პროცესის შედეგის ნასახლარების, ბოქლომდადებული ჭიშკრების ცქერა. ლექსში „მიტოვებული სახლი“ განსაკუთრებული დრამატიზმითაა გადმოცემული ეს პრობლემა:

სადღაც ხმაურობს დიდი ქალაქი
და ზოგიერთებს მისამართს უცვლის,
ხოლო ეს სახლი არის ბალახი
გადათქერილი ქალაქის ქუსლით

მიუხედავად ამგვარი განწყობისა, პოეტი აანალიზებს ქალაქის მნიშვნელობას, მის როლს წინსვლასა და განათლების მიღებაში, ქვეყნის განვითარებაში:

საწერ მაგიდას უზის ქალაქი
ეძიებენ და კიდეც პპოვებენ
და სახვალიო განძად ალაგებს
ნახაზებს, სქემებს და განტოლებებს

სოფლურ ცხოვრებას თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ ქალაქი განათლების, წიგნიერების, პროგრესის წყაროა. კიდევ ერთი ორმოცდაათიანელის მუხრან მაჭავარიანის ლექ-

სში, „რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა“ შევიტყობთ სოფლიდან ქალაქში გადმოსული ლირიკული გმირის ფიქრებს, რომელსაც „რომ ეთოხნა და შეესარა მხოლოდ ვენახი“ და დიდი ქალაქი რომ არ ენახა განათლებას, წიგნიერებას ვერ ეზიარებოდა. ამიტომაცაა ქალაქის როლი ასეთი დიდი და მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, იგი გვესახება, როგორც აუცილებელი პირობა ცოდნის მისაღებად, ცხოვრებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

50-იანი წლების პოეზიაში კვლავ აქტუალურია ქალაქის კოლორიტის გვერდით გადაგვარებული, ჭუჭყიანი ურბანული გარემოს ჩვენება. შ.ნიშნიანიძე ლექსში „მოდის, მოდის, მოდის“ ამგვარად ახასიათებს ქალაქურ გარემოს:

ერის სინდისმა დაიარა მთელი ქალაქი
დავერსად ნახა ნამლად სიყალბე!
რადგანაც ქრთამი,
გამოძალვა,
მომხვეჭელობა,
ქურდობა,
ფლანგვა,
ქორვაჭრობა,
ნარკომანია,
გულგრილობა და სხვა ამგვარი
ეს ყველაფერი იყო მხოლოდ ჭეშმარიტება
(ჭეშმარიტება და არა ბლეფი)

ამ ლექსით ავტორმა გვიჩვენა ყველა ის მანკიერება, რაც ქალაქურ გარემოს ახასიათებს. ამგვარი ლექსების გვერდით ვხვდებით ისეთებსაც, რომლებშიც ქალაქი პოზიტიური კუთხითაა წარმოდგენილი, მაგალითად მ.მაჭავარიანი ქალაქის სურათებს” ასე აღნერს:

უცებ
ტრამვაი ახმაურდება,
უკვე თენდება:-
მეტი რა გინდა!
აქ უცხოელიც აქაურდება,-
აქაურობა ისე კარგია

ქალაქის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ოთარ ჭილაძის პოეზიაში აქ ურბანისტული თემატიკა მთლიანად ანაცვლებს სოფლის ესთეტიზმს. მისი ლექსები გვიჩვენებენ, თუ როგორ ცხოვრობს რომანტიკული ადამიანი ქალაქის არარომანტიკულ გარემოში და მაინც შესწევს ძალა მასში მშვენიერების მარცვალი აღმოაჩინოს:

ქალაქზე წვება სადგურის ბოლი,
მაგრამ მინები მაინც ბრწყინავენ
და დასიზმრებულ ვარსკვლავებს შორის
სძინავთ ჩემს დევებს, როგორც მფრინავებს.

მიუხედავად მძიმე ყოველდღიურობისა, სასტიკი, გაუცხოებული გარემოსი, ოთარ ჭილაძე ხედავს, რომ ქალაქი არის შრომისა და გარჯის ადგილი, გრძნობს იმ ურთიერთ სიახლოვეს, რომელიც ქალაქსა და მის მაცხოვრებლებს შორისაა:

რადგან ქალაქი სავსეა ხალხით,
რომელიც ქალაქს ყველაფერს მისცემს...

როგორც ლადო ასათიანის შემთხვევაში, ოთარ ჭილიძესთანაც გვხვდება ქალაქის მონატრების თემა. მისთვის ქალაქური გარემო მშობლიური გახდა, ამიტომაც მასთან განშორება ნოსტალგიის აღმძვრელია:

ეს სილამაზე და მყუდროება
მოგვწყინდებოდა როდის, ვინ იცის...
მაგრამ მოგვესმა ხმა წეროების
და მოგვენატრა უცებ თბილისი

უნდა აღვნიშნო, რომ ო. ვჭილაძის პოეზიაში აღწერილი თემები, მოვლენები ძირითადად ქალაქის ფონზე მიმდინარეობს. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი არ წყვეტს კავშირს ეროვნულ ფესვებთან. ამის ნათელი მაგალითია „როდესაც ასე ახლოა გრემი“, რომელშიც ავტორი დიდი სიყვარულით საუბრობს ქართულ ეროვნულ რეგალიებზე და მათ სულიერი ამაღლების წყაროდ მიიჩნევს.

მეოცე საუკუნის ურბანულ თემაზე საუბარი მინდა ლია სტურუას შემოქმედებით დავასრულო. აქ მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ამ ეპოქის მიწურულის და თანამედროვე ქალაქის სახე, მისი ცხოვრების რიტმი. ლია სტურუას პოეზიაში წაჩინებია, თუ როგორ უცვალა ქალაქს სახე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ცხოვრების დაძაბულმა რიტმმა. თანამედროვე ქალაქში პოეტი ხედავს გაუცხოების, ადამიანთა გრძნობების გადაგვარების, სილამაზისა და პოეტური იდეალების კვდომის რეალურ საფრთხეს. მის მიერ დახატული ურბანული გარემო მრუმე, ხმაურიანი და გულგრილი ადამიანებით სავსეა. ლექსში „ქალაქის მსხვერპ- ლი“ წარმოგვიდგინა სახე ქალაქისა:

...რომელიც ადამიანების
და მანქანების მოძრაობაა,
ისეთი გაუთავებელი და უაზრო,
თითქოს საცერით წყალი მოგაქვს.

ეს გაუთავებელი ორომტრიალი, დაძაბული რიტმი, დროის მუდმივი დეფიციტი ადამიანებს მშვენიერებისაგან აუცხოებს, უემოციოს, გულგრილს ხდის ერთმანეთის მიმართ, უნერგავს „ლამის ხელოვნებად ქცეულ ვერშემჩნევის უნარს“. ამგვარი ცხოვრების წესი დაცლილია რომანტიზმისგან, მხოლოდ „პუნქტიდა პუნქტში“ მექანიზებული მოძრაობით შემოიფარგლება. ხელოვნების რთულ შემოქმედებითობას აქ მასკულტურის სიმარტივე ენაცვლება:

ამ ქალაქში დგას ჩემი სახლი,
სახლში ტელევიზორი, საიდანაც

ყოველდღე მკლავენ ვირუსები ტერორისტები,
ქერათმიანი ბრედ პიტი
დაჯერ ცოცხალი ვარ.
ზმაზემეტი ბედნიერი სიმარტივე
რაღა გინდა.

ქალაქის რუხი ლანდშაფტის ფონზე, პოეტი გვიხატავს ამგვარ „სიმარტივესთან“ ნაზიარებ იმდივიდუალობადაკარგულ მასას: სლენგით გაზრდილ ახალგაზრდებს, ე.ნ. ახალ ქართველებს „რომლებსაც ხელში თავისუფლების ლაუვარდისფერი დროშა არას-დროს ჭერით“ ქალაქელ სწობებს რომლებიც „ქალაქის სუნსა და რეკლამას და რილკეს ლექსებს თაფლში ურევენ“.

ამგვარია ლია სტურუას თვალით დანახული ურბანული გარემო, რომელშიც პოეტი ისეთივე დათრგუნულია, როგორც მის სახლის წინ გაზრდილი ხეები. სწორედ მათთან გრძნობს იგი სულიერ თანაზიარობას:

მისცემდი შენს სისხლს ხეებს?
სულერთია რომელი ჯგუფის
დადებით თუ უარყოფით რეზუსიანს...

ამ კითხვით მიმართავს პოეტი HI-TEC-ის ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს, რომელთათვისაც ხე მხოლოდ საჭირო ბუნებრივი რესურსია. ამ პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანებისგან განსხვავებით პოეტი ხედავს ბუნების მშვენიერებას და მის უპირატესობას ურბანულ გარემოსთან, რომელიც მარტოსულობასთან, ტანჯვასთან, სიყალბესა და გაუცხოებასთან ასოცირდება.

როგორც ვხედავთ, მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში უხვადაა წარმოდგენილი ურბანული პრობლემატიკა. მართალია საქართველოს არ ახასიათებს დიდი ქალაქების, მეგა-პოლისური ცხოვრების წესი, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურაში დამკვიდრებულმა ტენდენციამ გავლენა ქართულ პოეზიაზეც მოახდინა. უმრავლეს შემთხვევაში ქართველი პოეტები ქალაქს ნაცრისფრად გვიხატავენ, მაგრამ ისინი არ არიან მასთან გაუცხობული, პირიქით, ქალაქი შემოქმედ ადამიანებს ყოველთვის ანდამატივით იზიდავდა და, ალბათ, მომავალშიც მიიზიდავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლადო ასათიანი – რჩეული; „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1986
- ოთარ ჭილაძე – „გახსოვდეს სიცოცხლე“, „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1989
- მუხრან მაჭავარიანი-ლექსები, თარგმანები, „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1985
- შ. ნიშნიანიძე – „წუთისოფელი ასეა“, „საბჭოთა საქართველო“ 1982.
- ლია სტურუას ასი ლექსი „ინტელექტი“ თბილისი 2008
- თ. პაიჭაძე – „ქართველი ლირიკოსები“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2008 გვ. 107, 110, 111

სექციის ხელმძღვანელები: პროფ. კახაბერ ლორია, პროფ. ფრუდე ჰერმუნდსგორდი
თამთა ნათენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

გვადეთის ნიტრალიტეტის პოლიტიკა

ხელმძღვანელები პროფესორები: კახაბერ ლორია,
ფრუდე ჰერმუნდსგორდი

ნეიტრალიტეტი საერთაშორისო სამართლის მიხედვით ომში არმონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი მდგომარეობაა. იგი განსაზღვრულია ჰაგის 1907 წლის კონვენციებში და უმთავრესად იმით ხასიათდება, რომ საომარი მოქმედება არ უნდა შეეხოს ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიას. მეტიც, ომი ხელს არ უნდა უშლიდეს ნეიტრალური სახელმწიფოს საზღვაო ვაჭრობას მეომარ მხარეებთან ისეთი საქონლით, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო კონტრაბანდას და ა.შ.¹² ამგვარად, ნეიტრალიტეტი იცავს ქვეყნას საომარ კონფლიქტებში ჩაბმისაგან და შესაბამისად მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ნეიტრალიტეტი შეიძლება იყოს ორი სახის:

1. ევენტუალური, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ ომში ნეიტრალიტეტის დაცვას.

2. მუდმივი, რომლის დროსაც საერთაშორისო სამართლის მთავარი სუბიექტი არ იღებს მონაწილეობას არცერთ სამხედრო კონფლიქტში. იგი ამყარებს სხვა სახელმწიფოსთან ისეთ ურთიერთობებს, რომელიც ომის დროს ხელს არ ააღებინებს ნეიტრალიტეტზე. კერძოდ, მას არ ენიჭება.

უფლება სამხედრო კავშირი შეკრას სხვა სახელმწიფოსთან, თავის ტერიტორიაზე დაუშვას უცხო სამხედრო ბაზის მოწყობა, გაუწიოს დახმარების ხელი მეომარ მხარეს სამხედრო თუ არასამხედრო სახის პროდუქტების მომარაგებაში და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტს სახელმწიფო იღებს საერთაშორისო შეთანხმებით.¹³

ნეიტრალური სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე ვერ დაუშვებს რა მეომარი მხარის მიერ ჯარის შეგროვებას და მისი შეიარაღებული ძალების ტრანზიტს, მას შეუძლია ამ უკანასკნელის სამსახურში შესვლის უფლება მისცეს თავის მოქალაქეებს, თავის ტერიტორიაზე გაატაროს მეომარი მხარის დაჭრილები და ავადმყოფები.¹⁴ ამგვარად, ნეიტრალური სახელმწიფოებს ენიჭება როგორც უფლებები, ასევე მოვალეობები.

ნეიტრალიტეტი არის რა ინსტრუმენტი ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნებისა, მის ეფექტურობა და სიმყარე საჭიროებს ქვეყნის სამხედრო თუ ეკონომიკურ ძლიერებას, მოსახლეობის შეკავშირებულობას., ლოიალურ დამოკიდებულებას სახელწიფო-სადმი. შვედეთის მაგალითზე დავინახავთ, თუ რაოდენ დიდ „მწვერვალს“ მიაღწია ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ ქვეყნის განვითარებაში.

შვედეთი, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნ.კ-ის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში და მას დასავლეთით და ჩრდილოეთით ნორვეგია, ჩრდი-

¹² ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი VII, გვ.370.

¹³ ზურაბ დავითაშვილი, მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია (2001), გვ.135.

¹⁴ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.7, გვ.370.

ლო-აღმოსავლეთით – ფინეთი, სამხრეთით და აღმოსავლეთით ბალტიის ზღვა და ბოტ-ნიის ყურე, სამხრეთ-დასავლეთით – ერესუნის (რომელიც შვედეთს გამოყოფს დანიის-გან), კატეგატისა და სკაგერეკების სრუტეები ესაზღვრება,¹⁵ ამ ქვეყნის ჩამოყალიბების ისტორია ახ.წ. X საუკუნის ბოლოს იწყება, როცა საფუძველი ეყრდნობა პირველი სამეფოს შექმნას¹⁶. IX საუკუნეში ქრისტიანების გამოჩენამ დიდი როლი ითამაშა სკანდინავიუმთა საზღვაო ლაშქრობების მონაწილე – ვიკინგების დაპყრობით ომებისკენ სწრაფვაში, დანიის, ნორვეგისა და შვედეთის გაერთიანებულ სამეფოში დასავლური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ქრისტიანობამ, ასვე, ხელი შეუწყო ამ ქვეყნების მოდერნიზაციის საწყისების განვითარებაში, რომელიც ვლინდებოდა სამდვდელო პირთა მიერ გატარებულ რეფორმებში წიგნიერების დონის ამაღლებისა და სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერებისაკენ სწრაფვაში.¹⁷ საგარეო პოლიტიკური მიზნების – ტერიტორიის გაფართოება – მისაღწევად სკანდინავიის ქვეყნების მსგავსად შვედეთი დაპყრობით ომებს აწარმოებს. XII საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო ფინეთის დაპყრობა, რომელიც XIV საუკუნეში დამთავრდა. 1397 წლის უნიით შვედეთი ნორვეგისა და დანიის სამეფო-ებთან გაერთიანებული იყო რა კალმარის უნიაში ამ უკანასკნელის უპირატესობით, იგი ყველა ღონეს მიმართავდა დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. 1435 წ. შვედეთის პირველი პარლამენტის – რაიხსტაგის – მოწვევის შედეგად არჩეულ იქნა სამხედრო მეთაური და 1471 წელს გამარჯვების მოპოვებით გარკვეულ დამოუკიდებლობას მიაღწია, ხოლო 1521 წელს გუსტავ ერიქსონის აჯანყების შედეგად დანიელთა ბატონობას ბოლო მოუღო. 1471–1520 წწ. სტურეს საგვარეულოს რეგენტების მმართველობის დროს ამ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება განმტკიცდა, განვითარდა ეოვნული კულტურა. XVI საუკუნის შუა წლებიდან შვედეთის მონარქიამ ბალტიის ზღვაზე ბატონობისათვის დაიწყო ბრძოლა. დაიკავა რეველი, ჩრდილო ესტონეთი, 1570–95 წწ. გაიმარჯვა რუსეთთან ომში. გუსტავ II ადოლფის მეთაურობით შვედეთის არმიამ წარმატებები მოიპოვა რუსეთთან, რეჩ პოსპოლიტასთან ომებში. დანიის წინააღმდეგ ომების შედეგად დაიპყრო მისი სამფლობელოები სკანდინავიის ნ.კ.-ის სამხრეთ ნაწილში და აღმოსავლეთ ნორვეგის ნაწილი. XVII საუკუნეში გაჩაღებული ომების შედეგად შვედეთი ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფო გახდა ევროპაში. სამხედრო წარმატებებს, ქვეყნის შიგნით არსებული შეკავშირებულობის, თანამშრომლობის, ლოიალური დამოკიდებულების მაღალ დონეს თან ახლდა ეკონომიკური წინსვლა, რომლის დამადასტურებელია XVI საუკუნეში საგარეო ვაჭრობის გაზრდა, XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამადნო მრეწველობის განვითარება, XVII საუკუნის შუა წლებში ადრეკაპიტალური მეწარმეობა, კაპიტალის დაგროვება, XVIII საუკუნის დამდეგს რკინის მთავარი ექსპორტიორად გახდომა, XIX საუკუნის 50–60-იანნლებში პირველი რკინიგზის, ტელეგრაფის გაყვანა, მსხვილი კერძო ბანკებისა და სააქციო საზოგადოებების დაარსება, XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ინდუსტრიალიზაციის უკანასკნელ მრწველვალს მიღწევა, პირველ მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გახდომა, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კაპიტალის ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნად გადაჭცევა.¹⁸

ამგვარად, შვედეთის პოლიტიკური სტაბილურობა იყო შედეგი რეგიონალური და შიდა ფაქტორების სისტემური ცვლილებისა, ეროვნული ინტერსების დაცვისა, ბრძო-

¹⁵ M. Donald Hancock, *Sweden*, (part 5,p.348)

¹⁶ ზურაბ დავითაშვილი, მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია (2001), გვ.58.

¹⁷ M. Donald Hancock, *Sweden*, (part 5,p.350)

¹⁸ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X გვ.736.

ლისუნარიანობისა. ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ამბიციები, ქვეყნის კეთილდღეობისკენ სწრაფვა დიდ როლს ასრულებდა შვედეთის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შემდგომდროინდელ განვითარებაში, ვინაიდან და რადგანც ქვეყნის სამხედრო, ეკონომიკური ძლიერება, მისი ერთიანობის, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა თავიდან ააცილებს ქვეყანას ძლიერი ქვეყნის მსხვერპლად გადაქცევისგან, მის მარწუხებაში მოქცევისგან.

შვედეთში პოლიტიკური კონსესუსის მამოძრავებელი ძალა იყო ელიტის მხარდაჭერა ნეიტრალიტეტისა. 1814 წლიდან მოყოლებული შვედეთმა მიაღწია წარმატებებს არჩართულიყო ევროპულ ომებში.¹⁹ ამაში უდიდესი როლი ითამაშა მისმა წინდახედულობამ, სიფრთხილემ ომის წამყვანი ქვეყნებისადმი, ვინაიდან და რადგანაც საკუთარ ნიჟარაში ჩაკეტვა და იზოლაციონიზმის პოლიტიკის გატარება საბედისწერო აღმოჩნდებოდა მისთვის. ასე მაგალითად, პირველ მსოფლიო ომში ნეიტრალურ შვედეთს პროგრამული პოზიცია ეკავა. ხოლო 1918 წ. ანტანტის ზემოქმედებით შეწყვიტა ვაჭრობა რუსეთთან. ოქტომბრისა და 1918. ნოემბერში გერმანიის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა რა შვედეთზე, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს მასებზე კონტროლის შენარჩუნება. მეორე მსოფლიო ომში ამ ქვეყანამ გამოაცხადა მკაცრი ნეიტრალიტეტი. ამასთანავე, სავაჭრო შეთანხმება დადო, როგორც გერმანიასთან, ისე დიდ ბრიტანეთთან.²⁰ განსხვავებით დანიისა, ნორვეგიისა და ფინეთისა, იგი გადაურჩა დამოუკიდებლობის დაკარგვას.²¹ სსრკ-ფინეთის ომის დასაწყისში შვედეთს ეკავა „არამეომარი ქვეყნის“ პოზიცია, მაგრამ სამხედრო დახმარებას უწევდა ფინეთს. 1940წ. მან სავაჭრო და საკრედიტო შეთანხმება დადო სსრკ-თან. სსრკ-ზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ შვედეთმა გაუზარდა დახმარება ფაშისტურ ბლოკს.²²

ყოველივე ამის შედეგად, შვედეთის ხელისუფლების მპყრობელებს ჰქონდათ საშუალება გაეტარებინათ თვითნებური პოლიტიკა ომის შემდგომ პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შვედეთი ატარებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური სტაბილურობის, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ის ასვე დიდ უპირატესობას ანიჭებს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობას. მაგალითად, შვედეთი გახდა ერთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1924 წ. რუსეთთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები, 40-იანი წლების ბოლოს, „ცივი ომის“ პირობებში, მისი ყურადღება მიმართული იყო ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ, 1948წ. მიიღო შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამა, 1949წ. დაარსდა შვედეთის მშვიდობის კომიტეტი, 1950 წ. სტოკჰოლმში მშვიდობის მომხრეთა მუდმივმა საბჭომ მიიღო მოწოდება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, 1946 წლიდან შევიდა გაერო-ში, 1948 წლიდან ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის, 1949 წლიდან კი ევროპული საბჭოს წევრია გახდ, 1952 წელს ნორვეგია-სა და ისლანდიასთან ერთად დააარსა ჩრდილოეთის საბჭო, 50-იან წწ. რამდენადმე გაფართოვდა ეკონომიკური სექტორი, 1956 წ. გამოვიდა ცენტრალურ ევროპაში ბირთვული იარაღის აკრძალვის მომხრედ,²³ 1960 წ. გახდა წევრი სამთავრობოთაშორისო ორგა-

¹⁹ McDonald Hancock, *Sweden*, (part 5), p. 353.

²⁰ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, გვ. 736.

²¹ გვანცა აბდალადე, ნინო კვიტაიშვილი, ბონდონ კუპატაძე, ქეთევან ჯანუაშვილი უახლესი ისტორია (“საქართველოს მაცნე” 2008), გვ. 122.

²² ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, გვ. 736.

²³ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, გვ. 737.

ნიზაციის – ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის – წევრი, 1967-68 წწ. შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ მიიღო ზომები ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაზრდის შესახებ, რის შედეგაც შეიქმნა სახელმწიფო საინვესტიციო ბანკი, სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების მართვის კონცერნი, 1995 წ. შეუერთდა ევროკავშირს.²⁴

ბიბლიოგრაფია

1. აბდალაძე, გვანცა. კვიტაიშვილი, ნინო. კუპატაძე, ბონდო. ჯანუაშვილი, ქეთევანი. უახლესი ისტორია („საქართველოს მაცნე“ 2008).
2. დავითაშვილი, დავით. მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია (2001).
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი VII.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X.
5. Donald Hancock, M. *Sweden*, part 5.

²⁴ Donald Hancock, *Sweden*, (part 5, p.353).

ბექა სუხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სკანდინავია – მართოსულობის ხალოვნება

ხელმძღვანელები პროფესორები: გახაბერ ლორია, ფრუდე პერმუნდსგორდი

„ჩემი საუკეთესო მეგობარია ექო. მერედა რატომ? იმიტომ, რომ მიყვარს ჩემი სევ-და, ექო კი მას არ მართმევს. ერთადერთი მესაიდუმლე მყავს – ღამეული სიჩუმე; რატომ? იმიტომ, რომ მუნჯია” – წერდა დანიელი ფილოსოფოსი და მწერალი სიორენ კირკეგორი ესსეში „ესთეტიკოსის აფორიზმები”. ეს „ექო” კი, რომელიც ღამეულ სიჩუმეს მუდამ თან ახლავს, სკანდინავიელი ერის განუყოფელი ნაწილია, რადგან ეს ექოა სული-ერების გამოვლენისა და პიროვნებად ჩამოყალიბების მზარდი თვითგანცდის სხივი, რომლისკენაც მიმართულია ამ ერების არსი.

ევროპის ისტორიულ-კულტურული განვითარების პერიოდში, ჩრდილოეთის ხალხები ცალკე მდგომ რასად არსებობდა, რაც მათში ხელს უწყობდა განსხვავებული კულტურის ჩამოყალიბებას. მართალია, კავშირები ევროპის სხვა ქვეყნებთან დროთა განმავლობაში უფრო ინტენსიური ხდებოდა, მაგრამ თავად ნორვეგიელების, შვედებისა და დანიელების შიდადაპირისპირებები სამეფო ტახტისთვის თიშავდნენ სხვა მიმდინარე პროცესებიდან. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წყურვილი მე-19 საუკუნიდან იწყება და პროცესში უდიდეს ძალას, სწორედ ლიტერატურა, მხატვრობა, ფილოსოფია და ზოგადად, ხელოვნება წარმოადგენს.

პოსტულატი – ინდივიდუალური არჩევანის აბსოლუტური თავისუფლება – დღევანდელ სკანდინავიას სამაგალითო ქვეყნად აქცევს. ეს პოსტულატი კი ეგზისტენციალიზმის მამამთავრის, სიორენ კირკეგორის მიერაა შემუშავებული, რომელსაც თავის დროზე სასტიკი აგრესითა და დამცირებით შეხვდნენ.

სიორენის საფიქრალი და განსასჯელი ინდივიდის დაპირისპირება იყო ყოველივე ზოგადადამიანურის და კონკრეტულ, თავსმოხვეულ, არაფრისმომცემ ტრადიციას შორის, რომელიც ხშირ შემთხვევაში რელიგიური ინსტიტუტების მიერ იყო გავრცელებული და პიროვნების დეგრადაციისა და კოლექტივიზმისკენ იყო მიმართული. 1843 წელს გამოსცემს ვრცელ ოთხტომეულს ეთიკისა და ესთეტიკის საკითხებზე „ან-ან”, რომლიდანაც ქართულად ერთ-ერთი ეპიზოდი ითარგმნა და გამოცა 90-იან წლებში. ვფიქრობ, დღევანდელი ქართული ესთეტიკური აზროვნებისთვის, ასეთი წიგნების თარგმნა აუცილებელია, რათა უკეთ გავიაზროთ ევროპის წარმატებული ქვეყნების არჩევანი და სწორად შევაფასოთ ჩვენი სურვილი თავისუფლების დამკვიდრებაში, რაც სამომავლო კეთილდღეობის მომტანი გახდება.

სიორენი უკიდურეს დამცირებას იტანდა: ქუჩაში გამოსულს ლანდვა-გინების მოსმენა უხდებოდა, ხოლო უფროსების საქციელით წაქეზებული ბავშვები ქვების სროლით დასდევდნენ უკან. „თუკი კოპენჰაგენი ოდესმე საერთო აზრისა ყოფილა ვინმეზე, უნდა ვაღიარო, რომ იგი ერთსულოვანია ჩემს მიმართ”, – ამბობდა ფილოსოფოსი. მთელს ქალაქში არცერთი გულშემატკივარი ჰყავდა, რაც უფრო აძლიერებდა კარჩაკეტილობისაკენ და განმარტოებისაკენ მის მიდრეკილებას. ერთგვარ სიმშვიდესა და სიმხნევეს შე-

მოქმედებაში რეალიზებულობა ანიჭებდა. მისი მსოფლმხედველობის გამზიარებელი მხოლოდ ფურცელი და კალამი იყო.

რისთვისაც იბრძოდა კირკეგორი, ნელ-ნელა გახდა დანიელი ხალხის, შემდეგ კი სკანდინავიუმის სახელმწიფო ბრიობის ფუძე. ლიტერატურაში სიორენის მთავარი დებულება, საინტერესოდ გამოვლინდა და განსაკუთრებულად საყურადღებო კი საბავშვო ლიტერატურაა.

შვედი მწერლის, ასტრიდ ლინდგრენის მთავარი პერსონაჟები გარემოცულნი არიან დამოუკიდებელი აზროვნებით, ინდივიდუალური მახასიათებლებითა და ფანტაზიის უკიდეგანო გამოვლინებით. ასტრიდის პერსონაჟებში კი, პირველი ვინც გაგვახსენდება ჭორფლებიანი და ნითელთმიანი გოგო, პეპი გრძელნინდა, რომელიც ყველა ამ მახასიათებლითაა შემკული. ერთი შეხედვით საბავშვო, სამხიარულო, გასართობი ისტორია, რომელიც დღემდე იზიდავთ ბავშვებს შეიცავს ისეთი ტიპის გზავნილებს, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში წიგნი აკრძალულიც კი იყო გარკვეული პერიოდი და მის ანტიპო-პულიზაციას ეწეოდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ ისევე როგორც პეპი, ასტრიდის მეორე გახმაურებული გმირი – კარლსონიც, მარტო ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ პეპის ასაკი, ის სულ რაღაც ცხრა წლისაა, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სრულიად შეუძლებელია, მაინც ახერხებს ცხოვრებას და ამაში ფანტაზია ეხმარება. პეპი არ დადის სკოლაში, უნიგნურია, ფამილარული და გამუდმებით იტყუება. ერთი შეხედვით „ნორმალური ბავშვის“ სრული ანტიპოდია. მაგრამ პეპის თვისებები: დამოუკიდებლობა, ერთპიროვნულობა გადაწყვეტილებების მიღებისას, იუმორის ქონა, ხშირად ჩვენს გარშემო მყოფ ზრდასრულ ადამიანებსაც კი არ გააჩნიათ. მიზანიც, ესაა: ბავშვებმა უნდა მიბაძონ პეპის. პეპის მარტობა აუცილებელია, სიმარტოვე ხდის მას ისეთად, როგორიც ის არის. მას არ აშინებს მარტობა, უმეგობრდება მას და მასთან ერთად ცდილობს ცხოვრების წარმართვას. ასტრიდი ანახვებს ბავშვებს, რომ სამომავლოდ ბევრი განსაცდელი შესაძლოა შეხვდეთ, მაგრამ მათ უნდა შეძლონ მათი გადალახვა, სწორედ პეპის მსგავსი თვისებების ქონით.

საოცარია, რომ ერთი შეხედვით, უბედურ ბავშვში გამოვლენილია ყველაზე მეტი პოზიტივი და საუკეთესო თვისებები, რაც კი შესაძლებელია გააჩნდეს ადამიანს. პეპის გმირი, 1930–940-იან წლებში და ზოგადად, ასტრიდის მიერ გაუღერებული ბავშვის აღზრდა ნოვატორული აღმოჩნდა იმ დროის ევროპაში დამკვიდრებულ ბავშვის აღმზრდელობით მიდგომასა და საქმიანობაში. ლინდგრენი მონაწილეობდა ყველა წარმართულ პოლემიკაში და გამუდმებიც იცავდა საკუთარ შეხედულებებს, ბავშვების ინტერესებს.

კარლსონის გმირსაც უარყოფითი თვისებები ახასიათებს: ხარბია, ტრაბახა, ამპარტავანი, ეგოცენტრული. პეპისგან განსხვავებით უფრო ბავშვურიცაა, თუმცა განსაკუთრებულია პატარა მეგობართან ურთიერთობაში. საინტერესო დეტალია ის, რომ კარლსონი მაშინ ჩნდება ბიჭის ოთახში, როდესაც ის თავს ზედმეტად და დამცირებულად გრძნობს, ან მოწყენილი და სევდიანია. ასეთ შემთხვევებში ჩნდება ბიჭის გამანინასწორებელი აღტერ-ეგო კარლსონი, რომელიც ბიჭს ყველა უსიამოვნების დავიწყებაში ეხმარება. „ჩემი წიგნებით ბავშვებისათვის ჭკუის სწავლებას არ ვცდილობ. მუშაობის დროს მე არ ც ლიტერატურაზე ვფიქრობ და არ ც პედაგოგიკაზე. ყველაზე მეტად ის მიტაცებდა, რომ თავს კვლავ ბავშვად ვგრძნობდი“, – წერდა ასტრიდი და მართლაც, რაც აქამომდე წამიკითხავს სკანდინავიური საბავშვო თუ სამოზარდო ლიტერატურა, არსად შევხვედრილვარ „ჭკუის სწავლებით“ დაწერილ ტექსტს. მათში მხოლოდ არჩევანი ჩანს

და გზა, რომ არ არსებობს სრულყოფილება, რომ მცირე ბედნიერებითაც უნდა დატკბე, რომ ყველაფერს თავად განაგებ.

შვედური ეროვნული იდენტობის კრიზისის პერიოდში, 1906 წელს, გამოდის პირველი შვედი ნობელიანტი ქალის, სელმა ლაგერლოფის საბავშვო წიგნი „ნილსისა და გარეული ბატების მოგზაურობა”. წიგნი დაკვეთა იყო შვედური დაწყებითი სკოლის პედაგოგების ასოციაციის მიერ. ამ პერიოდში შვედეთში იწყება ლიბერალური ძალების გააქტიურება, რომელთაც სურთ რეფორმა გაატარონ საზოგადოებაში. რეფორმას კი იწყებენ სკოლებიდან, რადგან იერარქიულობა და მოძველებული სისტემა ყველაზე უკეთ, აქ იგრძნობოდა. ამ ახალი წიგნით, ბავშვები ეცნობოდნენ შვედეთის გეოგრაფიასა და ქვეყნის ღირსებებს. წიგნი ხელს უწყობდა ეროვნული იდენტობის აღდგენასა და გათვითცნობიერებას. წიგნი გაცდა მარტივ სასწავლო ტიპის შინაარს და შეიძინა ლიტერატურული ღირებულება, სადაც გაერთიანებული იყო შვედური მითები და ლეგენდები, კულტურული ტრადიციები.

აკად კებნეკაისე, ბატების ბრძენი მეთაურია, რომელიც მოგზაურობს მთელს შვედეთში, მაგრამ ეს მხოლოდ მოგზაურობა არ არის, ესაა პიროვნების გამოწრთობის პროცესი. თავგადასავლებისა და სხვადასხვა სირთულეების მეშვეობით, ნილსის პერსონაჟში იბადება სიკეთე, ის განიცდის გუნდის სხვა წევრების უბედურებას, ისევე როგორც სხვების ბედნიერებას. ბიჭში ემპათიის გრძნობა იბადება, რის გარეშეც ადამიანად ყოფნა წარმოუდგენელია. ნილსს თავისი ზღაპრული გმირების შემდეგ, ადამიანების სიყვარულიც უჩნდება. ესმის მშობლების წუხილის, შეიგრძნობს ობლების ხვედრის გასაჭირს. მოგზაურობიდან დაბრუნებული ნილსი მზადაა ცხოვრებისთვის, ის უკვე ნამდვილი ადამიანია.

სელმას მისწრაფებაც ადამიანის სულიერებისა და ინდივიდუალობის განვითარებაა. 1909 წელს, როდესაც ნობელი მიანიჭეს ლიტერატურაში, ეს იყო ნობელი „როგორც შენაძენი მაღალი იდეალიზმის, ნათელი წარმოსახვისა და სულიერი ჭვრეტელობის, რომლითაც გაჯერებულია მთელი მისი შემოქმედება”.

სკანდინავიელები ბავშვობიდან ცდილობენ მოზარდებში ჩამოაყალიბონ ის თვისებები, რაც უმნიშვნელოვანესია პიროვნების შესადგომად. მათი საბავშვო ლიტერატურა, ამ კუთხით და ზემო მცირე მიმოხილვებიც ცხადყოფს, სულაც არა საბავშვო. ამ მხრივ, არც ნორვეგიელი მწერლების ღვაწლია ყურადღების მიღმა. ნორვეგიელი ლინდგრენის, ანე-კატერინე ვესტლის ნაწერების დედის, მამის, რვა ბავშვისა და დიდედის სერიები საქვეყნოდაა ცნობილი. თუმცა მარტოსულობის განცდა, რომელიც თან ახლავს ინდივიდუალიზმის განვითარებას, ნორვეგიელ მოზრდილთათვის განკუთვნილ ლიტერატურაში უფრო მძაფრად ჩანს. ამ შემთხვევაში შევეხები კნუტ ჰამსუნისა და სიგრიდ უნსეტის რომანებს.

კნუტ ჰამსუნის „მისტერიებში”, ღრმად აისახა მწერლის რთული მწერლური სამყარო, ის ეჭვები და წინააღმდეგობანი რაც მთელს მის სიცოცხლეს სდევდა თან. იუპან ნაგელის გმირი დღემდე რჩება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო პერსონაჟად. ექსცენტრიული, განსხვავებული, ორიგინალური იდეების პატრონი და ფარულად კეთილი საქმის მოყვარულია იუპანი. ის თავიდანვე მარტოა: ჩადის ისეთ ადგილას, სადაც არავინ იცნობს და სადაც არავის იცნობს. საიდან მოდის ნაგელი? რას გამოექცა იგი და რა სურს ამ ჩამკვდარ და უინტერესო პროვინციაში? ადამიანებსაც ხომ გვინდება ხოლმე, რაიმე გადაუჭრელი პრობლემის დროს, სადმე უცნობ გარემოში მოხვედრა,

სადაც უკეთ გავაანალიზებთ საკუთარ ქმედებებს და სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ცხოვრების ორომტრიალიდან, საჭიროა მცირე ხნით განზე გადგე და უბრალოდ, იფიქრო. ნაგელიც ფიქრობს, მაგრამ თანდათან ეფლობა გარემომცველი სამყაროს მდინარებაში. ხშირად უფუძლება ხასიათი, რაც ერთგვარი დაცვის მექანიზმია განერიდოს ადამიანებს. რეალურად ადამიანი ყველა სივრცეში ისეთივე ადამიანია, მიუხედავად მისი რასისა, შეხედულებებისა თუ ტრადიციებისა. იქნებ სწორედ ამიტომ, მისი გმირი იკლავს თავს და ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბანალური სასიყვარული ისტორია არ დევს სარჩულად.

რა განაპირობებს სკანდინავიის ქვეყნების მაღალ სუიციდურ მაჩვენებელს? მათ ხომ ყველაფერი აქვთ კარგი ცხოვრებისთვის, მათთან ხომ თითოეული ადამიანის უფლებაა დაცული. მათი ქვეყნები ხომ ყველა ასპექტში მისაბაძია განვითარებადი ქვეყნებისთვის. კვლავ ორი უკიდურესობის წინაშე არსებობენ ადამიანები: ყველაფერი გაქვს და უბედური ხარ, არ გაქვს, მაინც უბედური ხარ. თუკი მათ მსგავსად ეკონომიურად ძლიერნი გახდებიან სხვა სახელმწიფოები, იგივე ელით? რატომ ჩანს ხელოვნებაშიც ეს მოტივები და რა ფსიქოსოციალური ძვრები მიმდინარეობს. ყველაფრის გააზრება და ასე ვთქვათ, ყველაფერზე პასუხის ცოდნა, დამოუკიდებლად მყოფობა და საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზებულობა, იქნებ მოსაპეზრებელიცაა ყოველივე ეს? ყველაფერი იდეალიზებული უკუჩვენების მომტანი იქნება.

საინტერესოდ წარმოაჩენს ნორვეგიელი ქალის დამოუკიდებლობის განვითარებას, სიგრიდ უნსეტი რომანში „ქრისტინა, ლავრანსის ასული“. ქრისტინა საკუთარი „მე“-ს ემანსიპაციისათვის და საკუთარი ბედნიერებისათვის მებრძოლი პერსონაჟია. საყურადღებოა, რომ უნსეტის პერსონაჟი არა თანამედროვე, არამედ შუასაუკუნეობრივი ნორვეგიის გმირია. ისტორია, აქ მხოლოდ ტექსტის დამხმარე ნაწილია, რომლის ფონზეც მიმდინარეობს ქალის ტრაგედია. პერსონაჟებს განზოგადებული ზოგადადამიანური თვისებები აქვთ – ქალისა ქალებს და მამაკაცისა მამაკაცებს. ქრისტინა საკუთარი ინდივიდუალობის მოსაპოვებლად უპირისპირდება დამკვიდრებლ ნორმებს. როდესაც ის აღნევს ნანატრ თავისუფლებას, მის მეორე მხარესაც უგებს გემოს – მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღებას. ფინალში მთავარი გმირის თავგანწირვა აღნევს ბედნიერებასა და სიმშვიდეს.

სავარაუდოა, რომ უნსეტისთვის, როგორც ქალისთვის, მნიშველოვანი იყო მათი უფლებების გააზრებულობაც და სკანდინავიელი ქალი მწერლები დიდ როლს თამაშობენ ამ საკითხის მოგვარებაში. თუკი ფემინიზმური როლი დღეს ასეთი ძლიერია, კვლავ ხელოვნებას აქვს დიდი წვლილი ამ პროცესში შეტანილი.

მარტოსულობის განცდას გაცილებით უკეთ გადმოსცემს ვიზუალური ხელოვნება და სკანდინავიური მხატვრობის უდიდესი წარმომადგენელი ედვარდ მუნკი, რომლის სულიერების კრიზისი და სასოწარკვეთა „კივილის“ სერიებში შექმნილ ტილოებში წარმოჩნდა. მონითალო-მოყვითალო ფერებში დახატულ ცის ფონზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა, რომლის ერთ-ერთი ვერსიითაც თავად მხატვარია. ფიგურის ფორმა ისეა გამოსახული, თითქოს ბუნების ხმაურს უწევდეს წინააღმდეგობას. ხომ არ გრძნობდა, მხატვარი წინასწარ მოსალოდნელ სულიერ კრიზისს, ცნობილია, რომ თავადაც იყო დაავადებული დეპრესიული ფსიქოზით, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ამ კუთხით უმნიშველოა.

მუნკის ფერწერაში ჭარბობს სიკვდილისა და ავადმყოფობის თემები. ფერები მკვეთრი და ხშირ შემთხვევაში ავადმყოფურია. გამოსახული ფორმები დაძაბული, გაყინული, სასოწარკვეთის ზღვარზე მყოფი. მუნკის შემოქმედება, თავისუფლად იმეორებს მისი მეგობრის, პოლ გოგენის ერთ-ერთი სურათის სათაურს, რომელიც მხატვრის პერიფრაზადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ: „საიდან მოვედით? რანი ვართ? საითკენ მივდივართ?“. ეს კითხვები ისმის, მუნკის ნაწარმოებების ყურებისას, რომელიც მხოლოდ სკანდინავიის საზღვრებში არ იკეტება, სცილდება მას და მსოფლიო მასშტაბის პრობლემურ ნიშნებად იქცევა.

მარტოსულობის ხაზს აგრძელებს დანიელი მხატვარი ვილჰელმ ჰამმერშოი. მისი მთავარი თემა სიმარტოვეა. არქიტექტურულ დეტალებში გარშემორტყმული ადამიანი, ზურგშექცევით გაჰყურებს უჰორიზონტო სივრცეს. ცხოვრების ყველაზე მეტს, ხომ სწორედ ჩვენი სახლის ინტერიერში ვატარებთ. ჩვენი სახლის კედლებში ვფიქრობთ ყველაზე მეტს და ჩვენივე სახლის კედლებში აღმოვაჩენთ, განვიცდით და ვუმეგობრდებით მარტობის შეგრძნებას.

ვილჰელმის ნამუშევრებში გამოსჭვივის სრული მდუმარება, სიმშვიდე და მელანქოლია. ფერებიც მონაცისფრო, სპილოსევლისფერი და ზამთრისფერია, პრაქტიკულად მხოლოდ ცივი და სუსხიანი. მისი გმირები მდუმარებაში არიან ჩაფლულნი. რატომ გადაწყვიტა მხატვარმა ადამიანების ასეთ ყოფასა და ადგილას გამოსახვა? იქნებ, მის ირგვლივ მყოფი საზოგადოებას ასახავდა და ისიც დანიელი ხალხის კრიზისს გადმოსცემდა, ოლონდ მხატვრული მეთოდებით.

2008 წელს ლონდონში გამართულ ექსპოზიციას ბრიტანელებმა ჰამმერშოის გამოფენას „მდუმარების პოეზია“ უწოდეს. მდუმარების პოეზია კი არანაკლებ ღრმადაა გადმოცემული ხმოვანი ხელოვნების დარგში, სწორედ რომ მუსიკაში. ამ განცდების გადმოცემით კი უპირობო ლიდერია ისლანდიური მუსიკა.

ისლანდია, თავად სკანდინავიურ ქვეყნებს შორისაც კი ყველაზე განცალკევებული და შორსმყოფია. აქ ყველაფერი განსაკუთრებულია და ადამიანი ყველაზე უკეთ გრძნობს საკუთარ რაობას. აქ ადამიანები ბუნებასთან ერთად ცდილობენ თანაცხოვრებას. თანამედროვე ისლანდიური მუსიკა სააზრდოობს ფოლკლორით, რომელსაც თავის მხრივ შესისლხორცებული აქვს ის პირველყოფილი სამყარო, რომლითაც გარემოცულია კუნძული.

ისლანდიის კულტურის განუყოფელი ნაწილი და სახე კი ბიორკ გუდმუნდსდოტირია, რომლის მოღვაწეობა 70-იანი წლების ბოლოდან იწყება და დღემდე გრძელდება. მისი მუსიკალური კარიერა ყველა უანრს მოიცავს: კლასიკას, როკს, პოპს, ჯაზს, ელექტრონიკას. დაარსებული აქვს ექვსამდე ბენდი და სხვა ბენდების მთავარი სოლისტიც იყო, რომელთაგან ყველაზე ცნობილი „შუგაკიუბსია“. როკ-ბენდმა 1986-1992 წლებში იმოღვანევა და იმ დროის არა მხოლოს სკანდინავიურ როკ კულტურაზე, არამედ მთელს ევროპაზე იქნია გავლენა. ბიორკის გენიალობა მაინც, მის სოლო კარიერას უკავშირდება.

გუდმუნდის ქალიშვილის მოსმენისას შენ გრძნობ ისლანდიური გეიზერებისა და ვულკანების ამოფრქვევას, ცხელი წყლებისა და ტალახის მოთუხთუხე სარგებლიანობას. მუსიკაში იგრძნობა ბუნების დიდება. ადამიანის მარტოსულობა ბუნების წინაშე მრავალფეროვანიცაა და ერთფეროვანიც, რომ ადამიანების გარეშე მყოფი ადამიანი, თუკი კი ბუნებასთან ერთად იწყებს თანაცხოვრებას, აღმოვაჩენს, რომ უკიდეგანოა. ბიორკის მუსიკას კონკრეტულ ქანრში ვერ მოაქცევ, ის ქმნის ექსპერიმენტულ მიმდინარეობას. ზოგიერთი ტრეკის შემთხვევაში შინაარსი და კონცეფცია, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდეკე თავად მელოდია. ჩემი შეფასებით, მისი შემოქმედების მწვერვალია 2004 წელს გამოსული ალბომი „მედულა“, რომელიც მთლიანად შედგება მხოლოდ ხმოვანი რელიზით, ტრეკების უმეტესობაში არცერთი ინსტურუმენტია გამოყენებული,

მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის მიერ გამოცემული ხმები ისმის. ალბომის სათაური ლა-თინური სიტყვაა და ნიშნავს ძვლის ტვინს. ალბომი ცდილობს ჩაგვაბრუნოს ჩვენი შინა-განი სამყაროს ამოცნობაში. ძვლის ტვინამდე გავიაზროთ არსი, ეგვიპტური თუ ანტი-კური სამყაროდან დაწყებული დღემდე, სულის განვითარების, დამარცხებისა და გა-დარჩენის პერიოდები.

2011 წლის მაისში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ჩატარდა კატრინა სტალ-დერის სემინარი, რომელიც იკვლევს თანამეროვეობაში „საუნდ არტს“. ის იკვლევდა სი-ჩუმეს და სწორედ ამიტომ 9 თვე გაატარა ისლანდიაში. აქ ყველაზე უკეთაა შესაძლებე-ლი სიჩუმის ჩაწერა და კვლევა. მისი თქმით, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოხდა სიჩუმესთან კონტაქტი და მიხვდა, რომ სიჩუმე ან არ არსებობს, ან ძალზე სუბი-ექტურია.

ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ის იყო, რომ მუსიკით მდუმარებისა და სიჩუმის გადმოცემაც შესაძლებელია და ყველაზე ახლოს სიჩუმის გამოხატვასთან, სწორედ ის-ლანდიური მუსიკა დგას. ჯგუფ „მუმის“ მოსმენისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ზღვის სანაპიროსთან, შუქურის ქვეშ ჩამომჯდარხარ და სიოს მიერ ქვიშის რხევასა და ტალღების ხმაურობას უსმენდე.

ისლანდიის თანამედროვე კლასიკაც ამ ტრადიციას აგრძელებს. 24 წლის, ოლაფურ არნალდსის ალბომებიც მსგავს ემოციებს გამოხატავს, მათში გაერთიანებულია კლასი-კის, ელექტრონიკისა და ექსპერიმენტული მუსიკის ელემენტები. მისი ბოლო ალბომის სახელწოდება, „...და ისინი გაექცნენ სიბნელის სიმძიმეს“ გამოხატავს ახალი მისწრაფე-ბებისა და მიზნების არსებობის შესაძლებლობას. სიახლეების სადაცე ხელთ კი კვლავ ხელოვნებას უჭირავს. ხელოვნების დარგების მეშვეობით გავიგებთ სამომავლო განვი-თარების კულტურის ხაზს, რომელშიც სკანდინავიელი საზოგადოება აისახება. მარტო-სულობა ერთ-ერთი ხაზია, რომელიც დავინახე და მისთვის პოზიტიური ან ნეგატიური დატვირთვის მინიჭება გამორიცხულია. უბრალოდ რეალობასთან კავშირის დამყარების მცდელობაა.

ადამიანები აუცილებელია დარჩენენ მარტო სამყაროსთან, რადგან მარტომისას შევიცნობთ საკუთარ პიროვნებასა და სურვილებს.

„დიახ, ჩემი ბედის ბატონ-ბატრონი კი არა, მხოლოდ ძაფი ვარ, ცხოვრების საერთო ქსოვილში ჩაწერული! მაგრამ თუ ქსოვა არა, ძაფის გადაჭრა მაც ხომ შემიძლია“, – გვე-უბნება კირკეგორი და ადამიანმა, რომელმაც სიტყვები „თავისუფლება“, „პიროვნება“, არჩევანი“, „გადაწყვეტილება“, ჩვენს ეგზისტენციად გახადა, როგორც განსაკუთრე-ბული არსებების, საკუთარი საფლავის ეპიტაფია სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე ამო-ირჩია, რასაც შემდეგ წააწერენ: „ის მარტოსული“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სკანდინავიური ესსეები“ – თარგმანი უჩა შერაზადიშვილი; 1992
2. ბლოგი – „PSYCHOCITY – YOUR CITY“
3. ბლოგი – „skandinavia“
4. საიტი – „National Atlas of Sweden“
5. ბლოგი – „xelovnebis maxe“

უანა სირბილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნორვეგის სამეცნ ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა

ხელმძღვანელები პროფესორები: კახაბერ ლორია, ფრუდე ჭერმუნდსვორდი

ნორვეგის სამეცნ სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარეობს და ევროპის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანად ითვლება. იგი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები სიმჭიდროვით დასახლებული ქვეყანაა და მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 4,9 მილიონია. მართველობის ფორმა კონსტიტუციური მონარქია და ამჟამად ქვეყნის მეფე ჰარალდ V-ეა. აღსანიშნავია, რომ მეფის ძალაუფლება მინიმალურია და უფრო სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, ხოლო რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრი ფლობს. ბუნების, ფინანსების, მითოლოგიის, არქიტექტურის გარდა, ადამიანებს ამ ქვეყნის ისტორიაც იზიდავთ, რომელიც რამდენიმე პერიოდად იყოფა.

მეზოლითის პერიოდში ყინულოვანი საფარის დნობის შედეგად, ადამიანებმა ჩრდილოეთ რეგიონების ათვისება დაწყეს. სწორად ამ დროს უნდა დასახლებულიყვნენ ადამიანები სკანდინავიაში და მათ შორის დღევანდელი ნორვეგიის სამეცნოს ტერიტორიაზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია, რომ დასახლება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიმდინარეობდა. ძველი ნორვეგიული საზოგადოება ტომებად ცხოვრობდა და ცენტრალიზებული ხელისუფლება მხოლოდ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. მათი საყვარელი საქმიანობა ომი, ძარცვა, სამხედრო ვარჯიში და ნადირობა იყო. აღსანიშნავია, რომ შერკინებებში მანდილოსნებიც მონაწილეობდნენ.

ნორვეგიის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს ვიკინგების პერიოდი შეადგენს. ეს ეპოქა მოიცავს ქრ. შ-იდან 800–1050 წლებს. ვიკინგები არა მარტო ნორვეგიის, არამედ შვედეთისა და დანიის მოსახლეობასაც შეადგენდნენ. ნაკლებადნაყოფიერმა მიწებმა და რთულმა ბუნებრივმა პირობებმა აიძულა ვიკინგები, ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასულიყვნენ და მიეღოთ საწადელი სიმდიდრე. ვიკინგებს იმ დროისთვის შესაბურად სწრაფი გემები ჰყავდათ, რომელთა აგების უნარ-ჩვევებს მხოლოდ ისინი ფლობდნენ. ვიკინგების შორეული ლაშქრობები მერვე საუკუნიდან იწყება და ორ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდში ნორვეგიელები მცირე ხნით მიდიან ლაშქრობებში, თავს ესხმიან სხვადასხვა კუნძულებსა თუ სანაპიროებს, ძარცვავენ მათ და დაზამთრებისთანავე უკან ბრუნდებიან. მეორე პერიოდში, ისინი უფრო დიდი ხნითა და ლაშქრით მიდიან ზღვაში, ათვისებულ ტერიტორიებზე ციხე-სიმაგრეებს აგებენ და იქ სახლდებიან. ცნობილია, რომ მეცხრე საუკუნეში სწორად ასე დასახლდნენ ვიკინგები ინგლისში, ირლანდიასა და საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ ვიკინგები დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეც იყვნენ და კონსტანტინოპოლის სიმდიდრით მოხიბლუნან.

ნორვეგია ცენტრალურ სახელმწიფოდ მხოლოდდამხოლოდ მეცხრე საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ დროიდანვე ჩნდება პირველი ისტორიული წყაროები, საიდანაც ირკვევა, რომ ტერიტორიების გაერთიანებას და ერთხელისუფლებიანობის დამყარებას სათავე მეფე ჰარალდმა დაუდო, ხოლო მამის საქმე მისმა შვილმა ჰარალდმა დაასრულა. იმ დროინდელ ნორვეგია კერპთაყვანისმცემლობას აღიარებდა და ქრისტიანობის გავრცელება მეფეებთან ულავ პირველთან და ულავ მეორესთანაა დაკავშირებული. ეს უკანას-

კნელი წმინდანადაა აღიარებული და ნორვეგიის მფარველის ტიტულსაც ატარებს. მან საბოლოოდ გააერთიანა ნორვეგია და ახლიდან ააშენა ქალაქი ნიდაროსი, რომელიც სახელმწიფო დედაქალაქად აქცია. მეფე ულავ მეორიდან მოყოლებული, ნორვეგიის ეკლესია რომის პაპს ემორჩილება. ნორვეგიელებს შორის კერპთაყვანისმცემლობა ძლიერ იყო გამჯდარი, აქედან გამომდინარე, ქრისტიანობის გავრცელებას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა . აღსანიშნავია, რომ დღეს, მოსახლეობის დიდ რაოდენობას ათეისტები შეადგენენ, თუმცა კონსტიტუციაში წერია, რომ მეფე და მინისტრების გარკვეული ნაწილი აუცილებლად ქრისტიანობის მიმდევარი უნდა იყოს.

XIV საუკუნის ბოლოს ნორვეგიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1397 წელს შეიქმნა კალმარის უნია, რომელშიც გაწევრიანდა სამი სკანდინავიური ქვეყანა- ნორვეგია, დანია და შვედეთი. უნიას სკანდინავიისთვის კარგი არაფერი მოუტანია, რადგან სამივე ქვეყანა, მმართველი დინასტიის ნებისამებრ, გაუთავებელ საომარ მოქმედებებში იყო ჩართული. 1450 წელს დანიაში ამბოხებებმა ნორვეგიელებს საშუალება მისცა თავიანთი თვითმყოფადობა შეენარჩუნებინათ და თანაბარუფლებიანობის- თვის მიეღწიათ. თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი სახელი, კანონმდებლობა, ხაზინა და ადგილობრივი ხალხისგან დაკომპლექტებული მმართველობა ჰქონოდა. ნორვეგიელთა მიერ არჩეულმა მეფე კარლ კუნძულის ტახტი დანიელ ქრისტიან I-ს დაუთმო. გადაწყდა, რომ ამიერიდან ნორვეგიასა და დანიას საერთო მეფე უნდა ჰყოლოდა. 1536 წელს დანიამ დაარღვია კალმარის უნიის ხელშეკრულება, რომ- ლის მიხედვითაც სამივე ქვეყანა თანაბარუფლებიანი იყო და ნორვეგის დაიქვემდებარა. ამ დროიდან მოყოლებული ნორვეგიასა და დანიას 1814 წლამდე საერთო მეფე ჰყავდათ. დანიელების უდიდეს მიღწევად ითვლება ის, რომ ნორვეგიელების უმრავლესობა საკუ- თარ დიალექტზე საუბრობდა, ხოლო დამწერლობა საერთოდ დაივიწყეს.

მე-19 საუკუნის დასაწყისი ხასიათდება მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომელმაც შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუქა. ნორვეგია და დანია მხარს უჭერდნენ ნაპოლეონს, ხოლო შვედეთი საფრანგეთის მოწინააღმდეგებებს. ნაპოლეონის დამარცხებამ და მისი მოწინააღმდეგების გამარჯვებამ გააძლიერა შვედეთი. ამ უკანასკნელმა 1814 წელს ხელშეკრულებაა გააფორმა დანიასთან, რომელიც კილის შეთანხმებითაა ცნობი- ლი. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ნორვეგია შვედეთს უნდა გადასცემოდა. ნორვეგიის მმართველი იმ დროს პრინცი ქრისტიან-ფრიდრიხი იყო. მან თავი რეგენტად გამოაცხა- და და საბჭო მოიწვია, რომლის მოვალეობაც კონსტიტუციის პროექტის მომზადება იყო. 1814 წლის 17 მაისს საბჭომ მიიღო კონსტიტუცია, ძირითადი კანონი, ხოლო 19 მა- ისს რეგენტი უფლისწული ერთხმად აირჩიეს ნორვეგიის მეფედ. მიუხედავად ამისა, შვედეთმა მცირე ბრძოლების შედეგად მაინც შეიერთა ნორვეგია. აღსანიშნავია, რომ ნორვეგია შვედეთთან უნიის დროს საკმაოდ დიდი პოლიტიკური დამოუკიდებელობით სარგებლობდა. ქვეყნის მართვაში მონაწილეობას ღებულობდა პარლამენტი, სტურთინ- გენი, რომელიც ირჩეოდა მოსახლეობის მიერ და კანონებსაც სურვილისამებრ იღებდა. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის მიხედვით) ძალაუფლება ნაწილდებოდა სტორტინ- გენს, მეფესა და სასამართლოს შორის. 1884 წელს ნორვეგიის პარლამენტმა გადაწყვი- და, რომ ქვეყანა უნდა გადასულიყო კონსტიტუციურ მონარქიაზე და მთავრობა დანიშ- ნული უნდა ყოფილიყო პარლამენტის მიერ. 1905 წლის 13 აგვისტოს საყოველთაო კენ- ჭისყრა შედგა შვედეთთან უნიის გაწყვეტის საკითხზე. შედეგმა ყველა მოლოდინს გა- დააჭარბა: რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლების მქონე 81%-დან ყველა პირმა მიიღო

მონაწილეობა. შვედეთთან კავშირის გაწყვეტას 321 197 ადამიანმა დაუჭირა მხარი წინააღმდეგ 161-ისა. 31 აგვისტოს შვედეთისა და ნორვეგიის პარლამენტთა მიერ არჩეული დელეგატების კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციაზე ორივე მხარე მივიდა შეთანხმებამდე, რომ საზღვართან ახლომდებარე გამაგრებები მოშლილიყო.

ამის შემდგომ საკითხავი შეიქმნა ნორვეგია მონარქიად უნდა დარჩენილიყო, თუ - რესპუბლიკად გარდაქმნილიყო. ქვეყანაში საოცარი აგიტაცია დაიწყო. რესპუბლიკის დასამკვიდრებლად, სოციალ-დემოკრატები და რადიკალები იბრძოდნენ. მმართველი მემარჯვენები კი მონარქიის შენარჩუნებისკენ იყვნენ მოწოდებული და აცხადებდნენ, რომ მეფობის შემთხვევაშიც ნორვეგია მსოფლიოში ყველაზე რესპუბლიკურ ქვეყნად დარჩება, რადგან აქ მეფის უფლებები იმაზე მეტად შეზღუდულია, ვიდრე ინგლისის მეფისა ან საფრანგეთის პრეზიდენტისაო. პრეზიდენტობა კი მემკვიდრეობითი უნდა იყოს, რადგან ეს ზედმეტ პრობლემებს ააცილებს ქვეყანას თავიდან, ანუ ნორვეგია უნდა იყოს მონარქიული. რესპუბლიკამ ნორვეგია შეიძლება პოლიტიკურად გაიმარტოხელოს, ხოლო მეფე კარლ დანიელი, ნორვეგიას რიგ ქვეყნებთან დააძმობილებს. როგორც ჩანს, ასეთმა განცხადებებმა ძლიერი ზეგავლენა იქონია ხალხზეც და სტორთინგზეც, ამიტომ, ერთხმად იქნა არჩეული ნორვეგიის სამეფო ტახტზე დანიელი უფლისწული ჰაკონ VII-დ წოდებული.

შემდგომ პერიოდში ნორვეგიას რაიმე აქტიური პოლიტიკური ნაბიჯები არ განუხორციელებია. ჰიტლერის თავდასხმის შედეგად ნორვეგიის სამეფო ძალაუნებურად აღმოჩნდა ჩართული ომში. ამ პერიოდში, მეფე და მთავრობა დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა და იქიდან განაგრძო ქვეყნის მართვა. ამ ომის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ნორვეგიელი დაიღუპა და ქვეყანა მწვავე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. მდგომარეობის გაუჯობესება დაიწყო 1960-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ რაც ნორვეგიაში ნავთობი აღმოაჩინეს. დღეს ეს ქვეყანა ევროპის ერთ-ერთი ეკონომიკურად ძლიერი და განვითარებული ქვეყანას წარმოადგენს, სადაც უმუშევრობის დონე 3%-ზე დაბალია. დღევანდელი მონაცემებით, ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე - 31.250 \$-ია, ეს რიცხვი კი საკმაოდ მაღალია სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ასეთი შთამბეჭდავი მაგალითები ბევრ ემიგრანტს იზიდავს. ძალიან საინტერესოა ფაქტი, რომ ნორვეგიის სამფონ არ არის ევროკავშირის წევრი და მან რეფერენდუმის მონაცემებზე დაყრდნობით, ორჯერ თქვა უარი ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. ნორვეგიის სამეფო სხვა სფეროებშიც ლიდერობს და 2007 წელს მოიპოვა მსოფლიოში ყველაზე მშვიდობიანი ქვეყნის სტატუსი. ის ყველაზე განვითარებული და აყვავებული ქვეყნების სიაშიც არ თმობს წამყვან პოზიციას. ენციკლოპედია ბრიტანიკა კი ნორვეგიელებს ყველაზე ნაკითხ ხალხად ასახელებს. გაერომ მრავალჯერ აღიარა ეს ქვეყანა, როგორც საცხოვრებლად საუკეთესო ადგილი.

ბიბლიოგრაფია:

- ისტორიულ და პოლიტიკური გეოგრაფია, ზურაბ დავითაშვილი.
- Stein på Stein.

ნინო დემურია

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სიგრიდ უნდსეტი, 2021-ლითენისა და ვიგდისის ამპაზი

ხელმძღვანელები პროფესორები: კახა ბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდი

ნორვეგიელი ნოველისტი სიგრიდ უნსეტი 1882 წლის 20 მაისს დაიბადა დანიაში, თუმცა ორი წლის ასაკში ოჯახთან ერთად ნორვეგიაში გადავიდა საცხოვრებლად. 1924 წელს უნსეტი კათოლიკედ მოინათლა. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიის იდეებისადმი დაპირისპირების გამო მას დროებით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოუნია წასვლა და ომის დასრულებისთანავე დაბრუნდა ნორვეგიაში.

სიგრიდ უნსეტს ეკუთვნის 36 წიგნი, რომელთაგან ერთი ნაწილი არის შუასაუკუნეების ცხოვრების ამხასველი ნოველები, ხოლო მეორე – თანამედროვე ნოველები კრისტიანიის (ამჟამინდელი ოსლოს) შესახებ. მისი ყველაზე ცნობილი წიგნია კრისტინ ლავრანსდატერი, მოდერნისტული ტრილოგია შუა საუკუნეების დროინდელ სკანდინავიის ცხოვრებაზე. ამ ტრილოგიისათვის უნსეტმა 46 წლის ასაკში ნობელის პრემია მიიღო და გახდა ყველაზე ახალგაზრდა ნობელიანტი, ასევე რიგით მესამე ქალი, რომელმაც ეს პრემია დაიმსახურა. ათწლეულების შემდეგაც ცხადია, რომ სიგრიდ უნსეტს ლირსეულად უკავია ადგილი მსოფლიოს ორ საუკეთესო ქალ ნოველისტს შორის (ჯორჯ ელიოტთან ერთად).

ვიგა-ლიოტისა და ვიგდისის ამბავი, როგორც მას ეწოდება ნორვეგიულად (Fortællingen om Viga-Ljot og Vigdis), ხოლო ქართულ თარგმანში – „ვიკინგები”, პირველად გამოიცა 1909 წელს. ეს იყო უნსეტის პირველი ისტორიული ნოველა. „ვიკინგები” X–XI საუკუნეების ნორვეგიისა და ისლანდიის ცხოვრების ამსახველი ისტორიული რომანია, რომელიც უძველესი ისლანდიური საგების სტილით ტრაგიკული სიყვარულისა და შურისძიების შემზარავ ამბავს მოგვითხრობს.

პირველ რიგში შევეხოთ ნოველის ტექნიკურ მხარეს. ერთის მხრივ ის იკითხება საკმაოდ ადვილად, თითქოსდა ერთი ამოსუნთქვით, მაგრამ ამას ამძიმებს რიგ სიუჟეტებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ „ვიკინგებში“ აღწერილია სასიყვარულო ამბავი, ეს არ არის კლასიკური ტიპის რომანი. მისი ძირითადი ელემენტებია შურისძიება, გაუპატიურება, ძალადობა საზოგადოებასა თუ ოჯახში, სირთულეებით აღსავსე ქორნინება და ცხოვრება, მშობლების ქმედებების გამო დასჯილი ბავშვები. როგორც სიგრიდ უნსეტმა თავის ერთ-ერთ მეგობარს მისწერა ამ ნოველაზე მუშაობის პროცესში, მას სურდა იმ სამყაროს ახლიდან შექმნა, რომელიც მან აღმოაჩინა ისლანდიურ საგებში, მაგრამ ამასთანავე სურდა აღენერა ეს ყველაფერი რეალისტურად. ანუ ის, რაც შეიძლება ჩვენი გადასახედიდან რომანტიულად ჩანდეს, მკვლელობა და ძალადობის ეპიზოდები, ეს ყველაფერი მის ნოველაში წარმოჩენილია სრულიად ჩვეულებრივად, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. ძალიან რეალისტური და დამაჯერებელია ზღვაზე მომხდარი ბრძოლის ეპიზოდი, ისევე, როგორც ის მომენტები, სადაც დედის ბუნებრივი სინაზეა აღწერილი შვილის მიმართ. ამ რომანის ერთ-ერთი უმთავრესი ლირსება არის ის, რომ აქ ვერ შეხვდებით იმ სენტიმენტალიზმის კვალს, რომელიც შესაძლოა სიყალბეში და ზედმეტ პათეტიკაში გადაიზარდოს. ამ წიგ-

ნის კითხვის დროს შეიძლება იგრძნო გაბრაზება, მწუხარება, განიცადო ტრიუმფი ან აღშეოთდე. შეგიძლია წარმოიდგინო ზღვის სუსხიანი ქარი, შეიყნოსო ტყის წინვებისა და კვამლის სუნი, შეიძლება იგრძნო ცეცხლის სითბოც. მოკლედ, იქმნება გარკვეული ატმოსფერო, რომელიც წიგნის უკანასკნელ გვერდამდე რჩება მკითხველთან. წოველა გარკვეულწილად დიდაქტიკური და დამრიგებლურიცაა.

რაც შეეხება წოველის მოკლე შინაარსს, მოქმედება მიმდინარეობს შუა საუკუნეების წორვეგიასა და ისლანდიაში. ეს არის, ერთის მხრივ, ძალადობითა და სისასტიკით აღსავსე პერიოდი, მეორეს მხრივ კი ის ეპოქა, როდესაც წორვეგია თავისუფლდება წარმართობისგან და ქრისტიანობა ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მთავარი პერსონაჟები არიან ვიგდის გუნარსდატერი და ვიგა-ლიოტ გისურსენი. ვიგდისი არის წორვეგიაში მცხოვრები მდიდარი მიწათმფლობელის, გუნარის ქალიშვილი. გუნარს სტუმრობს ისლანდიელი ვიკინგების ჯგუფი, რომელთა შორისაც არის ახალგაზრდა ვიგა-ლიოტი. ქედმაღალი ვიგდისი მოხიბლულია ვიგა-ლიოტით და ვაჟიც არ არის გულგრილი მის მიმართ. ლიოტი გუნარს ვიგდისის ხელს სთხოვს, თუმცა მამა უარს ამბობს, რადგან არ სურს, მისმა ქალიშვლმა წორვეგიასაგან შორს, ისლანდიაში იცხოვროს. ლიოტი ისეთი რაინდი არ აღმოჩნდება, როგორზეცად წოველის მთავარი გმირის მსგავსი გოგო შეიძლება ოცნებობდეს და მასპინძელს სტუმართმოყვარეობისათვის იმით უხდის მადლობას, რომ ტყეში აუპატიურებს ვიგდისს. ამ მომენტიდან შურისძიების წყურვილი და სისასტიკე ახალგაზრდა ქალიშვილის ცხოვრების თანამდევი ხდება. ლიოტი წავა, ვიგდისი კი გააჩენს ვაჟს, რომელსაც მიატოვებს და სასიკვდილოდ გასწირავს. ბავშვს დედისაგან მალულად მოახლე აღზრდის და ვიგდისი მოგვიანებით უხალისოდ მიიღებს თავის ვაჟს, რომელსაც ულვარს დაარქმევს. ერთი წლის შემდეგ მასთან ბრუნდება ლიოტი, რომელიც ვიგდისს ისლანდიაში წასვლას სთავაზობს. ვიგდისი მას დანით დაჭრის, დასწყევლის და უსურვებს, რომ იცხოვროს ხანგრძლივი და უბედური სიცოცხლით, და რომ თვალწინ დაეხოცოს ყველა საყვარელი ადამიანი. ორი წლის შემდეგ მეზობლად მცხოვრები ბატონი გუნარს სიტყვას გადაუკრავს მისი სახელგატეხილი ქალიშვილის შესახებ და მომხდარი შელაპარაკების შედეგად მოხუცი გუნარი სასიკვდილოდ დაიჭრება. ვიგდისი ღამით მიადგება ამ ბატონის ოთახს და კლავს მას. სახლში დაბრუნებული მომაკვდავ მამას აუნყებს, რაც ჩაიდინა. გუნარი კვდება, ვიგდისი და ულვარი კი საცხოვრებელ ადგილს ტოვებენ თავის გადასარჩენად. ვიგდისი ავლენს დაუჯერებელ გამბედაობასა და მხნეობას, თხილამურებით მისრიალებს ყინვიან ღამეს ზურგზე მობმული პატარა ბავშვით. დრო გადის, ულვარი იზრდება. ვიგდისი მას ლიოტის შესახებ უამბობს და როცა ბიჭი მასთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამს, ვიგდისი პასუხობს: „თუ ჩემი შვილი ხარ, ეს შეხვედრა იმით უნდა დამთავრდეს, რომ ვიგა-ლიოტის თავი უნდა მომიტანო და მუხლებზე დამიდო“. ისე შეუბრალებლად და უმოწყალოდ, როგორც ეს ბერძნულ ტრაგედიებშია, ვიგდისის წყევლა ლიოტის მიმართ, ისევე როგორც მისი სურვილი, ცხადდება.

„ვიკინგები“ ასახავს იმ თემებს, რომლებიც პოპულარული იყო შუა საუკუნეებში, საგების ეპოქაში, ზოგიერთი მათგანი კი აქტუალური იყო უნსეტის დროსაც და აქტუალურია დღესდღეობითაც. სიუჟეტში ძირითადი თემებია სიყვარული, შურისძიება, სისასტიკე, ძალადობა, მკვლელობები, სოციალური კოდექსი. ამათ გარდა, არის საინტერესო დეტალები, როგორებიცაა მაგ. ისტორიული მოვლენები, ანუ ქრისტიანობის გავ-

ცრელება სკანდინავიაში, ვიკინგებისა და შოტლანდიელების ბრძოლა, მეფე ოლავ I, რომელიც რეალური პიროვნება იყო, აგრეთვე მოხსენიებულია ზოგიერთი ტოპონიმი.

შევეცდები, გამოვყო ჩემთვის საინტერესო თემები, რომლებიც სიგრიდ უნსეტს ამ ნოველაში აქვს ასახული. მათგან ყველაზე თვალში საცემია შურისძიება, სისხლის აღება, რომელიც გერმანიკული ხალხებისათვის უძველესი დროიდანვე ჩვეულებრივი საქმე და უპირველესი მოვალეობა იყო. ძველი გერმანიკული საზოგადოება საკმაოდ მებრძოლი, გამბედავი და თავმოყვარე ხალხისაგან შედგებოდა. ტევტონებს შურისძიება ხშირად ლამის ცხოვრების აზრად ექცეოდათ ხოლმე, რამდენადაც თავს შეურაცხყოფილად ან დამცირებულად გრძნობდნენ, სანამ ახლობლის ან ნათესავისათვის სისხლს არ აიღებდნენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მკვლელისაგან კომპენსაციის სახით გარკვეულ გამოსასყიდს (ფულს, საქონელს და სხვა) არ მიიღებდნენ. „ვიკინგების“ მოქმედებაც მიმდინარეობს სწორედ სკანდინავიის ისტორიის იმ პერიოდში, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძალადობით და ამ დროს სისხლიანი შურისძიება, იგივე ვენდეტა ძველად სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. როგორც წესი, შურისძიების უფლება ჰქონდა მსხვერპლის მამაკაც ნათესავს. რომანში ამისი კარგი მაგალითია ვიგა-ლიოტის ბავ-შვობისდროინდელი მოგონება, როდესაც მან ცამეტი წლის ასაკში მამამისის მკვლელს მოუღო ბოლო. თუ არ არსებობდა მამაკაცი მემკვიდრე, ამ შემთხვევაში ქალს ენიჭებოდა უფლება თავის თავზე აეღო ამ „წესის“ აღსრულება. იმდროინდელი სკანდინავიელი ქალები ფიზიკურადაც და მორალურადაც მზად იყვნენ იმისათვის, რომ შეიძლებოდა ერთ დღეს მათი სატრფო მოეკლათ და კარგად იცოდნენ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა სწორედ მათ აეღოთ დაღუპულის სისხლი. ვიგდისიც შუა საუკუნეების ვიკინგი ქალია. ნოველაში საინტერესო ეპიზოდია, თუ რა სიამოვნებით კლავს ის მამამისის შეურაცხყოფელს, ეიოლვ არნესონს. სამჯერ ჩასცემს მას დანას, ბოლო დარტყმისას კი ტარს ხელს უშვებს, დანას ჭრილობიდან არ იღებს და უყურებს, თუ როგორ კვდება ეიოლვი. შემდეგ ხელებს ამოავლებს სისხლში და მოკლულის თმას შეაწმენდს. შინ დაბრუნებული მომაკვდავ მამას აუწყებს, რაც ჩაიდინა. გუნარი უწონებს საქციელს და ეუბნება, რომ ის ისეთი მამაცი და კეთილშობილი ქალია დადგა, როგორიც მას სურდა ყოფილიყო. ეს ჭეშმარიტი ვიკინგური სისასტიკის ცხადი მაგალითია.

რაც შეეხება ვიგდისის პირად შურისძიებას მისი შეურაცხყოფის გამო, ის ვერ ისვენებს მანამ, სანამ არ აისრულებს წადილს და მისი შვილი, ულვარი კალთაში ჩაუდებს ლიოტის თავს, თუმცა არც აქ ჰპოვებს იგი სიმშვიდეს. ვიგდისი თავად იხდის საფასურს თავისი შურისგებისათვის, კვდება მარტოობაში, თავისი შვილის თანდასწრების გარეშე. შეიძლება ბედის ირონია, რომ თავად სიგრიდ უნსეტიც მარტოობაში დაიღუპა 1949 წელს. მისი ერთი შვილი მაშინ მოკვდა, როდესაც ნორვეგიას ნაცისტების ოკუპაციისა-გან იცავდა. მეორე, გონებრივად ჩამორჩენილი ქალიშვილი 20 წლის ასაკში დაიღუპა, ხოლო მესამე ვაჟი რატომლაც ხშირად არ კონტაქტობდა დედასთან.

საინტერესო თემაა აგრეთვე სექსუალური ძალადობა და მისი შედეგები. ეს თემა იმ კუთხით, როგორც წარმოჩენილი აქვს უნსეტს, თანამედროვე ცხოვრებაშიც ძალიან მნიშვნელოვანია. ავტორმა პასაუები ისესხა არა მხოლოდ ისლანდიური საგებისგან, არა-მედ სკანდინავიური ბალადებიდანაც. არსებობს სულ მცირე 20 ბალადა, რომელმაც დღემდე მოაღწია და რომელიც აღწერს გაუპატიურების თემას. ვიგდისის მძვინვარება ლიოტის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის გამო და მისი ენით გამოუთქმელი ტანჯვა ფეხმძიმობის დროს, აგრეთვე მისი მძიმე მშობიარობა მარტოობაში საკმაოდ ადვილი გა-

საგებია მკითხველისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, ვიგდისსა და ლიოტს თავიდან-ვე მოსწონდათ ერთმანეთი, რამოდენიმეჯერ შეხვდნენ ტყეში, სადაც კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ ერთმანეთს, ლიოტმა კი არაერთხელ გამოთქვა ვიგდისზე დაქორნინების სურვილი, შესაძლოა ლიოტის ქმედება არც ჩავვეთვალა კრიმინალად, თუმცა, როგორც ჩანს, უნსეტს ესმის, თუ რა მტკივნეულია ქალისათვის, როდესაც მასზე ახორციელებენ ძალადობას, მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება უყვარდეს კიდეც თავდამსხმელი.

ლიოტის ქმედებას მოჰყვება ნაძალადევად ჩასახული ბავშვი. მძიმედ არის აღწერილი ბავშვის დაბადება. ვიგდისი მას მარტოდმარტო ტოვებს მინდორში, ქვებს შორის და რომ არა მოსამსახურე ქალის გულისხმიერება, რომელმაც ბიჭუნა გადაარჩინა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ბავშვი გარკვეული პერიოდი ცალკე იზრდება. ვიგდისს თავიდან მის მიმართ არანაირი გრძნობა არ გააჩნია და მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვეტს ბავშვის აღზრდას ხელი მოჰყიდოს, როცა გააცნობიერებს, რომ მომავალში მისი გამოყენება ლიოტზე შურისაძიებლად შეიძლება. შვილის სიყვარული ნელ-ნელა, დროის განმავლობაში მოდის. ახალშობილის სასიკვდილოდ მიტოვება არ იყო იშვიათი მოვლენა და არ ითვლებოდა ცუდ ქმედებად (თუმცა აბორტი გათანაბრებული იყო უმძიმეს დანაშაულთან). მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ჩვილის ბედის ანაბარად მიგდება საკმაოდ გავრცელებული იყო, ვიგდისის სასოწარკვეთილება ბავშვის დაბადების მომენტში დღესაც პოულობს გამოძახილს, როდესაც ჩვენ ახალი ამბების გამოშვებაში ხშირად გვესმის მიტოვებული და სანაგვეზე გადაგდებული ბავშვების შესახებ.

საინტერესოა ძლიერი ქალის სახე „ვიკინგებში“. ვიგდისი გულადი და ჭკვიანი ქალია, რომელსაც გასაჭირი აწრთობს. ის მარტო ზრდის ბავშვს და იცავს თავის ავტონომიას სამყაროში, რომელსაც კაცები მართავენ. ის მარტოდმარტო ახერხებს თავისი ცხოვრების წარმართვას და აღადგენს თავისი ოჯახის ღირსებას და ეს ყველაფერი მე-10-მე-11 საუკუნეებში. ვიგდისის პერსონაჟი შეურაცხყოფის შედეგად ფორმირდება. წიგნში ჩვენ თვალს ვადევნებთ მის ცხოვრებას, რომელიც არეულ-დარეული და არც ისე ბედნიერია, თუმცა ვიგდისი არ არის საცოდავი. უნსეტ საკმაოდ კარგად გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ცოდვის მსხვერპლი თავად იქცეს ცოდვილად.

ქრისტიანული რწმენა ძალიან მნიშვნელოვან ხაზად გასდევს ამ ნაწარმოებს. ნორვეგიაში ქრისტიანობის გავრცელების პირველი ნიშნები უკავშირდება მეფე ჰაკონს, რომელიც ინგლისში გაიზარდა და მეფობდა 934–961 წელს. მისი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა დროთა განმავლობაში ქრისტიანობა უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. „ვიკინგებში“ მოქმედება მიმდინარეობს იმ პერიოდში, რომელიც ემთხვევა მეფე ოლავ I-ის მოღვაწეობის წლებს. მეფე ოლავი არის კიდეც ნოველის ერთერთი პერსონაჟი. როგორც სიუჟეტიდან იკვეთება, იმ პერიოდში ქრისტიანობას ჯერ კიდევ არ აქვს ფეხი კარგად მოკიდებული ნორვეგიაში და წარმართული საწყისები ისევ არის ხალხში შემორჩენილი. მთავარი პერსონაჟები მონათლული არიან ქრისტიანულად, თუმცა ეს ხდება არა მათი რწმენის გამო, არამედ – სხვა, კონკრეტული მიზნით. მაგალითად, ლიოტი ღრმა ჭრილობისაგან განკურნა ერთმა ქრისტიანმა კაცმა, რომელმაც გასამრჯელოდ არაფერი აიღო, ლიოტმა კი მადლობის ნიშნად თავი მოანათლვინა მას. რაც შეეხება ვიგდისის, ის ინათლება იმის გამო, რომ მოიპოვოს მეფე ოლავის ნდობა, რომელთანაც მას გარკვეული სათხოვარი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ვიგდისი გაქრისტიანდა და მკაცრად იცავს ქრისტიანულ წესებს, გამომდინარე მისი ცხოვრები-

დან და სურვილებიდან, აშკარაა, რომ მისი სული ისევ წარმართულ სამყაროს ეკუთვნის და ის შორსაა ქრისტიანული მიმტევებლობისაგან.

ნოველის სიუჟეტის ნაწილი ისლანდიაში ვითარდება. აქ გაკვრითაა ნახსენები, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ალთინგის ინსტიტუტი. ჯერ კიდევ ტაციტუსი წერდა იმის შესახებ, რომ გერმანიკულ ხალხებს ჰქონდათ სახალხო თავყრილობები, რომელთაც ისინი თინგებს უწოდებდნენ რომლებზედაც მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებს განიხილავდნენ ხოლმე. ისლანდიაში დასახლებულ სკანდინავიელ კოლონისტებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჰქონდათ ადგილობრივი თინგები, ხოლო 930 წელს მათ დააარსეს საყოველთაო თინგი, ანუ ალთინგი, რომელიც ევროპის უძველეს პარლამენტად ითვლება. ალთინგზე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხები, რომელთაც ადგილობრივ თინგებზე ვერ წყვეტდნენ. ხშირად ეს იყო ქონებრივი დავა, ან რაიმე მატერიალური თუ მორალური ზარალის ანაზრაურების მოთხოვნის შემცველი სარჩელი. „ვიკინგებში“ ლიოტი მიეშურება ალთინგზე, სადაც გარკვეული დავა აქვს გადასაწყვეტი და როგორც ჩანს, ამ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისლანდიელი ვიკინგების ცხოვრებაში.

ნოველაში სხვა მრავალი საინტერესო წვრილმანია. მაგალითად, ტოპონიმები, ნახსენებია სოფელი ოსლო, ტრონპაიმი, ფოლდენის ფიორდი, აგრეთვე სხვადასხვა მდინარეები და სხვა გეოგრაფიული პუნქტები.

საერთო ჯამში, „ვიკინგები“ საინტერესოა მრავალი კუთხით. ერთის მხრივ, საინტერესოა განვითარებული სიუჟეტი, მეორეს მხრივ კი – თხრობის ფორმა. ძირითად თემებს შორის ვხვდებით მნიშვნელოვან დეტალებს, რომელთაც შეიძლება უცებ ყურადღება არც მივაქციოთ, თუმცა შემდგომი წაკითხვის დროს უამრავი სიახლის აღმოჩენა შეიძლება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის წიგნი, რომლის წაკითხვაც ღირს, მით უმეტეს იმ ადამიანისთვის, ვინც სწავლობს ან უბრალოდ დაინტერესებულია სკანდინავიური ფილოლოგით.

მაკა დოლიძე

საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, დოქტორანტურა

სკანდინავიური ეკიაჲების ხალხები და მათი ფოლკლორი

ხელმძღვანელები პროფესორები: კახაბერ ლორია, ფრუდე ჭერმუნდგორდი

სკანდინავია არის კულტურული-ისტორიული და ეთნიკურ-ლინგვისტური რეგიონი ჩრდილოეთ ევროპაში, რომელიც მოიცავს სამ ქვეყანას: დანიას, ნორვეგიასა და შვედეთს. მათ გააჩნიათ დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები და ენა. ნორვეგიას „შუალამის მზის ქვეყანას“ უწოდებენ, რადგანაც ჩრდილოეთით პოლარული დღეების პერიოდში მაისიდან ივლისის ბოლომდე მზე პორიზონტს იქით არ ჩადის. ზამთარში კი ხანგრძლივად პოლარული ღამეებია გაბატონებული. ნორვეგია მთიანი ქვეყანაა. მხოლოდ მისი მეხუთედია ზღვის დონიდან 150 მეტრზე დაბლა. ქვეყნის მიწის 72% კლდოვან და მყინვარ ადგილებს უკავია. იხვნება მიწის მხოლოდ 4%; 24% – ტყეა.

IX საუკუნეში ერთ-ერთი ტომის კონუნგმა (ნინამძღოლმა) ჰარალდ I პორფაგრემ (890–940) იარაღის საშუალებით მოახდინა ტომთაშორისი ცენტრალიზებული კავშირის შექმნა. ასე შეიქმნა პირველი ნორვეგიული სახელმწიფო. 1537 წლიდან ნორვეგია დანიის პროვინციად იქცა. 1814 წელს ნორვეგიელებმა დამფუძნებელი კრება მოიწვიეს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და კონსტიტუცია მიიღეს. ამის გამო შვედეთმა ნორვეგიასთან ომი გააჩაღა. ეს ომი შვედეთ-ნორვეგიის უნიით დასრულდა. ნორვეგიამ სრული დამოუკიდებლობა მხოლოდ 1905 წელს მოიპოვა.

ნორვეგიაში ნორვეგიელთა პროცენტული რაოდენობაა 98,5%. ნორვეგიელების გარდა, ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ: საამები (ლოპარები) და კვენები (ნორვეგიელი ფინელები), რომლებიც XVI–XVII საუკუნეებში ფინეთიდან მიგრირებულთა შთამომავლები არიან. **XX** საუკუნეში კვენების დიდი ნაწილი ნორვეგიელთა მიერ იქნენ ასიმილირებულნი. ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთში მცირე რაოდენობით ცხოვრობენ შვედებიც.

შვედების თვითსახელწოდება „სვენსკარ“, რომელიც უკავშირდება ძველგერმანულ ეთნონიმს „სვეი“. შვედების საერთო რაოდენობა 9 მილიონია, მათ შორის, შვედეთში 8,5 მილიონია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში, კანადაში, ფინეთში, დანიასა და ნორვეგიაში. შვედები ნორვეგიელების, დანიელების, ისლანდიელებისა და ფარელების მონათესავენი არიან. ლაპარაკობენ შვედურ ენაზე, რომელიც მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის, გერმანული ჯგუფის ჩრდილოურ ქვეჯგუფს. შვედურ ენაში რამდენიმე დიალექტს გამოჰყოფენ. შვედები ძირითადად (95%) ლუთერანები არიან.

XII საუკუნეში ფეოდალიზმის განვითარებამ ქვეყანაში შვედთა გაქრისტიანება განაპირობა. შვედები კათოლიკები იყვნენ, მაგრამ რეფორმაციის შემდეგ 1527–1532 წლებში მათი უმეტესობა ლუთერანელი გახდა. შვედეთში ეკლესია სახელმწიფოს არც თუ ისე დიდი ხნის ნინ გამოეყო. გერმანელთა ბატონობისაგან თავის დაღწევის მიზნით 1397 წელს შვედეთის, დანიისა და ნორვეგიის კავშირით შეიქმნა კალმარის უნია, რაც დანიის გავლენის გაძლიერებას ნიშნავდა. **XIV–XVI** საუკუნეებში ჯერ გერმანელებთან, შემდეგ კი დანიელებთან ბრძოლამ გააძლიერა შვედთა ნაციონალური თვითშეგნება. შვედებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1477 წ. უპსალაში უნივერსიტეტის გახსნას.

ამავე ქალაქის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს სკანდინავიაში ყველაზე გრანდიოზული გოთიკური სტილის ტაძარი, რომელიც XIV საუკუნეშია აგებული. აქვთ მხარეთ-მცოდნეობის, ეთნოგრაფიული და სამხატვრო მუზეუმები. უპსალა XII ს-დან იყო არქიეპისკოპოსის რეზიდენცია და 1719 წლამდე შვედეთის მეფეების კორონაციის ადგილი. შვედების ნაციონალური თვითშეგნებისა და კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1523 წლის დიდი აჯანყების შემდეგ დანიასთან კავშირის გაწყვეტას. აჯანყებას გუსტავ ვაზი ხელმძღვანელობდა, რომელიც შემდგომ მეფედ იქნა არჩეული. ასე დაირღვა კალმარის უნია.

შვედებმა მსოფლიოში პირველებმა დაბეჭდეს ქალალდის ფული. 1661 წელს სტოკოლმის ბანკმა ვერცხლის ფულის გამოშვება შეწყვიტა და ქალალდის ფულის „დალერის“ გამოშვება დაიწყო.

დედაქალაქი სტოკოლმი განლაგებულია თოთხმეტ კუნძულზე (დაარსდა 1252 წელს), რომლებიც ერთმანეთთან ოცი ხიდითა დაკავშირებული. შვედები თავიანთ დედაქალაქს „ჩრდილოეთის ვენეციას“ უწოდებენ. შვედეთში სკოლების უმეტესობა სახელმწიფოა. შვედებმა მსოფლიოში პირველებმა შემოიღეს საყოველთაო უფასო სწავლება 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. საყოველთაო სწავლება კი 1842 წელს დააწესეს.

რაც შეეხებათ დანიელებს, ისინი იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და დანიის კუნძულების მოსახლეობის ძირითადი მკვიდრები არიან. დანია 500-მდე კუნძულის ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა შორის 450 უმცირესია. დანიელთა თვითსახელწოდებაა „დანსკერე“. ისინი ძირითადად განსახლებულნი არიან დანიაში. მათი რაოდენობა 5,7 მილიონია, რომელთაგან დანიაში 5,1 მილიონზე მეტი ცხოვრობს. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე შვედეთში, ნორვეგიაში, გერმანიაში (შლეზვიგ-ჰოლშტაინის მიწებზე). მათი სასაუბრო ენა დანიურია, რომელიც მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის სკანდინავიურ ქვეჯგუფს და სამ დიალექტს მოიცავს. დანიური დამწერლობის უძველესი ძეგლები IX-XI საუკუნეებს მიეკუთვნება (შესრულებულია „რუნული“ დამწერლობით), რომლებიც ამოკვეთილია კონუნგების საფლავის ქვებზე. XIII-XIV საუკუნეებს ეკუთვნის ლათინური გრაფიკის საფუძველზე შესრულებული ხელნაწერები (ძველდანიური საოლქო კანონები). 1495 წ. დანიურ ენაზე დაიბეჭდა პირველი ნაბეჭდი წიგნი.

სკანდინავიის ისტორიაში პირველყოფილი წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის ეპოქა ესაა ე.წ. ვიკინგების ეპოქა (დაახლ. 800 წლიდან 1050 წლამდე). ვიკინგების ლაშქრობებმა და დაპყრობებმა დანიაში ფეოდალიზაციის პროცესი დააჩქარეს. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. 866 წელს დანიელი ვიკინგი გუტრუმი გადავიდა აღმოსავლეთ ინგლისში, მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო და თავი მეფედ გამოაცხადა. 911 წელს დანიელმა და ნორვეგიელმა ვიკინგებმა მდ. სენის შესართავთან ნორმანდიის საპერცოგო დაარსეს. დღეს საფრანგეთის ამ პროვინციას ნორმანდიას უწოდებენ (კონტინენტურ ევროპაში ყველა სკანდინავიელი ვიკინგი ეთნონიმ „ნორმანის“ სახელით იყო ცნობილი). ვიკინგების პერიოდში აღმოსავლეთ ინგლისისა და ნორმანდიის ახალმოსახლეები ლაპარაკობდნენ მათ მშობლიურ სკანდინავიურ ენებზე, ძირითადად დანიურზე, რასაც აღმოსავლეთ ინგლისის ისტორიული ოლქის ანელან-ის სახელწოდებაც ადასტურებს.

დანიელებმა ქრისტიანობა მიიღეს მეფე ჰარალდ ლურჯკბილას დროს (940-985), რომელმაც ეკლესიას მიწები მისცა და ფეოდალური პრივილეგიები მიანიჭა. დღეს დანიელები ძირითადად ლუთერანები, აგრეთვე სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობით დანიელები მიმდინარეობით დანიურზე, რასაც აღმოსავლეთ ინგლისის ისტორიული ოლქის ანელან-ის სახელწოდებაც ადასტურებს.

ბის მიმდევარნი და კათოლიკეები არიან. დანიაში კათოლიკური სარწმუნოება XVI საუკუნეში შეიცვალა ლუთერანიზმით, რომელიც სახელმწიფო რელიგიად იქცა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ეკლესიის მეთაურს მეფე წარმოადგენდა.

დანიურმა ნაციონალურმა კულტურამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამ თვალსაზრისით ჰანს ქრისტიან ანდერსენის (1805–1875) სახელის დასახელებაც იქმარებს, რომლის ზღაპრებიც პლანეტის ყველა კუთხეში უყვართ. საყოველთაო ევროპული აღიარება აქვს მოპოვებული მწერალ ლუდვიგ ჰოლბერგს (1684–1754). ის იყო დანიური თეატრის ფუძემდებელი და ავტორი წიგნისა „დანიის სახელმწიფოს ისტორია“. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენს „ჩრდილოეთის პარიზს“ უწოდებენ. აქაა ბევრი ტაძარი, ციხე-სიმაგრე, მუზეუმი.

უძველესი დროიდან დღემდე სკანდინავიური ქვეყნები მდიდარია ტრადიციებითა და ფოლკლორით. სკანდინავიელი ხალხების მეხიერება ძალიან დიდია. მათი რწმენა საკუთარ თავში შეიცავდა მისტიკასა და ზებუნებრივს. XII საუკუნეში დაიწყეს ლეგენდების წერა. ამას საფუძველი ჩაუყარა კუთხურმა ფოლკლორმა, რომელიც შედგებოდა არამხოლოდ გენეალოგიურ-ისტორიული, არამედ ზებუნებრივი ელემენტებსაგანაც. ხშირად ამას მივყავართ იმ შედეგამდე, რომ ნაწარმოების ისტორიული ღირებულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, თუმცა ამავდროულად ლეგენდა იძენს მეტად შთამბეჭდავ ხასიათს, იგი ხდება უფრო სახიერი და გაცილებით რთული დასავინყებლად. ზღაპრებისა და ლეგენდების ეს ბუნება შენარჩუნდა მთელი საუკუნეების განმავლობაში. სკანდინავიური ფოლკლორული ეპოქა მოიცავს მთელს ათას წელიწადს, როდესაც ხალხის რწმენა თანდათან იცვლებოდა უფრო განყენებულისაკენ, იბადებოდა ახალი იდეები, მაგრამ ამავდროულად წარმოდგენები ინარჩუნებდნენ თავის ძირეულ ხასიათს. სწორედ ამ მიზეზითაა, რომ მკითხველისათვის იგი არის და კიდევ დიდხანს იქნება ძალიან საინტერესო, წარმტაცი და ღირებული.

თუ ჩვენ დავუშვებთ იმას, რომ მსოფლიო ფოლკლორულ კულტურაში ყველაზე დიდი ადგილიუჭირავს დიდი ბრიტანეთის ფოლკლორს, იქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს განმოწვეულია იმითაც, რომ სკანდინავიური კულტურის ძალიან მცირედი ნაწილია მიწოდებული მკითხველისათვის. როდესაც ბენუამინ თორფმა (1782–1870, ანგლო-საქსური კულტურის მკვლევარი) 1856 წელს გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „Northern Mythology“, მის მიერ განხილული მასალები აღმოჩნდა ძალიან მწირი, რადგან მასში თანამედროვე ისლანდიური ფოლკლორი საერთოდ არ გახლდათ განხილული და ინფორმაციები საგებსა და ლეგენდებზეც ნაკლები დოზით იქნა წარმოდგენილი. მაშინ გარკვეული ძალიან ღირებული ნაშრომები, განსაკუთრებით დანიური კრებულები ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული. თუმცა ახლა, ამ საკითხებზე ინფორმაციის მოპოვება გაცილებით ხელმისაწვდომია.

სერ უილიამ კრეიგის (1867–1957, ბრიტანელი ფილოლოგი და ლექსიკოგრაფი) მიერ 1896 წელს გამოცემულ წიგნში იყო ერთ-ერთი პირველი მცდელობა ზოგადად განხეხილა სკანდინავიური მითოლოგია, მაგრამ ამავდროულად გადმოეცა უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია დროითი კონტექსტის გათვალისწინებით. თორფმის ნაშრომში მითები და ზღაპრები დალაგებულია თემატურად და არა შექმნის ადგილის მიხედვით. ნაწარმოების ხასიათური შტრიხები განპირობებულია მათი წარმოშობის ადგილების მიხედვით, ამიტომ წიგნებში მათი რიგითობითი დალაგება არ ემსახურება ლოგიკას.

სკანდინავიური ქვეყნების ფოლკლორი მდიდარია მრავალფეროვანი ზღაპრებით და ლეგენდებით სხვადასხვა არარეალური, მისტიური არსებების შესახებ. პასაუები ლეგენდებიდან ამტკიცებენ, რომ ძირითადი ისტორიები გაცილებით ძველია იმ პერიოდზე, როდესაც ამ გადმოცემებს ლეგენდებისა თუ ზღაპრების ფორმა მიეცათ. უფრო გვიანდელი ნაწყვეტები კი წარმოდგენილია იმ სახით, რა სახითაც იგი დღეისთვის არის ცნობილი ჩვენთვის. თავად ნამუშევრები არიან კონკრეტული მონაცვლეობა ძველი და ახალი მრწამსების ვარირებისა, მაგრამ ეს ორი ერთი შეხედვით, იშვიათად თუა წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, რადგან ნაწარმოებები ცდილობენ გვიჩვენონ ამ ორი, თავისთავად წინააღმდეგობრივი იდეების ერთინობა. როცა კი შესაძლებელია რწმენა გამოტანილია როგორც ნარატივის განსხეულება, მაგრამ არა როგორც მხოლოდ როგორც ზოგადი ფაქტების მტკიცებულება ისტორიული წარსულიდან. თითოეული ლეგენდა არის ფოლკლორის სული, რომელიც ხდის კონცეფციას ცოცხალს და საინტერესოს. ძალიან ბევრ შემთხვევაში ამ უძველესმა წყარომ რომელიც მოიპოვება შემოგვინახა ის რწმენები, რომლებიც დღეს ჩვენთვის ცნობილია. რასაკვირველია, ეს ლეგენდები თავიდან ზეპირსიტყვიერებით გადეცემოდა მამიდან შვილის თაობას, რადგან წერა-კითხვა ჯერ კიდევ საყოველთაოდ გავრცელებული არ იყო. ზღაპრები და ლეგენდები იყო არამხოლოდ დამრიგებლობითი ფუნქციის, არამედ გასართობი, რადგან არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, რეალობით გადაღლილი და დაქანცული ხალხი კაბალურ-მისტიკურ სარჩულში პოულობდა სულიერ თავშესაფარს. სწორედ ამას ამტკიცებს დანიელი შემგროვებელი საკუთარ მონათხრობში. იგი გვიამბობს, რომ ვინმე ტვერ სკეიდის ცოლმა ყველაზე ექსპრესიული მანერით მოუთხრო, თუ როგორ მუშაობდა გვიან ღამით მამამისის დასახმარებლად, რომელიც იყო ცელების ოსტატი. დღისით მამა თევზაობდა, ღამე კი მუშაობდა თავის სამჭედლოში. მას იშვიათად ეძინა ღამეში 4 საათი, რადგან ჰყავდა დიდი ოჯახი და იყო ძალიან ღარიბი. როგორც კი ბავშვები დასახმარებლად გამოსადეგ ასაკს მიაღწევდნენ, ისინი იწყებდნენ მამამისთან სამჭედლოში საბერველთან მუშაობას. მამა კი მათ უყვებოდა ზღაპრებს რომ არ ჩასძინებოდათ. სხვა ქალმა კი მოყვა, თუ როგორ დაატარებდა დედამისი სამათხოვროდ და რიგრიგობით უყვებოდა ზღაპრებს გზის შესამსუბუქებლად. ზღაპრებმა და ლეგენდებმა დიდი როლი ითამაშა თუნდაც ნორვეგიელი ხალხის დუხტირი და მარტოსული ყოფის გადატანაში. აგრეთვე მათ ჰქონდათ დიდი საგანმანათლებლო ფუნქცია იმ გარემოში, რომელიც გარკვეული მიზე-ზების გამო მოწყვეტილი იყო სხვა მენტალურ ინტერესებს, განსაკუთრებით უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეში.

მაგრამ ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეული ვერსიები იდეოლოგიურად ეკუთვნის უკვე იმ პერიოდს, როდესაც ნორდიკულ ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის შეტანა დაიწყეს. ზღაპრების წაკითხვისას მარტივად გასაგები ხდება, თუ რაოდენ დიდი პოლიტიკა იქნა გატარებული ხალხის ცნობიერებაში ქრისტიანობის დასამკვიდრებლად. მოგეხსენებათ რომ, სკანდინავიური ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში წარმართული მრწამსისანი იყვნენ და საკმაოდ მტკიცებულად განიცადეს ის ცვლილებები, რომელიც გატარებული იქნა მათი მეფეების მიერ XI–XIII საუკუნეებში.

ზემოთქმულის მტკიცებულებით გასამყარებლად მაგალითად წარმოგიდგენთ ერთერთ ზღაპარს, რომელიც მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ სტერეოტიპული ელემენტებისგან შედგება (ვგულისხმობ ისეთ მსგავსებებს სხვა ქვეყნების ზღაპრებთან, როგორიცაა მთავარი გმირების, როგორც სამი ძმის არსებობა, რომლთა გმირობა—წარუმა-

ტებლობაზეა აგებული მთელი მონათხრობი, ამას დავუმატოთ ბოროტი გრძნეულების არსებობა, რომლებც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გმირების რეალობში. ასევე ფრიად სტერეოტიპულია უმცროსი ძმის, როგორც ყველაზე მოხერხებული, მომთმენი და მიზანსწრაფული გმირის სახე, რომელიც ზღაპრის ბოლოს აუცილებლად გამარჯვებულია ხოლმე.), საკმაოდ მრავლისმეტყველ პასაუებს მოიცავს.

„ლეგენდა შვიდ კვიცზე“¹, რომელიც შესულია 1956 წელს გამოცემულ საერთაშორისო ზღაპრების კრებულში, განყოფილებაში “SCANDINAVIAN LEGENDS AND FOLK-TALES”, გვინ ჯონსი სხვა ლეგენდათა შორის მოგვითხრობს, ამბავს სამი ძმისა, რომლებიც ტყის პირას, ხის სახლში ღარიბულად ცხოვრობდნენ. ერთ დღესაც ისინი გადაწყვეტენ ბედის საძებნელად წასვლას. მაგრამ იმ გასხვავებით რომ, ჯერ უფროსი მიდის სახლიდან, და ასე რიგ-რიგობით. ყოველი მათგანი გზაზე მეფეს ხვდება, რომელიც მათ თავის ქალიშვილს და სიმდიდრეს ჰპირდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებენ შვიდი კვიცის გაძლოლას მთელი დღის განმავლობაში. დღის ბოლოს კი ვალდებული არიან მეფეს მოუყვნენ, თუ რა ჭამეს და სვეს ამ კვიცებმა მთელი დღის მანძილზე. უფროსი და შუათანა ძმა ერთსა და იმავე მახეში ებმებიან. ისინი მწყემსვისას გაოფლიანებული და დალლილები ებმებიან ბებერი კუდიანის მახეში, რომელიც გამოქვაბულში ცხოვრობს და მათ უხმობს. დასვენების იდეით მოხიბლული იოლად თანხმდებიან კუდიანის შემოთავაზებას და მასთან მოსასვენებლად დარჩენილთ დრო ისე ეპარებათ, რომ გონზე მოსვლას მხოლოდ შებინდებისას ახერხებენ. ისინი მნარედ ისჯებიან მეფესთან მიბრუნებული, რადგან არ უწყიან კვიცების დღის შესახებ არაფერს და ცდილობენ გამოძვრნენ კუდიანის ნასწავლი ტყუილით. ამ ტყუილს კი მეფე იოლად ცნობს და მათ პირობის ვერ შესრულების გამო დაპირებისამებრ სასტიკად სჯის. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით მხოლოდ უმცროსი ძმა შეძლებს ამ ყველაფერში რუტინის ნაცვლად სიამოვნების დანახვას და კვიცების მწყემსვის ნაცვლად მათთან თამაშს იწყებს, ხოლო დედაბრის მიპატიუებას გამოწვევით პასუხობს „თავად თუ მოახერხებ, აბა დამეწიე!“

ამ საქციელით მოხიბლული უმცროსი კვიცი ბიჭს ზურგზე მოისვამს და ამ მოგზაურობაში ის შეიტყობს კვიცების მოჯადოების საიდუმლოს. ჯერ ისინი მოხვდებიან პატარა ოთახში, სადაც დაუანგული ხმალი, ორი დაწნული ქვევრი და ორი არყის ტოტი დევს. უმცროსი კვიცი სთხოვს ჩვენს გმირს ხმლის მოქნევას, მარამ სანამ ბიჭი ქვევრიდან სითხეს არ დალევს, მისი აწევაც კი გაუჭირდება, მაგრამ სითხის დალევის შემდეგ იოლად მოიქნევს მას. ეს ხმალი საჭიროა იმისთვის რომ კვიცებმა დაიბრუნონ ადამიანური სახე. ამისათვის კი მათ უნდა მოაჭრას მწყემსმა ბიჭმა თავები და კუდებს შეახოს. როგორც ირკვევა გამოქვაბულში მცხოვრები კუდიანი დედაბერი ის ტროლია, რომელმაც უფლისწულები მოაჯადოვა და კვიცებად გადააქცია. საგულისმოდ და ხაზგასასმელად მიმაჩნია ის შემდგომი პასაუი ზღაპრიდან, როდესაც გზაზე შვიდივე კვიცი და უმცროსი ძმა ეკლესიაში შედიან ცისფერი ბაფთის მსგავსი მდინარის გადავლით. ეკლესიაში ისინი ისევ მომხიბლავ პირინცებად იქცევიან და ზიარებას იღებენ, იქიდან გამოსულები კი ისევ კვიცებად გადაიქცევიან დაბრუნდებიან სახლში. მთავარ გმირს თან მოაქვს ღვინო და პური, რომ აჩვენოს მეფეს თუ რა მიირთვეს მისმა კვიცებმა. საღამოს მეფესთან ყველაფერი ბეჭდიერად სრულდება. უმცროს ძმას პრინცესა ერგება დაპირებისამებრ, კვიცები კი იბრუნებენ პირვანდელ, ადამიანურ მდგომარეობას მწყემსი ბიჭის მიერ წამოღებული ხმლის, ღვინისა და პურის წყალობით.

მეორე ლეგენდაში, რომელიც აგრეთვე განსახილველად ღირებულად მიმაჩნია, მოთხოვობილია როგორ აშენდა პირველი წორვეგიული ეკლესია.

ნორვეგიის მეფე სახელად წმინდა ულავი შენუხებული დაძრნოდა ქვეყანაში ფიქ-რით, როგორ აღემართა ეკლესია საკუთარ ქვეყანაში ისე რომ საკუთარი ერის მხრებზე დიდი სიმძიმე არ დაედო გადასახადების სახით. რადგან მას სურდა აეშენებინა ისეთი სილამაზისა და ზომის ეკლესია, რომლის ბადალსაც ვერავინ იპოვიდა. სანამ ამ ფიქრით გართული დაეხეტებოდა, გადაეყრა უზარმაზარი ზომის ადამიანს, რომელმაც ჰკითხა თუ რა ანუხებდა მას. მეფემ უპასუხა: „რად არ ვიქნები დამწუხრებული. მე დავდე ფიცი, რომ ავლმართავდი ეკლესიას, რომლის შესადარიც არ იქნებოდა ამ მინაზე.” თროლი შეპპირდა რომ არმართავდა ასეთ ტაძარს, თუ სამუშოს დამთავრების შემდგომ მეფე ულავი მისცემდა მზეს, მთვარეს ან საკუთარ თავს. მეფე დათანხმდა, თუმცა ტაძრის ნახაზი იმდენად გრანდიოზული გააკეთა, რომ ტროლისთვის შეუძლებელი ყოფილიყო დროში მისი აგების მოსწრება. ის იმ სიდიდის უნდა ყოფილიყო, რომ 7 მამაოს ერთად შეძლებოდათ წირვას გაძლოლოდნენ ისე, რომ არცერთს გაეგონა ერთმანეთის, რომ არ შეშლოდათ ხელი. აგრეთვე ორნამენტები ეკლესიაში დამ ის გარეთ უნდა ყოფილიყო ყველაზე რთულად გათლადი ქვისაგან და კიდევ რამოდენიმე დამამძიმებელი პირობა იყო წამოყენებული მეფის მიერ. მაგრამ ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე მეფემ დაინახა ტაძარი, რომელიც იყო თითქმის დასრულებული. მხოლოდ ბოლო წვერი იყო დაუსრულებლად. როდესაც მეფემ იხილა, რომ ტროლმა მოახერხა პირობის შესრულება დამწუხრდა და გაემართა მთისკენ დასაფიქრებლად და დადებული შეთანხმების სათანადოდ გასახსენებლად. როდესაც იყო მთაში მოესმა ბავშვის ტირილი, რომელსაც მოჰყვა ტროლის ცოლის ხმა: „ჩუმად პატარავ, ხვალ ამინდ-ქარი მამაშენი უეჭველად მოვა და მოგიტანს ან მთვარეს ან მზეს ან თვით წმინდა ულავს.” მეფემ გაიგო რა ტროლის სახელი, მოაგონდა, რომ თუ ქრისტიანი ტროლს სახელით მიმართავდა ტროლი დაკარგავდა ძალას და ქვებად დაიმსხვრეოდა. ულავი მსწრაფლ ჩამობრუნდა და ტაძრის კენწეროში მოქცეულ ტროლლს სახელით მიმართა: „ამინდ-ქარო, შენ არასწორად აკეთებ წვეროს”. ტროლი წამსვე წამსხვრევებად იქცა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი ტროლლს ერქვა ფოლადი.

თუ დავაკვირდებით ორივე ლეგენდაში ულოგიკოდ არის შეზავებული წარმართული და ქრისტიანული ელემენტები, თან ამბიციით თითქოს ეს ორი ორგანულად უნდა ერწყმოდეს ერთმანეთს, თუმცა გამოცდილი მიკითხველისათვის გამაღიზიანებელიც კია ის შეუსაბამობები, რასაც ვაწყდებით მსგავსი ფორმით მოწოდებულ ბევრ სხვა ლეგენდაშიც. ჩვენს სასაუბრო თემას არ წარმოადგენს ზღაპრებზე სკურპულოზური კვლევა ფსიქოლოგიურ ჭრილში, თორემ ჩვენ მკაფიოდ დავინახავდით თუ რა ძირეული განსხვავებებია სკანდინავიურ მითოლოგიის შემქმნელი ერის ცნობიერებასა და ზღაპართა და ლეგენდათა „ავტორ“ ერს შორის.

ძველი სკანდინავიური მითოლოგიის უმნისვნელოვანესი ძეგლი და ამასთან ისლანდიური ეპოსის ლირსესანიშნავი ქმნილებაა „უფროსი ედა“. დღესაც გაურკვეველია სიტყვა „ედა“ -ს მნიშვნელობა, მისი ეტიმოლოგია. ერთნი ფიქრობენ ომ იგი შესაძლოა „პოეტიკას“ ნიშნავდეს, თუმცა მეორეთა მტკიცებით „დედადის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული. მესამე ვერსიის თანახმად იმ სოფლის სახელიდან მომდინარეობს, სადაც დაიბადა ცნობილი ისლანდიელი პოეტი და ისტორიკოსი სნორი სტურლუსონი (1178–1241). მის მიერ 1222–1225 წლებში შედგენილი წიგნის ერთ-ერთ ხელნაწერზე მიწერილია: „ამ წიგნს ენოდება „ედა“, მისი შემქმნელია სნორ სტურლუსონი. „XVII საუკუნის სკანდინავიელ მკვლევართა მტკიცებით სტურლუსონის „ედა“ სემუნდ სიგფურსონის თხზულებებზე დაყრდნობით უნდა ყოფილიყო შექმნილი. შემუნ სიგფურსონის, რომელიც მოგვაწეობდა 1058–1133 წლებში და უნივერსალური ცოდნის კაცის, სასწაულმოქმედის და მაგიკოსის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.“

ისლანდიელმა სიძველეთა მოყვარულმა და მეცნიერმა ეპისკოპოსმა ბრიუნილფ სე-ვერსონმა, მის მიერ აღმოჩენილი ძველი ხელნაწერი მიაწერა სემუნდ სიგფურსონის ავ-ტორობას, რადგან იგი შეიცავდა მთელ რიგ სიმღერებს ღმერთებსა და გმირებზე. თუმცა დღეისთვის ცნობილია რომ ამ ხელნაწერს საერთო არაფერი აქვს სნორის „ედა“ - სთან და იწოდება „უფროს ედა“-დ, ხოლო სნორ სტურლუსონის „ედა“ მოიხსენიება როგორც „უმცროსი ედა.“

„უფროსი ედა“ ორ ნაწილად იყოფა: „სიმღერები ღმერთებზე“ და „სიმღერები გმირებზე.“ ისინი მოგვითხრობენ ქვეყნიერების წარმოშობისა და მისი მომავალი აღსასრულის ამბავს. ვეებერთელა უფსკრულის – გუინგაგაპის სამხრეთით მუსპელი-მსოფლიო ხანძარი, იგივე ცეცხლის სამეფო, ხოლო ჩრდილოეთით ნისლის ქვეყანა- ნიფლპამი მედბარეობდა. ნისლის თრთვილად გადაქცევით ყინულოვანი ფენები წარმოიშვა გიუნგაგაპზე, ხოლო მუსპელიდან ამ ფენებზე გადმოსროლილი წაპერნკლების მიერ გამლლვალი ყინულიდან წარმოიშვა პირველი არსება, სახელად იმირი. ძალიან საინტერესოა, რომ სკანდინავიელი ხალხის იმდროინდელი წარმოდგენები სამყაროზე გაცილებით რთული და კომპლექსურია , ვიდრე სხვა რომელიმე კულტურის ხალხებისა. საგულისხმოა ის ფაქიც, რომ მათი ფანტაზია არაა ორიენტირებული ღმერთებზე და არ მოიცავს მხოლოდ წარმოდგენას ძლევამოსილი ზეციური არსებების შესახებ. მითოლოგიაში მკვეთრად შესამჩნევია თუ რაოდენ დაინტერესებული იყო სკანდინავიელი ხალხი საკუთარი მდებარეობის აღქმითა და გააზრებით. „ედაში“ მოთხოვილია თუ როგორ გაანაწილეს ღმერთებმა 4 ჯუჯა ცის ოთხივ კიდით. ფრიად საინტერესოა და ღიმილის-მომგვრელია მათი სახელები, რომელიც დამატებით განმარტებას არ საჭიროებენ: აუსტრი, ვეტრი, ნორდრი და სუდრი

სკანდინავიური მითოლოგია დღემდე რჩება ნედლ და დაუშიფრავ მასალად მისი მკვლევარებისათვის, რადგან იგი არ იმეორებს ევროპისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ მოდელს, რომელსაც მშვენივრად მოერგო თუნდაც ბერძნული მითოლოგია, რომელიც შეიძლება რომ დავიყვანოთ იმ არქეტიპებამდე და ქვეეგორებამდე, რომელიც დღემდე ცოცხლობს ადამიანის გონებაში. სულ სხვაგვარად გავქვს საქმე სკანდინავიურ მითოლოგიაში. მითის განსხვავებული ბუნება მინიმუმ იმაშიც მდგომარეობს, რომ სკანდინავიელი ღმერთების ხასიათი არ არის ცალსახა და ერთგვაროვანი. პირიქით , ღმერთების ისტორიები მოწმობენ, რომ ისინი ერთდღროულად ითავსებდნენ ხალხის ცნობიერებაში კეთილ და ბოროტ თვისებებს. სხვა ევროპელი ხალხებისაგან განსხვავებით აქ მკაცრად არაა გამიჯნული პოლუსური ხასიათები, კეთილ და ბოროტი ხალხის შეგნებაში თანაარსებობს და არ განიხილება როგორც ერთმანეთის გამომრიცხავი სრული ანტონიმები. სწორედ ამან გამოიწვია მათი ინფორმაციული ღიაობა სხვებისთვის ჯერ კიდევ ტაბუირებული საკითხებისადმი და თავის მხრივ ხელი შეუწყო სკანდინავიის ქვეყნებში ხელოვნების სპეციფიური ჟანრების განვითარებას.

შენიშვნები:

¹ “Scandinavian legends and folk tales”, Jones, G . Oxford University Press 1956, p.52

² “Scandinavian folk-lore”, Craigie, William A. p.390

ნინო რჩეულიშვილი, დიმიტრი პაპუკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნორვეგის ბუნებრივი მდებარეობის მეცნიერების და მომსახურების მინისტრის მინისტრი

ხელმძღვანელები პროფესორები: კახაბერ ლორია, ფრუდე ჭერმუნდსგორდი

ნორვეგია მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. მისი საერთო ფართობია 385.252 კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა შეადგენს 4.9 მილიონ კაცს. ქვეყანას აღმოსავლეთით ესაზღვრება შვედეთი. უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე რეგიონი ესაზღვრება ფინეთსა და რუსეთს. მასსა და დანიას შორის მდებარეობს სკაგერაკის სრუტე. ნორვეგიის დედაქალაქია ოსლო. სახელმწიფო მეთაური მეფეა, ამჟამად, ჰარალს V. მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი, ამჟამად, ჯენს სტონტელბერგი. სახელმწიფო ენაა ნორვეგიული ენის ორი ფორმა – ბუკმოლი და ნიუნორსკი, ინგლისური კი უმეტესობაში კარგად იცის.

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი ნორვეგიის ბუნების შესახებ, რითაც იგი ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა ევროპაში. ნორვეგიის განსაკუთრებულ ხიბლს ფიორდები ქმნის. ფიორდებით ქვეყნის მთელი სანაპირო ზოლია დასერილი. ისინი ქმნიან ზღვის ტალღებისგან დაცულ ბუნებრივ ნავმისადგომებს. გაზაფხულსა და ზაფხულში ველები სასწაულად ხასხასა მცენარეული საფარით იფარება.

რა არის ფიორდი? ფიორდი (ნორვ. ფჯორდ) – ეს არის ვიწრო, მცირე ზომის ყურე, რომელიც ზღვის მთიან სანაპიროზე გვხვდება. წარმოქმნილია მყინვარების მოქმედების შედეგად. მისი კალთები კლდოვანი, მაღალი და ციცაბოა. ფიორდები მრავლადაა სკანდინავიაში, განსაკუთრებით ნორვეგიაში. ისინი ქმნიან ზღვის ტალღებისგან დაცულ ბუნებრივ ნავმისადგომებს.

ფიორდები ერთ-ერთი ყველაზე დრამატულ პეიზაჟს ქმნის დედამიწაზე. სწორედ მისი წარმოშობა განაპირობებს მის მახასიათებლებს. იგი განხილვის საგანს წარმოადგენს უკვე თითქმის ასი წელიწადია. ფიორდი ფორმირდება ყინულის უკან დახევით, როდესაც ამოიჭრება ტიპიური-ს ფორმის ხეობა, და ზღვა შეავსებს მიღებულ არეს. ასე ფორმირდება ვიწრო, ციცაბო, დალმართიანი ყურე (ზოგჯერ 1300 მეტრზე უფრო ღრმა), რომელიც ზღვას უერთდება. ფიორდებს ახასიათებს მრავალრიცხოვანი ლამაზი ჩანჩქერები და მდინარეები, ასევე უსწორმასწორო მთები და ფოთლოვანი და წინვოვანი ტყეები.

სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარე ამ მშვენიერ ქვეყანაში თუ მოხვდებით, მთის კალთები, სალი კლდეები, მწვანე მინდვრები, უზარმაზარ მთებს შორის მომწყვდეული ტალღები, მწვერვალებზე შემორჩენილი ქათქათა თოვლი, საოცარი მყინვარები და ენით აუნერელი სილამაზის ფიორდები გაფიქრებინებთ, რომ ზღაპრულ სამოთხეში მოხვდით. ნორვეგიას „ფიორდების ქვეყანასაც“ უწოდებენ. აღვნერთ ნორვეგიის რამდენიმე ცნობილ ფიორდს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალ ტურისტს იზიდავს თავისი სილამაზით.

სოგნეფიორდი ყველაზე გრძელი და ღრმა ფიორდია ნორვეგიაში. ეს ფიორდი მდებარეობს ნორვეგიის შუაგულში და გადაჭიმულია 200 კილომეტრზე მეტ მანძილზე.

გეირანგერფიორდი – ნორვეგიის ერთ-ერთი ცნობილი ფიორდია. ეს ადგილი იუნესკოს მფარველობის ქვეშაა და თავისი სილამაზით უამრავ მნახველს იზიდავს. მისი სიგრძე 15 კილომეტრია და წარმოადგენს სტროფიორდის ერთ-ერთ ტოტს. აქ მას მდინარე გეირანგელვა უერთდება. ფიორდის კიდეზე, სადაც მას მდინარე უერთდება, მდებარეობს სოფელი გეირანგერი. ფიორდის განვრივ მრავალი მიტოვებული ფერმერული მეურნეობა მდებარეობს.

ნერიოიფიორდი – მიიჩნევა ყველაზე ვიწრო ფიორდად. 2005 წლის ივლისში ის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. ნერიოიფიორდის სიგრძე 18 კილომეტრია, ყელთან კი განი მხოლოდ 300 მეტრია. ფიორდის ირგვლივ კიდული კლდეებია, რომელთა სიმაღლე 1700 მეტრს აღწევს. ფიორდის ნაპირებზე მცირე დასახლებები და ფერმებია განლაგებული. გადაშენებულია სოფლები გუდვანგენი და ფლომი.

ნორდფიორდის ხეობა – მყინვარის მოლურჯო ყინულის ფენა ტყიან ხეობამდე აღწევს ნორდფიორდის გულში, სადაც მრავლადაა ტბები, მთები და ფიორდები. ეს განსხვავებული და ნაყოფიერი რეგიონი ჯერ კიდევ ქვის ხანაში იყო ადამიანებით დასახლებული.

ნორვეგია ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა. გაზაფხულზე მდინარეებთან ახლოს მდებარე ველები მცენარეული საფარით იფარება და ყველაფერი სიმწვანეში იძირება, თუმცა ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის გამო ქვეყანაში მიწათმოქმედება სათანადოდ ვერ ვითარდება. ნორვეგაში 10%-ზე ნაკლებია სახნავი მიწა. დანარჩენი სულ მთებია.

გალკოპინგენი ნორვეგიის უმაღლესი მწვერვალია, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2,496 მეტრია. პრეიკესტოლენის კლდე სიმაღლეში 604 მეტრია. იგი ტურისტების ერთ-ერთ საყვარელ ადგილს წარმოადგენს. 2009 წლის ზაფხულში ამ ადგილს 130 000 მათგანი ეწვია.

მაისში, ივნისსა და ივლისში პოლარული სარტყელის მიღმა მზე 24 საათის განმავლობაში ანათებს, ანუ არ ღამდება. მას სხვანაირად პოლარულ დღეებსაც უწოდებენ. ე.წ. შუალამის მზე ხშირი მოვლენაა. ეს ფენომენი გვხვდება ჩრდილოეთ შევედეთში, ისლანდიაში და განსაკუთრებით ნორვეგიაში „ჩრდილოეთის კონცხზე“, სადაც 76 დღის მანძილზე არ ღამდება. ხოლო ზამთარში დგება პოლარული ღამეები, რომლის დროსაც ცაზე ხშირად ჩნდება ჩრდილოეთის პოლარული ნათება.

ჩრდილოეთის ციალი ალბათ ყველაზე ცნობილი ფენომენია, რომელსაც სკანდინავიის ქვეყნებში ვხვდებით. მას ადგილობრივები ურორა ორეალის-ს ეძახიან. ჩრდილოეთის ციალი ატმოსფეროს ზედა ფენებში არსებული ნათებაა, რომელიც გამოწვეულია დამუხტული ნაწილაკების შეჯახებით. ტრომსოში და ფინმარკში – ჩრდილოეთის ციალის ნახვა შესაძლებელია ყოველ მოწმენდილ ღამეს. ხოლო სამხრეთ ნორვეგიაში - რამდენჯერმე თვეში.

პოლარული ღამეები – პოლარულმა ღამეებმა ჩრდილოეთ სკანდინავიაში შეიძლება გასტანოს 2-3 თვე. ნორვეგიის ქალაქ ჰაմერფესტში მზე არ ჩანს 1 500 საათის განმავლობაში. ეს მშვენიერი პერიოდია ჩრდილოეთის ციალის დასანახად.

ნორვეგია ბევრი გარეული ცხოველის სამშობლოა. მათი უმეტესობა ხალხისთვის საშიში არ არის, ამიტომ სოფელში ყოფნა უსაფრთხოა. ზოგი ცხოველი ტყეში ცხოვრობს, ზოგიც – მთებში. ეს ცხოველებია: ირემი, შველი, მელია, ჩრდილოეთის ირემი, გველგესლა, დომბა, კურდლელი, მგელი...

დომბა (ცხენირემი) წყვილჩლიქოსანი ცხოველია და ძროხისებრთა ოჯახს ეკუთვნის. მისი სხეულის სიგრძე 3.5 მ-ს აღწევს, წონა 700-900 (იშვიათად 1200 კგ-მდე. ფური შედარებით პატარაა – 400–600 კგ) კისერზე, თხემზე, ყელსა და მკერდზე გრძელი ბალანი აქვს. დომბა ყველაზე დიდი ცხოველია ნორვეგიის ტყეებში. სწორედ ამიტომ ეძახიან „ტყის მეფეს“. მამალი დომბის რქები 150 სმ-ზე მეტია. მოზრდილი დომბა სიმაღლეში 230 სმ-ს აღწევს (მხრებამდე). ის ბალახისმჭამელი ცხოველია.

გველგესლა ერთადერთი შხამიანი გველია ნორვეგიაში. იგი წარმოადგენს შხამიანი გველების ქვეოჯახს. ცხოვრობენ მიწაზე, ხეებსა და სოროებში. აქტიურობენ მეტნილად საღამო ხანს და ღამით. გალიზიანებულები სპირალურად ეხვევიან, იბერებიან, ძლიერ სისინებენ და ელვის სისწრაფით ესხმიან თავიანთ მსხვერპლს. გველგესლასებრნი ძირითადად იკვებებიან მცირე ზომის მღრღნელებით, პატარა ფრინველებით და ხვლიკებით, ზოგი მათგანი მწერებითაც იკვებება. უმრავლესობა კვერცხცოცხლადმშობია. მისი შხამი საზიანოა ადამიანისთვის – შლის სისხლის ნითელ უჯრედებს, აზიანებს ნერვულ სისტემას. იგი ადვილად საცნობია, რადგან ზურგზე ზიგზაგისებური ზოლები აქვს. იკბინება მხოლოდ მაშინ, თუ შეეშინდება. გველგესლასებრთაგან მიღებულ გველის შხამს მედიცინაში იყენებენ.

ნორვეგია უამრავი სახეობის ფრინველის სამშობლოა. ბევრი მათგანი ზამთარშიც ნორვეგიაში რჩება, ზოგიც – თბილ ქვეყნებში მიდის. ამ სახეობებს შორისაა წყლის ფრინველები, მომღერალი ჩიტები, მტაცებლები, ღამის ფრინველები და სხვ.

ზღვის ფრინველები – ბრიუნიხის კაირი არის სქელი, გამძლე ფრინველი, რომელიც ოდნავ პატარაა, ვიდრე ჩვეულებრივ კაირი. იგი წარმოადგენს დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ზღვის ფრინველს. კაირები – ყვინთავენ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის წყლებში ბორონოიას სიახლოვეს. ზოგჯერ საკმაოდ ღრმადაც ჩადიან – 150 მეტრის სიღრმეზე. ეს ჯიში სვალბარდში ასეულ ათასობითაა, ზამთარში უმეტესობა გრელანდისკენ მიეშურება, თუმცა, ზოგიერთი მათგანი ადგილზეც რჩება.

ნორვეგია მართლაც გამორჩეულია „ზღაპრულობით“, სტიქიური ადგილებით.

მარიამ ბაქანიძე, ხატია ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სკანდინავიური ლიტერატურა

ხელმძღვანელები პროფესორები: კახაბერ ლორია, ფრუდე პერმუნდსკორდი

სკანდინავია

სკანდინავია არის ისტორიული და კულტურული რეგიონი ევროპაში. მისი გეოგრაფიული ცენტრია სკანდინავიის ნახევარკუნძული. ტრადიციული განმარტებით, სკანდინავია არის სამი სახელმწიფო: ნორვეგია, შვედეთი და დანია, თუმცა ხანდახან სკანდინავიას მიაკუთვნებენ ასევე ფინეთს, ისლანდიას და ფარერის კუნძულებს. ამ შემთხვევაში სკანდინავია მთელ ჩრდილოეთ ევროპას მოიცავს.²⁵ განვიხილოთ თითოეული ქვეყნის ლიტერატურა:

ნორვეგიული ლიტერატურა

ნორვეგიული ლიტერატურა დასაბამს სკალდური პოეზიდან, კერძოდ კი სიმღერათა კრებულ „უფროსი ედადან“ იღებს. ძველსკანდინავიური ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სნორი სტურლუსონის ნამუშევრები და ასპიორნსენისა და მუს მიერ მე-19 საუკუნეში შეკრებილი ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების კრებული.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ნორვეგიულ ლიტერატურაზე გავლენას ახდენს შუა საუკუნეების ევროპული ნაწარმოებები. მე-14-დან 19-ე საუკუნამდე ნორვეგიული სიტყვაკაზმული მწერლობა დანიურთან ერთად ვითარდებოდა. მე-20 საუკუნეში ნორვეგიამ მსოფლიოს სამი უდიდესი მწერალი აჩიქა: ბიორნსტიერნე ბიორნსონი, კნუტ ჰამსუნი და სიგრიდ უნსეტი. სამივე მათგანმა ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურის დარგში 1903, 1920 და 1928 წლებში.

ნორვეგიის ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ფიგურად კი მაინც პენრიკ იბსენი რჩება, რომელმაც ისეთი პიესები შექმნა, როგორიცაა: „პერ გიუნტი“, „თოვეინების სახლი“, „ქალი ზღვიდან“ და ა.შ.

შედარებით თანამედროვე ნორვეგიელი მწერლის იუსტენ გორდერის „სოფის სამყარო“ ორმოც ენაზე, მათ შორის ქართულადაც ითარგმნა.²⁶

დანიური ლიტერატურა

დანიურ ლიტერატურაში ახალი ეპოქის დაწყება მე-16 საუკუნეში განხორციელებულმა ლუთერანულმა რეფორმებმა განაპირობეს. ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჰუმანისტი ქრისტიან პეტერსენი, რომელმაც დანიურად თარგმნა ახალი აღთქმა, ასევე პოლ პელგერსონი, რომელიც არ იყო მომხრე იმ პერიოდში განხორციელებული რეფორმებისა. მე-18 საუკუნეში განახლდა ინტერესი სკანდინავიის ანტიკური წარმომადგენლების მიმართ, მათ შორის განსაკუთრებით მეცნიერის, ფიზიკოსის ოლე ვორმის მიმართ.

²⁵ www.ka.wikipedia.org

²⁶ www.encyclopedia2.thefreedictionary.com

დანიური ლიტერატურის მსოფლიო მასშტაბით აღიარებული წარმომადგენლები არიან ჰანს კრისტიან ანდერსენი, სიორენ კირკეგორი, არენ ბლიქსენი და ა.შ.²⁷

შვედური ლიტერატურა

პირველი შვედური ლიტერატურული წარმომები ასახულია ქვაზე და თარიღდება ჩვ.წ. 800 წლით, ვიკინგების ხანაში.

შუა საუკუნეებში შვედი სამონასტრო მწერლები წარმომების შექმნისას იყენებდნენ ლათინურ ენას, რის გამოც დღესდღეობით სულ რამდენიმე წარმომები გვხვდება, რომელიც დაწერილია ძველ შვედურ ენაზე. 1541 წელს კი ბიბლია სრულად ითარგმნა შვედურ ენაზე, ის ცნობილია გუსტავ ვასას ბიბლიის სახელით და შექმნილია მარტინ ლუთერის 1526 წლის გერმანულად თარგმნილი ბიბლიის მიხედვით.²⁸

1949–1959 წლის პერიოდში ვილჰელმ მობერგმა დაწერა ოთხ-წიგნიანი კრებული „ემიგრანტები”, რომელიც მიიჩნევა შვედური ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად.

შვედეთი ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურიანტთა რაოდენობით მე-სამე ადგილს იკავებს.

შვედეთის კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სტოკოლმელმა ლიტერატორმა ეიკუნდ იონსონმა, ასევე პოპულარულმა პოეტმა და კომპოზიტორმა ევერტ ტუუბემ. აღსანიშნავია ასევე ნოველისტი პერ ანდერს ფოგელსტრემი, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არსებული ცხოვრების შესახებ ისტორიული მოთხოვნების სერია შექმნა.

შვედეთის ყველაზე გამოჩენილ მწერლებს შორის შედიან: ასტრიდ ლინდგრენი. სელმა ლაგერლოფი, ვილჰელმ მობერგი და ა.შ.²⁹

ფინური ლიტერატურა

ფინეთის ისტორიაში განხორციელებული ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული რეფორმების შედეგად, დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფო ენა განსხვავდებოდა იმ ენისგან რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იყენებდა. ამ ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია ფინურ ლიტერატურაზე, რადგან ბევრი წარმომების, როგორც ფინური ლიტერატურის შემადგენელი ნაწილის აღიარება ვერ ხერხდებოდა. ყველაზე ცნობილი ხალხური ლექსების კრებული არის „კალევალა”, რომლის პირველი ვერსიაც გამოქვეყნდა 1835 წელს და მას ეწოდება „ძველი კალევალა”, თუმცა ყველაზე ცნობილი ვერსია გამოიცა 1849 წელს და მას ეწოდება „კალევას მინა”.³⁰

გამოჩენილი ფინელი მწერლები არიან: ფრანს ემილი სილნპაია, რომელმაც 1839 წელს პირველი ნობელის პრემია მოუტანა თავის ქვეყანას ლიტერატურის დარგში. ასევე ალექსის კივი. მას ეკუთვნის ნოველა „შვიდი ძმა”, რომელიც დაწერილია ფინეთის სამხრეთ-დასავლურ დიალექტზე. ავტორმა მასზე მუშაობას ათი წელი მოანდომა.³¹

ისლანდიური ლიტერატურა

²⁷ www.oldandsold.com

²⁸ www.experiencefestival.com

²⁹ www.ka.wikipedia.org

³⁰ www.ka.wikipedia.org

³¹ www.shortopedia.com

ისლანდიური ლიტერატურა ცნობილია შუა საუკუნეებში დაწერილი ეპიკური ნანარმობებით, რომელთაც ახასიათებთ ისტორიული და საყოფაცხოვრებო რეალიზმი, თხრობის მშვიდი კილო.

შუა საუკუნეების ისლანდიური ლიტერატურა იყოფოდა სამ ნაწილად: 1. „ძველი ედა”; 2. სკალდური პოეზია; 3. ეპიკური ნანარმობები.

XIX საუკუნის დასაწყისში იწყება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის აღორძინება. რომანტიზმი ისლანდიაში დომინირებული მიმდინარეობა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტების: ბარნი ტორარენსენის და იონას ჰალगრიმსონის შემოქმედება.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ნინა პლანზე წამოინია კლასიკურმა სტილმა, განსაკუთრებით პოეზიაში. ეს იგრძნობა დავიო სტეფანსონის და ტომას გუომუნდსონის ლექსებში. თანამედროვე ავტორებმა მოახდინეს კლასიკური სტილის მოდერნიზება. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრიმინალური ნოველისტის არნალდურ ინდრინდსონის ნანარმობები.³²

ფარერული ლიტერატურა

ფარერულმა ლიტერატურამ ფართო განვითარება ჰპოვა ბოლო 100-200 წლის განმავლობაში. ეს განპირობებულია იმით, რომ ქვეყანა ისლანდიის მიერ იყო იზოლირებული და ასევე იმით, რომ ფარერული ენა 1890 წლამდე არ გამოიყენებოდა დამწერლობაში.

შუა საუკუნეებში ბევრი ფარერული პოემა და მოთხოვნა გადმოიცემოდა ზეპირ-სიტყვიერად და მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა მათი ფურცელზე გადმოტანა.³³

სკანდინავიური ლიტერატურის თვალსაჩინო ნარმომადგენლები

კნუტ ჰამსუნი – ნორვეგიელი მწერალი, დაიბადა 1859 წლის 4 აგვისტოს, ნორვეგიის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე სოფელ ხუტორ ჰამსუნდში, ღარიბი თერძის ოჯახში. მისი ნამდვილი გვარია პედერსენი, თუმცა მან ლიტერატურულ ფსევდონიმად აირჩია იმ ადგილის სახელი, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა. ჰამსუნის საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. 14 წლიდან ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას. მას მხოლოდ სოფლის სკოლის განათლება ჰქონდა, თუმცა დიდი მონდომებით კითხულობდა ყველა წიგნს, რომელიც ხელში მოხვდებოდა. როგორც ყველა თვითნასწავლი ადამიანი, ისიც სწავლის საუკეთესო წყაროდ თავად ცხოვრებას მიიჩნევდა.³⁴

კნუტ ჰამსუნმა ძალიან ადრე დაიწყო წერა. ჯერ კიდევ 1877 წელს 18 წლის ასაკში გამოდის მისი პირველი მოთხოვნა „უცნაური კაცი, ნურლანური სიყვარულის ამბავი“. ერთი წლის შემდეგ კი იბეჭდება საკმაოდ დიდი მოცულობის ბალადა „პაემანი“. ამის შემდეგ ის გადაწყვეტს სერიოზულად მოკიდოს ხელი მწერლობას და წერს მოთხოვნას „ფრიდა“. მდიდარი ვაჭარი აფინანსებს ნიჭიერ ჰამსუნს და ის მიემგზავრება კოპენჰაგენში, რომელიც იმდროისთვის სკანდინავიის სულიერი კულტურის ცენტრი იყო. კოპენჰაგენში ჰამსუნს ბედი არ სწყალობს, რედაქციები იწუნებენ „ფრიდას“ და იმედგაცრული ბრუნდება ნორვეგიაში, სადაც ცდილობს სტატიების წერით გაიტანოს თავი, მაგრამ უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი სხვა თანამემამულეთა მსგავსად, იძულებულია ემიგრაციაში წავიდეს.

1882 წელს კნუტ ჰამსუნი ამერიკაში მიემგზავრება. იქ ნორვეგიელ ინტელიგენტთა წრეს უახლოვდება და მათთან ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენს მის განათლებასა და

³² www.ka.wikipedia.org

³³ www.ka.wikipedia.org

³⁴ www.kirjasto.sci.fi

სულიერ კულტურაზე. ის გულდასმით კითხულობს ევროპულ ლიტერატურას და მისი მხატვრული ენა და სტილი თანდათან ყალიბდება. თავდაუზოგავი ფიზიკური შრომა ჰამსუნის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს და გამოსაჯანსაღებლად სამშობლოში ბრუნდება. 1886 წელს კი კვლავ მიემგზავრება ამერიკაში, კერძოდ ჩიკაგოში, სადაც ჯერ მუშაობს როგორც ავტობუსების კონდუქტორი, შემდეგ კი მსხვილ ფერმაში იწყებს მუშაობას.³⁵

ჰამსუნს საყოველთაო აღიარება 1890 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „შიმშილი“ მოუტანა, რომელის მეტწილად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. მასში ასახულია ადამიანთა შორის ურთიერთობის რღვევის პრობლემა, ზეგრძნობიერი ადამიანის სულიერი ცხოვრება. ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ ჰამსუნი უკვე პროფესიული მწერლის ცხოვრებით ცხოვრობს, მისი ნიჭი კი სულ უფრო და უფრო იხვეწება.

1892 წელს გამოდის მისი მეორე რომანი „მისტერიები“, რომელშიც ყველაზე კარგად გამოჩნდა ჰამსუნის უტყუარი ალღო ეპოქის გრძნობისა. ამ ნაწარმოების მთავარი აზრი არის სიყვარულის ძალა – მისტერია, რომელიც უსასრულოდ მეორდება.

1920 წელს მწერალს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში ნაწარმოებისთვის „მინის მადლი“, თუმცა როგორც ნაციზმისა და ჰიტლერის მიმდევარმა, თავისი ნობელის პრემია გადასცა მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრს იოზეფ გებელს.³⁶

კნუტ ჰამსუნის საუკეთესო ნაწარმოებები დიდი ხანია, რაც უახლესი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. არცთუ ისე დიდი ქვეყნის შვილმა თავის რომანებში, პიესებსა თუ ნოველებში შეძლო შეხებოდა XX საუკუნისთვის დამახასიათებელ საზოგადოების ხასითსა თუ ახალ კონფლიქტებს. მის ნაწარმოებებში ზედმინევნით არის ასახული ბუნების საიდუმლოებანი – წელიწადის დროთა ცვლა, მცენარეთა აყვავილება, ფრინველთა გადაფრენა, მინდორ-ველების დამახასიათებელი სურნელება, მთვარიანი ღამის საოცარი სიჩუმე. უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ უფრო შთამბეჭდავად აღწერს ადამიანთა გრძნობების შინაგანი ბუნების შტრიხებს. მან შექმნა რომანების ციკლი, რომლებშიც გადმოცემული იყო ისტორიულ პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებები, დამახასიათებელი როგორც ნორვეგიული სოფლის ყოფით მოწყობასთან, ასევე ბურჟუაზიული პროგრესისთვის. მას სიღრმისეულად აქვს გადმოცემული ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების დეტალები, ხასიათი, უნარ-ჩვევები, მისწრაფებები თუ ინტერესები. მისი მხატვრული ფანტაზიის საგანს წარმოადგენდნენ გლეხები, მეთევზები, ვაჭრები, მეზღვაურები, პროვინციული ინტელიგენცია – ექიმები, ადვოკატები, მასწავლებლები. ჰამსუნი შეიძლება დასახელდეს ფსიქოლოგიური რეალიზმის ღირსეულ წარმომადგენლად, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურაში საფუძველი დოსტოევსკიმ ჩაუყარა. ის წერდა: „დოსტოევსკი ერთადერთი მწერალია, რომლისგანაც მერალაც-რალაცები ვისწავლე. ის ბუმბერაზია რუს გიგანტებს შორის“.

კნუტ ჰამსუნმა ერთ-ერთმა პირველმა გაამდიდრა და გააფართოვა რეალიზმის საზღვრები, დატვირთა იგი ფსიქოლოგიური ანალიზით, შეიტანა მასში XX საუკუნის რიტმი, მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, ბუნების წვდომის სურვილი, აფორიაქებული სული, და ამავდროულად უკიდურესი პრაქტიციზმი, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით შემოფარგლა, სრული გულგრილობა სხვათა ჭირის მიმართ, ყველაფერი ის, რაც ახასიათებდა XX საუკუნის ცივილიზაციას.

³⁵ www.wikipedia.org

³⁶ www.c-cafe.ru

კნუტ ჰამსუნი 1952 წლის 19 თებერვალს, ნორვეგიის ქალაქ გრიმსტადში გარდაიცვალა.³⁷

სიგრიდ უნსეტი – ნორვეგიელი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი, დაიბადა 1882 წლის 20 მაისს დანიაში, კუნძულ ზელანდიაზე, ცნობილი ნორვეგიელი არქეოლოგის, ინგვალ უნსეტის ოჯახში. 2 წლის ასაკში სიგრიდი ოჯახთან ერთად გადავიდა ნორვეგიაში და თავისი ბავშვობა და ახალგაზრდობა ქრისტიანიაში გაატარა. მისი ოცნება იყო ლიტერატურასა და ხელოვნებაში მიეღო განათლება, თუმცა კომერციულ სასწავლებელში მოუნია ჩაბარება, სადაც მდივნებს ამზადებდნენ. დიდი ხნის განმავლობაში „ელექტროობის საყოველთაო კომპანიის“ განყოფილებაში მუშაობდა და მისი ინტერესის სფეროსგან სრულიად განსხვავებულ და უცხო გარემოში უწევდა ყოფნა. სიგრიდს არ უყვარდა თავისი სამსახური და სასონარკვეთილებისაგან თავდასაცავად ლექსების წერა დაიწყო. ამავდროულად შუასაუკუნეების ნორვეგიაზე რომანის დასაწერად გეგმის შედგენას შეუდგა.

უნსეტის პირველი წიგნები მუშაკი ქალის სამსახურსა და ყოველდღიურობას მეტისმეტი სიზუსტით აღწერენ. ეს თემატიკა ფართოდაა გაშლილი რომანში „ფრუ მარტა ოული“ და ნოველათა კრებულში „ბედნიერი ასაკი“. ამ წიგნებმა მწერალს პირველი წარმატება მოუტანეს. ამის შემდეგ სიგრიდს სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნა, რამაც საშუალება მისცა მოსაბეზრებელი სამსახური მიეტოვებინა. ამავე პერიოდში გამოდის მისი ისტორიული რომანი „საგა ვიგდისა და ვიგა-ლიოტზე“, სადაც ისტორიული სიზუსტით არის აღწერილი დაახლოებით 900-1000 წლებში მიმდინარე მოვლენები, იმდროინდელი ყოფა.³⁸

უნსეტის ადრეული პერიოდის ნაწარმოებთა გმირები ქალაქის შეუმჩნეველი, დაჩაგრული მუშაკებია. ის ცდილობს ისეთი ქალის პორტრეტი შექმნას, რომელსაც ძლიერი სიყვარულისა და ბრძოლისუნარიანობის ძალა შესწევს, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს მოძველებულ, დრომოქმულ ტრადიციებსა და დოგმებს.

1919 წელს უნსეტი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ლილეპამერში გადადის. სწორედ აქ იწყება მის შემოქმედებაში ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი. ის უბრუნდება თავის დიდ სურვილს და იწყებს შუასაუკუნეების ნორვეგიაზე რომანის წერას, სადაც სურს რეალისტურად აღწეროს იმდროინდელი ქალის ბუნება, მისი ბრძოლა ემანსიპაციის-თვის და პირადი ბედნიერებისკენ სწრაფვა. ასე იქმნება უნსეტის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები – ისტორიული ტრილოგია „კრისტინი, ლავრანსის ქალიშვილი“, რომელიც შედგება სამი რომანისაგან: „გვირგვინი“, „მეპატრონე ქალი“ და „ჯვარი“.

უნსეტის ისტორიული რომანები, რომელშიც ავტორს წამოჭრილი აქვს ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური პრობლემები, ძალიან ახლოს დგას თანამედროვეობასთან და ამავდროულად ნათლად გვიხატავს ისტორიული შუასაუკუნეების ფონს.

1928 წელს სიგრიდ უნსეტი ხდება ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, შუასაუკუნეების ჩრდილოელთა (სკანდინავიელთა) ცხოვრების ცოცხლად და რეალურად აღწერისათვის.

1930 წლიდან უნსეტი საზოგადოებრივი საქმიანობით არის დაკავებული. 1935 წელს სათავეში უდგება ნორვეგიელი მწერლების კავშირს. 1940 წლის აპრილში, როდესაც ნა-

³⁷ კნუტ ჰამსუნი, რჩეული ნაწარმოებები 2 ტომად. ტომი I, გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურა“, მოსკოვი 1970 წელი.

³⁸ www.wikipedia.org

ცისტებმა დაიკავეს ნორვეგია, სიგრიდი თავს აფარებს ნეიტრალურ შვედეთს. იქ წერს მემუარული ხასიათის რომანებს – „ბედნიერი დღეები“ და „მომავალში დაპრუნება“. ამ ნაწარმოებებში მწერალი მკითხველს მოუწოდებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

სიგრიდ უნსეტი 1945 წელს ბრუნდება სამშობლოში და უკანასკნელ დღეებს ლილე-ჰამერში ატარებს. ის 1949 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა.³⁹

ჰენრიკ იბსენი – ნორვეგიელი დრამატურგი, ნორვეგიული ნაციონალური თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი, დაიბადა 1828 წელს, ნორვეგიაში, მდიდარი კომერსანტის ოჯახში, რომელიც მომავალი მწერლის ბავშვობაშივე, 1836 წელს გაკოტრდა.⁴⁰ თხუთმეტი წლის ასაკში იბსენმა მიატოვა სკოლა და საცხოვრებლად პატარა ქალაქ გრიმსტედში გადავიდა. 1844 წელს მან აფთიაქში დაიწყო მუშაობა. სწორედ მაშინ შექმნა პირველი ლექსები და დრამა „კატილინა“, რომელთა მოტივები ასახიერებენ ევროპაში მიმდინარე 1848 წლის რევოლუციების მოვლენებს. დრამა გამოიცა ფსევდონიმით, ამიტომ დიდი წარმატება ვერ მოიპოვა. 1850 წელს ქრისტიანიაში დაიდგა იბსენის პიესა „გოლიათთა ბორცვი“. 1852-1857 წლებში ქალაქ ბერგენში ის ხელმძღვანელობდა ნორვეგიის პირველ ნაციონალურ თეატრს. ამ პერიოდის განმავლობაში მას არ გამოუქვეყნებია საკუთარი პიესები, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში მან ვერ შეძლო წარმატების მიღწევა, როგორც დრამატურგმა, შეიძინა დიდი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც შემდეგ ძალიან ღირებული აღმოჩნდა მისთვის.⁴¹

1858 წელს ის დაბრუნდა ქრისტიანიაში, სადაც ხელმძღვანელობდა ქრისტიანიის თეატრს 1862 წლამდე. 1858 წელს იბსენმა იქორწინა სუზანა თორესენზე და 1859 წელს შეეძინა ერთადერთი შვილი სიგურდი. ისინი ცხოვრობდნენ მძიმე ფინანსურ გარემოში, რის გამოც იბსენს აღარ შეეძლო ცხოვრება ნორვეგიაში და იძულებული გახდა საცხოვრებლად იტალიის ქალაქ სორენტოში გადასულიყო. 1864-1891 წლებში ცხოვრობდა რომში, დრეზდენსა და მიუნხენში. ის ნორვეგიაში დაბრუნდა 27 წლის შემდეგ, უკვე როგორც შემდგარი დრამატურგი.

1862 წელს ჰენრიკ იბსენმა შექმნა „სიყვარულის კომედია“, რომელშიც იმდროინდებული ნორვეგიის სატირული სურათი გადმოვცა. სახალხო-ისტორიულ დრამაში „ბრძოლა სამეფო ტახტისთვის“ იბსენმა დაგვიხატა გამარჯვება გმირისა, რომელიც პროგრესიულ ისტორიულ მისიას ასრულებდა.⁴²

ჰენრიკ იბსენი მუშაობდა სკანდინავიურ საგებზე დაფუძნებულ დრამებსა და ისტორიულ პიესებზე. ის ავტორია ფილოსოფიურ-სიმბოლური დრამატურებისა „ბრანდი“ და „პერ გიუნტი“, კრიტიკული სოციალურ-რეალისტური დრამების „თოჯინების სახლი“, „მოჩვენებები“. დრამებში „გარეული იხვი“, „პატარა გაბლერი“, „მშენებელი სოლინესი“ გაძლიერებულია ფსიქოლოგიზმისა და სიმბოლიზმის ნიშნები, რომლებიც აახლოებენ ნაწარმოებებს XIX საუკუნის ბოლოსთვის დამახასიათებელ ნეორომანტიკულ ხელოვნებასთან. თავის ნაწარმოებებში იბსენი ცდილობდა გამოეხატა პროტესტი თავისი დროის საზოგადოებრივი წყობილებისთვის, ითხოვდა რა ადამიანის მაქსიმალურ ემანსიპაციას.

ჰენრიკ იბსენი 1906 წლის 23 მაისს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.⁴³

³⁹ www.c-cafe.ru

⁴⁰ www.wikipedia.org

⁴¹ www.feb-web.ru

⁴² www.altfornorge.narod.ru

⁴³ www.ca-cafe.ru

ასტრიდ ლინდგრენი – იყო შვედი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის არაერთი საპავ-შვო წიგნისა და ფილმის სცენარის ავტორობა. მისი წიგნები თარგმნილია მსოფლიოს 85 ენაზე და გამოცემულია ასზე მეტ ქვეყანაში. მის კალამს ეკუთვნის წიგნები: „პეპი გრძე-ლინინდა”, „სახურავის ბინადარი კარლსონი”, „ლიონებერგელი ემილის თავგადასავა-ლი” და ა.შ.

ასტრიდი დაიბადა 1907 წლის 14 ნოემბერს, სამხრეთ შვედეთში, პატარა ქალაქ ვი-მერბიუში, ფერმერის ოჯახში. თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომებში ასტრიდი წერს, რომ იგი იზრდებოდა „ცხენის” და „კაბრიოლეტის” ხანაში. გადაადგილების მთავარი სა-შუალება ცხენოსანი ეკიპაჟი იყო, ცხოვრების ტემპი უფრო ნელი, გასართობი საშუალე-ბები – უბრალო, ხოლო ურთიერთობა ბუნებასთან – უფრო მეტი ვიდრე დღეს. ასეთი გარემო მომავალ მწერალს ბუნებისადმი სიყვარულს უნერგავდა. მისი წიგნების უმრავ-ლესობას ეს თემა მისდევს.

ასტრიდის შესაძლებლობები დაწყებით სკოლაში გამოვლინდა. მისი ერთ-ერთი მოთხოვნა ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა, რის შემდეგაც თანაკლასელებმა „ვიმერ-ბიუელი სელმა ლაგერლოფი” შეარქვეს, თუმცა მისი აზრით იგი ამ წოდებას არ იმსახუ-რებდა. თანატოლებთან შედარებით ასტრიდმა შედარებით ადრე დაიწყო დამოუკიდებე-ლი ცხოვრება. სკოლის დამთავრებისთანავე ის ვიმერბიუს ერთ-ერთ გაზეთში კორექ-ტორად მოეწყო. ორი წლის შემდეგ ოფიციალურად გაუთხოვარი დაფეხმდიმდა და საცხ-ოვრებლად სტოკოლმში გადავიდა. 1928 წელს მას მისცეს მდივნის ადგილი სამეფო ავ-ტოკლუბში, სადაც გაიცნო მისი მომავალი მეუღლე სტურე ლინდგრენი.⁴⁴

ასტრიდ ლინდგრენი ჩვეულებრივ შვედ დიასახლისად იქცა და ალბათ ასეთადაც დარჩებოდა, რომ არა მისი ქალიშვილი კატრინი. ყოველ საღამოს, ძილის წინ ის კატრინს ზღაპრებს უყვებოდა, როცა ზღაპრების მარაგი შემოელია, კატრინმა უთხრა დედას პე-პის შესახებ მოეყოლა და ასტრიდმაც მდიდარი ფანტაზიის დახმარებით პეპის სხვადას-ხვა გაუგონარი თავგადასავლების მოყოლა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ კარლსონიც კატრინის წარმოსახვის ნაყოფი გახლდათ.

1973 წელს ლინდგრენმა ლინჩებინგის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წო-დება მიიღო. 1985 წელს ის შვედეთის ყველაზე პოპულარულ მწერლად დაასახელეს. 1996 წელს, სტოკოლმის ერთ-ერთ პარკში ასტრიდ ლინდგრენს ძეგლი დაუდგეს. 89 წლის მწერალი თავად ესწრებოდა გახსნის ცერემონიალს. ის გახდა პირველი ქალი მწერალი, რომელსაც ასეთი პატივი სიცოცხლეშივე ხვდა წილად. ლინდგრენის ნანარ-მოებების მიხედვით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ორმოცამდე მხატვრული ფილმი გადაიღეს, ასტრიდ ლინდგრენის სახელს ატარებს ერთ-ერთი ვარსკვლავი, შვედებმა ის შვედეთის XX საუკუნის ქალად აღიარეს და 2001 წელს სტოკოლმში მისი სახელობის მუზეუმი დაარსეს.

ასტრიდ ლინდგრენი 2002 წლის 28 იანვარს, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა.⁴⁵

სელმა ლაგერლოფი – იყო შვედი მწერალი ქალი, რომელიც მსოფლიო ლიტერატუ-რის ისტორიაში ქალთა შორის პირველად ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერა-ტურის დარგში. ის 1858 წლის 20 ნოემბერს შვედეთში, პროვინციალ ვერმლანდში, მემა-მულის ოჯახში დაიბადა. სამი წლისა სერიოზულად დაავადდა და სიარულს ვერ ახერ-

⁴⁴ www.wikipedia.org

⁴⁵ www.ucnauri.com

ხებდა, თუმცა შეძლეს და სელმა სასწაულებრივად გამოაჯანმრთელეს. ამ დროიდან გაუჩნდა მას წერის სურვილი.⁴⁶

1891 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „საგა იოსტა ბერლინგზე“. ნაწარმოები ნეორომანტიზმის სულისკვეთებითაა გაუდენთილი. მასში ბლომადაა ფოლკლორული, ზღაპრული სიუჟეტები, რომანტიკული ეპოსი, რომელიც შერწყმულია მწერლის დროინდელ თანამედროვეობასთან.

1901-1902 წლებში სელმა ლაგერლოფმა დაწერა რომანი „იერუსალიმი“, რომელშიც პალესტინაში ემიგრირებული შვედი ქრისტიანების შესახებაა მოთხრობილი, რომელებიც მეორეს მოსვლას ელოდებიან. კრიტიკოსები მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიიჩნევენ „ნილს ჰოლგერსონის არაჩვეულებრივ მოგზაურობას შვედეთში“, რომელიც ასევე ზღაპრულ სიუჟეტზეა აგებული. წიგნის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბოროტი ბიჭუნა ნილს ჰოლგერსონი, რომელიც ჯუჯა ჯადოქრის მიერაა მოჯადოვებული, თანდათან ხდება კეთილი. ნილსის მოგზაურობა არ არის უბრალოდ მოგზაურობა, ეს მისთვის აღზრდაა, სადაც ბიჭუნა შეიყვარებს ადამიანებს, ჩასწვდება ობლების ტკივილს, ღარიბი ადამიანების ცხოვრების სიმწარეს. ამ წიგნმა დიდი წარმატება მოუტანა ავტორს. შვედეთში ნილს ჰოლგერსონის პრემიაც არსებობს, რომლითაც დაჯილდოვებული იყო ასტრიდ ლინდგრენი.⁴⁷

1907 წელს ლაგერლოფი აირჩიეს საპატიო დოქტორად. 1914 წელს კი გახდა შვედეთის აკადემიის წევრი. 1909 წელს სელმა ლაგერლოფი, ლიტერატურაში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის დააჯილდოვეს ნობელის სახელობის პრემიით ლიტერატურის დარგში.

ნობელის პრემიის საშუალებით მწერალმა გამოისყიდა თავისი მშობლიური მამული, სადაც საცხოვრებლად გადავიდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. ის 1940 წელს 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი პორტრეტი გამოსახეს შვედურ ოც კრონიან ბანკნოტზე.⁴⁸

ჰანს კრისტიან ანდერსენი – დაიბადა 1805 წლის 2 აპრილს დანიის ქ. ოდენსეში, ღარიბი მეწალის ოჯახში. მას ადრევე აღმოაჩნდა დიდი წარმოსახვის უნარი. ჰატარა პიესების წერა ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. პირველი პიესა დაწერა თავისი თოჯინების თეატრისათვის. მისი დიდი ოცნება იყო ოპერის მომღერლობა, რის გამოც 1819 წელს კოპენჰაგენში წავიდა, თუმცა ის იქ გიუად მიიჩნიეს და ყველა თეატრიდან გამოაგდეს სადაც კი მივიდა.

მეფე ფრედერიკ VI დაინტერესდა ამ უცნაური ბიჭით, თავის თავზე აიღო მისი მფარველობა და სასწაულებლად სლაგელსის გრამატიკის სკოლაში გაგზავნა, სადაც ჩვიდმეტი წლის ჰანსი მეორე კლასში ჩაირიცხა. 1826-1827 წლებში გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები „საღამო“ და „მომაკვდავი ბავშვები“, რომლებმაც დადებითი გამოხაურება ჰპოვეს.⁴⁹

1928 წელს ანდერსენმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტში ჩააბარა. ის ცხოვრობდა ძალიან ღარიბად, რადგანაც მისი შემოქმედებიდან მიღებული შემოსავლები უმნიშვნელო იყო. მისი შემოქმედებითი წინსვლა იწყება 1830-1840 წლებიდან. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან ცნობილ ზღაპართა უმეტესობა, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოუტანეს.

1829 წელს გამოიცა ფანტასტიკური ჟანრის რომანი „მოგზაურობა ფეხით ქალაქ ჰოლმეოს არხიდან აღმაგერამდე“, რომელიც საზოგადოებამ კარგად მიიღო. ცნობილია

⁴⁶ www.ru.wikipedia.org

⁴⁷ www.presa.ge

⁴⁸ www.kirjasto.sci.fi

⁴⁹ www.lib.rus.ec

აგრეთვე მისი რომანი „იმპროვიზატორი”, მაგრამ ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრები: „ყინულის დედოფალი”, „საძაგელი იხვი”, „ცეროდენა”, „ქალთევზა”, „ელფები”, „პრინცესა ცერცვის მარცვალზე” ის შედევრებია, რომლებიც მსოფლიოს ყველა ერის ბავშვმა იცის.⁵⁰

ორმოცდაათწლიანი შემოქმედების პერიოდში ორასზე მეტი ზღაპარი, ათობით რომანი, პიესა და სამგზავრო დღიური, სამი ავტობიოგრაფია, რვაასზე მეტი ლექსი და უამრავი წერილი დაწერა, თუმცა სამშობლოში დიდხანს არასერიოზულად აღიქვამდნენ.

საზღვარგარეთ ანდერსენი, რატომდაც მეზღაპრედ მიიჩნიეს, თუმცა თავად მწერალი ყოველთვის სერიოზულად აღიქვამდა თავის მოწოდებასა და დანიშნულებას. ზღაპრებს იგი უბრალოდ, „მარკეტინგული სტრატეგიის” ნაწილად აღიქვამდა, თუმცა სწორედ ამ ზღაპრებმა გაუთქვეს მას სახელი. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრები ანდერსენს ბავშვებისთვის არ დაუწერია, ისინი სწორედ მოზარდებში გახდა პოპულარული.

1872 წელს გამოვიდა ანდერსენის ბოლო ზღაპრები. ამავე წელს მან ტრავმა მიიღო, რის შედეგადაც გარდაიცვალა 1875 წლის 4 აგვისტოს. იგი დაკრძალულია კოპენჰაგენში, ასისტენის სასაფლაოზე.⁵¹

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.wikipedia.org;
2. www.encyclopedia2.thefreedictionary.com
3. www.oldandsold.com
4. www.experiencefestival.com
5. www.shortopedia.com
6. www.kirjasto.sci.fi
7. www.c-cafe.ru
8. www.feb-web.ru
9. www.altfornorge.narod.ru
10. კნუტ ჰამსუნი, რჩეული ნაწარმოებები 2 ტომად. ტომი I, გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურა”, მოსკოვი 1970 წელი.
11. www.ucnauri.com
12. www.presa.ge
13. www.lib.rus.ec

⁵⁰ www.en.wikipedia.org

⁵¹ www.c-cafe.ru

ანა ფაშალიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ადამიანის უფლებები სკანდინავიურ ქვეყნებში

ხელმძღვანელები პროფესორები: კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდი

მოძღვრება ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ შუა საუკუნეებში წარმოიშვა, მე-XX საუკუნეში კი ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია შეიცავდა სრულ ნუსხას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ძირითადი უფლებები პირველად ინგლისში, 1215 წლის 15 ივნისის ცნობილ დოკუმენტში – „Magna Carta Libertatum“ ჩამოყალიბდა.

დღეისთვის ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუცია აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს.

გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით ადამიანის უფლებების⁵² კონცეფცია ბუნებითი კონცეფციის დოქტრინიდან გამომდინარეობს, რომლისთვისაც ძირითადია განუყოფელი, დაბადებითი ადამიანური ღირსების ცნება. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს უფლებები ღმერთის მიერ არის ნაბოძები და ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქასა ან საზოგადოებაში ცხოვრობდა ან ცხოვრობს ადამიანი, ეს უფლებები არ იცვლება და ამიტომ, სახელმწიფო მოვალეა აღმოაჩინოს და დაიცვას ისინი. ამ კონცეფციის მიხედვით საზოგადოების თითოეულ წევრს, კანონით მინიჭებული უფლებების გარდა, აქვს ძირითადი უფლებები – სწორედ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებად დაიბადნენ. გამომდინარე აქედან შეიძლება ვთქვათ, რომ ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას კანონი ანიჭებს (შეზღუდული ძალაუფლების პრინციპი), ხოლო ადამიანს აქვს ყველა ის უფლება, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

ამდენად, ადამიანის უფლებები პოზიტიური სამართლის, ანუ იმ ნორმათა ერთობლიობის მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, პირველად წყაროდ ცხადდება, ხოლო, სახელმწიფოს მიერ თავისი კანონით ამ უფლებათა უგულებელყოფა მართლსაწინააღმდეგო, უზურპაციის აქტად ითვლება. პოზიტივიზმის მიმდევრები, რომლებიც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ აცხადებენ მხოლოდ სახელმწიფოს ნებას და მის კანონმდებლობას, უარყოფდნენ ადამიანის ბუნებითი უფლებებისათვის

⁵² **ადამიანის უფლებები** ე კონცეფცია ადამიანების უნივერსალურ უფლებათა, ან სტატუტის შესახებ, მიუხედავად იურისდიქციისა ან სხვა გარემოებებისა, როგორიცაა ეთნიკური წარმოშობა, ეროვნება და სქესი. ადამინის უფლებათა არსებობა, მართებულობა და შინაარსი დღემდე დებატების საგანია ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებში. იურიდიულად ადამიანის უფლებები განისაზღვრება საერთაშორისო კანონითა და კონვენციებით, შემდეგ კი მრავალი სახელმწიფოს ადგილობრივი კანონებით. მიუხედავად ამისა, მრავალი ადამიანისთვის ჰუმანურ უფლებათა დოქტრინა კანონის ფარგლებს სცილდება და ქმნის ფუნდამენტურ მორალურ ბაზისს თანამედროვე გეოპოლიტიკური წესრიგის რეგულირებისთვის. მათვის ეს დემოკრატიულ იდეალებს წარმოადგენს.

უპირატესობის მინიჭებას მოქმედი კანონმდებლობის წინაშე და ამ უფლებათა ნუსხას სახელმწიფოს ნებას უქვემდებარებდნენ.

კაცობრიობის განვითარების პროცესში სულ უფრო და უფრო იმარჯვებდა ბუნებითი სამართლის შეხედულებები, თუმცა გარკვეული ცვლილებებით ყალიბდებოდა ე.წ. ცვალებადი შინაარსის ბუნებითი სამართლის კონცეფცია, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებები არ შეიძლებოდა ერთი და იმავე არსისა და მოცულობის ყოფილიყო მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ხანაში, დ ეს კატეგორიები იცვლება და ახალ შინაარსს იძენს კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების სრულყოფასთან მჭიდრო კავშირში; ადამიანის უფლებები რჩება სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების პირველად წყაროდ, მაგრამ მათი მოცულობა ვარირებს ეპოქისა თუ კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონეთა მიხედვით.

ადამიანის უფლებები განსაზღვრავს მინიმუმს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ღირსებისა და სიციცხლის შესანარჩუნებად და მოიცავს სამოქალაქო უფლებებსა და პოლიტიკურ თავისუფლებებს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, აგრეთვე, მთელი რიგი ერთობების (ბავშვები, ქალები, ნაციონალური უმცირესობები, ხალხები და ა.შ.) უფლებებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ზღუდავს სახელმწიფოს ქმედებებს და უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლესა და თავისუფლებას. სოციალური და ეკონომიკური უფლებები ითვალისწინებს მთავრობის განსაზღვრულ ვალდებულებებს. ზოგიერთი ანალიტიკოსი მათ ირეალურს უწოდებს, რადგანაც ბევრ ქვეყანას სათანადო რესურსების უქონლობის გამო არ ძალუდს ამ უფლებათა განხორციელება. განსაკუთრებული ვალდებულებები დაკავშირებულია ისეთ უფლებებთან, როგორიცაა მშვიდობა, განვითარება და ჰუმანიტარული დახმარება. უფლებათა დიდი ნაწილი თითოეულ ინდივიდს ეხება, ხოლო ზოგიერთი, მაგ. ეროვნული თვითგამორკვევის უფლება – გარკვეულ ერთობას.

ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: მატერიალურ და საპროცესო უფლებებს. მატერიალური უფლებები მოიცავენ – პირად, ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. პირად, ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება: ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მოქალაქეობის უფლება, სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, თავისუფლების ხელშეუვალი უფლებები, სიტყვის, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება და ა.შ. პოლიტიკურ უფლებებს მიეკუთვნება: ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, საარჩევნო უფლება, პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის შექმნის და მასში მონაწილეობის უფლება, მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება და ა.შ. ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს მიეკუთვნება: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, პროფესიული კავშირების შექმნის უფლება, გაფიცვის უფლება, განათლების, ჯანმრთელობის უფლებები და ა.შ. კულტურულ უფლებებს მიეკუთვნება: საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება და ა.შ.

რაც შეეხება საპროცესო უფლებებს ისინი ადამიანისათვის მიკუთვნებული მოქმედების მეთოდები და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანი დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. ადამიანის უფლებათა დაცვის

საპროცესო გარანტიებს მიეკუთვნება, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლო, ომ-ბუდსმენის⁵³ ინსტიტუტი, რეფერენდუმის მოწყობის უფლება და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპია ის, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება. ადამიანის უფლებები ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ; არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაფიქ-სირებულია თუ არა ყველა ეს უფლება და თავისუფლება სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ადამიანის კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წყარო არ არის სახელმწიფო. ეს უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, სახელმწიფო კი აღიარებს მათ არსებობას. სახელმწიფოს მოვალეობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რადგანაც ის არსებობს ხალხისაგან და ხალხისათვის. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვე-თით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალი და უზენაესი ადა-მიანური ღირებულებები, ზღუდავს სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებისას, ე.ი. ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით.

ადამიანის ძირითადი უფლებები დაკანონებულია გაეროს მიერ „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში“⁵⁴ (1948 წ.) გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, ორი საერთაშორისო კონვენციით, მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით, აგრეთვე ევრო-პული კონვენციით, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ადამიანის

⁵³ ადამიანის უფლებების სახალხო დამცველის ინსტიტუტი მოქმედებს ევროპის მრავალ ქვეყანაში. მიუხედავად ამ თანამდებობის განსხვავებული სახელწიფებისა, მისი არსი და მიზანი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე – ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოში. მაგალითად, შვედეთში და დანიაში, სახალხო დამცველს ომბუკმენტს უწოდებენ, სხვა ქვეყნებში – საპარლამენტო კომისარს ან საჯარო პროკურატორს. საპარლამენტო კო-მისარის თანამდებობა პირველად 1809 შემოიღეს, რის შემდეგ ის მთელს მსოფლიოში გავრცელდა. 1920 წლიდან ამ ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო ფინეთში, ხოლო 1945 წლიდან კი – დანიასა და ნორვეგიაში.

⁵⁴ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია – საერთაშორისო აქტი, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. დეკლარაციაში გამოცხა-დებულია პიროვნების ძირითადი უფლებები – სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელ-შეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დე-მოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, გა-ნათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და ა.შ. უფლებები. დეკლარაციით გამოცხადებულია ასევე რელიგიისა და მრნამსის, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლება; აკრძალულია: მონობა, მონებით ვაჭრობა; ჩამოყალი-ბებულია სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლისა და საოჯახო სამართლის უმთავრესი ძირთადი დემოკრატიული პრინციპები.

უფლებების თაობაზე მიღებული დეკლარაციები ნორმატიული ხასიათისაა და მათ უფრო მორალური და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. ოპონენტები უარყოფენ იდეას ადამიანის უფლებების უნივერსალობის შესახებ, ან ამტკიცებენ, რომ ეს უფლებები ითვალისწინებს მხოლოდ იდეოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს; მოცემული სახელმწიფოსთვის ან საზოგადოებისთვის ექსტრემალურ შემთხვევაში ისინი შეიძლება დარღვეულ იქნან; ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნები ეწინააღმდეგება ერთიანი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ხელისუფლებას. დეკლარაციის მოთხოვნაა ეს უფლებები და თავისუფლებები ვრცელდებოდეს ყველა ადამიანზე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა მრნამსისა, ეროვნული და სოციალური წარმომავლობისა, წოდებრივი და ქონებრივი ცენზისა.

როგორც აღინიშნა, მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნების სიაში, რომლებიც საერთაშორისო კვლევების თანახმად გამოირჩევიან მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე კარგი მაჩვენებლით, ლიდერობენ სკანდინავიის ქვეყნები.

მსოფლიო პრესის თავისუფლების დღის წინ, რომელიც 3 მაისს აღინიშნება, ამერიკის შეერთებული შტატების უფლებადამცველმა ორგანიზაცია „რედომ House-ta გამოაქვეყნა მოხსენება პრესის თავისუფლების შესახებ 195 ქვეყანაში, რომლის მიხედვითაც ყველაზე დემოკრატიული ქვეყნების ათეულში, რომელიც აკმაყოფილებს დასავლეთის პრესის თავისუფლების ყველა კრიტერიუმს, შევიდა ნორვეგია, შვედეთი, ისლანდია, ფინეთი და დანია.

ნორვეგიამ აიღო მნიშვნელოვანი ვალდებულება განავითაროს ადამიანის უფლებები და დემოკრატია სხვა ქვეყნებში.

დღეისათვის ნორვეგია შეუერთდა ადამიანის უფლებების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან კონვენციებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას. ნირვეგიის კანონმდებლობაში შესულია ადამიანის უფლებების შესახებ კანონის (1999 წ.) ოთხი ძალზედ მნიშვნელოვანი კონვენცია:

- ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;
- გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ.

გარდა ამისა, რიგი ნორვეგიის საკანონმდებლო აქტებისა - სისხლის სამართლის, სამოქალაქო საპროცესო სამართალის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საშუალებას იძლევიან მოხდეს საერთაშორისო კონვენციების დებულებების გავრცელება ზოგადად ამ სფეროში.

ნორვეგიის კონსტიტუცია ადამიანის უფლებების დაცვას განასაკუთრებულ ყურადღებას უკვე 1814 წლიდან უთმობს, განსაკუთრებით კი, ისეთ საკითხებს, როგორიცაა წამების აკრძალვა და თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება. თუმცა, ადრეულ წლებში ნორვეგიის კონსტიტუცია საკმაოდ ლიბერალური იყო, ხოლო სარწმუნოების თავისუფლების შესახებ უფლებას კანონი საერთოდ არ განიხილავდა. მხოლოდ მას შემდეგ რაც ნორვეგიია შეუერთდა ადამიანის უფლებების შესახებ 1950 წლის ევროპულ კონვენციას, აუცილებელი გახდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, იეზუიტების საქმიანობის აკრძალვის გაუქმება ქვეყანაში.

იმას, რომ ნორვეგია იცავს საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და, განსაკუთრებით, ადამიანის ძირითად უფლებებს ადასტურებს ნორვეგიის კანონმდებლობაში გაკეთებული დათქმა იმის შესახებ, რომ თუ კონვენციების რაიმე საკითხი რაიმე სახით მოდის წინააღმდეგობაში ნორვეგიის კანონმდებლობასთან, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა ყოველთვის მიენიჭება კონვენციებს. გაეროს ადამიანის უფლებების კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და გაეროს საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ასევე შესულია ნორვეგიის კანონმდებლობაში (2005 წ.), თუმცა, არა პრიორიტეტული ფორმით.

შვედეთში, ადამიანის უფლებების დაცვა ძირითადად სამი კანონით არის უზრუნველყოფილი: საჯარო ადმინისტრირების, პრესის თავისუფლების და სიტყვის თავისუფლების უფლების შესახებ კანონის მეშვეობით. პრესის თავისუფლება დაცულია კონსტიტუციით დაწყებული მე-XVIII საუკუნიდან და ეს უფლება ერთ-ერთი უძველესია ქვეყანაში.

შვედეთმა ხელი მოაწერა და მოახდინა იმ მრავალი დოკუმენტების რატიფიცირება, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს გაეროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (I) და ევროპის საბჭოს ფარგლებში. ადამიანის უფლებების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა იმაზე, რომ ადამიანის უფლებები არ ირღვევა ეკისრება მთავრობას, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები არა მხოლოდ მთავრობის ფუნქციაა, არამედ ამ უფლებებზე მუშაობის გაუმჯობესების ხელშეწყობა საზოგადოების სხვა წევრების, აგრეთვე, კერძო სტრუქტურების, როგორც საზოგადოებრივი ორგანოზაციების, მიზანს უნდა წარმოადგენდეს, რათა ადამიანის უფლებები სათანადოდ იყოს დაცული.

ისლანდია, რომლის მოსახლეობა შეადგენს 318.000 კაცს საპარლამენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს, პრემიერ მინისტრი, როგორც წესი, უმრავლესობის პარტიის ხელმძღვანელია და მთავრობის მეთაურიც. ისლანდიას ერთპალატიანი პარლამენტი ჰყავს.

ისლანდიაში გავრცელებული საკითხები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოიცავს სოციალური და დისკრიმინაციის შესახებ უმცირესობების, აგრეთვე, უცხოელების, განსაკუთრებით, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებებს, ქალების ძალადობის წინააღმდეგ საკითხებს, ვაჭრობის შესახებ უფლებებსა და სხვა.

ფინეთი წარმოადგენს კონსტიტუციურ რესპუბლიკას. მისი მოსახლეობა შეადგენს 5.3 მილიონი კაცს, პრეზიდენტის არჩევა ხდება პირდაპირი არჩევნების გზით, ხოლო, პარლამენტი ფინეთში – ერთპალატიანია.

ადამიანის უფლებები, მათ შორის, მოიცავს პოლიციის მიერ დაკავებულისთვის დროული იურიდიული დახმარების აღმოჩენას ადვოკატის მეშვეობით, საეჭვო პოლიტიკურ კამპანიებში წვლილის საკითხებს, ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ საკითხებს, ადამიანებით ვაჭრობის, უცხოელების სოციალური დისკრიმინაციის წინააღმდეგ საკითხებს და სხვა.

რაც შეეხება დანიას, კვლევების თანახმად ადამიანის უფლებები ყველაზე კარგად სწორედ დანიაშია დაცული. ადამიანის უფლებები დანიაში, რადგანაც უპირველეს ამო-

ცანადაა მიჩნეული. ყველა სახის პრობლემებისგან მოქალაქეთა დაცვის დონით დანია ლიდერობს მთელს მსოფლიოში.

დღეისათვის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო, მათი უზრუნველყოფა და დაცვა წარმოადგენს უპირველეს პრობლემას თითქმის ყველა სახელმწიფოსთვის. ადამიანის უფლებების შესახებ საკითხების განვითარება და რეგულირება არა მხოლოდ სახელმწიფოების, არამედ მთელი მსოფლიო საზოგადოების უმთავრესი საზრუნავიც გახდა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების დღე – 10 დეკემბერი, ადამიანის უფლებათა დღედაა გამოცხადებული და აღინიშნება საერთაშორისო მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძირითადი უფლებები, სახელმძღვანელო. ავტორი კონსტანტინე კუბლაშვილი.
2. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდზე არსებული მასალა.
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წელი.
4. გაეროს მოხსენება სკანდინავიის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით.

ელინა ჯიოევა და თაკო თოდუა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნორვეგიის პუნქტობრივი რესურსები და მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

ხელმძღვანელები პროფესორები: კახა ბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსკორდი

ნორვეგია – სკანდინავიის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა როგორც ეკონომიკური ისე სოციალური თვალსაზრისით. ეს ქვეყანა გამოირჩევა ცხოვრების მაღალი სტანდარტებითა და ძლიერი ეკონომიკური პოტენციალით. ბუნებრივი რესურსების საფუძველზე ქვეყანამ შეძლო ქცეულიყო ერთ – ერთ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ მთელს ევროპაში. ნორვეგია წლებია ლიდერობს HDI-ის მონაცემებით, რომელიც განისაზღვრება ჯანდაცის, განათლებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ბუნებრივია ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარებასა და ეკონომიკურ აღმავლობას დიდიწილად მისი ბუნებრივი რესურსებით და სასარგებლო წიაღისეულით უზრუნველყოფის ხარისხი განაპირობებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად სახელმწიფოს ფართობს. რაც უფრო დიდია ქვეყნის ტერიტორია მით უფრო დიდია იმის აღბათობა რომ იგი სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი იქნება. მიგვაჩნია რომ ნორვეგია ამ შემთხვევაშიც გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ, ვინაიდან მიუხედავად არც თუ ისე მცირე ფართობისა, ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთ პოლარულ ნახევარსფეროშია მოქცეული, რაც ბუნებრივია ეკონომიკის მთელი რიგი დარგების (უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის) განვითარებას ხელს უშლის. თუმცა მკაცრი ბუნებრივი პირობებისა და კლიმატის ფონზე ქვეყანამ შეძლო გნევითარებინა სწორი და მისაღები ეკონომიკური პოლიტიკა. რამაც იგი მსოფლიოს თვალსაჩინო და სამაგალითო სახელმწიფოდ აქცია. ბუნებრივი რესურსების სწორად მართვა და გამოყენება საკმაოდ დიდ გონიერებას მოითხოვს, რაც როგორც ჩანს ნამდვილადც არაა უცხო ნორვეგიელი ხალხისათვის. სწორედ ამ თემაზე გვსურს წინამდებარე ნაშრომში ყურადღების გამახვილება.

ნორვეგიის ეკონომიკა წარმოადგენს თავისუფალი ბაზრისა და ხელისუფლების კონტროლის სინთეზის საუკეთესო მაგალითს. ხელისუფლება აკონტროლებს ეკონომიკის ძირითად სფეროებს და მათ შორის ნავთობის სექტორს (რომელიც ქმნის ნორვეგიის ეკონომიკის ქვაკუთხედს). თუმცა არა ქვეყანამ დაიდარია სხვა ბუნებრივი რესურსებითაც, მათ შორის ტყის, მინერალური და ჰიდრორესურსებით.

უპირველეს ყოვლისა გავამახვილებთ ყურადღებას ნავთობის მრეწველობაზე, როგორც სახელმწიფო აღმავლობის უმთავრეს საფუძველზე. XXI საუკუნის დასაწყისში ნორვეგია საუდის არაბეთთან და რუსეთთან ერთად მსოფლიოს ნავთობექსპორტიორი ქვეყნების სამეულში შედიოდა. თუმცა ნავთობის მრეწველობას სულაც არ აქვს დიდი ხნის ისტორია. მისი მოპოვება 1970 წლიდან დაიწყეს. უნდა აღინიშნოს რომ ნორვეგიის პოლიტიკა ნავთობ-გაზის მრეწველობასთან მიმართებით ყოველთვის იმართებოდეა 1 პრინციპით: რესურსები – ერის საკუთრება. ნორვეგიის ნავთობისა და გაზის მთელი მარაგი განთავსებულია ჩრდილოეთის ზღვის შელფზე. მარაგის გამოკვლევის ინიციატივა

ხელისუფლებას კი არა, მსხვილ ტრანსნაცილონალურ კომპანიებს ეკუთვნოდათ. 1960 – იან წლებში ნორვეგიამ მოახდინა ნავთობ – გაზის რესურსების ნაციონალიზაცია და ხელი მოაწერა შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან საზღვაო საზღვრებთან დაკავშირებით. 1965 წელს გაიცა პირველი ლიცენზიები, ხოლო 1969 წლის დეკემბერში გაიხსნა პირველი დიდი ბუდობი. 1970 წელს შეიქმნა სპეციალური ხელმძღვანელი კომიტეტი, რომლის კომპეტენციადაც იქცა ნავთობის მრეწველობის კურატორობა. 1978 წელს ჩამოყალიბდა ნავთობისა და ენერგეტიკის სამინისტერო, როგორც ცალკე მმართველი ორგანო. სანვთობო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოყალიბდა სახელმწიფო კომპანია STATOIL-ი. მეორე ნორვეგიული კომპანია იყო NORSK HYDRO. ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ზრდამ განსაზღვრა ნორვეგიის მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკაზე. ეს შემოსავლები ხელისუფლებამ მიმართა ქვეყნის რეგიონული და სოციალური განვითარებისაკენ პროგრამით „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“.

1990 წელს მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნების მიზნით, ნავთობის მარაგის შეასაძლო ამონტურვის შემთხვევაში შეიქმნა ნორვეგიის სანავთობო ფონდი, რომლის ბიუჯეტმაც 2005 წლისათვის 159 მლრდ. დოლარი შეადგინა. 2006 წლისათვის ნორვეგია ევროკავშირის ქვეყნების საჭიროებების (ნავთობისა და გაზის) 15 %-ს უზრუნველყოფდა. სპეციალისტთა შეფასებით ნორვეგიის კონტინენტური შელფის რესურსების რაოდენობამ შეიძლება დღევანდელ მაჩვენებელს გადააჭარბოს. ვინაიდან ძირითადი დაუზვერავაი მარაგი რუსეთის საზღვრის სიახლოვეს, ბარენცის ზღვაში მდებარეობვს. ნავთობის ექსპორტის მიხედვით ნორვეგია მერვე ადგილზეა 2010 წლის მონაცემებით.

ნორვეგიის ნავთობის დირექტორატის მონაცემებით ქვეყნის კონტინენტური შელფის საერთო მარაგი 13 მლრდ. კუბ. მეტრს შეადგენს ნავთობის ექვივალენტში. აღმოჩენლი საბადოების დამუშავების ხარჯზე კი ეს მაჩვენებელი შესაძლოა 5,2 მლრდ. კუბ. მ-მდე გაიზარდოს.

სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა წარმოადგენს ნორვეგიის ეკონომიკის ფუნდამენტს. მასში პირდაპირაა ჩართული 74 000 – მდე ადამანი, რაც თავის მხრივ დასაქმებული მოსახლეობის 3%-ს შეადგენს, ხოლო ნაწილობრივ – 220 000 კიდევ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ნორვეგია წარმოადგენს დასავლეთ ევროპის უმსხვილეს ნავთობ-გაზის მწარმოებელ ქვეყანას. ჰიდროენერგეტიკა, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის ენერგეტიკული მოთხოვნილების თითქმის 100% – აკამაყოფილებს, ნავთობის ექსპორტის საშუალებას იძლევა. სანავთობო ფონდები ემსახურება მომავალი თაობების განვითარებასა და სტაბილური ცხოვრების ხელშეწყობას. ქვეყანა გამორჩეულია სავაჭრო ფლოტის საიდიდით. გადაზიდვების ძირითადი წილი მოდის საზღვაო ტრანსპორტზე. ქვეყნისათვის დამახასითებელია ინფლაციის (2,.5%) და უმუშევრობის (8,7%)* დაბალი დონეები დანარჩენ ევროპასთან შედარებით.

* განვითარებული სახელმწიფოებისათვის დამახასათებელია 4–8% უმუშევრობის დონე, ხოლო ინდუსტრიულად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 30% აღნევს (2011).

ნორვეგიის მთელი ინვესტიციების თითქმის მეოთხედი ჭაბურღილების მშენებლონბაზე მოდის, ჩრდილოეთის ზღვაში, ქ. ბერგენიდან დასავლეთით, სადაც განლაგებულია უმსხვილესი გაზის საბადოები.

ელექტროენერგიის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებით ნორვეგია პირველ ადგილს იკავებს ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ელექტროენერგიის მოპოვება ძირითადად ხდება ჰიდრორესურსების ხარჯზე.

ჰიდროენერგეტიკა	99,16%
ატომური ენერგია	0%
სხვა ენერგია	0,26%

ნორვეგია მერვეა ნავთობის ექსპორტიონ სახელმწიფოებს შორის და მესამე ბუნებრივი აირის ექსპორტიორებს შორის, კანადისა და რუსეთის შემდეგ. ნავთობისა და გაზის მრეწველობას ბიუჯეტის შემოსავლების 1/3 მოაქვს. მოპოვებულია არსებული მარაგის მხოლოდ 40%, რაც იმის იმედს იძლევა რომ ქვეყნის განვითარების ტემპი არ შენელდება. სათბობ – ენერგეტიკული მრეწველობა საშუალებას იძლევა სახელმწიფომ განავითაროს მოსახლეობისათვის საჭირო ეკონომიკური და სოციალური დონე. ქვეყანა ორიენტირებულია იმ ტექნოლოგიების შემუშავებაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ნავთობისა და გაზის ეფექტურად და უსაფრთხოდ მოპოვებას. ეს კი თავის მხრივ ქვეყნის სამრეწველო ეკონომიკის კიდევ ერთი დადებითი მხარეა.

გარდა ზემოთაღნიშნულისა ქვეყანა მდიდარია ისეთი რესურსებით, როგორიცაა თუთია, ტიტანი, მოლიბდენი, ალუმინი (მსოფლიოში წარმოებულის 6%), ფერომარგანეცი (10%), მაგნიუმი (20%), ვანადიუმი, კობალტი და ა.შ. ნორვეგია სამშენებლო – მოსაპირკეთებელი მასალის (გრანიტი, მარმარილო) ერთ – ერთ უდიდეს მარაგს ქმნის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნორვეგიის საზღვაო რესურსები. გარდა სატრანსპორტო დანიშნულებისა ზღვას და საკამაოდ ხშირ მდინარეთა ქსელს ქვეყნისათვის სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციაც გააჩნია. ვგულისხმობთ თევზის რეწვას, რაც ნორვეგიის ეკონომკის ერთ – ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიის ეკონომიკა 3 ძირითად დარგს ეყრდნობა. ესენია: სათბობ – ენერგეტიკული მრეწველობა, თევზის რეწვა და ტურიზმი. თევზის რეწვა ნორვეგიის სანაპირო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა. თევზჭერაში, აკავაკულტურასა დეა თევზის გადამამუშავებელ სფეროებში დასაქმებულია 30 000 ადამიანი, ხოლო წლიური შემოსავალი ამ სფეროდან 30 მლრდ. კრონს შეადგენს, რაც თევზის რეწვას ერთ – ერთ საექსპორტოდ მნიშვნელოვან დარგად აქცევს. თევზჭერასთან ერთად ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიან სფეროს განეკუთვნება ხე – ტყის მრეწველობა, რაც განაპირობა ქვეყნის ტყის რესურსებით სიმდიდრემ. ჩრდილოეთში მთის ტყეებს ტუნდრები ცვლის. ტყეებს ნორვეგიის ფართობის 23% უკავია. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია ქვეყნისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნორვეგია მდიდარია წყლის რესურსებით. მისთვის დამახასიათებელია ჩქარი მთის მდინარეების სმრავლე, რის გამოც მათი სანაოსნოდ გამოყენაბა შეუძლებელია, თუმცა ეს მდინარეები მძლავრ ჰიდრორესურსებს ქმნის. ქვეყნის სამდინარო ქსელი ხშირი და წაყალუხვია (უმსხვილესია გლომა, ლოგენი და ა.შ.). ნორვეგია ამ მაჩვენებლით ევროპაში პირველია. უმსხვილესი ჩანჩქერები ძირითადად მდებარეობს ვესტლაპნეში, მათგან ყველაზე დიდია ნეფტი, „სამი და“. ქვეყანა მდიდარია ტბებით, რომელთა ფართობი ქვეყნის საერთო ფართობის 5% - ს შეადგენს. ნორვეგიის მდინარეების უმრავლესობა სათვაეს მთებიდან იღებს და არასოდეს იყინება. ეს კი მძლავრ ენერგეტიკულ პოტენციალს ქმნის.

ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრემ განაპირობა ქვეყნის განვითარება, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა მისი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკაზე. ხელისუფლება ცდილობს მიმართოს შემოსული კაპიტალი ქვეყნის და საზოგადოების წინსვლისა და განვითარებისაკენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელმწიფოს ეკონომიკის წამყვან სფეროებს შორის მოიაზრება ტურიზმიც, რაც სულაც არაა გასაკვირი. ქვეყნის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები იმის წინაპირობას ქმნის რომ ადამიანთა დაინტერესებას გამოიწვიოს. ნორვეგიაში წარმოდგენილია თითქმის ყველა სახეობის ტურიზმი: საექსკურსიო, სამთო – სათხილამურო და ექსტრემალური. ტურისტთა დაინტერესებას იწვევს საფარიც (სამონადირეო ტურიზმი). ნორვეგიაში კარგადაა განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და დადებითი ფაქტია ტურიზმის განვითარებისათვის.

ნორვეგიის უმთავრეს ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს ლანდშაფტების სხვადასხვაობა. სწორედ აქ არის სახელგანთქმული ფიორდები, რომელიც მრავალი ადამიანის აღფრთოვანებას იწვევს და დაუვიწყარ შთაბენდილებას ტოვებს მნახველზე. ქვეყანა ცნობილია მაღალი დონის სამთო-სათხილამურო კურორტებით (ჰემსედალი). ტყეებით და ტბებით. ძირითადი ტურისტული ქალაქებია ოსლო, ბერგენი, სტავანგერი, ტრონდეჟეიმი და ტრომსო. ქვეყნის ბუნების ძირითადი ნაწილი ხელუხლებელი დარჩა და ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ქვეყანა ტურისტებისათვის საინტერესო ადგილს წარმოადგენს. ფიორდები, მთები და დასავლეთ და ჩრდილოეთ ნორვეგიის ჩანჩქერები ყოველწლიურად ათასობით ტურისტს იზიდავს. ნორვეგიის კულტურაზე ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის მცირერიცხოვნობამ, მკაცრმა კლიმატმა და შედარებითმა იზოლაციამ დანარჩენი ევროპისაგან. ამიტომ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ნორვეგიაში ცოტაა დიდებული სასახლეები და ციხე-სიმაგრეები, ასევე ცოტაა სასოფლო-სამეურნეო რაიონებიც. თუმცა, მიუხედავად არქიტექტურული ძეგლების სიმცირისა ქვეყნის ბუნებრივი პირობები იმდენად მიმზიდველს ხდის ნორვეგიის რიგ ქალაქებს (მაგალითად ბერგენი, ტრონდეჟეიმი) რომ ამის არდანახვა უბრალოდ შეუძლებელია. ტურისტთა აღფრთოვანებას იწვევს ოსლოში მდებარე მუზეუმები (მათ შორისაა ვიკინგების გემების მუზეუმი, ისტორიული მუზეუმი, სახელოვანი და საინტერესო მხატვრის მუნკის მუზეუმი), ბოტანიკური ბაღი და პოლმენკოლენის სათხილამური ტრამპლინი. საინტერესო და ტურისტებისათვის საინტერესოა ბერგენში მდებარე ბრიუგენი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულზე დაყრდნობით შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ნორვეგიის შემთხვევაში ბუნებრივი რესურსების გავლენა ეკონომიკასა და ზოგადად ქვეყნის საერთო განვითარების დონეზე უდავო და მნიშვნელოვანია. გეოგრაფიული ფაქტორი უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისათვის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ხელისშემსლელი წინაპირობაცაა (მდებარეობა, ზღვაზე გასასვლელის ქონა ან არქონა, სასრგებლო წიაღისეულისა და მინერალური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხი და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში ქვეყანა რთულად ან საერთოდ ვერ ვითარდება და მოსახლეობისათვის მისაღები საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა ვერ ხერხდება. ნორვეგია კი ნამდვილად გამონაკლისია ამ მხრივ. ქვეყანამ, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ შეძლო გარკვეული გეოგრაფიული დაბრკოლებების გადალახვა და ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც სამაგალითოს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის.

ბიბლიოგრაფია:

www.google.com

www.yandex.ru

www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/xx.html

www.en.wikipedia.org

www.ru.wikipedia.org

www.visitnorway.com/us/

www.state.gov/r/pa/ei/

www.norway.com

ნინო მაზმიშვილი, მარიამ მაღლაკელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნორვეგიის კულტურა

ხელმძღვანელები პროფესორები: კახა ბერლორია, ფრუდე ჰერმუნდსკორდი

(მიმოხილვა)

ისეთი მცირე მოსახლეობისთვის როგორიც ნორვეგიაშია, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ეს ქვეყანა გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივად მდიდარი, მრავალფეროვანი და სრულყოფილი კულტურით. ამას განაპირობებს ის, რომ არსებობს სამთავრობო ფონდები, ინსტიტუტები და ხელოვნების საბჭოები, რომლებიც აფინანსებენ ხელოვანს ნებისმიერ დარგში, ქვეყნის მასშტაბით.

ნორვეგიას შენარჩუნებული აქვს მდიდარი ხალხური კულტურა, რომელშიც აშკარად შეიმჩნევა ვიკინგების პერიოდის ელემენტები და მათი გავლენა.

თანამედროვე ნორვეგიულმა კულტურამ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა მეცხრამეტე საუკუნეში, ის ხშირად იზოლირებულია ევროპული ტენდენციებისგან და მოვლენებისგან, რადგან შორსაა ისეთი კულტურული ცენტრებისგან, როგორიცაა ფლორენცია, რომი და პარიზი. თუმცა ნორვეგიას აქვს ძლიერი კულტურული „ბექვრაუნდი“.

ძირითადი გავლენა ნორვეგიის კულტურაზე მომდინარეობს ვიკინგებისგან. ვიკინგების სამარხების ადგილას გაკეთებული აღმოჩენები მოწმობს იმას, რომ ისინი იყვნენ შესანიშნავი გემთმშენებლები, კარგად განვითარებული შემოქმედებითი ტრადიციებით, რომლებიც ჩანს მათ ხელნაკეთებში, ხეზე ჭრასა და ძირფასეულობაში. კულტურის ეს მნიშვნელოვანი ასპექტები გავრცელდა ევროპის ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც ვიკინგებმა დაიკავეს. ლამაზად გაფორმებული ხის

ეკლესიები, აშენებული მანამ, სანამ ქვეყანაში ქრისტიანობა დამკვიდრდებოდა, ნორვეგიული კულტურის სახედ შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა ეს ეკლესიები ხაზს უსვამენ ნორვეგიელების შემოქმედებით ბუნებას.

კულტურა ამ ქვეყანაში დიდი დოზით განიცდიდა დანიურ გავლენებს. აქ ხელოვანებისთვის საუკეთესო შთაგონების წყარო ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნება იყო, მაშინ როდესაც ევროპაში რომანტიზმის აღმოცენება ხდებოდა. ნორვეგია სამშობლოა რიგი ნობელიანტი მწერლებისა, მათ შორის არიან დრამატურგები, ნოველისტები, პოეტები და ა. შ. ჰენრიკ იბსენი ერთდერთი ყველაზე პატივსაცემი დრამატურგი, პოსტმოდერნისტი და სოციალური კრიტიკოსი, გავლენიანია და ძლიერია იმდენად, რამდენადაც შექსპირი. იბსენი ითვლება რეალისტური დრამის ფუძემდებლად. მისი კანონიკური პიესების სიაში შედის A Doll's House (თოჯინების სახლი); Ghosts (სულები); Hedda Gabler; An Enemy of the People (ხალხის მტერი).

ასევე უნდა აღინიშნოს არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო მწერალი კუნუტ ჰამსუნი, რომელმაც პირველი აღიარება მოიპოვა რომანით „შიმშილი“ (Swit). 1966 წელს ამ რომანის მიხედვით დანიელმა რეჟისორმა, ჰენრიგ კარლსენმა გადაიღო ფილმი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა კანის ფესტივალზე. რაც შეეხება ჰამსუნისა და კინოს კავშირს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ასევე დანიელი რეჟისორის გუნარ სო-

მერფერდტის ფილმი „მიწის მადლისკუკ“. რომელიც გადაღებულია 1921 წელს, ასევე არა-ნაკლებ საინტერესო იან ტროელის ბიოგრაფიული ფილმი „ჰამსუნიკუკ“, რომელიც მწერ-ლის ცხოვრების ყველაზე კონტროვერსიულ ეპიზოდს ასახავს, მის შეხვედრას ჰიტლერ-თან და მის სიმპათიებს ნაცისტური იდეოლოგიის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის შემ-დეგ გახმაურებული

სასამართლო პროცესს და მის სიკვდილს.

თანამედროვე ლიტერატურა:

ჯონ ფოსი ამჟამად ყველაზე პოპულარული ნორვეგიელი დრამატურგი, ალიარებუ-ლია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მისი პიესები მთლიანად მინი-მალისტური ხასიათისაა. ღრმად წვდება და განიხილავს ადამიანის ეგზისტენციალურ პრობლემებს. ავტორი ხშირად ეჭიდება საკითხებს, რომლებსაც რთულია ჩანვდე და გა-მოხატო.

ასევე საკმაოდ ცნობილი თანამედროვე ნოველისტი *Jostein Gaarder*, ავტორი ნოველისა *Sophie's World* (სოფიას სამყარო) დ ნოველა ფილოსოფიის ისტორიაზე, რომე-ლიც ცდილობს ჩანვდეს ფილოსოფიის იდუმალებას. წიგნი იმდენად პოპულარული გახ-და, რომ გაიყიდა 25 მილიონზე მეტი ეგზემპლარი არანაკლებ საინტერესო და პოპულა-რული მწერალი *Lars Saabye Christensen*, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა რომანით *Halvbroren* (The Half Brother) – ნახევარძმა. მისი მრავალი რომანი უკვე ითარგმნა არა ერთ ევროპულ ენაზე.

კლასიკური მუსიკა:

ედვარდ გრიგი დ ყველაზე აღიარებული ნორვეგიელი კომპოზიტორი. მისი კომპოზი-ციები რომანტიული ხასიათის მატარებელია და ამასთან ერთად ხშირად შეიცავს ეროვ-ნულ მოტივებს, ვინაიდან იგი თითქმის მუდმივად იყენებდა ხალხური მუსიკის საწყისებს, თანამედროვე, ლამაზი, იმპრესიონისტული პიესების შესაქმნელად. „ლირიკული პიესები ფორტეპიანოსთვის – Lyrical Pieces for Piano“ მისი ყველაზე ცნობილი კომპოზიციების კოლექციაა, შეიცავს 66 პიესას. ასევე აღსანიშნავია არანაკლებ ცნობილი საფორ-ტეპიანო კონცერტი რომელიც დაიწერა ჰენრიკ იბსენის „Peer Gynt“ -ისთვის.

ნორვეგიელებს ასევე ყავთ რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული კლასიკური მუსიკის შემსრულებელი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია *Leif Ove Andsnes*-ის. იგი არაერთი გრემის მფლობელია, განსაკუთრებით ცნობილია გრიგის კომ-პოზიციების ინტერპრეტაციით. ასევე უნდა აღინიშნოს ისევ გრიგის კომპოზიციების შემსრულებელი, ჩელისტი *Truls Mørk*-ი. უკრავს როგორც კამერული და სიმფონიური ორკესტრისთვის, ასევე ხშირად გვხვდება როგორც სოლისტი.

ჯაზი:

ნორვეგიის ჯაზის სცენა ფენომენალურია. არავინ უარყოფს აზრს, რომ ნორვეგიას ყველაზე საინტერესო ჯაზ შემსრულებლები ყავს მთელი ევროპის მასშტაბით. თითოე-ული თაობის მუსიკის ქმნის ახალ, განსხვავებულ მუსიკას, განსხვავებული მუსიკალუ-რი ენით, განსხვავებული ულერადობით, რომლის გავლენასაც ხშირად განიცდის ევრო-

პული მუსიკა. 80დიან წლებში ნორვეგიულ ჯაზში ხშირად იგრძნობოდა ელექტრონიკის ელემენტები, უკვე 90 დიანებიდან წამოვიდა იმპროვიზაციები ჯაზ მუსიკაში.

ისეთი სახელები, როგორიცაა *Jan Garbarek, Mari Boine, Arlid Andersen, Bugge Wesseltoft* ცნობილია თითქმის ყველა ქვეყანაში, მელომანების წრეში. ხოლო შედარებით ახალგაზრდა შემსრულებლები, როგორებიცაა *Paal Nilssen, Håvard Wiik* ნელნელა უერთდებიან მსოფლიო ჯაზ შემსრულებლების რიცხვს და ფართო აღიარებას პოვებენ თანამედროვე მუსიკალურ ბაზარზე.

მხატვრობა:

ნორვეგიული მხატვარი ედვარდ მუნქი (*Edvard Munch*) იყო ერთდერთი პიონერი ექსპრესიონისტი, თითქმის ყველას აქვს ნახახი მისი რეპროდუქცია „კივილიკუ (Scream). ნახატს ხშირად შევხვდებით წიგნის ყდებზე, პოსტერებად, პლაკატებზე და ა.შ. ეს ალბათ ერთდერთი ყველაზე ცნობილი ნახატია მსოფლიოში, რომელიც 150 წელიწადზე ნაკლებს ითვლის. მას შემდეგ რაც მუნქი გარდაიცვალა (1944 წ. იანვარი) ცნობილი გახდა, რომ მან თავისი ყველა ნახატი უპირობოდ დაუტოვა ოსლოს ანდერძად. ქალაქში აშენდა მუნქის სახელობის მუზეუმი, 1963 წელს, სადაც ინახება უნიკალური კოლექცია, ატასზე მეტი ფერწერული ნამუშევარი და დაახლოებით 4500 ნახატი. რაც შეეხება თანამედროვე მხატვრობას, აქ აღსანიშნავია ანა კატრინ დოლვენი (*Anne Katrine Dolven*), თანამედროვე ვიდეო არტისტი და ფერმწერი. მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ვიდეო არტით. საინტერესოა მისი ხატვის სტილი, რომელიც თითქოსდა კლასიკური, ფორმალისტური სტილით გამოხატავს ერთდროულად იუმორს და ეროტიკას.

არქიტექტურა:

ნორვეგია ცნობილია თავისი უნიკალური ტაძრებით. აქ მრავლად გვხვდება ხის ეკლესიები, რომლებიც აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში. ასევე ხშირია „არტ ნუვოს კუ სტილის არქიტექტურა, მაგალითად ოლესუნდსი (*Ålesund*). ეს უკანასკნელი ქალაქია ნორვეგიაში, რომლის ცენტრალური ნაწილის უმეტესობა ამ სტილზე გადაკეთებულ იქნა 1904 წლის კატასტროფული ხანძრის შემდეგ.

როდესაც საქმე ეხება თანამედროვე არქიტექტურას, არ შეიძლება არ აღინიშნოს „*Snøhetta*“ – თანამედროვე არქიტექტურული კომპანია, რომელმაც აღიარება მოიპოვა მისი უნიკალური „სკანდინავიური“ სტილით. მათ უკვე ძალიან ბევრი მაღალი დონის პროექტები განახორციელეს. მათ შორისაა აღმასანდრიის ბიბლიოთეკა (იბლიოტეკა ლეხანდრინა) ალექსანდრიაში. ახალი ოპერის სასახლე (*The New Opera House*) ოსლოში. ნიუ იორკის მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი (*World Trade Center*) და ა.შ.